



თიბისი ბანკი

20
18

თიბისი ბანკი სმარტ და
დიჯიტალურ გადაწყვეტილებებში
ინვესტიციების საშუალებით
სტრატეგიულ ტაქსის მომხმარებელს
ყველაზე ინოვაციურ სერვისებს.

მმართველობითი ანგარიში და
ფინანსური ანგარიშგება 2018

20
18



თბილისი ბანკი



თიბონის ბანკი TBC BANK

თიბისი ბანკი

თიბისი ბანკი¹ არის უმსხვილესი საბანკო ჯგუფი საქართველოში, რომელიც ემსახურება ქვეყნის ზრდასრული მოსახლეობის დაახლოებით 83%-ს.

სარჩევი

მმართველობითი ანგარიში

მიმოხილვა

| | |
|--|---|
| ჯგუფის ძირითადი მაჩვენებლები - 2018 წ. | 2 |
| მოკლე მიმოხილვა | 4 |
| გენერალური დირექტორის წერილი | 6 |

სტრატეგია და საქმიანობა


| | |
|------------------------------------|----|
| საქართველო | 10 |
| ბიზნეს მოდელი და სტრატეგია | 12 |
| დივიზიების მიმოხილვა | 22 |
| ძირითადი რისკები და გაურკვევლობები | 44 |
| რისკის მართვა | 52 |
| კორპორაციული პასუხისმგებლობა | 66 |
| ფინანსური შედეგების მიმოხილვა | 84 |

მართვა

| | |
|--|----|
| კორპორაციული მართვა | 90 |
| საზედამხედველო საბჭოს წევრების ბიოგრაფიები | 92 |
| მენეჯმენტის ბიოგრაფიები | 96 |

ფინანსური ანგარიშგება

| | |
|--|-----|
| დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა | 100 |
| ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული და განცალკევებული ანგარიშგება | 102 |
| მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების კონსოლიდირებული და განცალკევებული ანგარიშგება | 104 |
| კაპიტალის ცვლილების კონსოლიდირებული და განცალკევებული ანგარიშგება | 106 |
| ფულადი სახსრების მოძრაობის კონსოლიდირებული და განცალკევებული ანგარიშგება | 108 |
| კონსოლიდირებული და განცალკევებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები | 110 |



დამატებითი ინფორმაციისთვის ეწვიეთ ჩვენს ვებ-გვერდს: www.tbcbank.ge

¹ თიბისი ბანკი გულისხმობს სს. „თიბისი ბანკს“ (ბანკი) და მის შვილობილ კომპანიებს (ერთად „ჯგუფი“)

მაღალი მომგებიანობა და ეფექტიანობის მაღალი დონე

ლ 433.3 მლნ
+ 19.4%
წმინდა მოგება

22.7%
+ 1.3pp
შეგება საშუალო კაპიტალზე

3.2%
0.0pp
შეგება საშუალო აქტივებზე

37.1%
- 3.7pp
სარჩების შემოსავალთან ფარდობა

მაღალი ზრდა და აქტივების ჯანსაღი ხარისხი

ლ 10,372.6 მლნ
+ 21.3%
მთლიანი სესხები (გაუფასურებამდე)

ლ 9,444.7 მლნ
+ 20.5%
მთლიანი დაკოვნიბები

3.1%
- 0.2pp
შეომამდო სესხები

მყარი კაპიტალი და ლიკვიდურობის მაღალი დონეები

12.8%
- 0.6pp
პირველადიკაპიტალი

17.9%
+ 0.4pp
მთლიანი კაპიტალი

89.1%
- 3.1pp
წმინდა სესხების დაკოვებებთან და, კლიუს საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების სასსრებთან თანაფარდობა

პირველხარისხიანი ციფრული არხები

90.6%
+ 2.3pp
ბანკპირთვის კოეფიციენტი

37.0%
+ 5.6pp
მოხილური საბანკო მომსახურების ვენებრაციის კოეფიციენტი

43.7%
+ 3.3pp
მოხილური და ინტერნეტ საბანკო მომსახურების ვენებრაციის კოეფიციენტი

თანამშრომელთა კმაყოფილების მაღალი დონე

66%
+ 11pp
ENPS

87%
- 4pp
თანამშრომელთა ჩართულობის ინდექსი

საუკეთესო მომსახურების მიმწოდებელი საქართველოში¹

მომხმარებელთა უმაღლესი
კმაყოფილება



მკაცრად
აღსაყდრებელი
საქართველოში

აღსაყდრებელი
საქართველოში
საქართველოში

გამარჯობა

გამარჯობა
საქართველოში

¹ დამოუკიდებელი კვლევითი კომპანიის „IPM“ მიერ 2018 წლის დეკემბერში საცალო მომსახურების სექტორში ჩატარებული გამოკითხვის შედეგების მიხედვით

თიბისი ბანკი დაამკვიდრებულ ლიდერია საქართველოს საბანკო სექტორში. ჩვენ ცნობილი ვართ ჩვენი ძლიერი ფინანსური შედეგებით, სრულყოფილებისადმი სწრაფვით და ინოვაციების მუდმივი ძიებით. ჩვენ ვაპყობთ იმით, რომ გვაქვს საუკეთესო ციფრული შესაძლებლობები, შეუდარებელი მომხმარებელთა კმაყოფილება და ქვეყანაში ყველაზე ცნობადი ბრენდი.

ჩვენს შესახებ

თიბისი ბანკი საქართველოში უმსხვილესი საბანკო ჯგუფია ყველა ძირითადი მარკეტინგის მიხედვით და მას უკავია ლიდერის პოზიცია ბაზარზე მთლიანი აქტივების, მთლიანი სესხებისა და მთლიანი დეპოზიტების მიხედვით. ჩვენ ასევე გვიჭირავს დომინანტური პოზიცია ჩვენს ყველა ძირითად სეგმენტში - საცალო, მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოებსა და კორპორატიული საბანკო მომსახურებაში. გარდა ამისა, ჩვენ ასევე ვართ სხვა ფართო სპექტრის ფინანსურ მომსახურებათა მიმწოდებლებიც, მათ შორის სალიზინგო, საინვესტიციო საბანკო და საბროკერო მომსახურების, ჩვენი შვილობილი კომპანიების მეშვეობით.

ჩვენი მოწინავე მრავალ-არხიანი სადისტრიბუციო პლატფორმის საშუალებით, რომელიც მოიცავს პირველხარისხოვან ციფრულ არხებსა და ფილიალების ფართო ქსელს, ვემსახურებით მომხმარებელთა ბაზას, რომელიც მოიცავს საქართველოს ზრდასრული მოსახლეობის დაახლოებით 83%-ს.


ძირითადი საოპერაციო მაჩვენებლები

მომხმარებელთა რაოდენობა: c.2,400,000
საცალო : c.2,300,000
მიკრო, მცირე და საშუალო საწ.: c. 130,000
კორპორატიული: c.2,800

ფილიალების რაოდენობა: 149

თანამშრომელთა რაოდენობა: c.7,100

პირველი ადგილი ბაზარზე ყველა ძირითადი მაჩვენებლის მიხედვით¹



ჩვენი მთავარი ღირებულებები

- > ბედნიერი და წარმატებაზე ორიენტირებული გუნდის შექმნა;
- > კლიენტებზე ორიენტირებული კულტურის ჩამოყალიბება;
- > მკაფიო და გასაგები ბიზნეს-მოდელის შექმნა და გულწრფელი ურთიერთობები;
- > ინოვაციური მიდგომა;
- > ძლიერი და მდგრადი ფინანსური შედეგები;
- > პოზიტიური ზეგავლენა საზოგადოებაზე.

¹ „საქართველოს ეროვნული ბანკის“ მიერ 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გამოქვეყნებულ მონაცემებზე დაყრდნობით



რით გამოვიჩვენოთ

პირველხარისხოვანი ციფრული არხები

რადგანაც ვოპერირებთ ციფრულ სამყაროში, ჩვენ უწყვეტად ვახორციელებთ ინვესტიციებს ტექნოლოგიაში და ჩვენი ოპერაციების განახლებაში, რათა შევძლოთ მომხმარებლებისთვის ბაზარზე ყველაზე ინოვაციური გადაწყვეტილებების შეთავაზება. ჩვენ ვაყვარებთ ჩვენი მსოფლიო-დონის ინტერნეტ და მობილური საბანკო მომსახურების აპლიკაციებით და იმით, რომ ქვეყანაში პირველებმა დავენერგეთ პირველი ქართულად მოსაუბრე ჩეთხოტი და ბიომეტრიული ხმის ამოცნობის სისტემა ქოლ-ცენტრში. ჩვენი ყველაზე მნიშვნელოვანი მიღწევა ამ წელს იყო „სფეისის“ გაშვება, რომელიც არის პირველი სრულიად ციფრული ბანკი საქართველოში.

მომხმარებელთა მომსახურების საუკეთესო ხარისხი

მომხმარებელთა უნაკლო მომსახურება ჩვენი დემონსტრირება და ჩვენ ვისწრაფვით იმისთვის, რომ უზრუნველვყოთ მომხმარებელთა საუკეთესო გამოცდილება ჩვენი ყველა არხის საშუალებით. ჩვენ მნიშვნელოვან დროს და ძალისხმევას ვდებთ იმაში, რომ გავიგოთ მომხმარებლების მუდმივად განვითარებადი საჭიროებები და მოვუძებნოთ გადაწყვეტილებები მათი უპირატესობების მიხედვით. ჩვენ ვინარჩუნებთ მომხმარებელთა ყველაზე მაღალ კმაყოფილების დონეს საბანკო სექტორში მიმდევრობით მრავალი წლის მანძილზე და გვიჭირავს წამყვანი პოზიცია სხვა მომსახურების მიმწოდებლებს შორის ქვეყნის მასშტაბით.

ძლიერი ბრენდი

თიბისი ბანკი არის მეტად საყვარელი ბრენდი საქართველოში. ის ცნობილია თავისი სანდოობით, მაღალი ხარისხით, ინოვაციებითა და საზოგადოების სამსახურით. ჩვენ ვმოქმედებთ კეთილსინდისიერად და გამჭვირვალედ ჩვენს ყველა წამოწყებაში და ვისწრაფვით იმისკენ, რომ შევქმნათ ღირებულება ყველა დაინტერესებული მხარისთვის, მათ შორის აქციონერებისთვის, მომხმარებლებისთვის, პარტნიორებისთვის, თანამშრომლებისა და მთლიანად საზოგადოებისთვის. თიბისი ბანკს ასევე მიღებული

აქვს უამრავი ჯილდო ქვეყნის, რეგიონის და საერთაშორისო მასშტაბით, მათ შორის „საუკეთესო ბანკი საქართველოში“, ავტორიტეტული საერთაშორისო ჟურნალებისგან, როგორცაა „The Banker“, „EMEA Finance“, „Euromoney“ და „Global Finance“.

კონცენტრირება ფინანსურ სერვისებზე

ჩვენ გვაქვს მკაფიო ბიზნეს-მოდელი, რომელიც კონცენტრირებულია ფინანსურ მომსახურებაზე. ჩვენ ძირითადად ჩართულები ვართ საბანკო და მასთან დაკავშირებულ საქმიანობაში და ასევე ვახორციელებთ სხვა მომსახურებათა მიწოდებასაც, რომლებიც აძლიერებენ, ამყარებენ და ქმნიან სინერგიას ჩვენს ძირითად ბიზნესთან. ასეთი მიზანმიმართული მიდგომა გვებმარება მივმართოთ ყველა ძალისხმევა იმაზე, რასაც ყველაზე კარგად ვაკეთებთ და მუდმივად ვეძებთ ახალი გზები რათა დავხვეწოთ ჩვენს მიერ შეთავაზებული მომსახურების უპირატესობები. შედეგად, ჩვენ შევიძინეთ მტკიცე ექსპერტული ცოდნა და მნიშვნელოვანი კონკურენტული უპირატესობა, რომელიც დაგვებმარება კომპანიის შემდეგ ეტაპზე გადაყვანაში.

ჩვენი სტრატეგია იყენებს ჩვენს ძირითად სიძლიერებს და ისწრაფვის შექმნას მაქსიმალური ღირებულება ჩვენი მომხმარებლებისთვის ყველაზე ინოვაციური გადაწყვეტილებების შემუშავების გზით მათი ყოველდღიური საჭიროებების დასაკმაყოფილებლად.

გაიგეთ მეტი ჩვენი სტრატეგიის შესახებ გვერდებზე 12-21.

2 დამოუკიდებელი კვლევითი კომპანიების „ACT“ და „IPM“ მიერ ჩატარებული გამოკითხვების თანახმად.



ძვირფასო აქციონერებო,
 2018 წელი იყო შესანიშნავი წელი, რომელიც გამოირჩეოდა ძლიერი საოპერაციო და ფინანსური შედეგებით. ჩვენ მნიშვნელოვნად გავაუმჯობესეთ ეფექტიანობის დონეები, ასევე მივალწიეთ მნიშვნელოვან პროგრესს დიჯიტალიზაციის სტრატეგიაში და მოვახდინეთ ზრდისა და განვითარების ახალი შესაძლებლობების იდენტიფიცირება.

ფინანსური შედეგები

ჩვენმა კონსოლიდირებულმა წმინდა მოგება მიაღწია 433.3 მილიონ ლარს, რაც 19.4%-ით აღემატება 2017 წლის მონაცემებს. უკუგება კაპიტალზე იყო 22.7% ხოლო უკუგება აქტივებზე - 3.2%. ჩვენი მყარი მომგებიანობა ეფუძნებოდა მყარ შემოსავლებს, გაუმჯობესებულ ეკონომიკურ ეფექტურობას და რისკების გონივრულ მართვას. ჩვენ ასევე შევინარჩუნეთ მყარი წმინდა საპროცენტო მარჟა 6.8%-ზე, რაც წინა წელთან შედარებით 0.4 pp-ით მეტია, და მივალწიეთ წმინდა საკომისიო შემოსავლების სტაბილურ ზრდას 25.4%-ით წინა წელთან შედარებით. იგივე პერიოდში ხარჯების შემოსავალთან შეფარდების კოეფიციენტი შემცირდა 3.7 pp-ით და შეადგინა 37.1%, ხოლო რისკის მართვის ხარჯი იყო 1.6% ან 1.5% გაცვლითი კურსის ეფექტის გარეშე.

საბალანსო ზრდის კუთხით ჩვენი საკრედიტო პორტფელი გაიზარდა 21.3%-ით წინა წელთან შედარებით, რომელიც გამოიწვია ყველა ბიზნეს-სეგმენტის პორტფელის ზრდამ, რის შედეგადაც ჩვენმა საბაზრო წილმა შეადგინა 38.8%¹, რაც წინა წელთან შედარებით 0.6 pp-ით მეტია. აქტივების ხარისხი კვლავ კარგია, რომლის უმოქმედობის კოეფიციენტი არის დაბალი 3.1%. იგივე პერიოდში დეპოზიტები გაიზარდა 20.5%-ით, ამგვარად ჩვენი წილი დეპოზიტების ბაზარზე გახდა 41.2%¹, რაც წინა წელთან შედარებით 1.4 pp-ით მეტია.

ჩვენი კაპიტალის და ლიკვიდობის კოეფიციენტები კვლავ მყარია. 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჩვენი პირველადი და მთლიანი კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტები (CAR) „Basel III“ გაიდლაინების თანახმად იყო შესაბამისად 12.8% და 17.9%, მინიმალურ მარეგულირებელ მოთხოვნასთან - 11.8% და 16.7%-თან შედარებით. ამავდროულად, წმინდა სესხების დეპოზიტებთან თანაფარდობის + საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მიერ დაფინანსების კოეფიციენტი იყო 89.1%, ხოლო წმინდა სტაბილური დაფინანსების კოეფიციენტი (NSFR) - 126.9%.

სტრატეგიული პროგრესი და ახალი პრიორიტეტები

ჩვენ განვაგრძობთ წინსვლას ციფრული ტრანსფორმაციის კუთხით. მეოთხე კვარტალში განტვირთვის კოეფიციენტმა შეადგინა 90.6%, რაც 2.3 pp-ით მეტია წინა წელთან შედარებით და რაც ძირითადად გამოწვეული იყო ტრანზაქციების ზრდით მობილურ საბანკო მომსახურებაში. იგივე პერიოდში მობილური საბანკო მომსახურების პენეტრაციის კოეფიციენტი გაიზარდა 5.6 pp-ით და შეადგინა 37.0%. მყარი ზრდა შეინიშნებოდა ციფრული არხების საშუალებით განხორციელებული გაყიდვების კუთხითაც, რომელმაც 2018 წლის დეკემბერში შეადგინა მთლიანი გაყიდვების 45.3%². ასევე ძალიან ვამაყობ საქართველოში პირველი სრულიად ციფრული ბანკით - „სფეისით“, რომელიც 2018 წლის მაისში ავამუშავეთ. „სფეისი“ არის უახლესი თაობის მობილური აპლიკაცია ყოველდღიური ფინანსების სამართავად, რომელიც გვთავაზობს უნიკალურ მომხმარებლის გამოცდილებას მარტივი პროცედურებისა და პროდუქტების და ინტუიციური დიზაინის საშუალებით. „სფეისი“ სულ უფრო პოპულარული ხდება და გვეხმარება ახალი მომხმარებლების მოზიდვასა და ასევე არსებული მომხმარებლების ხელახლა გააქტიურებაში.

რადგანაც თავს ვიმკვიდრებთ როგორც ციფრული ნოვატორები, სწრაფად უნდა ვუპასუხოთ სწრაფად

ცვლებად საბაზრო გარემოს და შევინარჩუნოთ პირველხარისხოვანი საოპერაციო ხარჯების დონეები. აქედან გამომდინარე, 2018 წელს დავიწყეთ Agile ტრანსფორმაციის პროექტი მთელი კომპანიის მასშტაბით, რომლის მიზანია უფრო მოქნილი და ეფექტური ორგანიზაციული სტრუქტურის შექმნა. 2019 წელს ვგეგმავთ ამ პროექტის მთელი ბანკის მასშტაბით გაშლას. ასევე ვაგრძელებთ კლიენტთა მომსახურებისა და საოპერაციო ოფისების პროცესების გაუმჯობესებას ფილიალების ოპტიმიზაციისა და ავტომატიზაციის გზით.

მაკროეკონომიკური მიმოხილვა

ეკონომიკა განაგრძობდა გაყარებას 2018 წელს, 2017 წლის მკვეთრი აღდგენის შემდეგ. მშპ-ს ზრდა შეადგინდა 4.8%³-ს წლის ბოლოს და იყო უნივერსალური უმეტესი სექტორისთვის, რის შედეგადაც საქართველო რეგიონის ყველაზე სწრაფად მზარდი ეკონომიკის მქონე ქვეყნებს შორის მოხვდა. ქვეყნის ძირითადმა სიძლიერებებმა: განგრძობადმა რეფორმებმა, დივერსიფიცირებულმა სავაჭრო და საინვესტიციო შემოდინებებმა და ასევე გონივრულმა მაკროეკონომიკურმა პოლიტიკამ თავისი შედეგი მოიტანა. არახელსაყრელი რეგიონალური მოვლენებისა და ქვეყნის შიგნით არსებული შედარებით მაკროეკონომიკური პოლიტიკის მიუხედავად, ეკონომიკა მდგრადი განვითარების გზაზე რჩება, რაც ასევე აისახება 2019 წლის დასაწყისში გაუმჯობესებულ საკრედიტო რეიტინგში „Fitch Ratings“-ის მიხედვით.

ექსპორტის, ტურისტული და ფულადი გზავნილების შემოდინება კვლავ შენარჩუნდა 2018 წლის პირველ ნახევარში (+ 26.4% წინა წელთან შედარებით აშშ დოლარში). თურქეთში არსებული ეკონომიკური სირთულეების, ირანზე დაკისრებული სანქციებისა და რუსული რუბლის სისუსტის შემდეგ, შემოდინების ზრდა შენელდა 2018 წლის მეორე ნახევარში (+ 14.1% წინა წელთან შედარებით), თუმცა მაინც მყარი დარჩა. რაც შეეხება მთლიანად 2018 წელს, მთლიანი შემოდინება იყო 19.4% -ით მეტი წინა წელთან შედარებით.

მიმდინარე ანგარიშის (CA) ბალანსი განაგრძობს გაუმჯობესებას. ბოლო ოთხი კვარტლის მანძილზე, რომელიც დასრულდა 2018 წლის მე-3 კვარტლით, CA დეფიციტის მშპ-თან შეფარდების კოეფიციენტი შეადგინდა 8.3%-ს, 2017 წლის 8.8%-თან შედარებით. გაუმჯობესება რამდენიმე ფაქტორით იყო განპირობებული, მათ შორის განგრძობადი პოზიტიური ტენდენციით გარე შემოდინებებში, პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებთან დაკავშირებული იმპორტის ნორმალიზებით და ასევე დაბალი ფისკალური დანახარჯებით. გაუმჯობესების ტენდენციისა და ძლიერი სეზონური ეფექტის შედეგად, 2018 წლის მე-3 კვარტალში CA-მ მიიღწია მეტობას მშპ-ს 0.3%-ით.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინება 2018 წელს შემცირდა 34.9%-ით წინა წელთან შედარებით, რაც ძირითადად გამოწვეული იყო BP-ის „სამხრეთ კავკასიის მილსადენის გაფართოების პროექტის“⁴ დასრულებით და ასევე ერთჯერადი გადახდებით ზოგი კომპანიის მმართველობის არარეზიდენტებიდან რეზიდენტებად ცვლილებასთან დაკავშირებით და პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებთან დაკავშირებული ვალის გადახდით. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინების მშპ-თან შეფარდების კოეფიციენტი შენარჩუნდა 7.9%-ზე - რაც იყო ნორმალური დონე 2014–2017 წლებში ზემოთხსენებული ტენდენციური შემოდინებების შემდეგ. ამ ეტაპზე პირდაპირი უცხოური ინვესტიციები კვლავ არის CA დეფიციტის დაფინანსების ძირითადი წყარო.

საბანკო სექტორის სესხების ზრდა კვლავ მყარია, ხოლო ბანკის სესხების პორტფელი 2018 წელს 178%-ით გაიზარდა წინა წელთან შედარებით, მუდმივი გაცვლითი კურსით. დაკრედიტება მყარი იყო როგორც ბიზნესში ასევე საცალო სექტორებზე. ამასთანავე, 2018 წლის მაისში საცალო დაკრედიტების სფეროში ახალი რეგულაციის შემოღების შემდეგ შესამჩნევი იყო მკვეთრი შემცირება არა-იპოთეკური საცალო დაკრედიტების კუთხით.

საერთო ჯამში, საქართველოს ეკონომიკა სტაბილურად იზრდება და ხასიათდება შოკებისადმი მაღალი გამძლეობით. ეს ეფუძნება შემდეგ ფაქტორებს: შემოდინების დივერსიფიცირებული წყაროები, ინფლაციის დაბალი დონე, გონივრული ფისკალური პოლიტიკა, ტენდენციის ქვედა და გაუმჯობესებადი CA დეფიციტი და კვლავაც მყარი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინება, ნავთობის ფასების გონივრულად დაბალანსებული ზემოქმედება, გაცვლითი კურსი რომელიც სავარაუდოდ არ არის სათანადოდ შეფასებული, „საქართველოს ეროვნული ბანკის“ მიერ საერთაშორისო რეზერვების შექმნა და საცხოვრებელი უძრავი ქონების ბაზარზე ზუსტის არარსებობა. საერთო ჯამში, სოლიდური მაკროეკონომიკური საფუძვლები ქმნის ფინანსური მომსახურებისთვის მიმზიდველ გარემოს.

პერსპექტივა

მე დარწმუნებული ვარ რომ ჩვენი გრძელვადიანი სტრატეგია მოგვითმის მაღალ უკუგებას და ჩვენი აქტივობებისთვის იქნება მდგრადი ღირებულების მომტანი.

მსურს მივულოცო თიბისის მთლიან გუნდს ჩვენი შესანიშნავი შედეგები და გამოვხატო უდიდესი მადლიერება და პატივისცემა მათი თავდადებული მუშაობის მიმართ.

ვახტანგ ბუცხრიკიძე
გენერალური დირექტორი
2019 წლის 25 აპრილი

1 საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გამოქვეყნებული მონაცემების მიხედვით
2 გარკვეული პროდუქტების შეთავაზება ხდება დისტანციური არხებით, როგორცაა: წინასწარ დამტკიცებული სესხები, საკრედიტო ბარათები, ლიმიტის გაზრდა და ანგარიშის გახსნა
3 საქსტატის თავდაპირველ შეფასებაზე დაყრდნობით
4 დამატებითი ინფორმაცია „სამხრეთ კავკასიის მილსადენის პროექტთან დაკავშირებით ხელმისაწვდომია მისამართზე: www.bp.com/en_ge/bp-georgia/about-bp/bp-in-georgia/south-caucasus-pipeline--scp-.html

წახოეცად

#WRITEINGEORGIAN

#წერექართულად



საბა
SABA



თბილისი

თიბისი ბანკი, კომპანია Microsoft-თან ერთად, მუშაობს პროექტზე, რომელიც მიზნად ისახავს ქართული ენისა და ანბანის ინტეგრირებას კომპიუტერულ სისტემებში და ტექნოლოგიურ პროდუქტებში.


ყველას შეუძლია თავისი წვლილი შეიტანოს ამ პროცესში წინადადებების ონლაინ რეჟიმში გადათარგმნით.

www.kartulad.ge

ეკონომიკური ზრდა

ქართულმა ეკონომიკამ შეინარჩუნა მყარი მარჯვენა და 2018 წელს დაფიქსირდა მშპ-ს რეალური ზრდა 4.8%-ით, რომელიც არ შეცვლილა 2017 წლიდან. მოვლენათა ამგვარი განვითარება განსაკუთრებით აღსანიშნავია რეგიონში არსებული არახელსაყრელი გარემოსა და ქვეყნის შიდა შედარებით მკაცრი ფისკალური პოლიტიკის ფონზე. ამ დონის ზრდა კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს ეკონომიკის ძირითად სიძლიერეებს: უწყვეტ რეფორმებს, დივერსიფიცირებულ სავაჭრო და საინვესტიციო შემოდინებებს, ასევე გონივრულ მაკროეკონომიკურ პოზიციას.

მშპ-ს რეალური ზრდა



წყარო: საქსტატი
*თავდაპირველი შეფასება

ზრდა ფართოდ ეფუძნებოდა ეკონომიკის სხვადასხვა სექტორს. 9-თვიანი მონაცემებით ეს ძირითადად განპირობებული იყო შემდეგით: ვაჭრობა და სარემონტო სამუშაოები (+ 5.7%), უძრავი ქონება (+12.7%), ტრანსპორტი და კომუნიკაციები (+6.8%), ფინანსური შუამავლობა (+15.8%) და სასტუმროები და რესტორნები (+ 7.3%). ამავე პერიოდში სამშენებლო სექტორში დაფიქსირდა შემცირება 3.8%-ით, რაც ასახავდა ერთჯერად ფაქტორებს, რომლებიც დაკავშირებული იყო მსხვილ ინფრასტრუქტურულ პროექტთან, და ასევე საჯარო ხარჯების შემცირებასთან.

ბარა შემოდინება

მიუხედავად რეგიონში არსებული შემასუსტებელი ფონისა, შემოდინება მყარად გრძელდებოდა 2018 წელსაც. 2018 წელს ექსპორტი, ტურიზმი და ფულადი გზავნილები გაიზარდა მყარი 19.4%-ით აშშ დოლარში, წინა წელთან შედარებით, რაც მეტწილად განპირობებული იყო შემოდინებით ევროპიდან, აზერბაიჯანიდან, რუსეთიდან და დსთ-ს სხვა ქვეყნებიდან. შემოდინებათა ზრდა შემცირდა 2018 წლის მეორე ნახევარში, რაც გამოწვეული იყო რამოდენიმე ეკონომიკური პარტნიორის მუშაობის ტემპის შენელებით და აშშ დოლარის გამყარებით. ქართული ეკონომიკა განაგრძობს შედარებით სტაბილურ ბაზრებთან გათანაბრებას, როგორცაა ევროკავშირი, და ამავდროულად რომელიმე კონკრეტული ქვეყნიდან შემოდინების შემცირებით. ამ თვალსაზრისით ევროკავშირი გახდა ფულადი გზავნილების შემოდინების ძირითადი წყარო, რაც შეადგენს მთლიანი გადარიცხვების 35.0%-ს, მაშინ


1 საქსტატის თავდაპირველ შეფასებაზე დაყრდნობით
2 დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ: www.bp.com/en_ge/bp-georgia/about-bp/bp-in-georgia/south-caucasus-pipeline--scp-.html

როცა ტრადიციული ბაზრებიდან, როგორცაა რუსეთი, რომელსაც ყოველთვის ეჭირა მოწინავე პოზიცია, გადარიცხვები შეადგენს მთლიანი გადარიცხვების 29.0%.

CA ბალანსის კიდევ უფრო გაუმჯობესება 2018 კიდევ ერთი აღსანიშნავი მომენტია. ბოლო ოთხი კვარტლის განმავლობაში, რომელიც დასრულდა 2018 წლის მე-3 კვარტლით, CA დეფიციტის მშპ-თან თანაფარდობის კოეფიციენტი იყო 8.3%, 2017 წლის 8.8%-თან შედარებით. გაუმჯობესება განპირობებულია რამდენიმე ფაქტორით, მათ შორის, გარე შემოდინებებში დადებითი ტენდენციის გაგრძელებით, პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებთან (FDI) დაკავშირებული იმპორტის ნორმალიზებით და ასევე დაბალი ფისკალური დანახარჯებით. გაუმჯობესების ტენდენციისა და ძლიერი სუბზონური ეფექტის შედეგად, 2018 წლის მე-3 კვარტალში CA-ში მეტობაც კი დაფიქსირდა მშპ-ს 0.3%-ის ოდენობით.

2018 წლის 9 თვის მონაცემებით, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინება შემცირდა 27.2%-ით წინა წელთან შედარებით, რაც მეტწილად გამოწვეული იყო BP-ის „სამხრეთ კავკასიის მილსადენის გაფართოების პროექტის“² დასრულებით და ასევე ერთჯერადი გადახდებით ზოგი კომპანიის მმართველობის არარეზიდენტებიდან რეზიდენტებად ცვლილებასთან დაკავშირებით და პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებთან დაკავშირებული ვალის გადახდით. მიუხედავად ამისა, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები კვლავ რჩება CA დეფიციტის დაფინანსების ძირითად წყაროდ.

CA დეფიციტი და წმინდა FDI (მშპ-ს %)



2010 2011 2012 2013 2014 2015 2016 2017 Q3 18*

CA Deficit to GDP Net FDI to GDP

წყარო: NBG, Geostat.

*ბოლო 4 კვარტლის მონაცემებით, რომელიც დასრულდა Q3 2018

ფისკალური პოლიტიკა

ფისკალური პოლიტიკა მთელი წლის განმავლობაში რესტრიქციული იყო. მიუხედავად იმისა, რომ ბიუჯეტის დეფიციტმა შეადგინა მშპ-ს 2.6% 2018 წელს, ხარჯები ძირითადად კონცენტრირებული იყო წლის ბოლოს და პირველ რიგში ასახავდა წინასწარ გადახდებს ინფრასტრუქტურულ პროექტებზე. ხარჯების ზრდის სრული ზეგავლენა სავარაუდოდ თვალსაჩინო გახდება მომდევნო თვეებში, ხოლო ყველაზე ძლიერი ეფექტი შესაძლებელი იქნება 2019 წლის მე-2 კვარტალში. ამავე დროს, გადასახადების დაბრუნება გაორმაგდა, 2017 წელს არსებული 232.6 მილიონი ლარიდან 2018 წელს - 466.8 მილიონ ლარამდე, რამაც შექმნა ბიზნესისთვის უფრო ხელსაყრელი საგადასახადო გარემო და ხელი შეუწყო ზრდას.

საქართველოს სახელმწიფო ვალის პროფილი მდგრადია, რომლის დაბალი საშუალო შემონილი საპროცენტო განაკვეთი არის დაახლოებით 2.0% და ხასიათდება დაბალი საპროცენტო რისკით (მთლიანი საგარეო ვალის დაახლოებით 65.0% არის ფიქსირებული კურსის კონტრაქტები). 2018 წელს სახელმწიფო ვალის მშპ-თან თანაფარდობის კოეფიციენტი იყო 43.7%, რაც 0.5 pp-ით ნაკლებია წინა წელთან შედარებით. საგარეო ვალის მშპ-თან თანაფარდობის კოეფიციენტი იყო 34.2% (-0.7 pp წინა წელთან შედარებით), ხოლო შიდასახელმწიფოებრივმა ვალმა შეადგინა დაახლოებით მშპ-ს 9.5% 2018 წელს (+0.2 pp წინა წელთან შედარებით).

ინფლაცია და მონეტარული პოლიტიკა

2018 წელს სამომხმარებლო ფასების ინდექსის (CPI) ინფლაცია დაახლოებით იყო სამიწუნე ნიშნულის 3.0%-ის ფარგლებში, იანვარში იყო - 4.3%, რომელიც 2018 წლის ბოლოსკენ თანდათანობით 1.5%-მდე შემცირდა. „საქართველოს ეროვნულმა ბანკმა“ (სებ) შეამცირა რეფინანსირების განაკვეთი 0.25 pp-ით 7.25%-დან 7.00%-მდე 2018 წლის ივლისში. ცენტრალურმა ბანკმა განაგრძო მონეტარული პოლიტიკის ნორმალიზაცია 2019 წელს და პოლიტიკით გათვალისწინებული განაკვეთი იანვარში კიდევ 0.25 pp-ით შეამცირა, 6.75%-მდე.

მაღალი შემოდინებების, შემცირებული ნავთობის ფასებისა და, სავარაუდოდ, შესუსტებული შიდა მოთხოვნის ფონზე „სებ“-მა განაგრძო უცხოური ვალუტის რეზერვების ზრდა. საერთო ჯამში, 2018 წელს, „სებ“-მა 17-ჯერ მოახდინა ჩარევა და შეისყიდა 197.5 მილიონი აშშ დოლარი - რაც მშპ-ს დაახლოებით 1.2%-ს შეადგენს.

რაც შეეხება გაცვლით კურსებს, 2018 წლის დეკემბრის ბოლოსთვის ლარის ნომინალური გაცვლითი კურსი აშშ დოლართან მიმართებაში 3.3%-ით შემცირდა, ხოლო ევროსთან მიმართებაში 1.1%-ით გაიზარდა წინა წელთან შედარებით. ამავე პერიოდში, ლარის ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსი გაიზარდა 8.0%-ით, ხოლო რეალური ეფექტური გაცვლითი კურსის ზრდამ შეადგინა 4.6%. ლარის რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი თავის გრძელვადიან ტენდენციებზე და ასევე საშუალოვადიან საშუალო მაჩვენებელზე ქვემოთ შენარჩუნდა.

ფინანსური სექტორი

ფინანსური სექტორი, რომელშიც ბანკები დომინირებენ, განაგრძობს ზრდას გონივრული მარეგულირებელი ჩარჩოს ფარგლებში. 2018 წლის ბოლოსათვის საბანკო სექტორის მთლიანი აქტივები 14.7%-ით გაიზარდა წინა წელთან შედარებით და შეადგინა 39.7 მილიარდი ლარი, ან მშპ-ის 96.4%.³

მთლიანი საკრედიტო პორტფელი 19.3%-ით გაიზარდა წინა წელთან შედარებით და 26.6 მილიარდი ლარი შეადგინა, ან მშპ-ს 64.5%. გაცვლითი კურსის ეფექტის გამორიცხვით, საბანკო სესხების მოცულობა 17.2%-ით გაიზარდა. ზრდა თითქმის თანაბრად გაიყო ეროვნულ ვალუტაში გაცემულ და უცხოურ ვალუტაში გაცემულ სესხებს შორის: წინა გაიზარდა 19.5%-ით წინა წელთან შედარებით, ხოლო მეორე - 19.2%-ით წინა წელთან შედარებით (+15.4% წინა წელთან შედარებით გაცვლითი კურსის ეფექტის გამორიცხვით).

დეპოზიტების დოლარიზაცია შემცირდა 2.2%-ით წინა წელთან შედარებით (2.9 pp-ით გაცვლითი კურსის ეფექტის გამორიცხვით) და შეადგინა 63.1% 2018 წლის დეკემბრის მდგომარეობით.

საბანკო სექტორის მომგებიანობა უცვლელი დარჩა; კაპიტალზე უკუგება შეადგინა 19.5% 2018 წელს.⁴ ამავდროულად, საკრედიტო პორტფელის ხარისხი საბანკო სექტორში კვლავ მაღალია. 2018 წლის მე-4 კვარტლის მდგომარეობით, უმოქმედო სესხების წილი⁵ მთლიან პორტფელში იყო 2.7%, რაც წინა წლის მონაცემებზე 0.1 pp-ით ნაკლებია, ხოლო წინა კვარტალთან შედარებით - უცვლელი.

წინსვლა

საქართველო კვლავ პოზიციონირებს როგორც მიზიდველი ბიზნეს გარემო, სტრუქტურული რეფორმებითა და მშპ-ს მაღალი ზრდის პოტენციალით. გარდა ამისა, 2018 წელს კიდევ უფრო კარგად გამოჩნდა ეკონომიკის მდგრადობა. ინდიკატორები, მათ შორის, დაბალი CA დეფიციტი, დაბალი სახელმწიფო ვალი და საერთაშორისო რეზერვების უფრო შესაბამისი დონეები ხელს უწყობს ქვეყანაში მაკროეკონომიკური ფონის კიდევ უფრო გაძლიერებას. უფრო მდგრადმა რისკის პროფილმა უწყვეტ სტრუქტურულ რეფორმებთან და ბიზნესისთვის ხელსაყრელ გარემოსთან ერთად ხელი უნდა შეუწყოს ინვესტიციებსა და ზრდას. საერთაშორისო სავალუტო ფონდის პროგნოზების თანახმად, საქართველოს ეკონომიკა შეინარჩუნებს ადგილს რეგიონში ყველაზე სწრაფად მზარდ ეკონომიკებს შორის, რომლის მშპ-ს საშუალო ზრდა იქნება დაახლოებით 5.0% საშუალოვადიან პერსპექტივაში.

თიბისი კვლევის შესახებ

2018 წელს ამუშავდა თიბისი ჯგუფის ახალი ინიციატივა - „თიბისი კვლევა“. თიბისი კვლევა წარმოადგენს თიბისი ბანკის ეკონომიკური გუნდისა და თიბისი კაპიტალის ერთობლივ პროექტს, რომლის მიზანია საქართველოს ეკონომიკაში და სხვადასხვა სექტორში განვითარებული მოვლენების და ასევე რეგიონალური გარემოს ანალიზი. ერთ გუნდში თავმოყრილი განსხვავებული უნარ-ჩვევებითა და გამოცდილებით, „თიბისი კვლევა“ მოიცავს ინვესტიციებისთვის, კორპორაციებისა და უფრო ფართო აუდიტორიისთვის საინტერესო თემებს. პუბლიკაციები ხელმისაწვდომია მისამართზე: www.tbcresearch.ge

3 Q4 2018 წ. მშპ-ს თავდაპირველ შეფასებაზე დაყრდნობით;
 4 ადგილობრივ სააღრიცხვო მარეგულირებელ სტანდარტებზე დაყრდნობით
 5 NPLs ეფუძნება „IMF“-ის განმარტებას და მოიცავს სესხებს, რომელთა ძირი თანხის ან პროცენტის გადახდა გადაცილებულია 90 ან მეტი დღით.

ჩვენი ძირითადი ქლიერი მხარეები

ჩვენ გვაქვს მომხმარებელზე ორიენტირებული ბიზნეს მოდელი, რომელიც კონცენტრირებულია მომხმარებელთა მაღალი კმაყოფილების უზრუნველყოფაზე მათი ყოველდღიური მოთხოვნილებების დაკმაყოფილების პროცესში. ჩვენი სტრატეგია ეფუძნება მდგრადი განვითარების, ინოვაციებისა და ეფექტიანობის ძირითად პრინციპებს და მისი მიზანია ღირებულების შექმნა ყველა დაინტერესებული მხარისთვის.

ბაზარზე წამყვანი კოზიციის რეალსაზღვრისა და მომხმარებლის ისტორია აქვს

- > 28.5%¹ საკრედიტო პორტფელი CAGR 2013-2018 წლებში;
- > 28.4% წმინდა მოგება CAGR 2013-2018 წლებში;
- > უკუგება საშუალო კაპიტალზე 20%-ზე მაღალი 2015 წლიდან.

ინტეგრირებული ბიზნეს მოდელი რეალსაზღვრის კონსენტირებული ფინანსური მომსახურების ბაზრის ყველა სეგმენტზე

- > ერთი საკონტაქტო წერტილი ყველა ფინანსური საჭიროებისთვის;
- > ჯგუფის აქტივების დაახლოებით 99.7% უკავშირდება საბანკო სფეროს, ლიზინგს, საინვესტიციო საბანკო და საბროკერო საქმიანობას.

ქლიერი ბრენდი და რეპუტაცია

- > პირველი საბანკო არჩევანი მომხმარებლებისთვის და ასევე ერთ-ერთი ყველაზე მიმზიდველი დამსაქმებელი;
- > ქვეყნის წამყვანი კომპანია კორპორაციული პასუხისმგებლობის კუთხით²;
- > „საქართველოს საუკეთესო ბანკის“ 33 ჯილდოს მფლობელი 2002 წლიდან მსოფლიოს წამყვანი ფინანსური ჟურნალებისგან³.

პროგრესული მრავალარხინანი კლასტორმა, რეალსაზღვრის კონსენტირებული ციფრულ მომსახურებაზე

- > ჩვენი ციფრული გადაწყვეტილებები, შეუდარებელი მომხმარებლის გამოცდილების შეთავაზება წარმოადგენს ჩვენი სადისტრიბუციო პლატფორმის ძირითად ნაწილს, რამაც 2018 წელს შეადგინა ყველა ტრანზაქციის 91%;
- > ჟურნალ „Global Finance Magazine“-ის მრავალი ციფრული ჯილდოს მფლობელი, მათ შორის 5 საერთაშორისო ჯილდო და 25 ჯილდო ქვეყნისა და რეგიონის მასშტაბით (CEE) 2012 წლიდან.

მომხმარებელთა მაღალი დონის კმაყოფილება

- “მომხმარებელი უპირველეს ყოვლისა” მიდგომა – ჩვენ ვაყენებთ მომხმარებლებს ჩვენი ყველა საქმიანობისა და მომსახურების ცენტრში;
- ვისწრაფვით უწყვეტი განვითარებისკენ ინოვაციების, ციფრულ არხებში ინვესტირების და უახლესი ტექნოლოგიებით აღჭურვილი ინფრასტრუქტურის გზით;
- მრავალი წელია მიყოლებით ვინარჩუნებთ კმაყოფილების უმაღლეს მაჩვენებლებს საქართველოს საბანკო სექტორში ⁴.

ბიზნესის წამყვანი პარტნიორი საქართველოში

- 2018 წელს საქართველოში რეგისტრირებული ყველა კომპანიის 65%⁵ ირჩევს თიბისი ბანკს;
- ძლიერი „თიბისი ბიზნესის“ ბრენდის შექმნა ბიზნესისთვის საბანკო და დამატებითი მომსახურების ეკოსისტემის ჩამოყალიბებით.

მაღალ- მოტივირებული და ჩართული გუნდი

- თანამშრომელთა კმაყოფილების მაღალი მაჩვენებლები⁶ რომელთა ENPS არის 66%, ხოლო ჩართულობის ინდექსი - 87%;
- კორპორატიული კულტურა კონცენტრირებულია თანამშრომლობასა და მიზანსწრაფულობაზე;
- უწყვეტი ინვესტირება ჩვენს თანამშრომლებში, ზრუნვა მათ პროფესიულ განვითარებაზე, კმაყოფილებასა და კეთილდღეობაზე.

გამოცდილი მმართველი გუნდი და მაღალი ხარისხის კორპორაციული მმართველობა

- მაღალი კვალიფიკაციის მქონე და დივერსიფიცირებული ღირებულებითა საბჭო, რომელიც არის კორპორაციული მმართველობისა და ბიზნესის გამჭვირვალობის უმაღლესი სტანდარტების ერთგული;

რისკების ეფექტური მართვა

- დახვეწილი რისკების მართვის სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს ჯგუფის მდგრადობას და გამძლეობას;
- ჩვენი გონივრული მიდგომა ნიშნავს რისკის დაბალ ღირებულებას, აქტივების მაღალ ხარისხს და ძლიერ კაპიტალისა და ლიკვიდობის პოზიციებს.

1 კურსის ეფექტის გარეშე ზრდა იყო 23.0%
2 დაფინანსებული CSR პროექტების მიხედვით
3 “The Banker”, “EMEA finance”, “Euromoney”, “Global Finance”
4 დამოუკიდებელი კვლევითი კომპანიების „IPM“ და „ATC“-ის მიერ ჩატარებულ გამოკითხვებზე დაყრდნობით
5 მონაცემები მოცემულია 2018 ფინანსური წლისთვის, წყარო: www.napr.gov.ge, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
6 „თანამშრომელთა ლოიალურობის მაჩვენებელი“ და „თანამშრომელთა ჩართულობის ინდექსი“ გაიზომა დამოუკიდებელი კონსულტანტის მიერ


შედეგების ძირითადი მაჩვენებლები

ჩვენ ყურადღებით ვაკვირდებით პროგრესს ჩვენი სტრატეგიის შესაბამისად და შევიმუშავეთ შედეგების ძირითადი მაჩვენებლები (KPI), რომლითაც იზომება ჩვენი ფინანსური და საოპერაციო საქმიანობით მიღწეული შედეგები. აღნიშნული KPI მაჩვენებლები შესაბამისობაშია ჩვენს სტრატეგიასთან და უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას და მდგრად ზრდას.

2018 წელს ჩვენი წმინდა მოგება გაიზარდა 19.4%-ით წინა წელთან შედარებით. ჩვენი მდგრადი მომგებიანობა განპირობებული იყო სტაბილური შემოსავლებით, გაუმჯობესებული ხარჯების ეფექტურობით და გონივრული რისკების მართვის პოლიტიკით. ჩვენი წმინდა საპროცენტო განაკვეთის მარჯა გაუმჯობესდა 0.4 pp-ით წინა წელთან შედარებით და 2018 წელს მიაღწია 6.8%-ს, რაც განპირობებული იყო სესხების საპროცენტო განაკვეთების ზრდით და დეპოზიტების საპროცენტო განაკვეთების შემცირებით, ხოლო ხარჯების შემოსავალთან თანაფარდობის კოეფიციენტი შემცირდა 3.7 pp-ით 37.1% -მდე. იმავე პერიოდში, რისკის ფასის ზრდა 0.4 pp-ით 1.6%-მდე ძირითადად გამოწვეული იყო ვალუტის გაუფასურებით და შეინარჩუნა სტაბილურობა გაცვლითი კურსის ეფექტის გამორიცხვით. შედეგად, უკუგება საშუალო კაპიტალზე იყო 22.7%, ხოლო უკუგება საშუალო აქტივებზე - 3.2%.

2018 წელს ჩვენი საკრედიტო პორტფელი გაიზარდა 21.3%-ით, რის შედეგადაც საბაზრო წილმა მიაღწია 38.8%-ს, რაც 0.6 pp-ით აღემატებოდა წინა წლის მონაცემებს. ჩვენი კაპიტალის პოზიციები მყარია, რომლის მთლიანი პირველი დონის კაპიტალი და მთლიანი კაპიტალის კოეფიციენტები შეადგენს შესაბამისად 12.8%-ს და 17.9%-ს, რაც აღემატება მინიმალურ მოთხოვნებს: 11.8% და 16.7%. ასევე სტაბილური მიღწევები გვაქვს დიჯიტალიზაციის კუთხითაც: ჩვენი განტვირთვის კოეფიციენტი გაიზარდა 2.3 pp-ით 90.6%-მდე, ხოლო მობილური საბანკო მომსახურების პენეტრაციისა და მობილური და ინტერნეტ საბანკო მომსახურების პენეტრაციის კოეფიციენტები გაიზარდა წინა წელთან შედარებით და შეადგინა შესაბამისად 37.0% და 43.7%. ასევე ვამაყობთ, რომ ვინარჩუნებთ წამყვან პოზიციას როგორც „საუკეთესო მომსახურების მიმწოდებელი საქართველოში“. გარდა ამისა, თანამშრომელთა ჩართულობის ინდექსი და თანამშრომელთა ლოიალურობის მაჩვენებელი გამორჩეულად მაღალია.

წმინდა მოგება (მლნ. ლარი)




ხარჯების ფარდობა შემოსავალთან



უკუგება კაპიტალზე (ROE)



რისკის ფასი



უკუგება აქტივებზე (ROA)



პირველადი CAR (BASEL III)



ჩვენი მომხმარებელი და ღირებულებები

- ჩვენი საცალო საბანკო მომსახურებით უამრავ ფიზიკურ კლიენტს ვთავაზობთ ფართო სპექტრის და მრავალფეროვან პროდუქტებს ჩვენი მრავალ-არხიანი პლატფორმის მეშვეობით, რომელიც ქმნის განსაკუთრებულ მომხმარებლის გამოცდილებას. ჩვენ ასევე ვთავაზობთ მაღალ დონეზე პერსონალიზებულ კერძო საბანკო მომსახურებას და ინვესტიციების მართვის დახვეწილ პროდუქტებს ჩვენს შექმნილ და მაღალშემოსავლიან მომხმარებლებს
- ჩვენი კორპორატიული და საინვესტიციო საბანკო მომსახურება ეხმარება მსხვილ და საშუალო ზომის კორპორაციებს საბანკო პროდუქტებისა და მომსახურების სრული სპექტრის შეთავაზებით, ასევე საბროკერო, ფინანსური კონსულტაციისა და საბანკო გადაწყვეტილებების შეთავაზებით
- ჩვენი MSME საბანკო მომსახურება ემსახურება მიკრო, მცირე და საშუალო ზომის საწარმოებს და ასევე სტარტაპებს და სთავაზობს მათ ყველაზე კომფორტულ და ინოვაციურ საბანკო გადაწყვეტილებებს, ფართო სპექტრის არა-ფინანსურ მომსახურებასთან ერთად, ჩვენი ცნობილი ბიზნესის მხარდაჭერის პროგრამის მეშვეობით

საიდან ვაპენერირებთ მოვლას

- ჩვენი მრავალ-არხიანი პლატფორმა, ციფრულ შესაძლებლობზე კონცენტრირებით, გვაძლევს ჩვენი ფინანსური პროდუქტების გაყიდვის მაღალ მაჩვენებელს და ასევე ოპერაციებისა და ტრანზაქციების უფრო დიდ მოცულობებს
- Big data ანალიზის გამოყენება, უფრო მეტი ჯვარედინი გაყიდვებისა და კლიენტთა ჩართულობის უზრუნველსაყოფად
- ძირითად საბანკო პროდუქტებს ერთვის საფასურზე დაფუძნებული და ინოვაციური სერვისები
- გონივრული რისკების მართვა, რომელიც ეფუძნება მკაცრ შიდა კონტროლსა და ინტეგრირებულ საინფორმაციო ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურას
- ეფექტური ბიზნეს-მოდელი ყველა არხში, რომელიც კონცენტრირებულია ეფექტურობასა და პროდუქტიულობაზე

როგორ ვუზიარებთ ჩვენს ღირებულებებს დაინტერესებულ პირებს

- მყარი და გრძელვადიანი მდგრადი უკუგების გენერირება ჩვენი აქციონერებისთვის
- კარგად მორგებული გადაწყვეტილებებისა და მომხმარებელთა უმაღლესი დონის კმაყოფილების უზრუნველყოფა
- ჩვენი თანამშრომლებისთვის გამოწვევებით სავსე და სასიამოვნო კარიერის შეთავაზება
- საზოგადოების მხარდაჭერა ფართო სპექტრის კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობის აქტივობებით
- საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის და გარემოს დაცვა



ჩვენი სტრატეგია

ჩვენი სტრატეგია გულისხმობს ვიყოთ საუკეთესო ბანკი ხალხისთვის და ბიზნესისთვის, და ასევე ლიდერი ინოვაციების კუთხით საქართველოში და უფრო ფართო რეგიონში, შევქმნათ ღირებულება დაინტერესებული პირებისთვის და უზრუნველვყოთ ჩვენი ბიზნესის მდგრადი განვითარება. ჩვენი სტრატეგია მუდმივად ვითარდება, რათა უპასუხოს ახალ გამოწვევებს და აღმოაჩინოს ბაზარზე წარმოქმნილი ახალი შესაძლებლობები.

შესაბამისად, ჩვენ აქტიურად ვავითარებთ ფინანსურ სერვისებს. ვაძლიერებთ ჩვენს ძირითად საბანკო პროდუქტებს ახალი საკომისიოზე დაფუძნებული ბიზნესების გაფართოვების გზით, რაშიც ჩვენ ვხედავთ მნიშვნელოვან ზრდის შესაძლებლობებს, როგორცაა ბარათები, საბროკერო და საინვესტიციო საბანკო მომსახურება და ასევე სავაჭრო ფინანსები (დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ „დივიზიების მიმოხილვის“ თავი).

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ინიციატივა არის Agile ტრანსფორმაციის განხორციელება ბანკის მასშტაბით, რათა შევძლოთ სწრაფად ცვალებადი ბაზრის გარემოზე სწრაფი რეაგირება და კონკურენტული უპირატესობის შექმნა.

ჩვენ ვაგრძელებთ ეფექტიანობის გაუმჯობესებას სხვადასხვა ინიციატივების მეშვეობით, და ამავე დროს ვინარჩუნებთ გონივრული რისკების მართვის სისტემას.

ჩვენი სტრატეგიული პრიორიტეტები

პროგრესი 2018 წელს

ლიდერის პოზიციის შენარჩუნება და მდგრადი ზრდა

ჩვენი მიზანია ლიდერის პოზიციის შენარჩუნება, ბაზართან ერთად ზრდა და ამავდროულად მომგებიანობის მაღალი დონის შენარჩუნება.

- > მთლიანი საკრედიტო პორტფელი გაიზარდა 21.3%-ით წინა წელთან შედარებით, რამაც ჩვენი საბაზრო წილი მთელ სესხებში გაზარდა 0.6 pp-ით წინა წელთან შედარებით 38.8%-მდე
- > უკუგება საშუალო კაპიტალზე (ROE) გაიზარდა 1.3 pp-ით წინა წელთან შედარებით და შეადგინა 22.7%

ციფრული შესაძლებლობების უფრო მეტად გაძლიერება

როგორც ციფრული ნოვატორები, ჩვენ მუდმივად ვხვეწთ ჩვენს ციფრულ შეთავაზებებს ინტუიციური დიზაინითა და ახალი ფუნქციებით, რადგან უფრო და უფრო მეტი მომხმარებელი გადადის ჩვენს ციფრულ არხებზე.

ჩვენ ასევე აქტიურად ვთანამშრომლობთ ჩვენს ახალგაზრდა და ციფრულად გათვითცნობიერებულ მომხმარებლებთან, რათა შევიმუშავოთ ყველაზე ინოვაციური და თანამედროვე გადაწყვეტილებები, რომლებიც აკმაყოფილებენ მათ მაღალტექნოლოგიური პროდუქტებისა და მომსახურების საჭიროებებს.

- > მობილური საბანკო მომსახურების პენეტრაციის კოეფიციენტი წინა წელთან შედარებით გაიზარდა 5.6 pp-ით და შეადგინა 37.0%
- > განტვირთვის კოეფიციენტის შენარჩუნება 90.6%-ზე, რაც წინა წლის მონაცემებზე 2.3 pp-ით მეტია
- > „სფეისის“ ამუშავება, რომელიც საქართველოში პირველი სრულად ციფრული ბანკია (დამატებითი ინფორმაცია იხილეთ 40-ე გვერდზე)

მაღალი მომგებიანობისა და მარჟების შენარჩუნება

ჩვენ ავამუშავებთ მოწინავე ანალიტიკური პროგრამა ბანკის მასშტაბით მარჟების შენარჩუნების მიზნით, სათანადო მომხმარებელთა სეგმენტაციისა, საფასო სტრატეგიის და ასევე სწორი პროდუქტის მიქსის მიზნად დასახვის გზით.

- > წმინდა საპროცენტო მარჟა (NIM) გაიზარდა 0.4 pp-ით წინა წელთან შედარებით და შეადგინა 6.8%

Agile ტრანსფორმაცია და ინვესტირება ადამიანურ კაპიტალში

ჩვენ ვაცნობიერებთ მოქნილი საორგანიზაციო სტრუქტურის მნიშვნელობას დღევანდელი სწრაფად ცვალებადი ბაზრის პირობებში, სადაც კომპანიებმა უნდა შეძლონ სწრაფად ადაპტირება და წარმოქმნილ ბიზნეს-საჭიროებებზე რეაგირება.

აქედან გამომდინარე, ამ წელს ჩვენ დავიწყეთ კომპანიის მასშტაბით Agile ტრანსფორმაციის პროცესი და 2019 წელს ვგეგმავთ რამდენიმე ეტაპად მთელი ბანკის ჩართვას.

ჩვენ ვაგრძელებთ ინვესტირებას თანამშრომლებში და ვზრუნავთ მათ განვითარებაზე, კმაყოფილებასა და კეთილდღეობაზე.

- > შეიქმნა Agile ტრანსფორმაციის დეტალური გეგმა და მიზნები
- > შეიქმნა მაღალი რგოლის მენეჯმენტის ტრანსფორმაციის გუნდი ცვლილების მართვის მიზნით
- > ENPS მაჩვენებელმა და ჩართულობის ინდექსმა მიაღწია 66% -ს და 87%-ს, რაც წინა წლის მონაცემებზე შესაბამისად 11pp-ით მეტი და 4pp-ით ნაკლებია

ეფექტიანობის და კონკურენტუნარიანობის გაუმჯობესება

ჩვენი მიზანია პირველხარისხოვანი საოპერაციო ხარჯების დონეთა მდგრადობის მიღწევა, ჩვენი ძლიერი ციფრული შესაძლებლობებითა და მომხმარებელზე ორიენტირებული მიდგომების საშუალებით.

ამასთან დაკავშირებით 2018 წელს წამოვიწყეთ რამდენიმე ინიციატივა, მათ შორის, ფილიალების ოპტიმიზაციის პროექტი, რომელიც ითვალისწინებს პროდუქტზე ორიენტირებული მომსახურების მოდელიდან მომხმარებელზე ორიენტირებულ მომსახურების მოდელზე გადასვლას. ასევე შევიმუშავეთ back ოფისის პროცესების ოპტიმიზაციის გეგმა.

- > ხარჯების შემოსავალთან თანაფარდობის კოეფიციენტი შემცირდა 3.7 pp-ით წინა წელთან შედარებით და შეადგინა 37.1%
- > ხარჯების საშუალო აქტივებთან თანაფარდობის კოეფიციენტი შემცირდა 0.1 pp-ით წინა წელთან შედარებით და შეადგინა 2.9%

მომხმარებლის მომსახურების უფრო მეტად გაუმჯობესება

ჩვენ მნიშვნელოვან დროსა და ძალისხმევას ვუთმობთ მომხმარებელთა საბანკო საჭიროებებისა და უპირატესობების შესწავლას და ჩვენი პროდუქტების და მომსახურების მუდმივად გარდაქმნას, რათა უზრუნველვყოთ გამორჩეული მომსახურების დონე ჩვენი ყველა არხის საშუალებით.

ჩვენი მომხმარებლების ინტერესი ჩვენი პრიორიტეტია და მზად ვართ უფრო გავამარტივოთ მათი ცხოვრება იმით, რომ ვიყოთ მათი სანდო პარტნიორი რომელიც ყოველთვის მზად არის დახმარებისთვის.

- > დასახელდა „საქართველოში საუკეთესო მომსახურების მიმწოდებლად“¹

1 და მოუკიდებელი კვლევითი კომპანია „IPM“-ის მიერ 2018 წლის დეკემბერში საჯარო სეგმენტში ჩატარებული გამოკითხვის შედეგების მიხედვით.



თიბისი ბანკის ახალი სათაო ოფისი

„თბილისის ბიზნეს ცენტრი“ თიბისი ბანკის ახალი სათაო ოფისის სახელწოდებაა, რომელიც წარმოადგენს კულტურული ცენტრის და ინოვაციური ლაბორატორიის უნიკალურ კომბინაციას. მისი თანამედროვე დიზაინის კომპლექსი იქნება ენერგოეფექტური და მოიცავს ინოვაციურ ტექნოლოგიებს. ეკოლოგიურად სუფთა გარემოს უზრუნველყოფით, გამწვანებითა და მრავალფეროვანი რეკრეაციული ზონებით, „თბილისის ბიზნეს ცენტრი“ იქნება გადასვლა ტრადიციული, დახურული და ინტროვერტირებული სამუშაო მოდელიდან უფრო მოქნილ, ღია და უფრო კომფორტულ სამუშაო გარემოზე. ახალი სათაო ოფისის დიზაინი შთაგონებულია ტრადიციული ქართული „შატის“ კოშკით, სადაც არქიტექტურული ნაგებობების ტერასული განლაგება და დიდი აივნები ჰარმონიულად ერწყმის ლანდშაფტს. ახალი სათაო ოფისის დიზაინი ეკუთვნის საერთაშორისო არქიტექტურულ კომპანიას „UNStudio“, რომელიც დაფუძნებულია ბენ ვან ბერკელის მიერ. კომპლექსის გახსნა იგეგმება მომდევნო სამი წლის განმავლობაში.

„ჩვენ ვაშენებთ სრულიად ახალი ტიპის კომპლექსს, რომელსაც საქართველოში ანალოგი არ აქვს. ახალი სათაო ოფისის კონცეფციაზე მუშაობისას ჩვენ გავაერთიანეთ თიბისი ბანკის სტრატეგია, ხედვა და ძირითადი ღირებულებები. პროექტი ასევე იქნება კატალიზატორის როლში ქალაქის ახალი უბნის განვითარებისთვის, რაც ხელს შეუწყობს სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას ფინანსური ცოდნის ცენტრისა და ინოვაციური პლატფორმის შექმნის გზით“, - განაცხადა კომპანია „UNStudio“-ს დირექტორმა და უფროსმა არქიტექტორმა ფრანს ვან ვუერმა.

საცალო საბანკო მომსახურება

2018 ქირითაღი მაჩვენებლები

40.0%

საცალო საკრედიტო ბაზრის წილი¹

41.2%

საცალო სადეპოზიტო ბაზრის წილი¹

45.3%

საცალო სესხების წილი მთლიან პორტფელში

54.0%

საცალო დეპოზიტების წილი მთლიან პორტფელში

c. 2.3 მლნ. მომხმარებელი

საქართველოს ზრდასრული მოსახლეობის დაახლოებით 83%

90.6%

განტვირთვის კოეფიციენტი

მიმოხილვა

თიბისი ბანკი ლიდერია საქართველოს საცალო საბანკო მომსახურების სეგმენტში, ის პირველია როგორც დეპოზიტების ისე სესხების კუთხით და შესაბამისად მისი საბაზრო წილი შეადგენს 41.2%-ს¹ და 40.0%-ს¹. ჩვენ გვაქვს მომხმარებელზე ორიენტირებული მომსახურების მოდელი და კლიენტებს ვთავაზობთ საბანკო პროდუქტების სრულ სპექტრს მაღალი დონის მრავალ-არხიანი სადისტრიბუციო პლატფორმის საშუალებით, რომელიც კონცენტრირებულია ციფრულ არხებზე. შედეგად ჩვენი ტრანზაქციების 90.6% ხორციელდება დისტანციურად ინტერნეტ და მობილური საბანკო აპლიკაციებით, რომლებიც ჩვენი მომხმარებლის ყველაზე სასურველი კომუნიკაციის არხებია. როგორც ქვეყნის წამყვანი მომსახურების მიმწოდებელი საცალო საბანკო მომსახურების სფეროში, ჩვენ გამოვიჩვენებთ მომხმარებელთა განსაკუთრებული კმაყოფილებით, მსოფლიო დონის ციფრული არხებით, ყველაზე სანდო ბრენდით და უმაღლესი დონის ანალიტიკური შესაძლებლობებით.

2018 წელს სტრატეგიული პრიორიტეტების შესაბამისად მიღწეული პროგრესი

| | |
|---|--|
| <p>მომხმარებელთა კმაყოფილების გაზრდა</p> | <p>საუკეთესო მომსახურების მიმწოდებელი საქარველოში²</p> |
| <p>ინოვაციების ძიების გაგრძელება და ბაზარზე ყველაზე თანამედროვე გადაწყვეტილებების შეთავაზება</p> | <p>ჩატის „Ti-Transfer“-ის საშუალებით ფულის გადარიცხვის ინოვაციური და უსაფრთხო გზის შემოთავაზება</p> <p>პროდუქტების გამრავალფეროვნება ინტერნეტ და მობილური საბანკო აპლიკაციების შეთავაზებით</p> <p><i>დამატებითი ინფორმაცია იხილეთ ქვემოთ</i></p> |
| <p>შეძლებულთა სეგმენტში მომხმარებელთა რაოდენობის გაზრდა</p> | <p>თიბისი სტატუსის მომხმარებელთა რაოდენობა გაიზარდა 36.1% -ით წინა წელთან შედარებით და შეადგინა 41,000</p> |
| <p>მართვის ქვეშ მყოფი აქტივების გაზრდა მაღალშემოსავლიანი პირების სეგმენტში (HNWI)</p> | <p>მართვის ქვეშ მყოფი აქტივები³ HNWI სეგმენტში გაიზარდა 9.8%-ით წინა წელთან შედარებით 2,151 მილიონ ლარამდე</p> |

1 „საქართველოს ეროვნული ბანკის“ მიერ 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გამოქვეყნებულ მონაცემებზე დაყრდნობით; ამ კონტექსტში „საცალო“ ნიშნავს მომხმარებელ ფიზიკურ პირებს;
 2 დამოუკიდებელი კვლევითი კომპანიის „IPM“-ის მიერ 2018 წლის დეკემბერში საცალო სეგმენტში ჩატარებული გამოკითხვის საფუძველზე;
 3 AUM მოიცავს დეპოზიტებს, ობლიგაციებს და კაპიტალის წილს.



მრავალ-არხიანი სადისტრიბუციო კლაფორმა

c.529,000 ინტერნეტ ან მობილური საბანკო მომსახურების მომხმარებელი ინტერნეტ და მობილური საბანკო მომსახურების აპლიკაციებს მიღებული აქვთ ჯილდო

მომხმარებლების **95%**-ს ვკასუხოთ 15 წამის განმავლობაში

პირველხარისხოვანი ქოლ-ცენტრი, რომელიც პირველია ხმის ბიომეტრიული ამოცნობის სისტემით (აღებულია c. 231,000 ხმის ნიმუში)

149 ფილიალი

ფილიალების ფართო ქსელი მომხმარებელზე ორიენტირებული დიზაინით

c.17,000 POS ტერმინალი და **c.3,300** თვით-მომსახურების ტერმინალი

POS და თვით-მომსახურების ტერმინალების ფართო ქსელი

c.1,200 ბანკომატი

ყველაზე დიდი ბანკომატების ქსელი საქართველოში პარტნიორ ბანკებთან ერთად.

c.241,000 ინტერნეტ მომხმარებელი

პირველი ქართულად მოსაუბრე ჩეთ-ბოტი Ti-Bot ხელმისაწვდომია „Facebook“-ის Messenger აპლიკაციაში

საცალო ქვანახევნობა

ჩვენ ვემსახურებით 2,3 მილიონზე მეტ საცალო მომხმარებელს, რაც შეადგენს საქართველოს ზრდასრული მოსახლეობის დაახლოებით 83%-ს. იმისთვის, რომ ჩვენს მომხმარებელს უფრო ეფექტურად მოვემსახუროთ, ჩვენი მომხმარებლები დავაჯგუფეთ სამ ქვესეგმენტად: მაღალშემოსავლიანი მომხმარებლები (HNWI), შექმნილი მომხმარებლები (თიბისი სტატუსი) და მასობრივი საცალო მომხმარებლები. ეს საშუალებას გვაძლევს შევთავაზოთ თითოეულ მომხმარებელს ყველაზე კომფორტული საბანკო მომსახურება.

| მომხმარებლების რაოდენობა | TBC | | |
|--------------------------|-------------|----------|---------|
| | მას. საცალო | სტატუსი | HNWIs |
| რაოდენობა | c. 2.3 მლნ | c.41,000 | c.2,400 |
| საკრ. პორტ. წილი | 51.1% | 46.4% | 2.5% |
| დეპოზიტების წილი | 38.7% | 30.6% | 30.7% |
| ჯვ. გაყიდვების კოეფ. | 3.65 | 8.55 | 6.51 |

თიბისი ბანკი იყო პირველი ბანკი, რომელმაც საქართველოში შემოიტანა კერძო საბანკო მომსახურება 10-ზე მეტი წლის წინ და რომელმაც დაამკვიდრა მომსახურების მაღალი სტანდარტები. ჩვენ ვცდილობთ, ვიყოთ კერძო საბანკო მომსახურების კლიენტების პირველი არჩევანი და ვარგად ვიცნობდეთ კლიენტების საჭიროებებსა და მიზნებს, რათა უზრუნველვყოთ ისინი გადაწყვეტილებების სრული და პერსონალიზებული სპექტრით და დავამყაროთ მათთან გრძელვადიანი პარტნიორობა. გამორჩეული კერძო საბანკო მომსახურების მიწოდების კუთხით ჩვენი უწყვეტი ძალისხმევის აღიარება იყო 2018 წელს თიბისი ბანკის დასახელება „საქართველოში საუკეთესო კერძო ბანკად“ უკვე მეოთხედ ჟურნალების „Professional Wealth Management (PWM)“ და „The Banker“ მიერ.

თიბისი სტატუსი

თიბისი სტატუსი ემსახურება დაახლოებით 41,000 შექმნილ მომხმარებელს საქართველოში და უზრუნველყოფს მათთვის განსაკუთრებული საბანკო მომსახურების მიწოდებას, რომელიც მორგებულია მათ კონკრეტულ საჭიროებებზე. ჩვენი ღირებულებებია:

- ინდივიდუალური მიდგომა და გრძელვადიანი ურთიერთობა;
- მომხმარებელთა განსაკუთრებული გამოცდილება;
- მაღალკვალიფიციური და გამოცდილი პირადი ბანკირები;
- პერსონალიზირებული საბანკო პროდუქტები და მომსახურება;
- მათთვის გამოყოფილი მრავალ-არხიანი მომსახურება გაფართოებული შესაძლებლობებით და მყარი ფოკუსირებით ციფრულ მომსახურებაზე;
- თიბისი სტატუსის კონსიერჟის ბევრი მომსახურება, რომლებიც მორგებულია მომხმარებლის ცხოვრების სტილზე;
- ექსკლუზიური ღონისძიებები და სპეციალური ფასდაკლებები ქვეყანაში გამართულ მთავარ კულტურულ ღონისძიებებზე, მათ შორის თიბისი ბანკის ყოველწლიურ ჯაზ-ფესტივალზე.

რადგან ჩვენი მომხმარებლების კომფორტი ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენთვის, ჩვენ მუდმივად ვახალბეთ ჩვენს ციფრულ შეთავაზებებს და საშუალებას ვაძლევთ

მათ ყოველდღიურ ტრანზაქციითა უმეტესობა დისტანციურად განახორციელონ. შედეგად, მობილური და ინტერნეტ საბანკო მომსახურების პენეტრაციის კოეფიციენტი იყო 82.7% თიბისი სტატუსის კლიენტებს შორის 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, რაც წინა წელთან შედარებით 3.5%-ით მეტია.

ძირითადი მაჩვენებლები¹

2,158 მლნ
გაიზარდა 38.7% -ით YoY - TBC სტატუსის საკრედიტოპორტფელი

1,563 mln
გაიზარდა 23.9%-ით YoY - TBC სტატუსის დეპოზიტების პორტფელი

მაღალშემოსავლიანი მომხმარებლები (HNWI)

ჩვენ ვემსახურებით 2,400-ზე მეტ მაღალშემოსავლიან რეზიდენტ და არარეზიდენტ ფიზიკურ პირებს 40-ზე მეტი ქვეყნიდან. ჩვენს მაღალშემოსავლიან მომხმარებლებს ვაწვდით მათზე მორგებულ საბანკო პროდუქტებსა და მომსახურებას და ასევე ვუწვევთ მათ კონსულტაციას საქართველოში სხვადასხვა საინვესტიციო შესაძლებლობებთან დაკავშირებით. ასევე ჩვენი წარმომადგენლობა გვაქვს ისრაელში - „TBC Invest“, რაც საშუალებას გვაძლევს უფრო ეფექტურად მოვიზიდოთ არარეზიდენტი კლიენტები ისრაელიდან.

ჩვენ ვემსახურებით მაღალშემოსავლიან კლიენტებს VIP სერვის-ზონებში, რაც აერთიანებს კომფორტს, ფუფუნებასა და პრივატულობას. უფრო გამოცდილი პირადი ბანკირები არიან კონსულტანტები და ქონების დამგეგმავები, რომლებიც აყალიბებენ ხანგრძლივ ურთიერთობებს ჩვენს მაღალშემოსავლიან კლიენტებთან.

ჩვენს მაღალშემოსავლიან კლიენტებს ვთავაზობთ დახვეწილ საბროკერო და საინვესტიციო საბანკო მომსახურებას ჩვენი შვილობილი კომპანიის, „თიბისი კაპიტალის“ მეშვეობით. 2018 წელს, „თიბისი კაპიტალის“ მიერ გაცემული ობლიგაციების უმრავლესობა შეიძინეს ჩვენმა მაღალშემოსავლიანმა კლიენტებმა, რამაც საშუალება მისცა მათ მოეხდინათ თავიანთი ინვესტიციების დივერსიფიკაცია. გარდა ამისა, „LS Opportunities Fund - Frontier Senior Income (FSI)“-თან პარტნიორობით შევიმუშავეთ ექსკლუზიური საინვესტიციო პროდუქტი, ლუქსემბურგში მდებარე საინვესტიციო ობიექტი, რომელსაც მართავს „Thales Investments“. ფონდი ინვესტირებას ახორციელებს მაღალ-დივერსიფიცირებულ პორტფელში, რომელიც მკაცრად აკონტროლებს კრედიტისა და საოპერაციო რისკებს.

მთავარი მიღწევა 2018 წელს

- 2018 წ., ჩვენი საცალო საკრედიტო პორტფელი გაიზარდა 18.1%-ით² 4,699 მილიონ ლარამდე, რაც ძირითადად გამოწვეული იყო იპოთეკების მატებით, რომელიც საცალო კრედიტების პორტფელის 57.7%-ს შეადგენდა. სამომხმარებლო სესხების შემცირება განპირობებულია არაუზრუნველყოფილი საკრედიტო პორტფელის შემცირებით, რაც უკავშირდება „სებ“-ის მიერ 2018 წლის მაისში მიღებულ რეგულაციას.

იმავე პერიოდში სახელმწიფო დეპოზიტები 16.6% -ით გაიზარდა 104 მლნ. ლარამდე, რაც გამოწვეული იყო როგორც ვადიანი და მიმდინარე, ისე დაგროვებითი ანგარიშების ზრდით. სახელმწიფო დეპოზიტების ფინანსური მარცხელების შესახებ დამატებითი ინფორმაცია მოცემულია თავში „ფინანსური შედეგების მიმოხილვა“ 84-88-ე გვერდებზე.

- ▶ საოპერაციო ხარჯების ოპტიმიზაციის მიზნით დაიწყო ფილიალების ოპტიმიზაციის პროექტი, რომელიც ითვალისწინებს მომსახურების მოდელის გარდაქმნას პროდუქტზე ორიენტირებულიდან მომხმარებელზე ორიენტირებულ მოდელად. ვგეგმავთ ჩავანაცვლოთ ფილიალში არსებული პოზიციები გაყიდვების უნივერსალური პერსონალით - ფინანსური მრჩევლებისა და მომსახურების მენეჯერების პოზიციებით, უფრო ინტეგრირებული მომხმარებელთან ურთიერთობის სისტემით. 2018 წელს პროექტი საპილოტე რეჟიმში გაეშვა ორ ფილიალში და ვგეგმავთ ეს მოდელი თიბისი ბანკის ყველა ფილიალში დავანერგოთ.
- ▶ დიჯიტალიზაციის კუთხით 2018 წელს გამორჩეული შედეგები გვქონდა:
 - ▶ წლის განმავლობაში ინტერნეტ და მობილური საბანკო მომსახურების აპლიკაციებს დავატარებდით ახალი პროდუქტი, მათ შორის საკრედიტო ბარათების განახლება და ლიმიტის შეცვლა, პარკინგის ნებართვის შექმნა და მანქანის ჯარიმების ავტომატური გადახდა.
 - ▶ წლის ბოლოსთვის მობილური საბანკო მომსახურების პენეტრაცია გაიზარდა 5.6 pp-ით და შეადგინა 37.0%, ხოლო მობილური ან ინტერნეტ საბანკო მომსახურების პენეტრაციის დონე გაიზარდა 3.3 pp-ით და შეადგინა 43.7%.
 - ▶ ასევე ვამყობთ, რომ 2018 წელს ჩვენი ინტერნეტ ბანკი დასახელდა მსოფლიოში „საუკეთესო ინტეგრირებულ სამომხმარებლო საბანკო საიტად“ ჟურნალ „Global Finance magazine“-ის მიერ, რასაც ემატება მრავალი ჯილდო ციფრული მომსახურების მიმართულებით ქვეყნისა და რეგიონის მასშტაბით.
- ▶ Ti-bot, ქართულენოვანი ჩეთბოტი სულ უფრო პოპულარული ხდება ჩვენს კლიენტებს შორის. 2018 წლის მარტიდან Ti-bot-მა მიიღო დაახლოებით 14.4 მილიონი მოკლე ტექსტური შეტყობინება და მოიზიდა დაახლოებით 241,000 მომხმარებელი. მარტივი ტრანზაქციების გარდა, რომელთა განხორციელებაც შეუძლია Ti-bot-ს, 2018 წელს დავამატეთ ინოვაციური და უსაფრთხო ფულადი გზავნილების სისტემა ჩეთის გაფართოვების ფუნქციონალის საშუალებით „Ti-Transfer“. „Ti-transfer“-მა, რომელიც შემუშავდა ამ სფეროში ლიდერ კომპანიასთან „Pulsar AI“ პარტნიორობით, უკვე მოიპოვა საერთაშორისო აღიარება და ის დასახელდა „საუკეთესო ალტერნატიული გადახდების პროექტად“ „FStech“-სა და „Retail Systems“-ის მიერ ორგანიზებულ „გადახდების დაჯილდოების“ ცერემონიაზე
- ▶ ასევე შესანიშნავ შედეგებს მივაღწიეთ საბარათე ბიზნესშიც:
 - ▶ 2017 წელს ახალი ლოიალობის პროგრამის „ერთგულის“ წარმატებით გაშვების შემდეგ, საკრედიტო ბარათების გაყიდვების ზრდა გაგრძელდა და 2018 წლის ბოლოსთვის ჩვენმა საბანკო წილმა შეადგინა 44.9%.³
 - ▶ სადებეტო ბარათების კუთხით კი 2018 წლის აგვისტოში შევქმენით ახალი პროდუქტი

„ჩემი სახელმწიფო ბარათი“, ხელფასებისა და თვითდასაქმებული მომხმარებლებისთვის, რომლებიც ხელფასს იღებენ ნაღდი ფულით ან სხვა ბანკში, და არ არიან ჩართული ჩვენს სტანდარტულ სახელმწიფო პროგრამაში. ეს ბარათი საშუალებას აძლევს ასეთ მომხმარებელს დააგროვოს მათი ყოველთვიური შემოსავალი და ისარგებლოს გამარტივებული პროცედურით საკრედიტო პროდუქტების მიღების დროს. ბარათი აღმოჩნდა წარმატებული და მისი შემოღების შემდეგ 26,000-ზე მეტი ბარათი გავყვეით.

- ▶ ასევე ვზრდით ჩვენს თანამშრომლობას ახალგაზრდა ქართველებთან და ვთავაზობთ მათთვის მორგებულ სპეციალურ ახალგაზრდულ ბარათებს. ჩვენ გვაქვს პარტნიორული შეთანხმებები ყველა დიდ უნივერსიტეტთან საქართველოში, რომელიც მოიცავს საქართველოში არსებული სტუდენტების 48.0% -ს.
- ▶ გარდა ამისა, 2018 წლის ბოლოს ჩვენ შემოვიღეთ სასაჩუქრე ბარათები საქართველოს უმსხვილეს სავაჭრო ცენტრებთან თანამშრომლობით.

▶ ვაგრძელებთ ჩვენი თანამედროვე მონაცემთა ანალიზის შესაძლებლობების გამოყენებას და 2018 წლის განმავლობაში ჩავატარეთ ბაზრის საფუძვლიანი კვლევა მთელს მსოფლიოში ანალიტიკის გამოყენების საუკეთესო პრაქტიკის იდენტიფიცირებისა და მათი თიბისი ბანკთან შესაბამისობის შეფასების მიზნით. ჩვენს ანალიზზე დაყრდნობით, გამოვავლინეთ რელევანტური გამოყენების შემთხვევები თითოეული დანაყოფისთვის და შევიშუშავთ მომდევნო 3 წლის მოქმედების გეგმა. პირველი პროექტი განხორციელდა 2018 წლის ნოემბერში და ითვალისწინებდა სამომხმარებლო კრედიტის ფასების ოპტიმიზაციას და საკრედიტო ლიმიტის მართვას, სამომხმარებლო საკრედიტო მომსახურების მოგებიანობის გაზრდის მიზნით. 2019 წელს უფრო მეტი პროექტის განხორციელებას ვგეგმავთ. პარალელურად, ვქმნით ძლიერ ადგილობრივ ანალიტიკურ გუნდს, საუკეთესო ნიჭიერი კადრების აყვანისა და გადამზადების გზით და ასევე ვქმნით დიდ მონაცემთა ინფრასტრუქტურას.

2019 წლის სტრატეგია

- ▶ ძლიერი ფოკუსირება მომხმარებლებზე: დამატებითი ღირებულების მომსახურების შექმნა ჩვენი მომხმარებლების ქვესეგმენტებში, რათა გავზარდოთ მათი ჩართულობა და კმაყოფილება
- ▶ ტექნოლოგიური ლიდერობის გაძლიერების გაგრძელება ბაზარზე ყველაზე ინოვაციური ციფრული გადაწყვეტილებების შეთავაზებით
- ▶ მონაცემების საფუძველზე ოპერირებად კომპანიად გარდაქმნა და თანამედროვე მონაცემების ანალიზის შესაძლებლობების კიდევ უფრო განვითარება, რათა გავზარდოთ მომგებიანობა და ეფექტურობის დონეები და ასევე გავზარდოთ მომხმარებელთა კმაყოფილება და ჩართულობა

1 მენეჯმენტის აღრიცხვის საფუძველზე
 2 ზრდა რე-სეგმენტაციის ეფექტის გამორიცხვით - Q1 2018 წელს, 236 მლნ. ლარი გადავიდა სახელმწიფო მომსახურების პორტფელიდან MSME პორტფელში
 3 „სებ“-ის მონაცემებზე დაყრდნობით



„Ti Bot-ი შესანიშნავი პარტნიორია ახალგაზრდა თაობისთვის. მე მას ვიყენებ მისი გაშვების მომენტიდან და ის საშუალებას მაძლევს შევასრულო ყოველდღიური საბანკო ტრანზაქციები, როგორცაა მობილური ტელეფონის ანგარიშის შევსება და P2P გადარიცხვები ძალიან მარტივი და ინტერაქტიული გზით. განსაკუთრებით მომწონს კომუნიკაცია Ti Bot-თან ხმოვანი შეტყობინებების გაგზავნით რადგან ყოველთვის მეჩქარება და მჭირდება ინფორმაციის სწრაფად მიღება.“

რიმა ცაგარეიშვილი,

„ივ როშე კოსმეტიკის“ ფილიალის მენეჯერი

„ძალიან მომწონს Ti Bot, რადგან მასთან კომუნიკაცია სახალისო და მარტივია. საბანკო ოპერაციების ჩატარება „Facebook Messenger“-ის საშუალებით შესანიშნავად შეესაბამება ახალგაზრდებს, რომლებიც დიდ ნაწილს „Messenger“-ის აპლიკაციაში ატარებენ და ბევრად უფრო კომფორტულად გრძნობენ თავს Ti Bot-თან კომუნიკაციის დროს ვიდრე მობილურ საბანკო მომსახურების აპლიკაციაში შესვლით. ჩემი საყვარელი ფუნქცია არის უახლესი ფუნქციონალი, Ti transfer, რომელიც საშუალებას მაძლევს გავუგზავნო ფული ჩემს მეგობრებს მათთან საუბრის დროს „Messenger“-ის აპლიკაციაში ისე, რომ არ გავიდე საუბრიდან.“

ზვიად ტატუნაშვილი,

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის სტუდენტი

ახალგაზრდა თაობა დაუმეგობრდა TI-BOT-ს

Ti-Bot არის პირველი ქართულენოვანი ჩეთბოტი, რომელიც ხელმისაწვდომია „Facebook messenger“-ის აპლიკაციის საშუალებით. ეს არის ინოვაციური და სახალისო არხი, რომელიც საშუალებას აძლევს ჩვენს მომხმარებელს, განახორციელოს მარტივი საბანკო ოპერაციები და ასევე აწვდის მას სასარგებლო ინფორმაციას თიბისი ბანკის პროდუქტების, გასართობი ღონისძიებების და ამინდის პროგნოზის შესახებ. ჩვენ ვაფასებთ ჩვენი მომხმარებლის უკუკავშირს დავამატოთ ახალი ფუნქციონალები და შესაძლებლობები, რათა მუდმივად გაუმჯობესდეს მომხმარებელთა გამოცდილება. ამ მიზნით, ჩვენ შევქმენით სპეციალური ჯგუფი „Facebook“-ზე, სადაც ჩვენს ციფრული მომსახურების მოყვარულ მომხმარებლებს შეუძლიათ გამოგზავნონ რეკომენდაციები და კომენტარები Ti Bot-თან დაკავშირებით.

რიმა ცაგარეიშვილი არის „ივ როშერის კოსმეტიკური მაღაზიის“ ფილიალის მენეჯერი და ჩვენი Facebook ჯგუფის აქტიური წევრი. ის აქტიურად არის ჩართული Ti Bot-ის გამოცდაში და გვაწვდის თავის ღირებულ მოსაზრებებს.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის სტუდენტი ზვიად ტატუნაშვილი გვეხმარება Ti Bot-ის გამოცდაში მის გაუმჯობესებთან დაკავშირებით შემოთავაზებების მოწოდებით.

კორპორატიული საინვესტიციო საბანკო მომსახურება (CIB)

2018 წლის ძირითადი მაჩვენებლები

37.4%

კორპორატიული საკრედიტო ბაზრის წილი¹

30.6%

კორპორატიული სესხების წილი მთლიან პორტფელში

41.2%

კორპორატიული სადეპოზიტო ბაზრის წილი¹

35.2%

კორპორატიული დეპოზიტების წილი მთლიან პორტფელში

47.4%

კორპორატიული გარანტიების ბაზრის წილი¹


с.2,800

მომხმარებელთა რაოდენობა

მიმოხილვა

თიბისი ბანკი არის ლიდერი საქართველოს ბაზარზე კორპორატიულ სეგმენტში, რომელსაც მოწინავე პოზიციები უჭირავს ყველა ძირითადი კორპორატიული საბანკო პროდუქტის კუთხით, მათ შორის სესხების, დეპოზიტების და საგარანტიო პორტფელის მიმართულებით. ჩვენ ვემსახურებით 2,800-ზე მეტ კორპორატიულ კლიენტს და გვაქვს კარგად დივერსიფიცირებული პორტფელი საქართველოს ეკონომიკის ყველა სექტორში მყარი მონაწილეობით. ჩვენ დაქირავებული გვყავს 120-ზე მეტი მაღალკვალიფიციური პროფესიონალი კადრი საბანკო სფეროში, რომელთაც აქვთ ამ სექტორის ღრმა და ყოვლისმომცველი ცოდნა. ჩვენი ბანკირები კომპანიებს სთავაზობენ მათზე მორგებულ გადაწყვეტილებებს და ცდილობენ მათი ფინანსური და კაპიტალის სტრუქტურის ოპტიმიზაციას და ასევე მათ დახმარებას ბიზნესის გაზრდასა და განვითარებაში. ჩვენი კლიენტების უფრო დახვეწილი პროდუქტების მოთხოვნებზე რეაგირების მიზნით, ასევე აქტიურად ვავითარებთ საინვესტიციო საბანკო მომსახურებას ჩვენი შვილობილი კომპანიის "თიბისი კაპიტალის" მეშვეობით. ჩვენ გამოვირჩევით საკონსულტაციო მომსახურებაზე ორიენტირებული ბიზნეს მოდელით, მომხმარებლის განსაკუთრებული გამოცდილებით, მოწინავე სავაჭრო ფინანსებისა და ძლიერი პროექტის ფინანსების/სინდიკაციის შესაძლებლობებით და ასევე ძალიან გამოცდილი და პროფესიონალი გუნდით.

კორპორატიული საკრედიტო პორტფელის ჩაშლა სექტორების მიხედვით





პროგრესი სტრატეგიული პრიორიტეტების მიხედვით 2018 წელს

კაპიტალის ბაზრებისა და საინვესტიციო საბანკო ბიზნესის განვითარების დაჩქარება საქართველოში და რეგიონში ამ სფეროში ჩვენი ოპერირების გაზრდა

თიბისი კაპიტალის მიერ გამოშვებული და დარეგისტრირებული ობლიგაციები გაიზარდა 400%-ით წინა წელთან შედარებით და შეადგინა 305 მილიონი ლარი, რაც შეადგენს 2018 წელს საქართველოს საფონდო ბირჟაზე მთლიანად გამოშვებული და დარეგისტრირებული ობლიგაციების 55%-ს

საქართველოს რეგიონებში და შუალედურ კორპორატიულ სეგმენტში ჩვენი დაფარვის კიდევ უფრო გაძლიერება

ასეთი მომხმარებლების საკრედიტო პორტფელი და საპროცენტო შემოსავალი გაიზარდა შესაბამისად 28.4%-ით და 29.4%-ით წინა წელთან შედარებით

კორპორატიული კლიენტების პენეტრაციის გაზრდა თიბისი ბანკის სერვისებითა და პროდუქტებით

ჩვენი კორპორატიული კლიენტების მიერ განხორციელებული POS ტრანზაქციების რაოდენობა და მოცულობა გაიზარდა შესაბამისად 156%-ით და 145% -ით წინა წელთან შედარებით

1 „სებ“-ის მიერ 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გამოქვეყნებულ მონაცემებზე დაყრდნობით; ამ კონტექსტში კორპორატიული ნიშნავს იურიდიულ პირებს

2018 წლის მთავარი მიღწევები

- 2018 წელს ჩვენ გვქონდა შესანიშნავი შედეგები კლიენტთა მოზიდვის თვალსაზრისით როგორც დიდ ისე შუალედურ კორპორატიულ სეგმენტში. ჩვენი კორპორატიული საკრედიტო პორტფელი გაიზარდა 24.6%-ით¹ წინა წელთან შედარებით და შეადგინა 3,177 მილიონი ლარი, რის შედეგადაც ჩვენი 37.4%-იანი საბაზრო წილი 1.4 pp-ით გაიზარდა წინა წელთან შედარებით. კორპორატიული დეპოზიტები 31.7%-ით² გაიზარდა და შეადგინა 3,323 მილიონი ლარი, რის შედეგადაც 41.2% -იანი საბაზრო წილი 3.3 pp-ით გაიზარდა. დამატებითი ინფორმაცია ფინანსურ მაჩვენებლებზე მოცემულია „ფინანსური შედეგების მიმოხილვის“ თავში 84-88-ე გვერდებზე.
- 2018 წელს თიბისი ბანკი საქართველოში ყველაზე მსხვილი M&A ტრანზაქციის უფლებამოსილი მთავარი მომწოდებელი გახდა, რამაც საშუალება მოგვცა მოგვეხდინა ჩვენი პოზიციონირება მსხვილი პროექტის შექმნის მომწოდებელი კომპანიის როლში. „სილქნეტმა“, საქართველოს წამყვანმა სატელეკომუნიკაციო ოპერატორმა, შეიძინა „ჯეოსელი“, ქვეყნის უმსხვილესი მობილური ოპერატორი 151.7 მილიონ აშშ დოლარად. ეს ტრანზაქცია წარმოადგენდა საქართველოს უმსხვილეს სინდიკატს, რომელსაც ჰყავდა ცხრა მონაწილე, მათ შორის, ქართული და რეგიონული ბანკები, ასევე ყველაზე დიდი სასესო ოპერაცია, რომელიც მოაწყობა ადგილობრივმა ბანკებმა 133 მილიონ აშშ დოლარად. მთლიანი დაფინანსებიდან 10 მილიონი აშშ დოლარი შეგროვდა ობლიგაციებიდან, ხოლო „თიბისი კაპიტალი“ იყო კერძო ობლიგაციების განთავსების ერთადერთი მთავარი მომწოდებელი.
- 2018 წელს ჩვენი გარანტიების პორტფელი გაიზარდა 51.1%-ით წინა წელთან შედარებით და მიაღწია 1,301 მილიონ ლარს, რის შედეგადაც ჩვენი საბაზრო წილი გახდა 47.4%.³ პრესტიჟულმა საერთაშორისო ჯილდოებმა აღიარეს ჩვენი ძლიერი სავაჭრო შესაძლებლობები, მაგ: „აზიის განვითარების ბანკმა“ თიბისი ბანკი დაასახელა „სავაჭრო ფინანსებში 2018 წლის წამყვან პარტნიორ ბანკად საქართველოში“, ხოლო „Global Finance“-მა გადმოგვცა ჯილდო „2019 წლის საუკეთესო სავაჭრო ფინანსების პროვაიდერი საქართველოში“.

- საინვესტიციო საბანკო საქმიანობის თვალსაზრისით, 2018 წელს ჩვენ დავასრულეთ რამდენიმე მნიშვნელოვანი ტრანზაქცია. „თიბისი კაპიტალი“ იყო ერთადერთი მთავარი მომწოდებელი „სილქნეტის“,⁴ „ნიკორა თრეიდის“,⁵ „თიბისი ლიზინგის“,⁶ „ლისი დეველოპმენტის“,⁷ „ქართული ლუდის კომპანიის“,⁸ BSTDB და ობლიგაციების საჯარო და კერძო განთავსების კუთხით. წლის განმავლობაში „თიბისი კაპიტალის“ მიერ გამოშვებული და რეგისტრირებული ობლიგაციები წინა წელთან შედარებით გაიზარდა 400%-ით და 305 მილიონი ლარი შეადგინა, რაც 2018 წელს საქართველოს საფონდო ბირჟაზე გამოშვებული და რეგისტრირებული მთლიანი ობლიგაციების 55%-ს წარმოადგენს. წლის განმავლობაში „თიბისი კაპიტალი“ ასევე იყო „ქართული ლუდის კომპანიისა“ და „ლისი დეველოპმენტის“ მრჩეველი გლობალური საკრედიტო რეიტინგის მიღებისა და შენარჩუნების საკითხებში. გარდა ამისა, „თიბისი კაპიტალმა“ გამოაქვეყნა ორი ყოვლისმომცველი კვლევითი ანგარიში: „ფიქსირებული შემოსავლის ფასიანი ქაღალდები საქართველოში“ და „საქართველოს სწრაფად-მოძრავი სამომხმარებლო საქონლის სექტორის ანალიზი“. სრული ანგარიშგებები ხელმისაწვდომია მისამართზე: www.tbcresearch.ge. „თიბისი კაპიტალის“ ანგარიშების სექციაში. ჩვენი ძალისხმევა აღიარების კუთხით, 2018 წელს ჟურნალმა „EMEA Finance“ დაასახელა თიბისი ბანკი „2017 წლის საუკეთესო საინვესტიციო ბანკად საქართველოში“, ხოლო „თიბისი კაპიტალი“ – „2017 წლის საუკეთესო ბროკერად“.
- ჩვენი მომხმარებელზე ორიენტირებული მიდგომისა და მათზე მორგებული პროდუქტების შეთავაზების შედეგად ჩვენ გვაქვს ძლიერი ჯვარედინი გაყიდვების პლატფორმა კორპორატიული კლიენტებისთვის. კორპორატიული კლიენტების სახელფასო ანგარიშების რაოდენობა გაიზარდა 16%-ით და შეადგინა 148,000, ხოლო სახელფასო ფონდი გაიზარდა 30%-ით და შეადგინა 176 მილიონი ლარი. იგივე პერიოდში, POS ტრანზაქციების რაოდენობა 145%-ით გაიზარდა წინა წელთან შედარებით და შეადგინა 62 მილიონი, ხოლო შესაბამისი მოვულობები გაიზარდა 156%-ით წინა წელთან შედარებით და შეადგინა 2,625 მილიონი ლარი.

2019 წლის სტრატეგია

- კორპორატიული კლიენტების პენეტრაციის კიდევ უფრო გაზრდა მათზე მორგებული გადაწყვეტილებების შეთავაზებით
- საქართველოს რეგიონების დაფარვა და საშუალო კორპორატიული სეგმენტის გაზრდა
- „თიბისი კაპიტალის“ როლის კიდევ უფრო გაძლიერება საქართველოს კაპიტალის ბაზრის განვითარების კუთხით

1 ზრდა რესეგმენტაციის ეფექტის გამორიცხვით - Q1 2018 წ. 66 მილიონი ლარი გადავიდა MSME-დან კორპორატიული სესხების პორტფელში
 2 ზრდა რესეგმენტაციის ეფექტის გამორიცხვით - Q1 2018 წ. 78 მილიონი ლარი გადავიდა MSME-დან კორპორატიული სესხების პორტფელში
 3 „სებ“-ის მიერ 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გამოქვეყნებული მონაცემების საფუძველზე
 4 „სილქნეტი“ არის წამყვანი სატელეკომუნიკაციო კომპანია საქართველოში
 5 „ნიკორა თრეიდი“ არის საქართველოში წამყვანი საკვები პროდუქტების მწარმოებელი კომპანია
 6 „თიბისი ლიზინგი“ არის წამყვანი სალიზინგო კომპანია საქართველოში და თიბისი ბანკის შვილობილი კომპანია
 7 „ლისი დეველოპმენტი“ არის წამყვანი სამშენებლო კომპანია საქართველოში
 8 „ქართული ლუდის კომპანია“ არის სასმელების მწარმოებელი წამყვანი კომპანია საქართველოში




მედიკონალური სექტორის
ანალიზი

საინვესტიციო და სამხდელე
სექტორის სექტორული
ანალიზი

ფინანსი

საინვესტიციო სექტორის
ანალიზი



“ჩვენი წარმატებული პარტნიორობა თიბისი ბანკთან დაიწყო 2017 წელს და მას შემდეგ ის გახდა ჩვენი მთავარი პარტნიორი ბანკი, რომელიც გვთავაზობს არა მხოლოდ ძირითად საბანკო პროდუქტებს, არამედ ასევე გვიწევს კონსულტაციებს სხვადასხვა საკითხებზე. მინდა განსაკუთრებული მადლობა გადავუხადო თიბისი ბანკის „კორპორატიული და საინვესტიციო საბანკო მომსახურების“ გუნდს მათი გამორჩეული მხარდაჭერისა და პროფესიონალიზმისათვის შექენისა და შერწყმის რთულ პროცესში. ჩვენ ვცდილობთ, გავაძლიეროთ ჩვენი ბიზნესი და მივაწოდოთ ძვირფასი სერვისები ჩვენს საზოგადოებას ჩვენი პარტნიორის, თიბისი ბანკის, მხარდაჭერით.”

დავით მამულაიშვილი,
სილქნეტის გენერალური დირექტორი

სილქნეტი/ჯეოსელი - საქართველოში უმსხვილესი შექმნისა და შერწყმის ტრანზაქცია

სილქნეტი ქვეყანაში ერთ-ერთი უმსხვილესი სატელეკომუნიკაციო მომსახურების მიმწოდებელი კომპანიაა. კომპანია კორპორატიულ და ინდივიდუალურ კლიენტებს სთავაზობს სატელეკომუნიკაციო პროდუქტების ფართო სპექტრს, მათ შორის ინტერნეტს, ტელევიზიას და ფიქსირებულ სატელეფონო მომსახურებას.

2018 წლის მარტში „სილქნეტმა“ შეიძინა 100%-იანი ჰოლდინგი საქართველოს მეორე უმსხვილეს მობილურ ოპერატორში შპს „ჯეოსელი“. ეს შენაძენი შეფასდა 151.7 მილიონ აშშ დოლარად, რამაც ის ქართულ ბაზარზე უმსხვილეს შექმნისა და შერწყმის გარიგებად აქცია. ტრანზაქციის შედეგად შეიქმნა მსხვილი კონვერგენციული სატელეკომუნიკაციო ოპერატორი საქართველოში, რომლის ინტერნეტ და ფიქსირებული სატელეფონო მომსახურების აბონენტების საბაზრო წილი შეადგენს შესაბამისად 34%-ს და 51%-ს. კომპანია ასევე უზრუნველყოფს საქართველოს მომხმარებლებს გაძლიერებული წვდომით ხმოვან და მონაცემთა სერვისებზე და ასევე ექსკლუზიურ გლობალურ მონაცემებზე.

თიბისი ბანკი იყო ამ გარიგების დაფინანსების ერთადერთი მთავარი უფლებამოსილი მომწოდებელი, რომელმაც უზრუნველყო საქართველოში უმსხვილესი სესხის გაცემა 133 მილიონი აშშ დოლარის ოდენობით. ასევე ეს ოყო უმსხვილესი სინდიკატი საქართველოში, რომელსაც ჰყავდა ცხრა მონაწილე, მათ შორის ადგილობრივი და რეგიონული ბანკები. გარდა ამისა, თიბისი კაპიტალი, ჩვენი შვილობილი კომპანია, იყო ერთადერთი მთავარი მომწოდებელი 10 მილიონ აშშ დოლარის კერძო ობლიგაციების განთავსების კუთხით. ამ ტრანზაქციის საშუალებით თიბისი ბანკმა მოახდინა მისი, როგორც მსხვილი შექმნის ტრანზაქციის ორგანიზატორის, პოზიციონირება.

1 მონაცემები მოცემულია 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, წყარო: www.gncc.ge

მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოების სტატუსი

2018 წლის ძირითადი მაჩვენებლები

65%¹

ახლად-რეგისტრირებული იურიდიული პირები ირჩევენ თიბისი ბანკს

ა.130,000

მომხმარებელი

24.1%

MSME წილი მთლიან საკრედიტო პორტფელში²

92.5%²

MSME სტატუსის განტვირთვის კოეფიციენტი

10.8%

MSME წილი მთლიან სადეპოზიტო პორტფელში

78%³

NPS

მიმოხილვა

ჩვენ ვართ წამყვანი პარტნიორი ბანკი მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოებისათვის (MSMEs) ქვეყანაში. 2018 წელს საქართველოში ახლად-რეგისტრირებული იურიდიული პირების 65%-მა აირჩია თიბისი ბანკი. ჩვენი ძირითადი განმასხვავებელი ნიშნები არის მომხმარებელთა განსაკუთრებული გამოცდილება, პირველხარისხოვანი ფინანსური პროდუქტები და მომსახურება, ბიზნესის მხარდაჭერის ვრცელი პროგრამები და ასევე ინოვაციური გადაწყვეტილებები. ჩვენ ერთადერთი ბანკი ვართ რეგიონში⁴, რომელიც მომხმარებელს სთავაზობს სრულად ციფრულ რეგისტრაციას, რაც საშუალებას აძლევს იურიდიულ პირებს გახდნენ ჩვენი კლიენტები ონლაინ რეგისტრაციის გზით მისამართზე: www.businessregistration.ge. 2018 წლის დეკემბერში სრულად ციფრული რეგისტრაციის კოეფიციენტი იყო 16%. გარდა ამისა, ჩვენი ძლიერი ციფრული არხები საშუალებას აძლევს ჩვენს კლიენტებს განახორციელონ ტრანზაქციათა უმეტესობა ონლაინ: შედეგად, წლის ბოლოს განტვირთვის კოეფიციენტი იყო მაღალი - 92.5%. ასევე ამყებთ ვართ ჩვენი NPS მაჩვენებლით, რომელიც შეადგენს 78% -ს, რაც მნიშვნელოვნად აღემატება სხვა ბანკების მაჩვენებელს.

შედეგები სტრატეგიულ პრიორიტეტებთან მიმართებაში 2018 წელს

| | |
|--|--|
| <p>ჩვენი საფლაგმანო ბიზნესის მხარდაჭერის პროგრამის კიდევ უფრო განვითარება</p> | <p>ინოვაციური B2B პლატფორმის გაშვება ბიზნესებისთვის (www.busstool.ge)</p> <p><i>Please see below for more information</i></p> |
| <p>კონცენტრირების შენარჩუნება დიჯიტალიზაციაზე ჩვენი მრავალარხიანი პლატფორმის კიდევ უფრო გაძლიერების გზით.</p> | <p>განვაახლეთ ჩვენი დაჯილდოვებული ინტერნეტ საბანკო მომსახურება იურიდიული პირებისთვის, ახალი ფუნქციებით და ინტუიტიური დიზაინით, რათა ის უფრო მარტივი ყოფილიყო გამოსაყენებლად</p> |

1 მონაცემები მოცემულია 2018 ფინანსური წლისთვის, წყარო: www.napr.gov.ge, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
 2 ფულადი ტრანზაქციების გარდა
 3 დამოუკიდებელი კვლევითი კომპანიის IPM-ის მიერ 2018 წლის ოქტომბერში MSME გეგმებში ჩატარებული გამოკითხვის შედეგების თანახმად
 4 რეგიონი ამ კონტექსტში მოიცავს აზერბაიჯანს, სომხეთსა და საქართველოს



ბიზნესის მხარდაჭერის პროგრამა

ჩვენ ერთადერთი ბანკი ვართ საქართველოში, რომელიც მომხმარებელს სთავაზობს სრულფასოვან ბიზნესის მხარდაჭერის პროგრამას, რომელიც მოიცავს საგანმანათლებლო რესურსებს და ბიზნეს ბლოგს, ბიზნესის მხარდაჭერის მექანიზმებს, ყოველწლიურ ბიზნეს დაჯილდოებას და სტარტაპის პროგრამას. ყველა ეს მომსახურება გაერთიანებულია ერთ პლატფორმაზე: www.tbcbusiness.ge.

ბიზნესის განათლების პროგრამის ფარგლებში ჩვენ ვატარებთ ტრენინგებს, კონფერენციებს, ვახორციელებთ ინდივიდუალურ კონსულტაციებს და ასევე ვატარებთ რეგიონალურ აგრო-ფორუმებს. ყველა ეს მომსახურება უფასოა. აღნიშნულის მიზანია დავეხმაროთ მეწარმეებს თავიანთი უნარ-ჩვევების გაუმჯობესებაში ისეთ სფეროებში, როგორიცაა: მენეჯმენტი, მარკეტინგი, ფინანსები და სავადასახადო სისტემა, რაც ხელს შეუწყობს მათი ბიზნესის განვითარებას. პროგრამა 2013 წელს დაიწყო „აზიის განვითარების ბანკთან“ პარტნიორობით.

2018 წლის განმავლობაში ამ პროგრამაში მონაწილეობა მიიღო დაახლოებით 7,500 ბიზნესმენმა.

ჩვენ კვლავ ვცდილობთ მხარი დაუჭიროთ ბიზნესებს მათი შექმნის ადრეულ ეტაპზე და განვავრდოთ ახალი შეთავაზებების მიწოდებას ჩვენი ინოვაციური პროგრამის “სტარტაპერის” ფარგლებში, რომელიც დაიწყო 2017 წელს. “სტარტაპერის” მიზანია უფრო წარმატებული სტარტაპების შექმნა საქართველოში, მათთვის ადვილად ხელმისაწვდომი კაპიტალის, ასევე სარეკლამო კამპანიებისთვის ციფრული პლატფორმის და სხვადასხვა საგანმანათლებლო პროგრამებისა და კონფერენციების უზრუნველყოფით.

ამჟამად, ჩვენ სტარტაპებს ვთავაზობთ სამი ტიპის სესხს: ზოგადი სესხი, სპეციალური სესხი სასტუმროებისთვის და სპეციალური სესხი აგრო-ბიზნესისთვის. მისი დაწყების შემდეგ პროგრამამ დიდი პოპულარობა მოიპოვა და მოიზიდა 24,000 კომპანია. 2018 წლის განმავლობაში ჩვენ გავეცით მთლიანად 76 მილიონი ლარის სესხი, რაც 180%-ით მეტია 2017 წელთან შედარებით.

საქართველოში მეწარმეობის წახალისების მიზნით, 2016 წლიდან ჩვენ ვაწყობთ „ყოველწლიურ ბიზნეს დაჯილდოების“ ცერემონიას, რომელიც ქვეყანაში წლის მნიშვნელოვან ბიზნეს-ღონისძიებად იქცა და მოიზიდა 1,500-ზე მეტი საზოგადოების წევრი. წელს დავამატეთ ორი ახალი ნომინაცია „წლის ქალი მეწარმე“ და „სოციალური გავლენის ჯილდო“ და გამოვაცხადეთ გამარჯვებულები 6 კატეგორიაში. ღონისძიებას ჰყავდა 16 მილიონი დაინტერესებული პირი პრესასა და სოციალურ მედიაში, ხოლო დამოუკიდებელი კვლევითი სააგენტოს „ACT“-ის მიერ ჩატარებული გამოკითხვის თანახმად აღმოჩნდა, რომ მისი პროექტის ცნობადობა მიიღწია 76% -ს 2018 წელს.

მთავარი მიღწევები 2018 წელს

- ჩვენ გვქონდა ძლიერი ზრდა: ჩვენი MSME საკრედიტო პორტფელი გაიზარდა 23,4%-ით 1 წინა წელთან შედარებით და შეადგინა 2,497 მილიონი ლარი, ჩვენი დეპოზიტის პორტფელი გაიზარდა 8.9%-ით 2 წინა წელთან შედარებით და შეადგინა 1,018 მილიონი ლარი. ეს შედეგები ძირითადად განპირობებული იყო იმ ბიზნესებზე გაცემული სესხების ზრდით, რომლებიც ოპერირებენ შემდეგ სექტორებში: სოფლის მეურნეობა, მშენებლობა, კვების მრეწველობა, სტუმართმოყვარეობა და დასვენება, და ასევე სერვისები. MSME სეგმენტის ფინანსური მაჩვენებლების შესახებ დამატებითი ინფორმაცია მოცემულია სექციაში „ფინანსური შედეგების მიმოხილვა“ 84-88-ე გვერდებზე.
- ჩვენ ვართ სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ წამყვანი პარტნიორი ბანკი, რომლის მიზანია სოფლის მეურნეობის, სამეწარმეო და სასტუმროებისა და დასვენების სფეროების მხარდაჭერა. პროგრამის ფარგლებში, მსესხებლებს შეუძლიათ მოითხოვონ სუბსიდია სახელმწიფოსგან, რათა შემცირდეს მათი საპროცენტო ხარჯები საშლავათო პერიოდის განმავლობაში. ამ პროგრამის ფარგლებში, 2018 წელს ჩვენ გავცვიტ 64 სესხი, რომელთა საერთო თანხა შეადგინდა 42 მილიონ ლარს.
- ინტერნეტ ბანკინგი კვლავ ყველაზე ფართოდ გამოყენებადი ციფრული არხია, რომლის საშუალებითაც სრულდება მთლიანი ციფრული ტრანზაქციების 71%. 2018 წელს ჩვენ განვაახლეთ ჩვენი ჯილდოს მფლობელი ინტერნეტ-ბანკინგი იურიდიული

პირებისთვის, დავამატეთ მას ახალი ფუნქციები და ინტუიტიური დიზაინი, რათა ის გამოსაყენებლად უფრო მარტივი ყოფილიყო. ასევე ვამაყობთ, რომ ჟურნალმა „Global Finance“ ჩვენი კორპორატიული ციფრული ბანკი დაასახელა 2018 წლის „საუკეთესოდ სოციალური მედია მარკეტინგისა და მომსახურების სფეროში“ საერთაშორისო მასშტაბით, რაც იყო საერთაშორისო აღიარება, რომელიც დაემატა ჩვენს მრავალრიცხოვან ჯილდოებს რეგიონისა (CEE) და ქვეყნის მასშტაბით ციფრული საბანკო მომსახურების კატეგორიაში.

➢ ჩვენ ვაგრძელებთ ბიზნესის მხარდაჭერის პროგრამის განვითარებას და 2018 წელს ავამუშავეთ ინოვაციური B2B პლატფორმა ბიზნესისთვის (www.businessstool.ge). ეს პლატფორმა ქმნის ბაზარს, რომელიც ერთმანეთთან აკავშირებს ბიზნესებს და საინფორმაციო ტექნოლოგიების სერვის პროვაიდერებს და ხელს უწყობს ქართული ბიზნესისთვის შესაფერისი ახალი პროგრამული უზრუნველყოფის განვითარებას. კომპანიებს შეუძლიათ მოძებნონ, ერთმანეთს შეადარონ და აირჩიონ მათი საჭიროებებისთვის ყველაზე შესაფერისი პროგრამული უზრუნველყოფა, მათ შორის კომპიუტერული პროგრამები, მობილური აპლიკაციები ან ვებ-სერვისები. ერთი მხრივ, ვებგვერდი ეხმარება დეველოპერებს მათი პროდუქტების შესახებ ცნობადობის ამაღლებაში, ხოლო მეორე მხრივ პლატფორმა ეხმარება ბიზნესებს მათი პროცესების ავტომატიზირებაში და მათი ეფექტურობის გაზრდაში.

2019 წლის სტრატეგია

- ეკოსისტემის შექმნა MSME-თვის, რომელიც თავის თავში გააერთიანებს ფართო სპექტრის გადაწყვეტილებებს, რომლებიც სჭირდებათ ბიზნესებს განვითარების თითოეულ ეტაპზე
- კონცენტრირება ინოვაციურ და ციფრულ შეთავაზებებზე
- გამორჩეული მომხმარებლის გამოცდილების უზრუნველყოფა ჩვენი ეკოსისტემის ყველა ნაწილში

1 ზრდა რესტრუქტურების ეფექტის გარეშე - Q1 2018 წ. 236 მილიონი ლარი გადავიდა საცალო მომსახურების პორტფელიდან MSME პორტფელში, ხოლო 66 მილიონი ლარი გადავიდა MSME-ს პორტფელიდან კორპორატიულ საკრედიტო პორტფელში

2 ზრდა რესტრუქტურების ეფექტის გარეშე - Q1 2018 წ. 78 მილიონი ლარი გადავიდა MSME პორტფელიდან კორპორატიული დეპოზიტების პორტფელში



სტარტაპების მხარდაჭერის პროგრამა - სტარტაპერი

ნინო სლეპჩენკო და მისი მეუღლე, ლევან ვატიშვილი, მართავენ საოჯახო ბიზნესს „საინი“ და არიან „სტარტაპერის“ პროგრამის აქტიური წევრები. ისინი მომხმარებელს სთავაზობენ ინტერიერისა და ექსტერიერის დიზაინის ფართო სპექტრს ულამაზესი ანბანის ორნამენტებით, რომელიც მოიცავს ჭურჭელს, ლამპებს, დეკორატიულ სარკეებს, კედლის დეკორაციებს, მოზაიკასა და კერამიკულ ფილებს. მათი ნამუშევრების შთაგონების წყარო გახდა ქართული ანბანი „მხედრული“.



“ჩვენ მადლობას ვუხდით თიბისი ბანკს იმისთვის, რომ მოაწყო „აპლიკაციების გამოწვევა“ საქართველოში“. ეს არის პირველი კონკურსი საინფორმაციო ტექნოლოგიების სფეროში, რომლის მიზანია ქართული აპლიკაციების პოპულარიზაცია და ახალგაზრდა საინფორმაციო ტექნოლოგიების კომპანიების მოტივირება რომ შექმნან ინოვაციური გადაწყვეტილებები. ეს არის ორმხრივ მომგებიანი სიტუაცია როგორც საინფორმაციო ტექნოლოგიების კომპანიებისთვის ასევე ბიზნესებისთვის, რადგან ქართველი სპეციალისტების მიერ შემუშავებული პროგრამული სისტემები მორგებულია ადგილობრივ საჭიროებებზე და უფრო იაფია, ვიდრე მათი უცხოური ეკვივალენტები.“

ლევან მესხიშვილი,
“System Jet“-ის დამფუძნებელი

„SYSTEM JET“ - ტექნოლოგიური ინოვაციების შეთავაზება ქართული ბიზნესისთვის

2018 წელს თიბისი ბანკმა მოაწყო პირველი „Apps Challenge“ „EFSE DF“-თან პარტნიორობით. ღონისძიების მიზანი იყო ინოვაციური პროგრამული უზრუნველყოფის გადაწყვეტილებების შექმნის ხელშეწყობა ქართული ბიზნესისთვის პროცესების გამარტივებისა და ავტომატიზაციის მიზნით. პრეტენდენტებს უნდა წარმოედგინათ ორიგინალური იდეები და პროდუქტები, რომელიც ახალი იქნებოდა პროგრამული უზრუნველყოფის შემუშავების ქართულ ბაზარზე. 78 მონაწილიდან შეირჩა ოცი გუნდი, რომლებსაც თავიანთი იდეები ჟიურის წინაშე უნდა წარედგინათ. კონკურსის დასკვნით ტურში შეირჩა სამი გამარჯვებული, რომლებიც „EFSE DF“-მა ფულადი პრიზებით დააჯილდოვა.

პირველი პრიზი მიიღო სტარტაპმა კომპანიამ „System Jet“, რომელმაც შექმნა პროგრამული უზრუნველყოფა, რომელიც საშუალებას აძლევს სილამაზის სალონებს, ესთეტიკურ ცენტრებსა და მსგავს კომპანიებს მათი ყოველდღიური საქმიანობა მთლიანად ონლაინ რეჟიმში წარმართონ. ეს არის პირველი აპლიკაცია საქართველოში, რომელიც საშუალებას აძლევს ასეთ ბიზნესებს მართონ მათი წინა ხაზის საქმიანობა, აკონტროლონ შიდა ბიზნეს-პროცესები და ასევე განახორციელონ სტატისტიკური ანალიზი. პროგრამის მახასიათებლებია:

- > დაჯავშნა მრავალფუნქციურ კალენდრებში;
- > მოკლე ტექსტური შეტყობინებების გაგზავნა მომხმარებლისთვის;
- > კლიენტების საქმიანობის მონიტორინგი ვიზიტების რაოდენობის და დახარჯული ფულის კუთხით;
- > ფულის მიმოქცევის კონტროლი და მარაგების მართვა.

„System Jet“ არის მოსახერხებელი და მარტივად სამართავი აპლიკაცია. კომპანია თავის კლიენტებს ასევე სთავაზობს ტრენინგებს და ტექნიკური უზრუნველყოფის სერვისებს. სატესტო რეჟიმში პროგრამა გაეშვა 2018 წლის მარტში და უკვე წარმატებით არის დანერგილი 30-მდე კომპანიაში.

„System Jet“ გეგმავს გამოიყენოს ჯილდო თავისი პროდუქტის გასაუმჯობესებლად ინტუიციური დიზაინითა და ახალი შესაძლებლობებით, მათ შორის ფინანსური ანალიზი, CRM ფუნქციები და ონლაინ სასწავლო ვიდეოები. თიბისი ბანკი ასევე ხელს შეუწყობს კომპანიას პოტენციური კლიენტებისთვის ტრენინგისა და გაცნობითი პრეზენტაციების ორგანიზებაში, რათა მოხდეს მათი აპლიკაციის ცნობადობის ამაღლება. კომპანიას აქვს ამბიციური გეგმები გაზარდოს თავისი ბიზნესი და 2019 წლის განმავლობაში მოიცვას საქართველოს ყველა დიდი ქალაქი.

სფეისი

2018 წლის ძირითადი მაჩვენებლები

- ც. 94,000** მომხმარებელი
- ც. 260,000** ჩამოტვირთვა
- 4.8 ვარსკვლავი** Apple Store-ზე
- 4.6 ვარსკვლავი** Google play-ზე

მიმოხილვა

2018 წლის მაისში ჩვენ ავამუშავეთ საქართველოში პირველი სრულად ციფრული ბანკი "სფეისი". ეს არის უახლესი ტექნოლოგიის მობილური აპლიკაცია ყოველდღიური ფინანსების სამართავად. ეს აპლიკაცია გამოწვევას აძლევს და ახლებურად განსაზღვრავს ტრადიციულ საბანკო მომსახურების გამოცდილებას, სთავაზობს რა უნიკალურ სამომხმარებლო გამოცდილებას მარტივი პროცედურებითა და პროდუქტებით, ინტუიციური დიზაინით, ფასის გამჭვირვალობითა და მყისიერი მიწოდების სერვისით.

ჩვენ გვჯერა, რომ ახალგაზრდა, ციფრული თაობა ეძებს ტრადიციული საბანკო მომსახურების ალტერნატივას – მარტივ, სწრაფად გამოყენებად და ბიუროკრატიისგან თავისუფალ მომსახურებას. „სფეისი“ შეიქმნა ამ იდეის გათვალისწინებით. „სფეისიში“ ყველა პროდუქტი და მომსახურება ხორციელდება მხოლოდ რამდენიმე ლილაკზე დაჭერით; ყველაფერი შეიძლება გაკეთდეს დისტანციურად, ფილიალში მისვლის გარეშე. აპლიკაცია ძალიან ინტუიციური და ადვილად გამოსაყენებელია. მაგალითად, სესხის მისაღებად საჭიროა მხოლოდ "+" ლილაკზე დაჭერა, ხოლო ფულის გადასარიცხად საჭიროა "-" ლილაკზე ერთხელ დაჭერა.

„სფეისი“ იქმნებოდა მხოლოდ 15 თვის განმავლობაში 35 პროფესიონალისგან შემდგარი გუნდის მიერ თავის კლასში საუკეთესო კომპანიებთან, „Amazon Cloud“, „Pulsar AI“, „Mambu“, „SalesForce“ და „Corezoid“ პარტნიორობით.

2018 წლის მაისში მისი ამუშავების შემდეგ „სფეისმა“ გადააჭარბა ჩვენს მოლოდინს, მოიზიდა დაახლოებით 94,000 კლიენტი და მისმა ჩამოტვირთვამ წლის ბოლოს შეადგინა 260,000, ხოლო გაცემული სესხების რაოდენობამ შეადგინა 15 მილიონი ლარი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

პროდუქტის აღწერა და მისი ძირითადი სარგებელი

როგორც სრულად ციფრულ ბანკს, „სფეისს“ არ აქვს ფილიალები და ყველა თავის პროდუქტს მობილური აპლიკაციით სთავაზობს. თუ მომხმარებელს გაუჩნდება კითხვა, კონსულტაციები ხორციელდება ონლაინ რეჟიმში ან „Facebook messenger“-ის აპლიკაციაში, „app chat“-ში ან ტელეფონით. რეგისტრაცია ძალიან მარტივია, შეგიძლიათ გახდეთ „სფეისის“ მომხმარებელი რამდენიმე წუთში პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ან პასპორტის და სელფის ატვირთვის გზით.

ამჟამად „სფეისი“ მომხმარებელს სთავაზობს შემდეგ პროდუქტებსა და შესაძლებლობებს:

- > ანგარიშის გახსნა დისტანციურად;
- > სამომხმარებლო სესხები;
- > ფულის გადარიცხვა;
- > გადასახადების გადახდა;
- > სადებეტო ბარათი, ასევე შესაძლებელია სხვა ბანკების ბარათების მიბმაც;
- > ონლაინ განვადება e-commerce-თვის.

2019 წლის სტრატეგია

- > ჩვენი მიზანია გავაგრძელოთ „სფეისის“ გაძლიერება ახალი პროდუქტებითა და მასხასიათებლებით და აქტიურად ჩავართოთ მომხმარებლები განვითარების პროცესში, რათა მივიღოთ წამიერი უკუკავშირი. ასევე ვგეგმავთ „სფეისის“ შეტანას აზერბაიჯანის ბაზარზე.



მომხმარებლისთვის
სადაც უნდა იყოს

სადაც უნდა იყოს
სადაც უნდა იყოს

ფონი

სადაც უნდა იყოს

შვილობილი კომპანიები

თიბისი ლიზინგი

„თიბისი ლიზინგი“ დაფუძნდა 2003 წელს თიბისი ბანკის მიერ, რომელიც ამჟამად ფლობს კომპანიის 99.6%-იან წილს. ამ წელს „თიბისი ლიზინგი“ 15 წლის იუბილე აღნიშნა და მთელი ამ წლების მანძილზე კომპანია თავდაუზოგავად მუშაობდა თავისი მტკიცე ექსპერტული ცოდნის მისაღებად და ბაზარზე წამყვანი პოზიციის მოსაპოვებლად. 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით „თიბისი ლიზინგის“ საბაზრო წილი შეადგენდა 72.3%-ს, ხოლო მისი პორტფელი - 206.0 მილიონ ლარს დაახლოებით 3,600 მომხმარებლით.

„თიბისი ლიზინგი“ ემსახურება როგორც ფიზიკურ ისე იურიდიულ პირებს და სთავაზობს მათ სრულფასოვან სალიზინგო გადაწყვეტილებებსა და საკონსულტაციო მომსახურებას, მათ შორის ფინანსურ ლიზინგის, საოპერაციო ლიზინგის, გაყიდვებისა და უკუღიზინგის, რომლებიც მორგებულია მომხმარებლის საჭიროებებზე. ჩვენი პორტფელის დაახლოებით 85.0%-ს შეადგენენ იურიდიული პირები, სადაც ყველაზე დიდი წილი უჭირავს მომსახურების, სამშენებლო, ჯანდაცვისა და წარმოების სექტორებს. ჩვენი საცალო პორტფელი შედგება ახალი და მეორადი ავტომობილებისგან, რომელთა წილი შესაბამისად შეადგენს 33.7%-ს და 67.3%-ს. საცალო მომხმარებლებს ვემსახურებით სერვის-ცენტრებში, ხოლო MSME-სა და კორპორატიული კლიენტებისთვის პროდუქტების მისაყიდად ვიყენებთ ბანკის არხებს.

2018 წელს კომპანიამ მიაღწია მნიშვნელოვან ზრდას, რომლის დროსაც მისი იურიდიული პირების პორტფელი გაზარდა 33.5%-ით წინა წელთან შედარებით და შეადგინა 175.0 მილიონი ლარი, ხოლო მისი საცალო პორტფელი გაზარდა 118.8%-ით წინა წელთან შედარებით და შეადგინა 31.0 მილიონი ლარი. საერთო ჯამში ლიზინგის პორტფელი გაზარდა 41.8%-ით.

კომპანია ასევე აქტიურად თანამშრომლობს სახელმწიფო პროექტებთან „ანარმოე საქართველოში“ და „სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო“ (APMA), რომელთა მიზანია წარმოების, მომსახურებისა და სოფლის მეურნეობის მრეწველობის განვითარების ხელშეწყობა კომპანიების საპროცენტო ხარჯების სუბსიდირების გზით. წლის განმავლობაში ჩვენ გავეციით 24.5 მილიონი ლარის იჯარა ამ პროგრამების ფარგლებში. ასევე ვცდილობთ გავზარდოთ ცნობადობა ლიზინგის გადაწყვეტილებების შესახებ სტარტაპი კომპანიებისთვის, რომელთათვისაც ლიზინგი ხელმისაწვდომი და განსაკუთრებით ხელსაყრელი ვარიანტია საჭირო აღჭურვილობის შესაძენად. გარდა ამისა, ჩვენ ვცდილობთ, ხელი შევუწყოთ გარემოს დაცვის ენერგოეფექტური მოწყობილობებისა და დანადგარების ფინანსირების გზით.

2019 წელს ვეგმავთ დამატებითი სერვისების განვითარებას ჩვენი კლიენტებისთვის, მათ შორის ახალი პორტალის შექმნას, რომელიც საშუალებას მისცემს ჩვენს მომხმარებლებს აკონტროლონ მათი გადახდების გრაფიკი და ფინანსური ანგარიშები ონლაინ რეჟიმში, ასევე გავზარდოთ ჩვენი მენეჯმენტის საინფორმაციო და მომხმარებლებთან ურთიერთობის მართვის სისტემები.

თიბისი ფი

„თიბისი ფი“ არის საქართველოს წამყვანი საგადახდო კომპანია. ის დაფუძნდა 2008 წელს თიბისი ბანკის მიერ და მისი შვილობილი კომპანიაა. „თიბისი ფი“ მართავს თვითმომსახურების ტერმინალების ფართო ქსელს მთელი ქვეყნის მასშტაბით, რაც საშუალებას აძლევს ფიზიკურ პირებს განახორციელონ გადახდა სხვადასხვა სახის ყოველდღიური მომსახურებისთვის წამიერად, ინტერაქციულ რეჟიმში, 24 საათის განმავლობაში. გადახდები შეიძლება განხორციელდეს როგორც ნაღდი ფულით ისე სადებეტო ან საკრედიტო ბარათის გამოყენებით. კომპანიას ასევე აქვს ონლაინ პლატფორმა (www.tbcpay.ge), რომელსაც იგივე ფუნქციები აქვს რაც თვითმომსახურების ტერმინალებს

სწრაფად გაფართოებადი გადასახადების ბიზნესის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად, 2018 წელს ჩვენ დავამატეთ 491 თვითმომსახურების ტერმინალი, რაც 17.6%-ით მეტია წინა წლის რაოდენობასთან შედარებით, და ამჟამად გვაქვს 3,281 მოქმედი ტერმინალი. იგივე პერიოდში, ტრანზაქციების რაოდენობა 9.5%-ით გაიზარდა წინა წელთან შედარებით და შეადგინა 43,3 მილიონი ლარი, ხოლო ტრანზაქციების მოცულობა 69.7%-ით გაიზარდა და შეადგინა 2,327.2 მილიონი ლარი.

ამ წელს გვქონდა მყარი შედეგები ფულადი სახსრების მართვის ბიზნესთან დაკავშირებით, რომელიც 2017 წლის ბოლოს ავამოქმედეთ. ეს მომსახურება განკუთვნილია კომპანიებისთვის, რომლებიც ახორციელებენ დიდი ოდენობის ნაღდი ფულის ოპერაციებს, და საშუალებას აძლევს მათ განათავსონ ფული პირდაპირ მათ საბანკო ანგარიშზე, რაც წამიერად აისახება მათ ელექტრონულ ამონაწერში. 2018 წლის განმავლობაში მოვიზიდეთ რამდენიმე მსხვილი საცალო მოვაჭრე, მათ შორის „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია“², „სოკარ ჯორჯია პეტროლიუმ“³ და „გეფა“⁴. ამჟამად, ვამუშავებთ 131-მდე ასეთი სპეციალურ ტერმინალს და ასეთი ტრანზაქციების მოცულობამ 2018 წლის დეკემბერში შეადგინა 461.8 მილიონი ლარი, რაც 100%-ით წინა წელთან შედარებით. ჩვენ ვეგმავთ ამ ბიზნესის კიდევ უფრო გაფართოებას 2019 წელს.

ჩვენ ვაგრძელებთ ონლაინ გადახდის პლატფორმის გაძლიერებას და 2018 წელს დავამატეთ რამდენიმე ფუნქცია, მათ შორის გადახდის ნიმუშის მართვა, სმს შეხსენება გადასახადების გადახდისთვის და ბარათიდან ბარათზე წამიერი გადარიცხვის მომსახურება, რაც საშუალებას აძლევს მომხმარებელს მყისიერად გადარიცხონ ფული ქართულ საბანკო ბარათებს შორის. 2019 წელს ჩვენ დავნერგავთ ელექტრონული საფულის მომსახურებას, რომელიც ინტეგრირებული იქნება ჩვენს თვითმომსახურების ტერმინალებში და ინტერნეტ პლატფორმაში და საშუალებას მისცემს ჩვენს კლიენტებს განახორციელონ ელექტრონული ოპერაციები საკრედიტო ბარათების გამოყენების გარეშე. ამის

1 შიდა გამოთვლების საფუძველზე
2 „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია“ არის საქართველოში წამყვანი კომპანია ნავთობბიზნესში
3 „სოკარ ჯორჯია პეტროლიუმ“ არის საქართველოში წამყვანი კომპანია ნავთობბიზნესში
4 „გეფა“ არის საქართველოში წამყვანი ფარმაცევტული საცალო გაყიდვების კომპანია

შემდეგ ვაპირებთ შევექმნათ „თიბისი ფი“-ს მობილური აპლიკაცია, რაც იქნება უმარტივესი მყისიერი ფულადი გადარიცხვების სერვისი.

2019 წლის განმავლობაში გავაგრძელებთ ნაღდი ფულისა და ონლაინ გადახდების ბიზნესის გაფართოვებას საქართველოში მომხმარებელის გამოცდილების მუდმივად გააუმჯობესებით, ახალი პროდუქტებისა და ფუნქციების დამატებით ჩვენს ონლაინ პლატფორმასა და თვითმომსახურების ტერმინალებში და მომხმარებლისთვის საქართველოში ყველაზე კომფორტული და ეფექტური მომსახურების შეთავაზებით.

თიბისი კაპიტალი

„თიბისი კაპიტალი“ არის თიბისი ბანკის საკუთრებაში არსებული საინვესტიციო საბანკო მომსახურების მიმწოდებელი შვილობილი კომპანია და ლიცენზირებული საბროკერო-დილერი საქართველოში. ის არის თიბისი ბანკის კორპორატიული და საინვესტიციო საბანკო ფრანჩაიზის განუყოფელი ნაწილი. მისი ძირითადი საქმიანობა მოიცავს კორპორატიულ საკონსულტაციო მომსახურებას, როგორც სავალო ისე სააქციო კაპიტალის ბაზრებს, საბროკერო მომსახურებას და ბაზრის კვლევას. „თიბისი კაპიტალი“ ასევე არის „საქართველოს საფონდო ბირჟის“ აქციონერი და აქტიურ როლს თამაშობს მისი ინფრასტრუქტურის განვითარებაში და შიდა კაპიტალის ბაზრის საერთაშორისო ბაზრებზე ინტეგრირებაში.

სანამ კაპიტალის ბაზართან დაკავშირებული კანონმდებლობა და მარეგულირებელი გარემო ჯერ კიდევ ვითარდება საქართველოში, იზრდება მოთხოვნა კაპიტალის ბაზრის პროდუქტებსა და კორპორატიული ფინანსური კონსულტაციის მომსახურებაზე ქვეყნის მსხვილ კომპანიებს შორის. მიგვაჩნია, რომ მოსალოდნელი საპენსიო რეფორმები, რომლებიც ძალაში შევიდა 2019 წლის 1 იანვრიდან, გამოიწვევს მნიშვნელოვან ცვლილებებს, ხელს შეუწყობს ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარებას და ლარის გრძელვადიან ლიკვიდობას.

ამ შესაძლებლობის გამოყენების მიზნით, „თიბისი კაპიტალს“ აქვს ძლიერი პოზიცია საინვესტიციო საბანკო პროდუქტებისა და მომსახურების კუთხით, რითაც ის ეხმარება კლიენტებს მათი სტრატეგიული კორპორაციული ამოცანების შესრულებასა და ზრდის მიზნების მიღწევაში. 2018 წელს, ჩვენ გავაფართოვეთ გუნდი და მოვახდინეთ „თიბისი კაპიტალის“ პოზიციონირება ისე, რომ სარგებელი მიიღოს საქართველოსა და რეგიონში კაპიტალის ბაზრის საქმიანობიდან⁵. ჩვენი ამოცანა 2019 წელს კვლავ იქნება საქართველოსა და რეგიონში⁵ საინვესტიციო საბანკო ტრანზაქციების კიდევ უფრო გაფართოვება და ასევე საბროკერო და კვლევითი ბიზნეს ერთეულების გაძლიერება.

დამატებითი ინფორმაცია „თიბისი კაპიტალის“ შესახებ ხელმისაწვდომია „კორპორატიული და საინვესტიციო საბანკო მომსახურების“ სექციაში 28-33-ე გვერდებზე.

5 რეგიონი ამ კონტექსტში მოიცავს სომხეთს, აზერბაიჯანს და საქართველოს

საერთაშორისო ოპერაციები

თიბისი ბანკის ოპერაციითა უმრავლესობა (მთლიანი აქტივების 99.8%) ხორციელდება საქართველოში. თუმცა, ჩვენ გვყავს ორი საერთაშორისო შვილობილი კომპანია, ერთი აზერბაიჯანში და ერთი ისრაელში.

TBC Invest

„TBC Invest“ არის თიბისი ბანკის წარმომადგენლობითი ოფისი ისრაელში, რომელიც ასრულებს შუამავლის როლს ისრაელის კლიენტებთან, აწვდის მათ ინფორმაციას თიბისი ბანკის პროდუქტების, საფასურისა და საპროცენტო განაკვეთების შესახებ.

TBC Kredit

„TBC Kredit“ არის არასაბანკო საკრედიტო ორგანიზაცია, რომელიც ოპერირებს აზერბაიჯანში 1999 წლიდან. ის ძირითად აქცენტს აკეთებს მცირე და საშუალო ბიზნეს სექტორებზე, სამომხმარებლო და იპოთეკური სესხების სექტორებზე. 2008 წლიდან „TBC Kredit“-ის მფლობელი კვლავ თიბისი ბანკი გახდა როდესაც მან კომპანიის 75%-იანი წილი დაიბრუნა. 2018 წლის აგვისტოში თიბისი ბანკმა შეიძინა დარჩენილი 25.0% შპს „Enclude“-გან და ამგვარად გახდა „TBC Kredit“-ის 100%-იანი მფლობელი. 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით „TBC Kredit“-ის მთლიანი საკრედიტო პორტფელი შეადგენდა 31.6 მილიონ ლარს. მცირე და საშუალო ბიზნესის დაკრედიტების საერთო მოცულობა შეადგენდა მთლიანი პორტფელის 37.2%-ს, ხოლო სამომხმარებლო და იპოთეკური სესხების წილი კი შესაბამისად შეადგენდა 45.3% და 17.5%-ს.

სხვა ადგილობრივი შვილობილი კომპანიები

ჯგუფი ასევე მოიცავს შემდეგ შვილობილ კომპანიებს:

United Financial Corporation არის ყველაზე დიდი ბარათების დამუშავების ცენტრი საქართველოში, რომელიც ემსახურება 8 ბანკს, 7 საფინანსო დაწესებულებას და 2 ლოიალურობის კომპანიას. მისი სერვისები აბსოლუტურად შეესაბამება „VISA International“-ის და „MasterCard Worldwide“-ის რეგულაციებს და ასევე საგადახდო ბარათების სფეროში არსებულ მონაცემთა უსაფრთხოების სტანდარტებს.

Real Estate Management Fund and Mali მართავს ქონებას, რომელიც თიბისი ბანკმა ხელახლა მიიღო გაყიდვების შედეგად.

Banking Systems Service Company უზრუნველყოფს ტექნიკური და პროგრამული მხარდაჭერის მიწოდებას ბანკომატებისთვის, POS ტერმინალებისა და სხვა ელექტრონული საბანკო სისტემებისთვის.

BG უზრუნველყოფს თიბისი ბანკის აქტივების მართვას.

| | მთლიანი აქტივების ჩაშლა | წმინდა შემოსავლის ჩაშლა |
|-----------------------------|-------------------------|-------------------------|
| ბანკი | 97.7% | 93.7% |
| საერთაშორისო ოპერაციები | 0.2% | 0.4% |
| სხვა ადგილობრივი ოპერაციები | 2.1% | 5.9% |

რისკების მართვა წარმოადგენს ჯგუფის სტრატეგიის კრიტიკულად მნიშვნელოვან საყრდენს. მას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ახალი რისკებისა და გაურკვევლობების აღმოჩენაში, რომლებმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიონ ჯგუფის შედეგებზე, ფინანსურ მდგომარეობასა და სამომავლო პერსპექტივებზე. ამ სექციაში გაანალიზებულია ის ძირითადი რისკები და გაურკვევლობები, რომელთა წინაშეც დგას ჯგუფი. თუმცა, არ შეგვიძლია გამოვრიცხავთ იმის შესაძლებლობა, რომ ჯგუფის მუშაობის შედეგებზე შესაძლოა გავლენა იქონიონ ჯერ კიდევ უცნობმა რისკებმა და გაურკვევლობებმა, რომლებიც არ არის ჩამოთვლილი ქვემოთ. რისკების მართვის პრაქტიკის შესახებ უფრო დეტალური ინფორმაცია მოცემულია 52-65-ე გვერდებზე.

სამეთვალყურეო საბჭოს ჩამოყალიბებული აქვს ძირითადი რისკების შეფასების მოქნილი მექანიზმი, რომელიც თიბისი ბანკის გრძელვადიანი საქმიანობის შეფასების საფუძველზე განსაზღვრავს ბანკის შესაძლებლობას, განაგრძოს ოპერაციები და შეასრულოს მის მიერ დასახული მიზნები. განხილვისა და ანალიზის საფუძველზე სამეთვალყურეო საბჭომ დაადასტურა, რომ მათ აქვთ ჯგუფის სიცოცხლისუნარიანობის გონივრული მოლოდინი მომდევნო სამი წლის განმავლობაში, 2022 წლის 1 იანვრამდე, და რომ ჯგუფი შეძლებს ოპერირების გაგრძელებას და თავისი ვალდებულებების შესრულებას სამი წლის განმავლობაში, 2019 წლის 1 იანვრიდან 2022 წლის 1 იანვრამდე.

1. ძირითადი რისკი

საკრედიტო რისკი არის ჯგუფის ბიზნეს-საქმიანობის განუყოფელი ნაწილი

საკრედიტო რისკი დაკავშირებულია მსესხებლის ან მესამე პირის (კონტრაქტის) მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობასთან ან არაჯეროვნად შესრულებასთან. შესაბამისად, საკრედიტო რისკების მართვასა და მონიტორინგს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ბანკის საქმიანობაში.

რისკის აღწერა

საკრედიტო რისკი წარმოადგენს ჯგუფისთვის ყველაზე მატერიალურ რისკს, ვინაიდან ჯგუფი ჩართულია ტრადიციულ საკრედიტო საქმიანობაში. ჯგუფის მომხმარებლები არიან როგორც იურიდიული პირები, ისე ინდივიდუალური მსესხებლები.

რისკის მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს სავალუტო რისკი, რომელიც აქტუალურია ქვეყანაში მაღალი დოლარიზაციის დონიდან გამომდინარე. ეს რისკი დაკავშირებულია არაპეჯირებულ მსესხებლებზე უცხოურ ვალუტაში დენომინირებული სესხების გაცემასთან. საკრედიტო რისკი ასევე მოიცავს კონცენტრაციის რისკს, რომელიც წარმოადგენს საკრედიტო პორტფელის ხარისხის გაუარესებასთან დაკავშირებულ რისკს, რაც შეიძლება წარმოიშვას ერთეულ მსესხებელზე ან ერთმანეთთან დაკავშირებულ მსესხებლების ჯგუფებზე დიდი მოცულობის პორტფელის შექმნით ან პორტფელის კონცენტრაციით გარკვეულ დარგებში. ზარალი შესაძლოა კიდევ უფრო გაიზარდოს არახელსაყრელი მაკროეკონომიკური პირობების გამო. ეს რისკები უფრო დეტალურადაა აღწერილი როგორც ძირითადი რისკები.

რისკის მითიგაცია

საკრედიტო რისკების ეფექტურად მართვის მიზნით ბანკი იყენებს საკრედიტო რისკების შეფასების გამართულ ჩარჩოს, რომელშიც მკაფიოდაა ერთმანეთისგან გამიჯნული საკრედიტო ანალიზისა და კრედიტის დამტკიცების პროცესში მონაწილე მხარეთა მოვალეობები. საკრედიტო შეფასების პროცესი განსხვავდება სემენტების მიხედვით, ამასთანავე დიფერენციაცია ხდება პროდუქტის სახეობათა მიხედვითაც აქტივების კლასების განსხვავებული მახასიათებლების გათვალისწინების მიზნით. კორპორაციული, მცირე და საშუალო ბიზნესის, მსხვილი საცალო და მიკრო სესხების შეფასება ხორციელდება ინდივიდუალურად, მაშინ როცა გადაწყვეტილების მიღების პროცესი შედარებით მცირე საცალო და მიკრო სესხების შემთხვევაში მეტწილად ავტომატიზირებულია. ინდივიდუალური და ავტომატიზირებული დაკრედიტების წესები განსაზღვრულია რისკების განყოფილებების მიერ რომლებიც დამოუკიდებელი არიან სესხის გამცემი და ბიზნეს განვითარების ერთეულებისგან

ჯგუფი იყენებს მონიტორინგის გამართულ სისტემას, რათა სწრაფად მოახდინოს რეაგირება მაკრო და მიკრო მოვლენებზე. მონიტორინგის სისტემა ასევე საშუალებას იძლევა მოხდეს საკრედიტო პორტფელში სისუსტეების იდენტიფიკაცია, რის შემდეგაც ხდება კონკრეტული გადაწყვეტილებების მიღება იმისათვის რომ მოხდეს იდენტიფიცირებული რისკების სწორი ადრესაცია და რისკის მართვის კუთხით ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღება. მონიტორინგის პროცესი მორგებულია ცალკეულ სემენტებზე და მოიცავს ინდივიდუალური სესხების მონიტორინგს, პორტფელურ მონიტორინგსა და გარე ტენდენციების ანალიზს, რამაც შეიძლება გავლენა იქონიოს პორტფელის ხარისხზე. ამასთან ჯგუფი იყენებს პორტფელის ზედამხედველობის სისტემას შესუსტებული კრედიტების იდენტიფიცირების და საჭიროების შემთხვევაში გამოსასწორებელი ზომების მიღების მიზნით

ჯგუფის საკრედიტო პორტფელი სტრუქტურულად დივერსიფიცირებულია მომხმარებელთა ტიპების, პროდუქტის ტიპებისა და სემენტების მიხედვით, რასაც მინიმუმამდე დაჰყავს საკრედიტო რისკი ჯგუფის დონეზე. 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საცალო სემენტი შეადგენდა მთლიანი პორტფელის 45.3%-ს, რომელიც ჩამოილია იპოთეკურ და არაიპოთეკურ სესხებად, შესაბამისად 57.7% და 42.3%. ბიზნეს პორტფელში არცერთი დარგის დავალიანება არ აღემატებოდა მთლიანი პორტფელის 7.5%-ს მეტს 2018 წლის ბოლოს.

სესხის უზრუნველსაყოფად დატვირთული ქონება წარმოადგენს ჯგუფისთვის საკრედიტო რისკის ყველაზე მნიშვნელოვან სამიტიგაციო საშუალებას. ამიტომ უზრუნველყოფაში არსებული ქონების ეფექტური მართვა საკრედიტო რისკების მართვის ერთ-ერთი ძირითადი კომპონენტია. ჯგუფის მიერ გაცემული სესხების უზრუნველყოფა შეიძლება მოიცავდეს, მაგრამ არ შემოიფარგლება შემდეგით: უძრავი ქონება, ფულადი დეპოზიტები, სატრანსპორტო საშუალებები, მოწყობილობა-დანადგარები, ინვენტარი, ძვირფასი ლითონები, ფასიანი ქაღალდები და მესამე პირის თავდებობა.

ჯგუფის პორტფელის უდიდესი ნაწილი უზრუნველყოფილია ყველა სემენტში, სადაც უზრუნველყოფის მნიშვნელოვან წილს წარმოადგენს უძრავი ქონება. 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფის პორტფელის 71.6% უზრუნველყოფილი იყო ნაღდი ფულით, უძრავი ქონებითა ან ოქროთი. უზრუნველყოფის მართვის გამართული სისტემა იძლევა იმის გარანტიას, რომ უზრუნველყოფის ობიექტი წარმოადგენდეს საკრედიტო რისკის მიტიგაციის ადეკვატურ საშუალებას.

2. ძირითადი რისკი

ჯგუფის წინაშე დგას სავალუტო კურსის ცვლილებით გამოწვეული საკრედიტო რისკი, რადგან ჯგუფის პორტფელში სესხების დიდი ნაწილი დენომინირებულია უცხოურ ვალუტაში.

ლარის გაუფასურება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რისკია, რამაც შეიძლება უარყოფითი გავლენა იქონიოს პორტფელის ხარისხზე, ჯგუფის ბალანსში არსებული უცხოური ვალუტის მაღალი წილის გამო. არაჰეჯირებულ მსესხებლებს შეიძლება ვალის ტვირთი უფრო მეტად დააწვეთ, როდესაც გაიზრდება უცხოურ ვალუტაში დენომინირებული მათი ვალდებულებები.

რისკის აღწერა

ჯგუფის სასესხო პორტფელის მნიშვნელოვანი წილი (და მთლიანად საქართველოში საბანკო სექტორის სესხების დიდი წილი) დენომინირებულია უცხოურ ვალუტაში, უმეტესად აშშ დოლარში 2018 წლის 31 დეკემბერს, საქართველოს ეროვნული ბანკის ანგარიშის მიხედვით, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული სესხების წილი მთლიან საბანკო სექტორში 57.1% . იმავე თარიღით ჯგუფის მთლიანი სესხების და კლიენტებზე გაცემული ავანსების (სესხის გაუფასურების რეზერვების დაკლებამდე) 60.1% დენომინირებული იყო უცხოურ ვალუტაში.

მომხმარებელთა დიდი ნაწილის შემოსავალი წარმოდგენილია აშშ დოლარში, საზღვარგარეთიდან ფულადი გზავნილების ან ბიზნესმსესხებლების შემთხვევაში, ექსპორტის გამო. მიუხედავად ამისა, მომხმარებლები შეიძლება არ იყვნენ დაცულნი ლარის გაცვლითი კურსის მნიშვნელოვანი მერყეობისგან სესხის ვალუტის მიმართ.

2018 წლის განმავლობაში USD/GEL სავალუტო კურსი არასტაბილური იყო, თუმცა წინა წელთან შედარებით გაიზარდა მხოლოდ 3.3%-ით. „საქართველოს ეროვნული ბანკი“ ეფექტურად მოქმედებს თავისი მიზნობრივი ინფლაციის ჩარჩოს ფარგლებში. საქართველოში მოქმედებს მცურავი გაცვლითი კურსის რეჟიმი. მსგავსი რეჟიმის არსებობის პირობებში გაცვლითი კურსი შიდა და გარე ფაქტორების გავლენით ხასიათდება მერყეობით მოკლევადიან პერიოდში.

რისკის მიტიგაცია

განსაკუთრებული ყურადღება ექცევა გაცვლითი კურსით გამოწვეულ საკრედიტო რისკს იმის გამო, რომ პორტფელის სესხების უმეტესი ნაწილი დენომინირებულია უცხოურ ვალუტაში. ხშირად ხორციელდება სავალუტო კურსის გაუფასურების მონიტორინგი, რათა საჭიროების შემთხვევაში მოხერხდეს სამოქმედო გეგმის სწრაფი განხორციელება. სავალუტო კურსის გარკვეული გაუფასურების მიმართ მდგრადობა გათვალისწინებულია დაკრედიტების სტანდარტებშიც, რაც გულისხმობს ვალუტის გაუფასურების რისკის ბუფერის გათვალისწინებას არაჰეჯირებული მომხმარებლებისათვის. ამასთან, ჯგუფი მნიშვნელოვან კაპიტალს ფლობს სავალუტო კურსის ცვლილებით გამოწვეული საკრედიტო რისკისგან დასაცავად. ვალუტის ბოლოდროინდელი მერყეობის შედეგად მიღებული გამოცდილებისა და ცოდნის გათვალისწინებით ჯგუფს აქვს უნარი, რომ დროულად განახორციელოს წარმოქმნილი სავალუტო კურსის გაუფასურების რისკის მიტიგაცია.

2019 წლის იანვარში სახელმწიფო უწყებებმა განაგრძეს აქტიური მუშაობა, უცხოურ ვალუტაზე ეკონომიკის დამოკიდებულების შესამცირებლად და გაზარდეს ზედა ზღვარი 200,000 ლარამდე, რომლის ფარგლებშიც სესხები უნდა გაიყოს მხოლოდ ეროვნულ ვალუტაში. გარდა ამისა, ეროვნულმა ბანკმა პასუხისმგებლიანი დაკრედიტების ინიციატივის ფარგლებში, დააწესა უფრო კონსერვატიული PTI და LTV ზღვრები არაჰეჯირებული საცალო მსესხებლებისთვის, რომელიც ძალაში შევიდა 2019 წლის 1 იანვრიდან და რამაც კიდევ უფრო შეზღუდა გაცვლით კურსთან დაკავშირებული რისკი.

3. ძირითადი რისკი

ჯგუფის საქმიანობის შედეგებს შესაძლოა საფრთხე შეუქმნას ეკონომიკურ გარემოში განვითარებულმა უარყოფითმა მოვლენებმა

საქართველოში ეკონომიკური ზრდის შენელება უარყოფითად აისახება მსესხებლების გადახდისუნარიანობაზე, რაც ზღუდავს მათ მომავალ საინვესტიციო და გაფართოების გეგმებს. ეს მოვლენები აისახება ჯგუფის პორტფელის ხარისხსა და მომგებიანობაზე, რაც ასევე აფერხებს პორტფელის ზრდის ტემპს. უარყოფითმა მაკროეკონომიკურმა მოვლენებმა შეიძლება საფრთხის ქვეშ დააყენოს ჯგუფის მუშაობის შედეგები, რაც განპირობებული იქნება სხვადასხვა პარამეტრებით, როგორცაა გაცვლითი კურსის გაუფასურება, საპროცენტო განაკვეთების მკვეთრი ზრდა, უმუშევრობის დონის ზრდა, საყოფაცხოვრებო შემოსავლის შემცირება, ქონების ღირებულებების შემცირება, სესხების უზრუნველყოფის დონის ან კომპანიების გადახდიუნარიანობის გაუარესება გაყიდვების შემცირების გამო.

მეზობელ და ძირითად სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებში პოტენციურმა პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა არასტაბილურობამ შესაძლოა უარყოფითად იმოქმედოს საქართველოს ეკონომიკურ მდგომარეობაზე მიმდინარე ანგარიშის გაუარესებით (მაგ: შემცირებული ექსპორტი, ტურისტების შემოღინება, ფულადი გზავნილები და პირდაპირი უცხოური ინვესტიციები).

რისკის აღწერა

„საქსტატის“ პირველადი შეფასებით, 2018 წელს რეალური მშპ 4.8%-ით გაიზარდა. ეს მიუთითებს საქართველოს ეკონომიკის მნიშვნელოვან ზრდაზე და ხაზს უსვამს ეკონომიკის მდგრადობასა და ზრდის პოტენციალს, მთელი წლის მანძილზე რესტრიქციული ფისკალური პოზიციისა და რეგიონში განვითარებული არახელსაყრელი მოვლენების გათვალისწინებით. საქართველოს ფისკალური დისციპლინის გარდა, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ 2018 წლის განმავლობაში:

- ინფლაცია იყო დაბალი;
- მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი გაუმჯობესდა და მის გრძელვადიან ტრენდზე ნაკლები იყო;
- ლარის რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი დარჩა მის გრძელვადიან ტრენდზე და საშუალოვადიან საშუალო მაჩვენებელზე ქვემოთ;
- შემცირდა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოღინება, თუმცა ძირითადად ერთჯერადი ფაქტორების გამო. საერთო ჯამში, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები კვლავ რჩება მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის დაფინანსების ძირითად წყაროდ.

გარდა ამისა, „სებ“ განაგრძობდა საერთაშორისო რეზერვების შექმნას და საქართველოს საცხოვრებელი უძრავი ქონების ბაზარზე არ შეინიშნებოდა გადახურების ნიშნები. რაც შეეხება საკრედიტო ზრდას სისტემის მასშტაბით, მიუხედავად იმისა რომ პენეტრაცია გაიზარდა, კრედიტის მშპ-სთან თანაფარდობის კოეფიციენტი კვლავ ახლოს იყო მის გრძელვადიან ტენდენციასთან, განსაკუთრებით მუდმივი გაცვლითი კურსით შეფასებისას, ხოლო სესხების დოლარიზაცია შემცირდა, თუმცა უფრო ნელი ტემპით ვიდრე 2018 წელს.

საერთო ჯამში, მაკროეკონომიკური პერსპექტივით, 2018 წელს არ შეინიშნებოდა სისტემის მასშტაბით რისკის შექმნის ნიშნები. ამავდროულად, საქართველო კვლავ მმონყვავდა გარე და გარკვეულწილად შიდა მოკვების მიმართ, რაც შესაძლოა უარყოფითად აისახოს საქართველოს ეკონომიკაზე, რადგან გამოიწვევს ზრდის ტემპის შენელებას ან უკიდურესი გარემოების დროს – ეკონომიკის შემცირებას. ამ მოვლენებმა შეიძლება უარყოფითი გავლენა იქონიოს ლარის გაცვლით კურსზეც.

რისკის მიტიგაცია

ეკონომიკური ციკლებისა და ფაქტორების მიმართ მგრძობიანობის შესამცირებლად ჯგუფი უზრუნველყოფს ციკლური ინდუსტრიების იდენტიფიცირებას და განსაზღვრავს სექტორული კონცენტრაციის ლიმიტებს რისკის აპეტიტის ფორმატში.

ჯგუფში შექმნილია მაკროეკონომიკურ მონიტორინგის პროცესი, რომელიც ეფუძნება საქართველოში და ასევე მის მეზობელ ქვეყნებში განვითარებული ეკონომიკური მოვლენების გულდასმით და განმეორებით დაკვირვებებს, რათა დროულად მოხდეს გარდუვალი ეკონომიკური რისკების ადრეული გამაფრთხილებელი სიგნალების იდენტიფიცირება. ეს პროცესი საშუალებას აძლევს ჯგუფს სრულად შეაფასოს მნიშვნელოვანი ეკონომიკური და პოლიტიკური მოვლენები და გააანალიზოს მათი გავლენა ჯგუფის მუშაობის შედეგებზე. იდენტიფიცირებული გავლენა მყისვე აისახება კონკრეტულ სამოქმედო გეგმებში, რაც გულისხმობს სესხის გაცემის სტანდარტებისა და რისკაპეტიტის მეტრიკების

გადასინჯვა-შეზღუდვას თითოეული სენსიტიური დარგის მიმართ. ამასთან, კრედიტის განხილვისა და პორტფელის მონიტორინგის პროცესებში გამოყენებული სტრატეგიები და სცენარული ანალიზი საშუალებას აძლევს ჯგუფს, წინასწარ შეაფასოს მაკროეკონომიკური შოკების გავლენა ბიზნესსა და პორტფელზე.

მდგრადობა ცვალებადი მაკროეკონომიკური გარემოს მიმართ გათვალისწინებულია ჯგუფის დაკრედიტების სტანდარტებში. ამგვარად, მოსალოდნელია, რომ მსესხებლები გაუძლებენ გარკვეულ უარყოფით ეკონომიკურ გავლენას გონივრული ფინანსური მდგომარეობის სესხის მომსახურების შესაძლებლობებისა და კარგი უზრუნველყოფის დახმარებით.

4. ძირითადი რისკი

ჯგუფი დგას კაპიტალის რისკის წინაშე, რაც გულისხმობს მინიმალური მარეგულირებელი მოთხოვნების დაუკმაყოფილებლობას, რამაც შეიძლება საფრთხის ქვეშ დააყენოს ზრდა და სტრატეგიული მიზნების მიღწევა

თიბისი ბანკი რეგულირდება „საქართველოს ეროვნული ბანკის“ მიერ. ეროვნული ბანკის რეგულაციებით, დაფინანსების სხვადასხვა მოთხოვნისა და პირობების მიხედვით აუცილებელია შესაბამისობა კაპიტალის ადეკვატურობასა და სხვა კოეფიციენტებთან. ამავდროულად, ადგილობრივ მარეგულირებელს უფლება აქვს დაუწესოს ბანკს დამატებითი რეგულაციები, თუ ის

მიიჩნევს, რომ გამსესხებლის ან ბაზარზე არსებული რისკის დონე ზედმეტად მაღალია.

რისკის აღწერა

2017 წლის დეკემბერში ეროვნულმა ბანკმა შემოიღო კაპიტალის ადეკვატურობის ახალი ჩარჩო. განახლებული რეგულაციის თანახმად კაპიტალის მოთხოვნა იყოფა „პილარ 1“-ისა და „პილარ-2“-ის ბუფერებად, რომლებიც ეტაპობრივად დაინერგება ოთხნობიანი პერიოდის განმავლობაში. 2018 წლის ბოლოსთვის, ბანკის მინიმალური კაპიტალის მოთხოვნა 1,5%-ით გაიზარდა პირველადი კაპიტალისთვის, ხოლო 3,7%-ით მთლიანი საზედამხებველო კაპიტალისთვის 2017 წლის ბოლო პერიოდთან შედარებით. მინიმალური მოთხოვნების ზრდა გამოწვეულია სისტემური რისკის, კონცენტრაციისა და GRAPE ბუფერების შემოღებით.

ბანკის კაპიტალის ადეკვატურობის დონე 2018 წლის დეკემბრის მდგომარეობით შეადგენდა 12.8%-ს და 17.9%-ს მარეგულირებელ მინიმალურ მოთხოვნებთან: 11.8% და 16.7%-თან შედარებით, შესაბამისად პირველადი და მთლიანი საზედამხებველო კაპიტალისთვის. ეს კოეფიციენტები გაცილებით აღემატება მოთხოვნილ მინიმალურ მაჩვენებლებს.

2018 წლის იანვრიდან „სებ“-მა სრულად გააუქმა “ბაზელ I”-ისა და “ბაზელ II/III”-ის კაპიტალის ადეკვატურობის სტანდარტები და ჩაანაცვლა ისინი განახლებული კაპიტალის ჩარჩოთი, რომელიც უფრო მეტად შეესაბამება “ბაზელ-3”-ის სახელმძღვანელო მითითებებს.

რისკის მიტიგაცია

ჯგუფი ახორციელებს სტრატეგიულ და სენსიტიურობის ანალიზს, რათა მოახდინოს დამატებითი კაპიტალის მოხმარების რაოდენობის განსაზღვრა სხვადასხვა სცენარების შემთხვევაში. ასეთი ანალიზი მიუთითებს, რომ ჯგუფს აქვს საკმარისი კაპიტალი მარეგულირებლის მინიმალური მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

ბანკის დირექტორთა საბჭოსა და რისკების კომიტეტის ჩართულობით, აქტიურად ხორციელდება კაპიტალის პროგნოზების, ასევე სტრეს-ტესტირების და სხვადასხვა შესაძლო სცენარების შედეგების მონიტორინგი, რათა უზრუნველყოფილ იქნას გონივრული მართვა და, საჭიროების შემთხვევაში, დროული ღონისძიებების გატარება.

5. ძირითადი რისკი

ჯგუფს აქვს საკანონმდებლო მოთხოვნებთან შესაბამისობის რისკი.

ბანკის საქმიანობა აქტიურად რეგულირდება და, შესაბამისად, ექვემდებარება საკანონმდებლო მოთხოვნებთან შესაბამისობის რისკებს. ადგილობრივ მარეგულირებელს, “საქართველოს ეროვნულ ბანკს”, შეუძლია პრუდენციული მოთხოვნები გაუზარდოს როგორც მთელ სექტორს, ასევე კონკრეტულ ინსტიტუტებს ამ სექტორში, აქედან გამომდინარე, ჯგუფის მომგებიანობას და მუშაობის შედეგებს შესაძლოა საფრთხე შეუქმნას გაზრდილმა მოთხოვნებმა, მათ შორის საზედამხებველო კაპიტალის შედარებით მაღალმა მოთხოვნამ.

რისკის აღწერა

ბანკი რეგულირდება ეროვნული ბანკის მიერ, რომელიც სავალდებულო კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტებთან ერთად ადგენს დაკრედიტების ლიმიტებსა და სხვა ეკონომიკურ კოეფიციენტებს (მათ შორის, დაკრედიტების, ლიკვიდურობისა და საინვესტიციო კოეფიციენტების). 2018 წლის განმავლობაში „სებ“-მა შემოიღო რამდენიმე მარეგულირებელი ცვლილება, პასუხისმგებლიანი დაკრედიტების სტანდარტებთან დაკავშირებით.

„სებ“ ასევე პასუხისმგებელია კონკრეტულ ტრანზაქციებთან დაკავშირებით გამოძიების ჩატარებაზე, საქართველოს კანონმდებლობასთან და რეგულაციებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად.

აღნიშნულთან დაკავშირებით ბანკი ექვემდებარებოდა „სებ“-ის მიერ შემოწმებას გარკვეულ ტრანზაქციებთან დაკავშირებით, რომლებიც განხორციელდა 2007 და 2008 წლებში. შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ ეს ტრანზაქციები ბანკსა და გარკვეულ კომპანიებს შორის ტექნიკურად არ შესაბამებოდა ინტერესთა კონფლიქტის მარეგულირებელ საქართველოს კანონმდებლობას. 2019 წლის თებერვალში კომპანიამ, ბანკმა და „საქართველოს ეროვნულმა ბანკმა“ გამოაქვეყნეს ერთობლივი განცხადება, რითაც დაადასტურეს ამ გამოძიების დასრულება და ის, რომ ბანკი სრულად აკმაყოფილებს „სებ“-ის მიერ დადგენილ ეკონომიკურ ნორმატიულ მოთხოვნებსა და ლიმიტებს. ცალკე აღინიშნა, რომ საქართველოს პროკურატურამ ასევე დაიწყო გამოძიება იმავე საკითხზე და დღემდე მოვლენათა რაიმე მატერიალური განვითარება არ მომხდარა.

საქართველოს საბანკო რეგულაციების თანახმად, ბანკი ვალდებულია, აკმაყოფილებდეს მინიმალურ სარეზერვო მოთხოვნებსა და სავალდებულო ფინანსურ კოეფიციენტებს და რეგულარულად წარმოადგენდეს პერიოდულ ანგარიშებს. ბანკი ასევე რეგულირდება შესაბამისი საგადასახადო კოდექსით ან საქართველოში მოქმედი სხვა შესაბამისი კანონებით.

ჯგუფის საქმიანობა სრულ შესაბამისობაშია ყველა შესაბამის კანონმდებლობასთან და რეგულაციებთან. ბანკს ასევე აქვს ვალდებულებები დააკმაყოფილოს ფინანსური კოეფიციენტები აღებული ვალდებულებების ხელშეკრულებების მიხედვით. დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ „ჯგუფის აუდიტებულ ფინანსური ანგარიშგებათა“ 215 გვერდი.

რისკის მიტიგაცია

საკანონმდებლო მოთხოვნებთან სრული შესაბამისობის უზრუნველსაყოფად ბანკს შექმნილი აქვს შესაბამისი მართვის სისტემები და პროცესები. რომლებიც გათვალისწინებულია ჯგუფის ოპერაციების ყველა დონეზე.

შესაბამისობის რისკის მართვის განყოფილება პასუხისმგებელია საკანონმდებლო მოთხოვნებთან შესაბამისობის რისკის მართვაზე და ანგარიშვალდებულია უშუალოდ აღმასრულებელ დირექტორთან.

ჯგუფის „რისკების, ეთიკისა და შესაბამისობის უზრუნველყოფის კომიტეტი“ (RECC) პასუხისმგებელია რეგულაციებთან შესაბამისობის უზრუნველყოფაზე სამეთვალყურეო საბჭოს დონეზე.

საბანკო რეგულაციებისა და საქართველოს საგადასახადო სისტემის თვალსაზრისით, ჯგუფი მჭიდროდ თანამშრომლობს მარეგულირებელ ორგანოსთან რათა

უზრუნველყოს ახალი პროცედურებისა და მოთხოვნების დეტალურად განხილვა მათ განხორციელებამდე. ფართო დიალოგი გაიმართა მარეგულირებელთან ასევე პასუხისმგებლიანი დაკრედიტების ახალ რეგულაციასთან დაკავშირებით.

პასუხისმგებლიანი დაკრედიტების ახალი რეგულაციის პარალელურად, მთავრობამ წამოაყენა ინიციატივები, რათა უზრუნველყოს უწყვეტი დაფინანსების ფართო ხელმისაწვდომობა. აღნიშნული მოიცავს საგადასახადო კოდექსის გამარტივებას შემოსავლების რეგისტრაციის განაკვეთის სტიმულირების მიზნით.

მიუხედავად იმისა, რომ მარეგულირებლების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები ჯგუფის კონტროლის ფარგლებს სცდება, მნიშვნელოვან მარეგულირებელ ცვლილებებს ხშირად წინ უსწრებს საკონსულტაციო პერიოდი, რაც საშუალებას აძლევს ყველა ფინანსურ ინსტიტუტს, გამოთქვას საკუთარი მოსაზრება და, შესაბამისად, თავისი ბიზნესპრაქტიკა მოარგოს ცვლილებებს.

რაც შეეხება „საქართველოს ეროვნული ბანკის“ მიერ 2019 წლის თებერვალში ჩატარებულ გამოძიებას, კომპანიამ, ბანკმა და „საქართველოს ეროვნულმა ბანკმა“ გამოაქვეყნეს ერთობლივი განცხადება, რომელიც ადასტურებს რომ ბანკი:

- (i) გადაიხდის დაახლოებით 1 მილიონ ლარს; და
- (ii) განახორციელებს ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს რესტრუქტურისაციას, რომლის თანახმადაც დამფუძნებელი აქციონერები გადადგებიან ბანკის სამეთვალყურეო საბჭოდან. გარდა ამისა, თიბისი ბანკი განაგრძობს თანამშრომლობას „საქართველოს ეროვნულ ბანკთან“ რათა კიდევ უფრო გააუმჯობესოს ბანკის კორპორაციული მართვის ხარისხი, ამთან ბანკი უზრუნველყოფს ჯგუფთან დაკავშირებული პირების ტრანზაქციების პრაქტიკისა და პროცედურების გარე მიმოხილვას.

6. ძირითადი რისკი

ჯგუფს აქვს კონცენტრაციის რისკი

როგორც წესი, განვითარებად ბაზარზე მოქმედი ბანკების წინაშე თავს იჩენს კონცენტრაციის რისკები როგორც ცალკეულ მომხმარებლებზე, ისე სექტორებზე

ჯგუფს აქვს მაღალი ინდივიდუალური დავალიანება ცალკეული მსესხებლების მიმართ, რომელთა მოტენციური დეფოლტი გულისხმობს გაზრდილ საკრედიტო დანაკარგებსა და გაუფასურების რეზერვის მაღალ ხარჯს.

ჯგუფის პორტფელი არის კარგად დივერსიფიცირებული სექტორების მიხედვით, რაც განაპირობებს სექტორული კონცენტრაციის რისკის ზომიერ ნიშნულს. თუმცა, თუ გაიზრდება ჯამური დავალიანება მთავარ რისკის მატარებლებზე, შესაბამისად გაიზრდება რისკებიც.

რისკის აღწერა

ჯგუფის საკრედიტო პორტფელი კარგად დივერსიფიცირებულია და მაქსიმალური დავალიანება ერთ დარგზე (ენერჯეტიკა და კომუნალური გადახდები), შეადგენს საკრედიტო პორტფელის 7.5%-ს. მოცემული მაჩვენებელი გონივრულია და გვიჩვენებს საკრედიტო პორტფელის ადეკვატურ დივერსიფიკაციას.

20 უმსხვილესი მსესხებლის დავალიანება შეადგენს საკრედიტო პორტფელის 14.2%-ს, რაც შესაბამისობაშია ჯგუფის მიზნებთან კონცენტრაციის რისკის შემსუბუქებასთან დაკავშირებით.

რისკის მითიგაცია

ჯგუფი განუწყვეტლივ ამოწმებს კონცენტრაციის რისკს როგორც ცალკეულ მსესხებლების, ასევე სექტორებისა და ძირითადი რისკის მატარებლების მიმართ და აწესებს ლიმიტებს რისკის მითიგაციის მიზნით.

რისკის აპიტიტის ჩარჩოს ფარგლებში, ჯგუფი აწესებს ლიმიტებს როგორც ინდივიდუალური ისე სექტორული კონცენტრაციებისთვის. საქართველოში ან მეზობელ ქვეყნებში ეკონომიკურ-პოლიტიკური გარემოს ნებისმიერი მნიშვნელოვანი ცვლილებისას ჯგუფის მიერ გადაისინჯება რისკის აპიტიტის კრიტერიუმები წარმოქმნილი კონცენტრაციის რისკის შესამცირობლად ლიმიტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად გამოიყენება ეფექტური მონიტორინგის საშუალებები. გარდა ამისა, ჯგუფში გამოყოფილია რესტრუქტურისაციის განყოფილებები გადახდისუნარო მსესხებლების სამართავად საჭიროების მიხედვით, კლიენტები გადაეცემა რესტრუქტურისაციის განყოფილებებს უფრო ეფექტური მართვისა და საკრედიტო ზარალის შემცირებისთვის.

საქართველოს ეროვნული ბანკის კაპიტალის ახალი ჩარჩოს მიხედვით, „პილარ-2“-ის ფარგლებში წარმოდგენილია კონცენტრაციის ბუფერი, რაც ბანკს ეხმარება იმის უზრუნველყოფაში, რომ შეინარჩუნოს ადეკვატური კაპიტალის დონე კონცენტრაციის რისკის მითიგაციისთვის.

7. ძირითადი რისკი

ლიკვიდურობის რისკი დამახასიათებელია ჯგუფის ოპერაციებისთვის

მიუხედავად იმისა, რომ სამეთვალყურეო საბჭოს აზრით, ჯგუფის ვალდებულებების დროულად დასაფარავად ამჟამად ხელმისაწვდომია საკმარისი ფინანსური რესურსი, ლიკვიდობის რისკი საბანკო ოპერაციებისთვის თანდაყოლილია და შეიძლება მრავალმა ფაქტორმა გაზარდოს კიდევ. აღნიშნული ფაქტორები მოიცავს დაფინანსების კონკრეტულ წყაროზე ზედმეტად დაყრდნობას ან მის ხელმიწვდომობას, ასევე ცვლილებებს საკრედიტო რეიტინგებში ან ბაზრის მასშტაბით ისეთ ფენომენს, როგორიცაა გლობალური ფინანსური კრიზისი, რომელიც 2007 წელს დაიწყო. განვითარებად ბაზრებზე კომპანიებისათვის კრედიტის ხელმისაწვდომობაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ინვესტორის ნდობის დონე, ამიტომ ფაქტორებს, რომლებიც მასზე ზემოქმედებენ (მაგ., საკრედიტო რეიტინგის შემცირება, ცენტრალური ბანკის ან სახელმწიფოს ჩარევები, ან ვალის რესტრუქტურისაცია შესაბამის დარგში), შეუძლიათ შეცვალონ აღნიშნულ ბაზარზე მოქმედი კომპანიების დაფინანსების ფასი ან ხელმისაწვდომობა.

რისკის აღწერა

2018 წლის განმავლობაში ჯგუფი შესაბამისობაში იყო რისკის მისაღები დონის დადგენილ ზღვრებთან, ასევე საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილ ლიკვიდობის მინიმალურ მოთხოვნებთან. 2017 წელს ეროვნულმა ბანკმა შემოიღო ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტი, რომელშიც დეპოზიტის გადინების კოეფიციენტების შესაფასებლად გამოიყენეს „ბაზელ-3“-ის სახელმძღვანელო მითითებებით განსაზღვრული მოთხოვნების დამატებითი კონსერვატიული მიდგომა სავალდებულო რეზერვების შეწონვისა და კლიენტთა ჯგუფების კონცენტრაციის გათვალისწინებით. 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, წმინდა სესხების ფარდობა დეპოზიტებისა და საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების დაფინანსების ჯამთან იყო 89.1%, ლიკვიდურობის დაფარვის კოეფიციენტი იყო 113.9%, ხოლო ნეტ სტაბილური დაფინანსების კოეფიციენტი იყო 126.9%. ყველა მათგანი საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილ მინიმალურ მოთხოვნებზე ან ამგვარი კოეფიციენტებისთვის სახელმძღვანელო მითითებებზე საკმაოდ მაღალია.

რისკის მითიგაცია

მოცემული რისკის მითიგაციის მიზნით ჯგუფს უჭირავს მყარი ლიკვიდობის პოზიცია და თანხის გატანის სცენარებს ანალიზებს როგორც ჩვეულებრივი, ისე სტრესული გარემოებებისათვის იმაში დასარწმუნებლად,

რომ მას აქვს საკმარისი ლიკვიდური აქტივები და ფულადი ნაკადების შემოსვლა. ჯგუფი ინარჩუნებს დაფინანსების დივერსიფიცირებულ სტრუქტურას შესაბამისი ლიკვიდობის რისკის სამართავად. სამეთვალყურეო საბჭოს ხედვით, ლიკვიდობა საკმარისია იმისათვის, რომ გაუძლოს მომხმარებლების მიერ დეპოზიტების გატანას, თუმცა დეპოზიტების არსებითი თანხების მოულოდნელმა და სწრაფად გატანამ შეიძლება უარყოფითი გავლენა იქონიოს ჯგუფის ბიზნესზე, ფინანსურ მდგომარეობაზე, ოპერაციების შედეგებსა და/ან პერსპექტივაზე. ჯგუფს ლიკვიდობის მართვის ჩარჩოს ფარგლებში აქვს ალტერნატიული ლიკვიდობის გეგმა, რომელშიც მოცემულია რისკის მარკეტინგული სხვადასხვა სტრატეგიის სცენარისათვის და შესაბამისი სამოქმედო გეგმები. „აქტივებისა და ვალდებულებების მართვის კომიტეტი“ (ALCO) ახორციელებს ლიკვიდობის რისკის პოზიციისა და შიდა ლიმიტებთან შესაბამისობის მჭიდრო მონიტორინგს.

8. ძირითადი რისკი

ჯგუფის წმინდა საპროცენტო შემოსავლის ან წმინდა საპროცენტო მარჟის ნებისმიერმა შემცირებამ შესაძლოა გამოიწვიოს მომგებიანობის შემცირება.

წმინდა საპროცენტო შემოსავალი შეადგენს ჯგუფის საერთო შემოსავლების დიდ ნაწილს. შესაბამისად, წმინდა საპროცენტო მარჟის ნებისმიერი მერყეობა გავლენას ახდენს ოპერაციების შედეგებზე. პასუხისმგებლიანი დაკრედიტების სტანდარტებთან დაკავშირებულმა ახალმა რეგულაციამ, ასევე მაღალმა კონკურენციამ შეიძლება გამოიწვიოს საპროცენტო განაკვეთების შემცირება, რაც რისკის ქვეშ აყენებს ჯგუფის მომგებიანობას. ამავდროულად, დაფინანსების დანახარჯებს ჯგუფი მეტწილად დამოუკიდებლად განსაზღვრავს და ემყარება ლოკალურ და საერთაშორისო ბაზრებს.

რისკის აღწერა

ჯგუფის მთლიანი მოგების უმეტესი ნაწილი მიიღება წმინდა საპროცენტო შემოსავლიდან. აქედან გამომდინარე, წმინდა საპროცენტო მარჟის მერყეობა გავლენას ახდენს ჯგუფის შედეგებზე. 2018 წელს წმინდა საპროცენტო მარჟა გაიზარდა წინა წელთან შედარებით 0.4 pp-ით 6.9%-მდე, ჯგუფის მოლოდინების შესაბამისად, რაც ასახული იყო პროგნოზში, რომელიც წარმოადგენს ჯგუფის მართვის საფუძველს.

ზრდა გამოწვეული იყო ჯგუფის მიერ ჩატარებული ანალიტიკით მომხმარებლის სეგმენტაციასა და ფასდადებთან დაკავშირებით, ასევე პროდუქტის სწორი კომბინაციის მიზნად დასახვით, თუმცა გაზრდილი კონკურენცია ისევე, როგორც საპროცენტო განაკვეთების შემცირების ტენდენცია ქმნის პოტენციურ საფრთხეს წმინდა საპროცენტო მარჟისთვის.

ჯგუფი მართავს მასზე LIBOR-ისა და ადგილობრივი რეფინანსირების განაკვეთების პირდაპირ მოქმედებას შესაბამისი ლიმიტებისა და ფასდადების საშუალებით. 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, 4,259 მილიონი ლარის აქტივები (27%) და 1,785 მილიონი ლარის ვალდებულებები (13%) იყო მიხმული LIBOR/FED/ ECB (დეპოზიტის) განაკვეთებთან, ხოლო 3,147 მილიონი ლარის აქტივები (20%) და 2,286 მილიონი ლარის ვალდებულებები (17%) იყო მიხმული „სებ“-ის რეფინანსირების განაკვეთებთან. თუმცა, აქტივები მაინც უფრო გრძელვადიანია ვალდებულებებთან შედარებით.

პასუხისმგებლიან დაკრედიტებასთან დაკავშირებით ბოლო პერიოდში მიღებული რეგულაცია შეამცირებს მომხმარებელთა პორტფელის ზრდის ტემპს მოკლე და საშუალოვადიან პერსპექტივაში, რაც უარყოფითად აისახება ჯგუფის წმინდა საპროცენტო მარჟაზე, რომელიც მერყეობს 30 -50 bp-ს შორის. მთავრობის ინიციატივა საპროცენტო განაკვეთის ზედა ზღვრის 100%-დან 50%-მდე შემცირებასთან დაკავშირებით ასევე უარყოფითად აისახება წმინდა საპროცენტო მარჟაზე. თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ ასეთი პორტფელი ჯგუფისთვის არსებითი მნიშვნელობის არ არის, შესაბამისი ზეგავლენა წმინდა საპროცენტო მარჟაზე არამატერიალური იქნება.

რისკის მიტიგაცია

მაღალი მარჟის დონეები, სადაგასახადო და საკომისიო შემოსავლების ზრდა და უწყვეტი ხარჯების ოპტიმიზაციის მცდელობები იცავს ჯგუფს მარჟისა და მომგებიანობის შემცირებისგან. 2018 წლის განმავლობაში ჯგუფმა გააგრძელა აქტიური მუშაობა მარჟის მართვის მიმართულებით კარგი რეპუტაციის მქონე გარე კონსულტანტთან. მარჟის მართვის პროგრამა, რომელიც მოიცავს ადეკვატურ ფასწარმოქმნასა და მომგებიანობის ანალიზს გადაწყვეტილების მიღების პროცესში დასახმარებლად, 2019 წელს ჯგუფის ერთ-ერთ მთავარ საკითხად დარჩება.

ვადების მიხედვით აქტივებისა და ვალდებულებების შეუთავსებლობის შესამცირებლად იმ შემთხვევებში, როდესაც ხდება სესხების ვადის გაგრძელება მოქნილი პირობების ნაცვლად ფიქსირებული პირობებით, საპროცენტო განაკვეთის რისკი აისახება ფასებზე დანამატებში, რაც საპროცენტო განაკვეთების ცვლილებისგან დაცვის საშუალებაა.

ჯგუფი იმედოვნებს, რომ მარჟები დასტაბილურდება საშუალოვადიან პერიოდში და რომ შემცირებული მარჟები დაკომპენსირდება გაზრდილი საკომისიო და გაწეული მომსახურებიდან შემოსავლებით და თითოეული ტრანზაქციის შემცირებული დანახარჯებით. „სებ“-ის ახალი რეგულაცია, რომელიც ზღუდავს მომხმარებლის ფინანსებს და საცალო სესხებს ცვლის იპოთეკური სესხებით, დადებითად აისახება საკრედიტო რისკის ღირებულებაზე, რაც ხელს შეუწყობს წმინდა საპროცენტო მარჟაზე მორგებული რისკის შენარჩუნებას.

9. ძირითადი რისკი

ბოლო წლებში კიბერშეტევებით გამოწვეული საფრთხე გაიზარდა და კიდევ უფრო იმატებს.

პოტენციური კიბერშეტევების რისკმა, რომელიც უფრო დახვეწილი გახდა, შეიძლება უსაფრთხოების მნიშვნელოვანი რისკი გამოიწვიოს. მსგავსი რისკები სწრაფად იცვლება და მოითხოვს განუწყვეტელ ყურადღებასა და ინვესტიციას

რისკის აღწერა

ბოლო წლებში ქართულ კომერციულ ბანკებზე რაიმე სერიოზული კიბერშეტევა არ განხორციელებულა. მიუხედავად ამისა, ჯგუფის მზარდი დამოკიდებულება საინფორმაციო ტექნოლოგიების სისტემებზე ზრდის მის მიმართ პოტენციური კიბერშეტევების რისკს.

რისკის მითიგაცია

ჯგუფი ახორციელებს აქტიურ მონიტორინგს, აღმოაჩენს და თავიდან იცილებს კიბერშეტევების რისკს. თანამშრომლები აკვირდებიან მოვლენებს როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო ბაზრებზე, რათა აამაღლონ ცნობიერება კიბერშეტევების ახალი ფორმების მიმართ. შეღწევის პრევენცია და განაწილებული უარყოფის სერვისი (DDoS) დამცავი სისტემებია, რომლებიც შეიქმნა ჯგუფის დასაცავად გარე კიბერსაფრთხეებისაგან. არსებული უსაფრთხოების ინციდენტისა და მოვლენების მონიტორინგის სისტემები, შესაბამის პროცესებსა და პროცედურებთან ერთად, უზრუნველყოფენ კიბერინციდენტების ეფექტურად მოგვარებას.

ახალ პოტენციურ საფრთხეებზე რეაგირების მიზნით მუდმივად ახლდება და უმჯობესდება პროცესები. არსებული მონაცემების ანალიზის პოლიტიკა უზრუნველყოფს ბიზნესის უწყვეტობას სერიოზული კიბერშეტევების შემთხვევაში.

გარდა ამისა, „საინფორმაციო უსაფრთხოების მართვის კომიტეტი“ აქტიურად არის ჩართული საინფორმაციო უსაფრთხოებისა და ბიზნესის უწყვეტობის მართვის პროცესების გაუმჯობესებაში, საინფორმაციო უსაფრთხოების რისკების მინიმიზაციის მიზნით.

10. ძირითადი რისკი

ჯგუფის საქმიანობის თანდაყოლილი საოპერაციო რისკის ნაწილია გარე და შიდა თაღლითობის რისკები. საბანკო სექტორის დიჯიტალიზაციასთან ერთად ოპერაციების მზარდი სირთულისა და მრავალფეროვნების გამო იზრდება თაღლითობის რისკები. პროაქტიური მართვის გარეშე თაღლითობის შემთხვევებმა შეიძლება არსებითი ზეგავლენა მოახდინონ ჯგუფის მომგებიანობასა და რეპუტაციაზე

რისკის აღწერა

გარე თაღლითობა ჯგუფის საწინააღმდეგოდ შეიძლება მომდინარეობდეს მესამე მხარის ქმედებებისგან. ყველაზე ხშირად აღნიშნული შემთხვევები დაკავშირებულია ბარათებსა და ნაღდ ფულთან. შიდა თაღლითობა მომდინარეობს ჯგუფის თანამშრომლების მიერ განხორციელებული ქმედებებისგან და მსგავსი შემთხვევები შედარებით ნაკლებად, მაგრამ მაინც ხდება.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ჯგუფში დაფიქსირდა თაღლითობის მხოლოდ რამდენიმე შემთხვევა, რომელთაც არა არსებითი გავლენა ქონდა ჯგუფის მოგება-ზარალის ანგარიშგებაზე. მიუხედავად ამისა, თაღლითები იყენებენ ახალ ტექნიკას და მიდგომებს, ფულის უკანონოდ მისათვისებლად. აქედან გამომდინარე, თუ არ მოხდა ამ საკითხის სათანადოდ მონიტორინგი და მართვა, პოტენციური ზემოქმედება შეიძლება არსებითი იყოს.

რისკის მითიგაცია

ჯგუფი ახორციელებს აქტიურ მონიტორინგს, აღმოაჩენს და თავიდან იცილებს თაღლითობის რისკებს. შექმნილია მუდმივი მონიტორინგის პროცესები უჩვეულო ქმედებების დროულად აღმოსაჩენად. რისკისა და კონტროლის თვითშეფასების პროცესში ყურადღება გამახვილებულია ძირითადი პროცესების ნარჩენ რისკებზე, რომელთა გამოსწორება შესაძლებელია. თაღლითობის რისკების მონიტორინგსა და მითიგაციაზე ჩვენი მუდმივი ძალისხმევის შედეგად, შიდა პროცესების დიდი სირთულის მიუხედავად, ჯგუფი უზრუნველყოფს თაღლითური საქმიანობის დროულად აღმოჩენასა და კონტროლს.

ბიზნესი

რისკების მართვის მიზნები და პრინციპები

ჯგუფში მოქმედებს რისკის მართვის ბიზნესზე ორიენტირებული, მძლავრი და დამოუკიდებელი სისტემა. მისი ძირითადი მიზანია, ხელი შეუწყოს რისკის გათვალისწინებით შეფასებული უკუგების მდგრადობას რისკის მართვის ეფექტიანი სისტემის მეშვეობით. მიზნების უკეთ მისაღწევად ჯგუფი იყენებს რისკის მართვის ოთხ ძირითად პრინციპს

- **რისკების გამჭვირვალედ მართვა ურთიერთგაგებისა და ნდობის მოსაპოვებლად.** რისკთან დაკავშირებული პროცესებისა და პოლიტიკის თანამიმდევრულობა და გამჭვირვალობა სხვადასხვა დაინტერესებული მხარის ნდობის მოპოვების წინაპირობაა. რისკის მიზნებისა და სტრატეგიული პრიორიტეტების სწორი და სრულყოფილი კომუნიკაცია მმართველ ორგანოებთან და ანგარიშვალდებულების ფარგლებში სრულყოფილი რეაგირება რისკის მართვაზე პასუხისმგებელი თანამშრომლების ძირითადი პრიორიტეტებია.
- **რისკების გონივრული მართვა ზრდისა და მდგრადობის ხელშესაწყობად.** რისკების მართვის სისტემა უზრუნველყოფს ჯგუფის დაცვას გადაჭარბებული რისკებისგან; კაპიტალის ადეკვატურობის მართვა და მძლავრი, მომავალზე ორიენტირებული მართვის ინსტრუმენტები და გადაწყვეტილებები უზრუნველყოფს ჯგუფის მდგრადობას.
- **რისკის მართვის მეშვეობით სტრატეგიის გაძლიერების უზრუნველყოფა.** რისკის მართვაში ჩართული თანამშრომლების მიერ რისკების დროული იდენტიფიცირებით, ადეკვატური ფასდადებითა და რისკის მიტიგაციისკენ მიმართული ქმედებებით უზრუნველყოფილია ჯგუფის მიზნების განხორციელება და მიზნობრივი უკუგება.
- **რისკის მართვის გამოყენება კონკურენტული უპირატესობის მოსაპოვებლად.** სრულყოფილი, გამჭვირვალე და გონივრული რისკის მართვა ხელს უწყობს სხვადასხვა ჩართული მხარის მაღალ სანდოობას, ჯგუფის გრძელვადიან, მდგრად განვითარებას, რისკის მართვის სისტემის კონკურენტულ უპირატესობად ქცევას.

რისკების მართვის საფუძვლები

ჯგუფის რისკის მართვის სისტემა მოიცავს რისკის მართვისათვის საჭირო ყველა აუცილებელ კომპონენტს და შედგება ორგანიზაციული, საკრედიტო, ფინანსური და არაფინანსური რისკების მართვის, რისკრეპორტირებისა და სხვა დამხმარე, გამაერთიანებელი რისკების ინსტრუმენტებისაგან, როგორებიცაა: IT-ინფრასტრუქტურა, კაპიტალის მართვა, სტრუქტურები და სხვა ანალიტიკური საშუალებები. ქვემოთ მოცემულ დიაგრამაში ნაჩვენებია რისკის მართვის ჩარჩო:

ჯგუფის რისკის მართვის საფუძვლები

ორგანიზაციის რისკის მართვა

> რისკის აკვიტიტი > რისკის სტრატეგია > ბიზნესის დაგეგმვა

| | საკრედიტო რისკი | | ფინანსური რისკი | | არაფინანსური რისკი | | |
|--|-----------------|------|-----------------|--------|--------------------|------------|------|
| | კორპორატიული | MSME | საცალო | ბაზარი | ლიკვიდობა | საოპერაციო | სხვა |

| | | | | | | |
|-----------------------------------|-------------------|------------------|------------|----------|------------------------------|----------------|
| რისკის ფორმირება და მართვა | მართვის სტრუქტურა | დაცვის სამი დონე | კომიტიტები | პოლიტიკა | საქმიანობის შედეგების მართვა | რისკის კულტურა |
|-----------------------------------|-------------------|------------------|------------|----------|------------------------------|----------------|

რისკის რეპორტირება რისკის ანგარიშგება და ანალიზი

სისტემები და მონაცემები ინფრასტრუქტურა, საინფორმაციო ტექნოლოგიები და სისტემები

| | | | |
|--|-----------------------------|---|---|
| რისკის მოდელები, მეთოდოლოგიები და პროცესები | დაკრედიტების პროცესი | აქტივების და ვალდებულებების მართვა (ALM) და ლიკვიდობის რისკის მოდელირება და პროცესები | საოპერაციო რისკის მოდელირება და პროცესები |
| | საკრედიტო რისკის მოდელირება | | |

რისკის ჰვარდინი ანალიზი კაპიტალის ადეკვატურობის შიდა პროცესი (ICAAP) და სტრეს-ტესტები

მმართველობა

რისკების მართვას თიბისი ჯგუფი ანხორციელებს რისკების მართვის ერთიანი სისტემის ფარგლებში. რისკების მართვის პროცესში ყველა მმართველი რგოლის ჩართულობა, უფლებამოსილების ნათლად გამიჯვნა და სხვადასხვა დანაყოფს შორის ეფექტური კომუნიკაცია ხელს უწყობს ჯგუფის სტრატეგიისა და რისკის მიზნების ნათლად წარმოჩენასა და მათ შესაბამისობას რისკის დადგენილ აპეტიტთან.

ჯგუფის მართვის სტრუქტურა უზრუნველყოფს ადეკვატურ ზედამხედველობას, ანგარიშვალდებულებისა და მოვალეობების მკაფიო გამიჯვნას. რისკების მართვის უმაღლესი ორგანოა სამეთვალყურეო საბჭო, რომელიც გასაზღვრავს ჯგუფის სტრატეგიას და ზედამხედველობას უწევს სტრატეგიული მიზნების შესრულებას. ხოლო დირექტორთა საბჭო ხელმძღვანელობს და წარმართავს ჯგუფის ყოველდღიურ საქმიანობას.

| | | | | | |
|---------------------------------|----------------------------|---|--|--|-------------------------|
| სამეთვალყურეო საბჭო | სამეთვალყურეო საბჭო | რისკების, ეთიკის და შესაბამისობის კომიტეტი | აუდიტის კომიტეტი | | |
| დირექტორთა საბჭო | რისკების კომიტეტი | საოპერაციო რისკის კომიტეტი | აქტივებისა და ვალდებულებების მართვის კომიტეტი | საინფორმაციო უსაფრთხოების კომიტეტი | |
| რისკის მართვის სტრუქტურა | ფუნქციები: | კომპანიის რისკი | საკრედიტო რისკი | ფინანსური რისკი | საოპერაციო რისკი |
| | კომიტეტი/ბაი: | სახსის დაბრუნების კომიტეტი | | პრობლემატი სახსრის მართვის კომიტეტი | |

რისკის მართვის სტრუქტურა შედგება სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორთა საბჭოსგან, თითოეულში შედის შესაბამისი რისკის კომიტეტი. სამეთვალყურეო საბჭოს ექვემდებარება რისკის, ეთიკისა და შესაბამისობის კომიტეტი, რომელიც ზედამხედველობას უწევს ჯგუფის რისკის პროფილსა და რისკის მართვის პრაქტიკას, აგრეთვე არსებობს აუდიტის კომიტეტი, რომელიც პასუხისმგებელია ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის განხორციელებასა და დანერგვაზე, შიდა და გარე აუდიტორების საქმიანობის ხელშეწყობაზე.

დირექტორთა საბჭოს რისკის კომიტეტი შეიქმნა ჯგუფის მასშტაბით რისკის მართვის ღონისძიებების წარმართვისა და ძირითადი რისკის ტენდენციების მონიტორინგისათვის, რათა უზრუნველყოფილ იქნეს რისკის პროფილის შესაბამისობა დადგენილი რისკის აპეტიტთან. დირექტორთა საბჭოს საოპერაციო რისკის კომიტეტი გადაწყვეტილებებს იღებს საოპერაციო რისკის მართვასთან დაკავშირებით, ხოლო აქტივებისა და ვალდებულებების მართვის კომიტეტი (ALCO) პასუხისმგებელია აქტივებისა და ვალდებულებების მართვის პოლიტიკის განხორციელებაზე.

სამეთვალყურეო და დირექტორთა საბჭოები რისკების მართვას ახორციელებენ რისკების აპეტიტის მეშვეობით, რომელშიც დადგენილია რისკის სასურველი პროფილი და რისკის ლიმიტები სხვადასხვა ეკონომიკური გარემოს გათვალისწინებით. რისკაპეტიტის ჩარჩო მოიცავს ასევე მონიტორინგსა და რეპორტირებს, სხვადასხვა გამომწვევი მოვლენისათვის ესკალაციის გზებსა და რისკების მიტიგაციის ქმედებების განხორციელებას იმ შემთხვევაში, თუ ის სცილდება ჯგუფის მიერ დადგენილ საზღვრებს. ჯგუფის რისკის აპეტიტის ყოველდღიურ ოპერაციებში უფრო ეფექტურად ასახვისთვის რისკის აპეტიტის ინდიკატორები ჩაშლილია დეტალურ ლიმიტებად ბიზნესერთეულის დონეზე, რომელიც აყალიბებს რისკის განაწილებას სხვადასხვა სეგმენტსა და საქმიანობას შორის რისკის აპეტიტის დადგენა და კასკადირება ხორციელდება ბიზნესის დაგეგმვის პარალელურად. ბიზნესისა და რისკის გეგმების ინტერაქტიური შემუშავება უზრუნველყოფს გეგმების შეჯერებას ამ პროცესში რისკისა და უკუგების ურთიერთკავშირის განსაზღვრით, რაც ხელს უწყობს მიზნების მიღწევას. სამეთვალყურეო საბჭოს დონეზე ზედამხედველობა ჯგუფის რისკის მართვაში, უფროსი მენეჯმენტის ჩართულობასთან

ერთად და რისკების top-down განაწილება
ორგანიზაციული რისკების მართვის განყოფილების
მიერ უზრუნველყოფს რისკების მიზნების სიხადეს,
რისკის პროფილის ინტენსიურ მონიტორინგს რისკის
აპტიტთან მიმართებით, დროულ რეაგირებას რისკთან
დაკავშირებულ საკითხებზე და გამოსასწორებელი
ლონისძიებების სწრაფად შემუშავებას.

ცალკეული რისკების ყოველდღიური მართვა ემყარება
დაცვის სამი დონის პრინციპს. რისკების ძირითად
ამდებია ბიზნესსეგმენტები, რისკის გუნდი ასრულებს
დაცვის მეორე დონის ფუნქციას ტრანზაქციების
სანქცირებით, რისკის იდენტიფიცირების, ანალიზის,
გაზომვის, მონიტორინგისა და რეპორტირების
საშუალებებით. კომიტეტები, რომლებიც ფუნქციონირებენ
ოპერაციულ დონეზე, დელეგირების ფარგლებში იღებენ
ტრანზაქციული დონის გადაწყვეტილებებს, დამყარებულს
„ოთხი თვალის“ პრინციპზე. ყველა ახალი პროდუქტი
და პროექტი გადის რისკის ჯგუფების ხელში, რათა
სრულყოფილად გაანალიზდეს რისკები. კონტროლის
ეს მექანიზმები გარანტიას იძლევა, რომ ჯგუფი იღებს
ინფორმირებულ გადაწყვეტილებებს, რაც სათანადოდაა
შეფასებული და არ ხდება რისკების აღება ჯგუფის
დადგენილ ზღვრებს ზევით. საკრედიტო, ლიკვიდობის,
ბაზრის, საოპერაციო და სხვა არაფინანსურ რისკებს
მართავენ შესაბამისი სტრუქტურული ერთეულები.

ჯგუფის რისკის მართვის მძლავრი და დამოუკიდებელი
სტრუქტურა ყველა საჭირო ფუნქციის შესრულების
საშუალებას იძლევა დაცვის მეორე დონის ფარგლებში
მალაკვალიფიციური პროფესიონალების წყალობით,
რომლებიც ფლობენ დაბალანსებულ ცოდნას საბანკო
მომსახურებისა და უძრავი ქონების სფეროში
ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზრებზე .

რისკის დირექტორზე დაქვემდებარებული რისკის
გუნდების გარდა, შესაბამისობის რისკის მართვის
განყოფილება ანგარიშვალდებულაა უშუალოდ
გენერალური დირექტორის წინაშე და პასუხისმგებელია
ფულის გათვორების წინააღმდეგ ბრძოლასა და
შესაბამისობის რისკის მართვაზე. მესამე დონის დაცვას
წარმოადგენს შიდა აუდიტის დეპარტამენტი, რომელიც
ბანკს აძლევს დამოუკიდებელ და ობიექტურ რწმუნებას,
ამასთანავე, უწევს რეკომენდაციას დამატებით
ოპერაციებისა და რისკების მართვის გასაუმჯობესებლად.

ორგანიზაციის რისკების მართვა

ცენტრალიზებული ორგანიზაციის რისკების მართვის
[ERM] განყოფილება უზრუნველყოფს რისკის
სტრატეგიისა და რისკის აპტიტის ეფექტურად
შემუშავებას, კომუნიკაციასა და დანერგვას ჯგუფის
მასშტაბით. ორგანიზაციის რისკების მართვის
განყოფილება ხელს უწყობს რისკის ჯვარედინ
ლონისძიებებს, როგორებიცაა: აგრეგირება, ანალიზი
და რეპორტირება და ეხება ისეთ პრობლემებს,

რომლებიც არაა სპეციფიკური რომელიმე ერთი ტიპის
რისკისათვის. შესაბამისად, ERM-ის ფუნქცია ავსებს
რისკის სხვა ფუნქციებს, რათა მოიცვას ძირითადი
რისკის ღონისძიებები და პასუხისმგებლობები და
წარმოქმნას ცენტრალიზებული გუნდის შესაძლებლობები.
ორგანიზაციის რისკების მართვის ძირითადი ფუნქციები
შეიძლება შეჯამდეს შემდეგნაირად:

- რისკის აპტიტის განსაზღვრა, კასკადირება და
მონიტორინგი ჯგუფის სტრატეგიის აუცილებელი
ელემენტებია. რისკის ბიუჯეტი ნაწილდება ცალკეულ
ბიზნესმიმართულებებზე, რათა მიღწეულ იქნეს
მაჩვენებლები აგრეგირებულ დონეზე.
- თიბისი ბანკის კაპიტალის ადეკვატურობის შიდა
შეფასება უწყვეტი პროცესია, რათა უზრუნველყოფილ
იქნეს მოულოდნელი ზარალის სათანადოდ
განაგარიშება და მოხდეს სათანადო მიტიგაციისკენ
მიმართული ღონისძიებების განხორციელება
გადახდისუნარიანობის უზრუნველსაყოფად.
ეკონომიკური კაპიტალის შეფასება ხორციელდება
თიბისი ბანკის ყველა არსებითი რისკისთვის,
როგორებიცაა: საკრედიტო, ფინანსური, საოპერაციო
და საბაზრო რისკები. ამასთან, ინდივიდუალური
ეკონომიკური კაპიტალის განაგარიშებებს ავსებს
ორგანიზაციის დონის სტრესტესტები. თიბისი ბანკი
შერჩეული სტრესსცენარების საფუძველზე ავასებს
ზარალს და ახდენს კაპიტალის ადეკვატურობის
კოეფიციენტების პროგნოზირებას. ეს ეხმარება ბანკს
განსაზღვროს კაპიტალის ბუფერები, რომლებიც
მას უნდა ეკავოს მარეგულირებელი მოთხოვნების
შესაბამისად, წინასწარ განსაზღვრული სტრესის
სცენარის ფარგლებში.
- სტრესტესტები რისკის იდენტიფიკაციის, შეფასებისა
და მიტიგაციის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი
ინსტრუმენტია. ამ მხრივ თიბისი ბანკი მუდმივად
ავითარებს სტრესტესტირების შესაძლებლობებსა და
მეთოდოლოგიას. სტრესტესტები რისკის რეგულარული
მართვის ღონისძიებების ნაწილია როგორც
ოპერაციების, ისე პორტფელის დონეზე
- ERM-ის მნიშვნელოვანი ამოცანაა ასევე რისკის
მართვის პრაქტიკის თანმიმდევრულობა. რისკების
მართვის ფუნქცია, რომელიც მიმართულია
თანმიმდევრულობის უზრუნველყოფისკენ, გულისხმობს
რისკების იდენტიფიცირებას, გაზომვას და მართვას
ოპტიმალური გზით, ჯგუფის ფარგლებში, და მათ
რეპორტირებასა და გააზრებას კონსოლიდირებულ
საფუძველზე.
- რისკის შესაფერისი უკუგების გენერირება
მნიშვნელოვან როლს ასრულებს ბიზნეს მოდელის
მდგრადობის უზრუნველსაყოფად. რისკების
გათვალისწინება ფასწარმოქმნის პროცესში ისე
ხორციელდება, რომ თავიდან იქნეს აცილებული
ჭარბი ოდენობით რისკის აღება და უზრუნველყოფს
იმის გარანტიას, რომ კომპანია იღებს ადეკვატურად
შეფასებულ რისკს.

საკრედიტო რისკის მართვა

ჯგუფის, როგორც საბანკო მომსახურების მიმწოდებლის წინაშე დგას საკრედიტო რისკი, რომელიც დაკავშირებულია მსესხებლის ან მესამე პირის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობასთან. საკრედიტო რისკი ჯგუფის ყველაზე მატერიალური რისკია, რადგან იგი ძირითადად ტრადიციულ დაკრედიტებას ეწვეა და აქვს მარტივი საბალანსო უწყისი. ამგვარად, ჯგუფი მნიშვნელოვან რესურსს გამოყოფს მის სამართავად.

საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს სავალუტო კურსით გამოწვეული საკრედიტო რისკი, რაც დაკავშირებულია ჯგუფის პორტფელში უცხოურ ვალუტაში გაცემული სესხის არაპეჯირებულ მსესხებლებზე გაცემით, რომელიც აქტუალურია ქვეყანაში მაღალი დოლარიზაციის დონიდან გამომდინარე. საკრედიტო რისკი ასევე მოიცავს კონცენტრაციის რისკებს, რომლებიც შეიძლება წარმოიშვას რამოდენიმე მსესხებელზე დიდი მოცულობის პორტფელის შექმნით ან პორტფელის კონცენტრაციით ეკონომიკის ცალკეულ დარგებში.

საკრედიტო რისკების მართვის მიზანია ჯგუფში არსებობდეს გამართული პროცესები რომლებიც უზრუნველყოფს ინდივიდუალურ ტრანზაქციების დონეზე მიღებული გადაწყვეტილებების შესაბამისობას მისაღები რისკის დონის ფარგლებთან. ასევე, ეფექტურად დანერგილი პროცესები უზრუნველყოფს პორტფელში არსებული საკრედიტო რისკების დროულ აღმოჩენას, გაზომვასა და მონიტორინგს.

საკრედიტო რისკების ეფექტურად მართვის მიზნით ჯგუფში დანერგილია სეგმენტებსა და პროდუქტებზე მორგებული მიდგომები. შესაბამისად კორპორატიული, მცირე და საშუალო და საცალო პორტფელის მართვა ხორციელდება მოცემული სეგმენტების თავისებურებების გათვალისწინებით. კორპორატიული და მცირე და საშუალო სეგმენტის მსესხებლების (მიკროს გარდა) მართვა ხორციელდება ინდივიდუალურად, მოცემული კლიენტების შედარებით დიდი დავალიანებიდან გამომდინარე; ხოლო მიკრო და საცალო მსესხებლების მართვა კი ხორციელდება პორტფელურად. საკრედიტო რისკის ძირითადი ფუნქციების შეჯამება მოცემულია ქვემოთ.

კრედიტის დამტკიცება

ჯგუფის მიზანია უზრუნველყოს სესხების გაცემის ჯანსაღი პროცესის არსებობა, სესხის გაცემის კრიტერიუმების მკაფიოდ ჩამოყალიბებისა და მსესხებლის რისკის პროფილის შეფასების ეფექტიანი პროცესის მეშვეობით. ბანკში არსებობს საკრედიტო რისკის შეფასების სრულყოფილი ჩარჩო, სადაც ცალსახადაა გამიჯნული კრედიტის ანალიზში და დამტკიცებაში მონაწილე მხარეების მოვალეობები. კრედიტის შეფასების პროცესი განსხვავდება სეგმენტებისა და ინდივიდუალური

პროდუქტების მიხედვით, იმისთვის რომ სათანადოდ მოხდეს აქტივების სხვადასხვა ჯგუფების შესაბამისი თავისებურებების გათვალისწინება. კორპორატიული, მცირე და საშუალო და მსხვილი საცალო და მიკრო სესხების შეფასება ხორციელდება ინდივიდუალურ დონეზე, ხოლო მცირე ზომის საცალო და მიკრო სესხებზე გადაწყვეტილების პროცესი ძირითადად ავტომატიზებულია.

მსესხებლების მოთხოვნების საფუძვლიანად შეფასების შემდეგ საკრედიტო ანალიტიკოსები კორპორატიული სესხის შემთხვევაში და ბიზნეს დაკრედიტების ექსპერტები მცირე და საშუალო საწარმოების სესხის შემთხვევაში, ამზადებენ პროექტს, რომელშიც ასახულია პოტენციურ მსესხებელთან დაკავშირებული ძირითადი ინფორმაცია და წარადგენენ განსახილველად დაკრედიტების რისკების მართვის განყოფილებაში. რისკების მართვის მენეჯერი აფასებს პროექტს და უზრუნველყოფს, რომ ანალიზი არის სრულყოფილი, ყველა სახის რისკი და შესაბამისი მიტიგაციის გზები იდენტიფიცირებულია და სათანადოდ გათვალისწინებული, და სესხი სწორად სტრუქტურირებულია. ბიზნესის რისკის მენეჯერები სპეციალიზირდებიან კონკრეტული დარგების მიხედვით იმისთვის, რომ სათანადოდ იცნობდნენ კონკრეტულ დარგში მიმდინარე ტენდენციებსა და მოვლენებს.

საკრედიტო კომიტეტის სტრუქტურა მრავალდონიანია, და დამტკიცების უფლებამოსილებები განსხვავებულია მსესხებლების ჯამური დავალიანებისა და რისკის პროფილის შესაბამისად. საკრედიტო კომიტეტზე ხდება საკრედიტო განაცხადების განხილვა და დამტკიცება. ყველაზე მაღალი დონის კომიტეტში მონაწილეობენ: გენერალური დირექტორი, კორპორატიული და საინვესტიციო საბანკო ბიზნესის მართვის დირექტორი და რისკების მართვის დირექტორი. ამასთან, 20 უმსხვილესი მსესხებლის საკრედიტო განაცხადისთვის, ან სესხებისთვის, რომელთა ოდენობა აღემატება ბანკის სააქციო კაპიტალის 5%-ს, მოითხოვება რისკის, ეთიკის და შესაბამისობის კომიტეტის მიერ განხილვა და დამტკიცება.

საცალო და მიკრო სეგმენტის დაკრედიტების ექსპერტები საკრედიტო განაცხადებს წარუდგენენ შესაბამისი დაკრედიტების რისკების მართვის განყოფილებას. საკრედიტო კომიტეტზე განაცხადის განხილვა ხორციელდება წინასწარ განსაზღვრული ლიმიტების ფარგლებში სესხის ოდენობისა და რისკის დონის გათვალისწინებით.

არაუზრუნველყოფილი საცალო სესხების, განვადებისა და საკრედიტო ბარათების ანალიზისა და გაცემის პროცესი ძირითადად ავტომატიზებულია და ემყარება შიდა სქორინგის მოდელებსა და საკრედიტო ბიუროს რეიტინგებს. სქორინგის მოდელები განსხვავებულია პროდუქტის ტიპებისა და მსესხებლების სეგმენტის მიხედვით, და ითვალისწინებს სხვადასხვა ტიპის შიდა და

გარე მონაცემებს. სქორინგის მოდელების მონიტორინგი მუდმივად ხორციელდება, რათა უზრუნველყოფილ იქნას მიღებული გადაწყვეტილებების შესაბამისობა წინასწარ განსაზღვრული რისკის ლიმიტებთან.

პასუხისმგებლიან დაკრედიტების ახალი რეგულაციით განისაზღვრა შემოსავლის დასახულების მოთხოვნის პროცედურა, რომელიც ბანკმა გაითვალისწინა და ასახა შიდა დაკრედიტების პროცესებში.

სავალუტო კურსით გამოწვეული საკრედიტო რისკი
ბანკის წინაშეა სავალუტო კურსის ცვლილებით გამოწვეული საკრედიტო რისკი, რადგან მისი სესხების დიდი ნაწილი უცხოურ ვალუტაშია დენომინირებული, საქართველოს ეკონომიკის შესაბამისად, რომელიც მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ეროვნული ვალუტისგან განსხვავებულ ვალუტებზე, თუმცა თიბისი ბანკმა განსაზღვრა მისაღები რისკის ლიმიტები, რათა უზრუნველყოფს უცხოური ვალუტის წილის შემცირება საკრედიტო პორტფელში. სავალუტო კურსის ცვლილებით გამოწვეული საკრედიტო რისკის შესარბილებლად მთლიან სასესო პორტფელში, საკრედიტო რისკის მართვის ყველა ეტაპზე გამოიყენება მართვის სხვადასხვა ინსტრუმენტი და მეთოდი. 2019 წლის იანვარში სახელმწიფო ორგანოებმა განაგრძეს ძალისხმევა უცხოური ვალუტით დაფინანსებაზე ეკონომიკის დამოკიდებულების შესამცირებლად, გაზარდეს რა ზედა ლიმიტი 200,000 ლარამდე, რომლის ფარგლებშიც სესხების გაცემა უნდა მოხდეს მხოლოდ ეროვნულ ვალუტაში. გარდა ამისა, „სებ“-მა თავისი პასუხისმგებლიანი დაკრედიტების ინიციატივით, რომელიც ძალაში შევიდა 2019 წლის 1 იანვარს, შემოიღო უფრო კონსერვატიული PTI და LTV ზღვრები არაჰეტირებული საცალო მსესხებლებისთვის, რამაც კიდევ უფრო შეზღუდა პრტფელი გაცვლითი კურსით გამოწვეული საკრედიტო რისკის მიმართ. ჯგუფი იყენებს კონსერვატიული დაკრედიტების სტანდარტებს არაჰეტირებული მსესხებლების მიმართ, რომელთა სესხები დენომინირებულია უცხოურ ვალუტაში, რათა დარწმუნდეს, რომ ისინი გაუძლებენ გაცვლითი კურსის გარკვეულ დონეს, გარდა დაკრედიტების პროცესში მოქმედი ზომებისა, ჯგუფი აქტიურად აკვირდება და აფასებს უცხოურ ვალუტაში დენომინირებულ სესხებს სტრეს-ტესტირების საშუალებით და აქვს საკმარისი კაპიტალის რეზერვები მოულოდნელი დანაკარგების შემთვევებისთვის.

ვალუტის არსებითი გაუფასურების შემთვევაში ბანკს გააჩნია მეთოდები მონიტორინგის ღონისძიებების დასაქმრებლად, პოტენციური სისუსტეების მქონე მომხმარებლების იდენტიფიცირებისა და მითიგაციისკენ მიმართული ღონისძიებების დროულად გასატარებლად.

საკრედიტო კონცენტრაციების რისკი

ჯგუფს გააჩნია კონცენტრაციის რისკი, რომელიც განისაზღვრება, როგორც პორტფელის ხარისხის პოტენციური გაუარესება პიროვნებებზე ან დარგებზე დიდი ოდენობით სესხის გაცემის გამო. ბანკი ფლობს საშუალებებს კონცენტრაციის რისკის, კერძოდ კი, პორტფელში ცალკეული პირებისა და სექტორული კონცენტრაციის, ეფექტური მართვისათვის.

ჯგუფს აქვს კონცენტრაციის ლიმიტები ცალკეული მსესხებლებისა და 20 ყველაზე მსხვილ მსესხებელთა ჯგუფზე და კონცენტრირებულია ამ პორტფელის სტრუქტურისა და ხარისხის ოპტიმიზაციაზე. ამასთან, თიბისი ბანკი აწესებს ლიმიტებს ცალკეულ სექტორებზე, მაღალი რისკის მქონე სექტორებში უფრო კონსერვატიული ზედა ლიმიტის გამოყენებით, რაც ემყარება დარგის ციკლებისა და პერსპექტივის სრულყოფილ ანალიზს.

საკრედიტო კონცენტრაციების მონიტორინგი ხორციელდება ყოველთვიურად. კეთდება რისკის პოზიციათა ტენდენციების დეტალური ანალიზი და რისკის ახალი წყაროების წარმოქმნის ან პოზიტიური მოვლენების შემთვევაში გაიცემა გამოსასწორებელ ღონისძიებათა რეკომენდაციები.

პორტფელში კონცენტრაციების დონის მართვის პარალელურად, ჯგუფი აფასებს მოულოდნელ ზარალს და შესაბამის ეკონომიკურ კაპიტალს როგორც ცალკეული მსესხებლებისთვის, ისე სექტორებისთვის Herfindahl-Hirschman-ის ინდექსის გამოყენებით და ამგვარად უზრუნველყოფს კონცენტრაციის რისკისთვის საკმარისი კაპიტალის არსებობას.

უზრუნველყოფის პოლიტიკა

თიბისი ბანკის მიერ უზრუნველყოფა გამოიყენება საკრედიტო რისკების მითიგაციის ძირითად საშუალებად და ამდენად, უზრუნველყოფის ეფექტური მართვა განსაკუთრებული მნიშვნელობისაა რისკების მისაღებ დონეზე შესანარჩუნებლად. თიბისი ბანკის მიერ მიღებული უზრუნველყოფის საშუალებები სხვა სახეობებთან ერთად მოიცავს: უძრავ ქონებას, ფულად დეპოზიტს, სატრანსპორტო საშუალებას, დანადგარებს, მარაგებს, ოქროს, ფასიან ქალაღებებსა და თავდებობა/ გარანტიებს. სესხისთვის მოთხოვნილი/მიღებული უზრუნველყოფა დამოკიდებულია საკრედიტო პროდუქტის მახასიათებლებსა და მსესხებლის რისკის პროფილზე. ჯგუფის პორტფელი კარგად უზრუნველყოფილია ყველა სეგმენტში და უზრუნველყოფის ყველაზე დიდ ნაწილს უძრავი ქონება წარმოადგენს.

უზრუნველყოფის მართვასთან დაკავშირებით თიბისი ბანკის მიდგომებსა და სტრატეგიას მართავს უზრუნველყოფის მართვისა და შეფასების ცენტრალიზებული განყოფილება. აღნიშნული

განყოფილება უზრუნველყოფს, რომ უზრუნველყოფის ობიექტი წარმოადგენდეს საკრედიტო რისკის მიტიგაციის ადეკვატურ საშუალებას. უზრუნველყოფის მართვის ჩარჩო მოიცავს დამოუკიდებელი შეფასების პროცესის არსებობას, სესხის გაცემისას უზრუნველყოფის ადეკვატური ღირებულების გათვალისწინებას, მონიტორინგისა და გადაფასების გამართული სქემების არსებობას.

დაკრედიტების პროცესში უზრუნველყოფის შეფასება ხდება „უზრუნველყოფის მართვისა და შეფასების განყოფილების“ (CMAD) მიერ „შეფასების საერთაშორისო სტანდარტების“ (IVS), „სებ“-ის მოქმედი რეგულაციების და შიდა პოლიტიკის/პროცედურების შესაბამისად. კონკრეტული შემთხვევების დროს, როგორცაა სესხების გაცემა დაკავშირებული მხარეებისთვის და მატერიალური ტრანქაქციების შემთხვევაში, შეფასებები ხორციელდება გარე შემფასებლების მიერ.

უზრუნველყოფის მართვის ფუნქცია სრულად ავტომატიზირებულია ინტერნეტ და მობილური აპლიკაციების საშუალებით სავალდებულო და სამაგიდე აქტივობებისთვის. შიდა შეფასების პროცესი, როგორც „უზრუნველყოფის მართვისა და შეფასების განყოფილების“ ფუნქციის ერთ-ერთი ნაწილი, სრულიად დამოუკიდებელია სესხის გაცემის პროცესისგან, რათა უზრუნველყოფილი იქნას ადეკვატური შეფასების მიღება და შესაბამისი პროცედურების დაცვა. უზრუნველყოფის შეფასებისას ჯგუფი ახდენს აქტივის საბაზრო ღირებულების შემცირებას, და შემცირების კოეფიციენტი დამოკიდებულია ქონების ტიპსა და მდებარეობაზე

მაღალი ღირებულების მქონე უზრუნველყოფის გადაფასება ხდება ყოველწლიურად, ინდივიდუალური მიდგომის საფუძველზე. შედარებით მცირე ღირებულების უზრუნველყოფის ობიექტების ღირებულების მონიტორინგისათვის კი გამოიყენება სტატისტიკური მეთოდები. უზრუნველყოფის მართვის ფუნქცია იყენებს საბაზრო კვლევებს, რომლებიც ხორციელდება პროექტის უძრავი ქონების საბაზრო ლაბორატორიის (REM ლაბორატორიის) ფარგლებში.

კრედიტის მონიტორინგი

ჯგუფის რისკის მართვის პოლიტიკა და პროცესები ისეა შემუშავებული, რომ დროულად გამოვლინდეს და გაანალიზდეს სხვადასხვა ტიპის რისკები და საიმედო და დროულ მონაცემებზე დაყრდნობით განხორციელდეს წინასწარ დადგენილ ლიმიტებთან შესაბამისობის მონიტორინგი. თიხის ბანკი მნიშვნელოვან რესურსებს გამოყოფს სხვადასხვა ბიზნესგემენტებში არსებული საკრედიტო რისკების ზუსტად შესაფასებლად.

ჯგუფი იყენებს მონიტორინგის გამართულ სისტემას მაკრო და მიკრო მოვლენებზე სწრაფი რეაგირების უზრუნველსაყოფად, საკრედიტო პორტფელში არსებული სისუსტეების დროულად გამოვლენისა და შესაბამისი

გადაწყვეტების ჩამოყალიბებისათვის. მონიტორინგის პროცესი მორგებულია ცალკეულ სემენტებზე და მოიცავს ინდივიდუალური სესხების მონიტორინგს, პორტფელურ მონიტორინგსა და გარე ტენდენციების ანალიზს, რამაც შეიძლება გავლენა იქონიოს პორტფელის ხარისხზე. ადრეული გაფრთხილების სიგნალები მნიშვნელოვანია პორტფელის ხარისხის გაუარესების დროულად აღმოსაჩენად, და საპასუხო ღონისძიებების დროულად გატარებისთვის.

სამეთვალყურეო საბჭოს რისკის, ეთიკის და შესაბამისობის კომიტეტი კვარტალურად განიხილავს ანგარიშებს საკრედიტო პორტფელის ხარისხის შესახებ. ისტორიული დინამიკისა და სამომავლო მოლოდინების გათვალისწინებით შესაძლებელია რისკების დროულად გამოვლენა და მათზე რეაგირება თიხის ბანკის პოლიტიკის დროულად შესწორების გზით.

რესტრუქტურისაცია და თანხების ამოღება

ჯგუფი იყენებს პორტფელის ზედამხედველობის კომპლექსურ სისტემას საყურადღებო სესხების იდენტიფიცირებისა და საჭიროების შემთხვევაში გამოსასწორებელი ზომების მისაღებად. ამოღებისა და აღდგენის პროცესების ინიცირება ხდება მაშინ, როდესაც მსესხებელი ვერ აკმაყოფილებს გადახდის შეთანხმებულ პირობებს ან მსესხებლის ფინანსური მდგომარეობა გაუარესებულია, რაც პოტენციურად საფრთხეს უქმნის კრედიტის გადახდას.

რესტრუქტურისაციისა და პრობლემური აქტივების მართვის განყოფილებები ახორციელებენ გადახდისუნარო მსესხებლების მართვას ყველა ბიზნესგემენტზე ვადაგადაცილებათა მართვისა და პრობლემური სესხების ამოღების სტრატეგიებით, მორგებული ბიზნესგემენტისა და ინდივიდუალური დავალიანებების სპეციფიკაზე. რესტრუქტურისაციის ქვედანაყოფის ძირითადი მიზანია მსესხებლის რეაბილიტაცია და სესხის გადაყვანა ისე სტანდარტულ კატეგორიაში. რეაბილიტაციის პროცესის კომპლექსურობა დამოკიდებულია სესხის ტიპსა და სიდიდეზე. კორპორატიული, მცირე და საშუალო ბიზნესის მსესხებლები პრობლემური აქტივების ქვედანაყოფს გადაეცემა მაშინ, როდესაც მაღალია ალბათობა, რომ სესხის ძირითადი თანხის მატერიალური ნაწილის გადახდა ვერ მოხდება და მსესხებლის ფულადი ნაკადები აღარ წარმოადგენს სესხის დაფარვის ძირითად წყაროს.

სესხის ამოღების გეგმები შეიძლება მოიცავდეს სესხის ამოღების ყველა ხელმისაწვდომ რესურსს, როგორებიცაა: მსესხებლის აქტივების გაყიდვა, უზრუნველყოფის რეალიზება ან გარანტორების/თავდებების გამოყენება. სესხის ამოღების პროცესში თიხის ბანკის მიზანია სესხის აღდგენის სტრატეგიის შეთანხმება მსესხებელთან და რაც შეიძლება მეტი ოდენობით თანხის ამოღება ან სესხის გადახდაზე მოლაპარაკება უზრუნველყოფის გაყიდვით ან დასაკუთრებით

საჯარო და მიკროსესხების ამოღების ქვედანაყოფები ეხმარებიან ისეთ მომხმარებლებს, რომელთაც წარმოექმნათ ვალდებულებების დაფარვის სირთულე. ასეთი მსესხებლები ან ვერ ახორციელებენ გრაფიკით განსაზღვრული გადახდებს, ან თავად აცნობებენ ბანკს სესხის დაფარვასთან დაკავშირებული სირთულის შესახებ. ცენტრალიზებული ჯგუფი ახორციელებს საჯარო ვადაგადაცილებული მსესხებლების მონიტორინგს და მათი ძალისხმევა ფილიალებთან ერთად მიმართულია ამოღების მაქსიმიზაციისკენ. პროგრამული უზრუნველყოფა, FICO, გამოიყენება ამოღების პროცესებისათვის ადრეულ ეტაპზე. ამოღების სტრატეგიები განისაზღვრება სესხის ოდენობისა და ტიპის მიხედვით. ინდივიდუალური სტრატეგიები მორგებულია მომხმარებლების სხვადასხვა ქვეჯგუფზე და ასახავს შესაბამისი რისკის დონეებს ისე, რომ მეთი ძალისხმევა ხმარდება უფრო მაღალი რისკის პროფილის მქონე მომხმარებლებს.

როგორც წესი, საჯარო და მიკროსესხები პრობლემური აქტივების ქვედანაყოფს გადაეცემა 60-90-დღიანი ვადაგადაცილების შემდეგ. უზრუნველყოფილი სესხები გადაეცემა შიდა პრობლემური აქტივების ქვედანაყოფს, ხოლო არაუზრუნველყოფილი სესხების ამოღებაზე თიხისი ბანკი თანამშრომლობს გარე კოლექტორულ კომპანიებთან. უზრუნველყოფილი სესხების ამოსაღებად შემუშავდება ამოღების გეგმა, რომელიც ითვალისწინებს მსესხებლის ინდივიდუალურ სპეციფიკას და მოიცავს სესხის გადახდას მუცლილი/რესტრუქტურირებული გრაფიკით/პირობებით ან უზრუნველყოფის რელიზაციას. როგორც წესი, კოლექტორული კომპანიები მოლაპარაკებებს აწარმოებენ მსესხებლებთან სესხის ან სესხების სრული თანხის გადახდასთან დაკავშირებით ახალი გრაფიკის შესაბამისად.

სესხის პრობლემური აქტივების მართვის ქვედანაყოფზე გადაცემის შემდეგ, როდესაც ბანკს არ შეუძლია მისაღები პირობებით მსესხებელთან მოლაპარაკება, ბანკმა შეიძლება დაიწყოს უზრუნველყოფის დასაკუთრება, რაც საზოგადოდ სტანდარტული პროცესია მცირე იურიდიული გართულებებით, და შეიძლება საჭირო იქნეს სასამართლო, საარბიტრაჟო ან ნოტარიული პროცედურები. რესტრუქტურირებისა და პრობლემური აქტივების მართვის ქვედანაყოფში მუშაობენ კვალიფიციური იურისტები სასამართლო დავისა და დასაკუთრების პროცესების ეფექტურად წარმართვისა და აღსრულებისათვის.

რეზერვების შეფასება

2018 წლის იანვრიდან ჯგუფი გადავიდა დარეზერვების ახალი მეთოდოლოგიის გამოყენებაზე „ფასს 9“-ის მოთხოვნების შესაბამისად. განახლებული მეთოდოლოგიით შესაძლებელია სესხის გაუფასურების რეზერვის შეფასება მომავალზე ორიენტირებული ინფორმაციის გამოყენებით. მეთოდოლოგიის განვითარებასთან ერთად დაინერგა პროგრამული უზრუნველყოფა დარეზერვებისთვის.

პროექტი განხორციელდა Deloitte-ის დახმარებით. მეთოდოლოგიისა და პროგრამული უზრუნველყოფის დანერგვაზე თიხისი ბანკის მხრიდან პასუხისმგებლები იყვნენ ბანკის რისკების, ფინანსური და საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტები.

ახალი მოდელები უფრო კომპლექსურია და იძლევა მასში მოსალოდნელი მაკრომოვლენების ჩართვის შესაძლებლობას წინასწარ განსაზღვრული სცენარების გათვალისწინებით. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (ECL) გაზომვისთვის ჯგუფი იყენებს ოთხ კომპონენტს: (i) დეფოლტის ალბათობა ("PD"); (ii) დავალიანება დეფოლტის შემთხვევაში ("EAD"); (iii) ზარალი დეფოლტის შემთხვევაში ("LGD"); და (iv) დისკონტირების განაკვეთი.

ECL გაზომვის დროს ჯგუფი იყენებს სამ-კატეგორიან მოდელს და ახდენს თავისი მსესხებლების კლასიფიკაციას შემდეგ ეტაპებად:

- I კატეგორია - პორტფელი კლასიფიკაცირდება I კატეგორიაში თუ აქტივის თავდაპირველი აღიარების შემდგომ საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად არ გაზარდილა და თუ ფინანსური ინსტრუმენტი არ იყო გაუფასურებული თავდაპირველი აღიარებისას;
- II კატეგორია - აქტივი კლასიფიცირდება II კატეგორიაში, თუ საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად გაიზარდა თავდაპირველი აღიარების შემდეგ, მაგრამ ფინანსური ინსტრუმენტი არ ითვლება გაუფასურებულად; და
- III კატეგორია - გაუფასურებული სესხები.

ECL-ს გამოთვლა განსხვავდება მოცემული სამი კატეგორიის ფინანსური ინსტრუმენტის მიხედვით:

- I კატეგორიის ფინანსური ინსტრუმენტები - ECL წარმოადგენს არსებობის მანძილზე ECL-ის იმ ნაწილს, რომელიც გამომდინარეობს საანგარიშო თარიღიდან შემდეგი 12 თვის განმავლობაში მოსალოდნელი დეფოლტის შემთხვევით;
- II კატეგორიის ფინანსური ინსტრუმენტები - ECL წარმოადგენს ECL-ს აქტივის არსებობის მანძილზე, ე.ი. მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს, რომელიც შეიძლება გამოწვეული იყოს მოსალოდნელი დეფოლტის შემთხვევით ფინანსური ინსტრუმენტის არსებობის მთლიანი პერიოდის განმავლობაში. არსებობის მთლიანი პერიოდი არის ფინანსური ინსტრუმენტის დარჩენილი სახელშეკრულებო ვადის ვადა. ფაქტორები, როგორიცაა ხელშეკრულებით გათვალისწინებული დაფარვის გრაფიკების არსებობა, გადახდის ვადის გახანგრძლივების ვარიანტი და ჯგუფის მიერ განხორციელებული მონიტორინგის პროცესები გავლენას ახდენს არსებობის პერიოდის განსაზღვრაზე.

- III კატეგორიის ფინანსური ინსტრუმენტები - ინსტრუმენტი იმყოფება დეფოლტში და დამდგარი ზარალის გამოთვლა ხდება მოსალოდნელი ამოღების საფუძველზე.

2018 „ფასს 9“-ზე გადასვლის შემდეგ პირველი ფინანსური წელია. ჯგუფმა აქტიურად განიხილა და განახორციელა „ფასს 9“-ის მოდულებიდან მიღებული შედეგების მონიტორინგი იმის უზრუნველსაყოფად, რომ შედეგები ადეკვატურად ასახავს მოსალოდნელ გაუფასურებას.

ფინანსური რისკების მართვა

ლიკვიდობის რისკის მართვა

ლიკვიდობის რისკი არის რისკი, რომ ჯგუფს შეიძლება არ ჰქონდეს საკმარისი ხელმისაწვდომი ფინანსური რესურსი თავისი მოვალეობებისა და ვალდებულებების დროულად დასაფარად ან აღნიშნული რესურსები შეიძლება ხელმისაწვდომი იყოს მხოლოდ მაღალ ფასად.

როგორც დაფინანსების, ისე საბაზრო ლიკვიდობის რისკი შეიძლება წარმოიქმნას მრავალი ფაქტორის შედეგად, რომლებსაც ჯგუფი ვერ აკონტროლებს. ფინანსური ბაზრის არასტაბილურობის გამო ისეთმა ფაქტორებმა, როგორებიცაა: საკრედიტო რეიტინგის გაუარესება ან სხვა უარყოფითი მოვლენა, შეიძლება გავლენა იქონიოს ფასზე ან საჭირო დაფინანსების ხელმისაწვდომობაზე ჯგუფის სამომავლო ვალდებულების გადახდების განსახორციელებლად.

ლიკვიდობის რისკის მართვას ახორციელებენ ფინანსური რისკის მართვისა და საზინის დეპარტამენტები, მონიტორინგს კი – დირექტორთა საბჭოს „რისკების კომიტეტი“ ან „აქტივებისა და ვალდებულებების მართვის კომიტეტი“ თავიანთი წინასწარგანსახილველ ფუნქციების ფარგლებში.

ჯგუფის ლიკვიდობის რისკის მართვის პოლიტიკის ძირითადი მიზნებია:

- i. დაფინანსების უზრუნველყოფა, მთლიანი ვალდებულებების და ბალანსგარეშე როგორც ფაქტიური ისე პირობითი ვალდებულებების დასაკმაყოფილებლად ეკონომიკურ ფასად;
- ii. ნებისმიერი სტრუქტურული შეუსაბამობის აღმოჩენა ჯგუფის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში და მონიტორინგის კოეფიციენტების დადგენა დაფინანსების მართვის უზრუნველსაყოფად ჯგუფის დაბალანსებულ ზრდის შესაბამისად; და
- iii. ლიკვიდობისა და დაფინანსების მუდმივი მონიტორინგი, რათა უზრუნველყოფილ იქნეს ბიზნესის დამტკიცებული მიზნების მიღწევა ჯგუფის რისკის პროვიზიის საფრთხის ქვეშ დაუყენებლად.

დირექტორთა საბჭო განიხილავს ლიკვიდობის რისკის მართვის პოლიტიკას, რის შემდეგაც იგი დასამტკიცებლად წარედგინება სამეთვალყურეო საბჭოს.

ლიკვიდობის რისკი ჯგუფდება ორი ტიპის რისკად: დაფინანსების ლიკვიდობისა და საბაზრო ლიკვიდობის რისკები.

დაფინანსების ლიკვიდობის რისკი არის რისკი, რომ ჯგუფი ვერ შეძლებს მოსალოდნელი და მოულოდნელი მიმდინარე და სამომავლო ფულადი ნაკადების ეფექტურად დაკმაყოფილებას ოპერაციებზე ან ფინანსურ მდგომარეობაზე გავლენის გარეშე როგორც ჩვეულებრივ პირობებში, ისე კრიზისის დროს. დაფინანსების ლიკვიდობის რისკის შესამსუბუქებლად ჯგუფს შემუშავებული აქვს ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტისა (LCR) და წმინდა სტაბილური დაფინანსების კოეფიციენტის (NSFR) მოდულები, ორივე მათგანი შეესაბამება „ბაზელ-3“-ის ლიკვიდობის სახელმძღვანელო მითითებებს.

ამასთან, ჯგუფი იყენებს სტრეს-ტესტებსა და “what-if” სცენარების ანალიზს და ახორციელებს “საქართველოს ეროვნული ბანკის” მიერ მოთხოვნილი მინიმალური ლიკვიდობის კოეფიციენტის მონიტორინგს. 2017 წელს „სებ“-მა შემოიღო თავისი LCR ლიკვიდობის რისკის მართვის მიზნებისათვის. „Basel -3“ სახელმძღვანელო მითითებების გარდა, ეს კოეფიციენტი იყენებს კონსერვატიულ მიდგომას სავალდებულო რეზერვებისა და დეპოზიტების გადინების კოეფიციენტების მიმართ, რაც დამოკიდებულია კლიენტთა ჯგუფის კონცენტრაციაზე. 2017 წლის სექტემბრიდან ჯგუფი ახორციელებს „სებ“-ის LCR ლიმიტების მონიტორინგსაც. მთლიანი LCR ლიმიტის გარდა, „სებ“-მა განსაზღვრა ასევე ლიმიტები ვალუტების მიხედვით: ლარსა და უცხოურ ვალუტაში.

LCR გამოითვლება მაღალლიკვიდური აქტივების გაყოფით 30-დღიანი წმინდა ფულადი სახსრების გადინებაზე და გამოიყენება მოკლევადიანი ლიკვიდობის რისკების მართვისთვის. NSFR გამოითვლება ხელმისაწვდომი სტაბილური დაფინანსების გაყოფით სტაბილური დაფინანსების საჭიროებაზე და გამოიყენება გრძელვადიანი ლიკვიდობის რისკის მართვისათვის უფრო ხანგრძლივ პერიოდში მდგრადობის ხელშეწყობისათვის დამატებითი მოტივაციის შესაქმნელად, რათა ბანკი უფრო მეტად დაეყრდნოს დაფინანსების სტაბილურ წყაროს.

საბაზრო ლიკვიდობის რისკი არის რისკი, რომ სუსტი საბაზრო ლიკვიდობის მდგომარეობის ან ბაზარზე შექმნილი პრობლემების გამო ჯგუფმა ვერ უზრუნველყოს გარკვეული პოზიციების დაბალანსება საბაზრო ფასებით. საბაზრო ლიკვიდობის რისკის მართვისთვის

ჯგუფი ხელმძღვანელობს „Basel -3“ სახელმძღვანელო მითითებებს მაღალი ხარისხის ლიკვიდური აქტივის კრიტერიუმებთან დაკავშირებით, რათა უზრუნველყოს მაღალი ხარისხის ლიკვიდობის აქტივების რეალიზაცია ღირებულების მინიმალური დანაკარგებით, ფასის მნიშვნელოვანი ცვლილების გარეშე.

ამასთან, ჯგუფს აქვს ლიკვიდობის ალტერნატიული გეგმა, რომელიც ლიკვიდობის მართვის მთლიანი გუნდური პოლიტიკის ნაწილია. გეგმა მიზნად ისახავს ჯგუფის მიერ დაფინანსებისა და ლიკვიდობის მოთხოვნის დაკმაყოფილების უზრუნველყოფასა და მისი ძირითადი ბიზნესოპერაციების შეუფერხებლად შესრულებას ლიკვიდობის გაუარესების პირობებში, რომელიც წარმოიქმნება ჯგუფის ბიზნესსაქმიანობის ფარგლებს გარეთ.

დაფინანსება და დაფარვის ვადის ანალიზი

ჯგუფის ლიკვიდობის ძირითად წყაროს წარმოადგენს დეპოზიტები და ანგარიშები, ადგილობრივი და საერთაშორისო ბანკებიდან და საფინანსო ინსტიტუტებიდან ნასესხები თანხები, სუბორდინირებული სესხები ინვესტორი საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებიდან,

ადგილობრივ ბანკთაშორისი მოკლევადიანი დეპოზიტები და სესხები, საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების გაყიდვისგან მიღებული ამონაგები, სესხების ძირითადი თანხის გადახდები, საპროცენტო შემოსავალი და საკომისიო შემოსავალი.

სამეთვალყურეო საბჭოს ხედვით, ერთ-ერთი, რაც ჯგუფს გამოარჩევს, არის მძლავრი და დივერსიფიცირებული დაფინანსების სტრუქტურა. ჯგუფი ძირითადად იზიდავს შედარებით სტაბილურ დეპოზიტებს საქართველოდან, როგორც დაფინანსების უმთავრეს წყაროს. ვალდებულების სტრუქტურის შესანარჩუნებლად და კიდევ უფრო გასაუმჯობესებლად ჯგუფი თავისი სტრატეგიით განსაზღვრავს მიზნობრივ მაჩვენებელს საცალო დეპოზიტებისათვის და ადგენს დეპოზიტებთან სესხების ფარდობის კოეფიციენტის ზღვრებს.

ჯგუფი ასევე ადგენს დეპოზიტის კონცენტრაციის ზღვრებს დეპოზიტების პორტფელში დიდი დეპოზიტებისა და არაქართველი რეზიდენტების დეპოზიტებისათვის. სამეთვალყურეო საბჭოს მიიჩნევს, რომ ჯგუფს აქვს საკმარისი ლიკვიდობა თავისი მიმდინარე და ბალანსგარეშე ვალდებულებების დასაკმაყოფილებლად. ლიკვიდობის რისკის მართვის შესახებ დამატებითი ინფორმაციისათვის გთხოვთ იხილოთ აუდიტირებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნა 35.

საბაზრო რისკი

ჯგუფის ბალანსური და გარეგანობის პოზიციის მიხედვით, საბაზრო რისკი არის საბაზრო ფასის ცვლილებით გამოწვეული ზარალის რისკი, რაც შეესაბამება ბაზელის კომიტეტის განსაზღვრებას. აღნიშნული რისკები ძირითადად გახლავთ (ა) „სავაჭრო პორტფელში“ ასახული (სავაჭრო ფლობილი ფინანსური ინსტრუმენტები ან საქონელი), საპროცენტო განაკვეთთან დაკავშირებული ინსტრუმენტების ან კაპიტალის რისკები; (ბ) სავალუტო კურსის რისკი და სასაქონლო რისკი ჯგუფის მასშტაბით.

ჯგუფის სტრატეგიას არ წარმოადგენს ინვესტიციების განხორციელება სავაჭრო ფლობილი ფინანსური ინსტრუმენტებში ან საქონელში. შესაბამისად, ჯგუფის ერთადერთი საბაზრო რისკი არის სავალუტო რისკი თავის „სტრუქტურულ წიგნში“, რომელიც უკავშირდება რეგულარულ საბანკო საქმიანობას და არ ითვალისწინებს სავაჭრო, საარბიტრაჟო ან სპეკულაციურ განხრახვას.

სავალუტო რისკი

„საქართველოს ეროვნული ბანკი“ მოითხოვს ბანკის მიერ საბალანსო მუხლებისა და მთლიანი ბალანსის (ბალანსგარეშე პოზიციების ჩათვლით) ღია სავალუტო პოზიციების მონიტორინგს და ასევე ამ უკანასკნელის შენარჩუნებას ბანკის საშესდებო კაპიტალის 20%-ის ფარგლებში. 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებულ წელს ბანკი ინარჩუნებდა ღია სავალუტო პოზიციების აგრეგირებულ ნაშთს 7.6%-ის ოდენობით.

ამასთან, სამეთვალყურეო საბჭო დამატებით შეზღუდვებს აწესებს ღია სავალუტო პოზიციებზე. ALCO-მ დააწესა რისკის ლიმიტები ვალუტების მიხედვით და აგრეგირებული პოზიციისათვის, რომლებიც უფრო კონსერვატიულია, ვიდრე „საქართველოს ეროვნული ბანკისა“ და სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დაწესებული შეზღუდვები. ხაზინისა და ფინანსური რისკის მართვის დეპარტამენტების ხელმძღვანელები ცალ-ცალკე ყოველდღიურად ახორციელებენ ბანკის შესაბამისობის მონიტორინგს ზემოაღნიშნულ შეზღუდვებთან.

აღნიშნულ ზღვრებთან შესაბამისობის შესახებ ყოველდღიური ანგარიში წარედგინება აგრეთვე დირექტორთა საბჭოს, ხოლო პერიოდულად – სამეთვალყურეო საბჭოსა და მისი „რისკების, ეთიკისა და შესაბამისობის უზრუნველყოფის კომიტეტს“. მთლიანად ჯგუფის დონეზე სავალუტო რისკის მონიტორინგი და ანგარიშგება ხორციელდება ყოველთვიურად. რისკის ქვეშ მყოფი ღირებულება ანალოგდება ბაზელის სახელმძღვანელო მითითებების შესაბამისად, რათა ყოველთვიურად შეფასდეს ბანკის მინიმალური კაპიტალის მოთხოვნა კაპიტალის ადეკვატურობის შეფასების შიდა პროცესის (ICAAP) სტრუქტურის ფარგლებში.

საპროცენტო განაკვეთის რისკის მართვა

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიქმნება საბაზრო საპროცენტო განაკვეთის პოტენციური ცვლილებებისგან, რამაც შეიძლება უარყოფითი გავლენა იქონიოს ჯგუფის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ღირებულებაზე. ეს რისკი შეიძლება წარმოიქმნას განსხვავებით აქტივებისა და ვალდებულებების ვადიანობას შორის, ასევე მათი გადაფასების შედეგად. ჯგუფში განთავსებული დეპოზიტები და სასესხო პორტფელის უმეტესი ნაწილი გაცემულია ფიქსირებული პროცენტით, ხოლო ჯგუფის მიერ მოზიდული ნასესხები სასსრების უმეტესობა მიზნულია ცვლად ინდექსზე.

ჯგუფის მიერ მოზიდული ცვლადპროცენტიანი სესხების ნაწილი ჰეჯირებულია, რადგან „საქართველოს ეროვნული ბანკი“ იხდის ცვლად პროცენტს თიბისი ბანკის მინიმალურ რეზერვებზე. ამასთანავე, თიბისი ბანკის მიერ გაცემული სესხების ნაწილი და მიღებული დეპოზიტები შეიცავს ჩანაწერს, რომელიც ბანკს აძლევს საპროცენტო განაკვეთის გადახედვის უფლებას, საპროცენტო განაკვეთების უარყოფითი ცვლილებების შემთხვევაში, რაც ქმნის საპროცენტო რისკის შემცირების შესაძლებლობას. ბანკის ხელმძღვანელობის ხედვით, თიბისი ბანკის საპროცენტო განაკვეთის მარჯები უზრუნველყოფენ ასევე გონივრულ რეზერვს საპროცენტო განაკვეთის შესაძლო უარყოფითი ცვლილების გავლენის შესამცირებლად.

ჯგუფი საპროცენტო განაკვეთის რისკის მართვისათვის იყენებს თანამედროვე ჩარჩოს, რომელიც ითვალისწინებს შესაბამისი ლიმიტების დაწესებას, მათთან შესაბამისობის მონიტორინგსა და პროგნოზების მომზადებას. საპროცენტო განაკვეთის რისკის მართვას ახორციელებს ფინანსური რისკის მართვის დეპარტამენტი, ხოლო მის მონიტორინგს – ALCO, რომელიც იღებს გადაწყვეტილებებს ღონისძიებათა შესახებ, რომლებიც აუცილებელია საპროცენტო განაკვეთის რისკის ეფექტური მართვისათვის, და თვალ-ყურს ადევნებს მათს განხორციელებას. ინფორმაცია საპროცენტო განაკვეთის რისკის მართვისა და შესაბამისი ანგარიშგების ძირითადი ასპექტების შესახებ პერიოდულად მიეწოდება დირექტორთა საბჭოს, სამეთვალყურეო საბჭოსა და „რისკების, ეთიკისა და შესაბამისობის უზრუნველყოფის კომიტეტს“.

რისკის წარმოშობის წყაროების გათვალისწინებით ჯგუფი ზომავს 4 სახის საპროცენტო განაკვეთის რისკს: (1) გადაფასების რისკს; (2) მომგებიანობის მრუდის რისკს; (3) საბაზისო რისკს; და (4) არჩევითობის (თანამდევო ოფციონი) რისკს.

ჯგუფი განიხილავს უამრავ სტრეს-სცენარს, მათ შორის – მომგებიანობის მრუდის სხვადასხვა ცვლილებასა და ფულადი ნაკადების ქცევით კორექტირებებს

(როგორცაა: დეპოზიტის ვადაზე ადრე გატანა ან სესხის წინასწარი დაფარვა), რათა გამოითვალოს გავლენა ერთი წლის მომგებიანობასა და კომპანიის ღირებულებაზე. შესაბამის ზღვრებს ადგენს სამეთვალყურეო საბჭო და დირექტორთა საბჭოს რისკის კომიტეტი.

კონტრაქტის რისკი

ისეთი საბანკო მომსახურების გაწევისას, როგორებიცაა: ბანკთაშორის ბაზარზე სესხის გაცემა, ბანკთაშორის სავალუტო ბაზარზე ტრანზაქციის განხორციელება, ბანკთაშორის ტრანზაქციის შესრულება ვაჭრობის ფინანსირების მიზნით ან ფასიან ქალაქებში ინვესტირება, კონტრაქტის ბანკის მიერ მისი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში თიბისი ბანკი დგება შესაძლო დანაკარგის რისკის წინაშე.

კონტრაქტის რისკის მართვის მიზნით ბანკი განსაზღვრავს ლიმიტებს როგორც ინდივიდუალური ბანკებისთვის, ასევე პორტფელის დონეზე, რაც ზღვრავს ზარალის რისკს როგორც სახაზინო, ისე ვაჭრობის დაფინანსების თვალსაზრისით. 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, თიბისი ბანკის ბანკთაშორისი პორტფელი კონცენტრირებული იყო სარეიტინგო კომპანიების Fitch-ის, Moody's-ისა და Standard and Poor's-ის მიერ მინიჭებული მაღალი, "A" საკრედიტო რეიტინგის მქონე ბანკებზე.

არაფინანსური რისკის მართვა

საოპერაციო რისკის მართვა

ჯგუფის წინაშე არსებული რისკებიდან ერთ-ერთი მთავარია საოპერაციო რისკი, რომელიც არის არასათანადო ან გაუმართავი პროცესებისა და სისტემებისგან ადამიანის შეცდომის, თაღლითობის ან გარე მოვლენების შედეგად ზარალის მიღების რისკი. ის მოიცავს იურიდიულ რისკს, მაგრამ არ მოიცავს სტრატეგიულ და რეპუტაციის რისკებს. თუმცა რეპუტაციის რისკის მართვასაც დიდი მნიშვნელობა ენიჭება, პრიორიტეტულია და ორგანიზაციის საერთო რისკის კულტურის შემადგენელი ნაწილია.

ჯგუფს შეეხება უშევს მრავალი სახის საოპერაციო რისკთან, მათ შორისაა: თაღლითობა და სხვა შიდა თუ გარე კრიმინალური ქმედებები; პროცესების, კონტროლის ან პროცედურების დარღვევა; სისტემების შეფერხებები ან გარე მხარისაგან კიბერშეტევები ჯგუფის კლიენტებისათვის მომსახურების ან დამხმარე ინფრასტრუქტურის ხელმიუწვდომლობის მიზნით, რაც, თავის მხრივ, საფრთხის ქვეშ აყენებს ჯგუფს, მისი კლიენტების, პარტნიორების ან მომხმარებლების დაცულ ინფორმაციასა და ფინანსურ ოპერაციებს.

გარდა ამისა, ჯგუფს გააჩნია ისეთი რისკები, რომლებიც იწვევენ კრიტიკული ფუნქციების მქონე სისტემების ან ბიზნესის შეფერხებას ისეთი მოვლენების შედეგად, რომლებიც მის კონტროლს საერთოდ ან ნაწილობრივ არ ექვემდებარება, როგორცაა: ბუნებრივი კატასტროფები, სატრანსპორტო ან კომუნალური მომსახურების შეფერხება და სხვა, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ზარალი ან მომხმარებელთა მომსახურების შენელება ან წყვეტა და/ან ეკონომიკური ზარალი ჯგუფისთვის.

ზემოთ განხილული საოპერაციო რისკები ვრცელდება ისეთ სიტუაციებზეც, როდესაც ჯგუფი მომსახურებას გარე მომწოდებლისგან იღებს. სწრაფად ცვალებადი გარემოს და როგორც საბანკო მომსახურების ისე პოტენციურ თაღლითობათა სირთულის გათვალისწინებით, იზრდება პროცესების, კონტროლის, პროცედურებისა და სისტემების მუდმივად გაუმჯობესების მნიშვნელობა, რათა თავიდან იქნეს აცილებული რისკი ან შემცირდეს ჯგუფის მიერ ზარალის მიღების რისკი.

საოპერაციო რისკის გადახედვისა და შერბილების მიზნით, ჯგუფში შექმნილია საოპერაციო რისკის მართვის ჩარჩო, ყოველისმომცველი დოკუმენტი, რომელშიც მოცემულია ეფექტური საოპერაციო რისკის მართვის ზოგადი პრინციპები, განმარტებულია პროცესში მონაწილე მხარეების ფუნქციები და პასუხისმგებლობები. ამ ჩარჩოს შემადგენელი ნაწილია პოლიტიკა და პროცედურები, რომელთა მეშვეობითაც შესაძლებელია საოპერაციო რისკების ეფექტური მართვა.

დირექტორთა საბჭო უზრუნველყოფს მძლავრი შიდა კონტროლის კულტურის ჩამოყალიბებას ჯგუფში, სადაც კონტროლის ღონისძიებები ოპერაციების შემადგენელი ნაწილია. სამეთვალყურეო საბჭო განსაზღვრავს საოპერაციო რისკის დასაშვებ დონეს, ხოლო „საოპერაციო რისკების კომიტეტი“ ახორციელებს ამ ზღვრებთან შესაბამისობის ზედამხედველობას. „საოპერაციო რისკების კომიტეტი“ რეგულარულად განიხილავს ჯგუფის საოპერაციო რისკის პროფილსა და რისკის მინიმუმამდე შემცირების რეკომენდაციებს.

საოპერაციო რისკის მართვის დეპარტამენტი ასრულებს დაცვის მეორე დონის ფუნქციას. იგი პასუხისმგებელია ზემოთ აღნიშნული ჩარჩოს, სათანადო პოლიტიკისა და პროცედურების განხორციელებაზე, რათა ჯგუფმა შეძლოს საოპერაციო რისკების მართვა. იგი პასუხისმგებელია აგრეთვე საოპერაციო რისკის მქონე მოვლენების მონიტორინგზე, რისკის მისაღები დონისა და კონტროლის გარემოში არსებითი სისუსტეების მონიტორინგზე. აღნიშნული დეპარტამენტი პასუხისმგებელია აგრეთვე საოპერაციო რისკების ყოველდღიურ მართვაზე სხვადასხვა მექანიზმების გამოყენებით. აღნიშნული მოიცავს შემდეგს (თუმცა არ შემოიფარგლება მხოლოდ ამით):

- სამუშაო რისკისა და კონტროლის თვითშეფასება, რომლის მიზანია ოპერაციებისა და პროცესებში შესაძლო ნაკლოვანებების აღმოჩენა სათანადო გამოსასწორებელი ღონისძიებების შესათავაზებლად;
- რისკის შემცველი შიდა მოვლენების მონაცემთა ბაზის შექმნა შემდგომი რაოდენობრივი და ხარისხობრივი ანალიზისათვის;
- შიდა კონტროლის ფუნქციონირება საბანკო ოპერაციებში სისტემური შეცდომების, შიდა თაღლითობის შემთხვევების აღმოსაჩენად და ძირითადი რისკის მაჩვენებლების მონიტორინგი;
- სენარებისა და გამომწვევი მიზეზების ანალიზი;
- ბიზნესის საკონსულტაციო მომსახურების უზრუნველყოფა არასთანდართულ შემთხვევებთან დაკავშირებით ისევე, როგორც ახალი პროდუქტებისა და პროცედურების შეფასება;
- საინფორმაციო ტექნოლოგიების ინციდენტების ხდომილობის მონიტორინგი და იდენტიფიცირებული პრობლემების გადაჭრის ღონისძიებების განხორციელების ზედამხედველობა; და
- სადაზღვევო პოლისების შექმნა საოპერაციო რისკის შემცველი მოვლენებიდან ზარალის რისკის გადასაცემად.

საოპერაციო რისკის მართვის დეპარტამენტმა გააძლიერა თავისი შიდა კონტროლის, რისკის შეფასების ჯგუფები და მეთოდოლოგია, რათა კიდევ უფრო დახვეწოს არსებული კონტროლის გარემო. იგივე ვრცელდება იმ ქმედებათა ერთობლიობაზე, რომლებიც მიმართულია საოპერაციო რისკის მართვის ღონისძიებათა ჰომოგენიზებაზე ჯგუფის წევრ კომპანიებში. საოპერაციო რისკის მართვის დეპარტამენტი ანგარიშვალდებულია რისკების მართვის დირექტორის წინაშე.

საოპერაციო რისკების კონტროლისა და შემსუბუქების მიზნით დანერგილია სხვადასხვა პოლიტიკა, პროცესები და პროცედურები, მათ შორის:

- აუთოსონინგის რისკის მართვის პოლიტიკის დანერგვა, რაც ჯგუფს აუთოსონინგის (ვენდორების) რისკის მართვის საშუალებას მისცემს, რომელიც წარმოიშობა უარყოფითი მოვლენებისა და რისკის კონცენტრაციის გამო ვენდორის წარუმატებელი შერჩევის შედეგად, ვენდორის და/ან ვენდორის მიერ მოწოდებული მომსახურების არასაკმარისი კონტროლისა და ზედამხედველობის, ასევე ვენდორის სხვა გავლენების გამო;
- სისტემური ნაკლოვანებების ანალიზის მიზნით პროცედურების განხორციელება და გამოსასწორებელი ზომების მიღება მნიშვნელოვანი ზარალის განმეორების თავიდან ასაცილებლად;
- საოპერაციო რისკის მართვის დეპარტამენტის ჩართვა ახალი პროდუქტებისა და მომსახურებების დამტკიცების პროცესში, რათა მინიმუმამდე შემცირდეს დაკავშირებული რისკები; და

- სპეციალური საოპერაციო რისკის გაცნობიერების პროგრამის შემუშავება ჯგუფის თანამშრომლებისათვის და ტრენინგების რეგულარულად ჩატარება ჯგუფის შიდა რისკების კულტურის კიდევ უფრო გასაძლიერებლად.

საანგარიშო პერიოდში საოპერაციო რისკების მართვის ერთ-ერთი ძირითადი საკითხი იყო „რისკისა და კონტროლის თვითშეფასება“ (RCSA), რომელიც ფარგლებშიც მოხდა ბანკის ყველაზე პრიორიტეტული პროცესების გადახედვა და გაუმჯობესების სფეროების განსაზღვრა. გარდა ამისა, ბანკი აქტიურად მუშაობდა ბანკის მასშტაბით საოპერაციო რისკის რეესტრის შემუშავებაზე.

შესაბამისობა

შესაბამისობის რისკების მართვის განყოფილება არის მთავარი სამსახური, რომელიც ასრულებს ბანკის შესაბამისობის ფუნქციას, აქვს ოფიციალური სტატუსი და დამოუკიდებელია მოქმედი სტრუქტურული ერთეულებისა და ბიზნესმართულებებისგან. შესაბამისობის უზურუნველყოფის ფუნქციურ როლს ასრულებს შესაბამისობის ოფიცერი, რომელიც მოქმედებს, როგორც მრჩეველი და კოორდინატორი უზურუნველყოფასთან დაკავშირებულ პრობლემებზე სტრუქტურულ ერთეულებსა და ბიზნესმართულებებში. შესაბამისობის რისკების მართვის განყოფილების უფროსი კვარტალურად ახარებს ანგარიშს „რისკის, ეთიკისა და შესაბამისობის კომიტეტს“ და დისციპლინარული ხასიათის ანგარიშს წარუდგენს გენერალურ დირექტორს.

აღნიშნული განყოფილება პასუხისმგებელია ჯგუფის შესაბამისობისა და რეპუტაციის რისკის მართვაზე. იგი უზურუნველყოფს შემდეგი პოლიტიკის მოთხოვნების განხორციელებასა და მონიტორინგს:

- მექრთამეობის, კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლისა და გადასახადებისგან თავის არიდების პრევენციის პოლიტიკა;
- დაკავშირებულ მხარეებთან ტრანზაქციების განხორციელების შესახებ პოლიტიკა;
- აქციების დილინგის მართვის პოლიტიკა;
- თიკის კოდექსი; და
- მხილების პოლიტიკა.

შესაბამისობის რისკების მართვის განყოფილება საკანონმდებლო მოთხოვნებთან შესაბამისობის რისკს მართავს მომხმარებელთა პრეტენზიების გამომწვევი მიზეზების, საოპერაციო რისკის გამომწვევი მოვლენების მონაცემთა ბაზის, შიდა აუდიტის მიერ აღმოჩენილი ფაქტებისა და სასამართლო საქმეების ანალიზის მეშვეობით. აღნიშნული ანალიზის საბოლოო შედეგების საფუძველზე მას შეაქვს ცვლილებები შიდა ინსტრუქციებში ან აძლევს რეკომენდაციებს ბანკის სტრუქტურულ ერთეულებს შესაბამისი პროცესების ცვლილებების შესახებ. შესაბამისობის რისკის

მართვის ოფიცერს აქვს კონსულტანტის ფუნქცია შესაბამისობის რისკის მართვასთან დაკავშირებით. შესაბამისობის რისკის მართვის დეპარტამენტი ატარებს ტრენინგებს არსებული თანამშრომლებისა და ახალი თანამშრომლებისთვის დისტანციური სწავლების ან პირისპირ შეხვედრის მეშვეობით, ხელს უწყობს ჯგუფში შესაბამისობის კულტურის განვითარებას.

(i) 2018 წლის განმავლობაში მარეგულირებელმა „სებ“-მა განახორციელა ბანკის ინსპექტირება 2007 და 2008 წლებში შესრულებულ გარკვეულ ტრანზაქციებთან დაკავშირებით. ინსპექციის მტკიცებით აღნიშნული ტრანზაქციები ბანკსა და გარკვეულ ერთეულებს შორის ტექნიკურად არ შეესაბამებოდა საქართველოს კანონს რომელიც არეგულირებს ინტერესთა კონფლიქტის საკითხებს. 2019 წლის თებერვალში კომპანიამ, ბანკმა და ეროვნულმა ბანკმა გამოაქვეყნეს ერთობლივი განცხადება, რომელიც ადასტურებს რომ ბანკი: (i) გადაიხდის დაახლოებით 1 მილიონ ლარს; და (ii) განახორციელებს ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს რესტრუქტურისაციას, რომლის თანახმადაც დამფუძნებელი აქციონერები გადადგებიან ბანკის სამეთვალყურეო საბჭოდან. გარდა ამისა, თბისი ბანკი განაგრძობს თანამშრომლობას „საქართველოს ეროვნულ ბანკთან“ რათა კიდევ უფრო გააუმჯობესოს ბანკის კორპორაციული მართვის ხარისხი და კომპანია მოაწყობს ჯგუფთან დაკავშირებული ტრანზაქციების, პრაქტიკისა და პროცედურების გარე მიმოხილვას. ერთობლივ განცხადებაში „სებ“-მაც დაადასტურა, რომ ბანკი სრულად აკმაყოფილებს ეკონომიკურ ნორმატიულ მოთხოვნებს და „სებ“-ის მიერ დაწესებულ ლიმიტებს.

ცალკე აღინიშნა, რომ საქართველოს პროკურატურამ ასევე დაიწყო გამოძიება იგივე საკითხთან დაკავშირებით და დღემდე არ ყოფილა მოვლენათა რაიმე მატერიალური განვითარება.

ინფორმაციის უსაფრთხოების მართვის კომიტეტი

„ინფორმაციის უსაფრთხოების მართვის კომიტეტი“ პასუხისმგებელია, რომ მუდმივად გააუმჯობესოს ინფორმაციის უსაფრთხოება და ბიზნესის უწყვეტობის მართვის პროცესები და მინიმუმამდე შეამციროს ინფორმაციის უსაფრთხოების რისკები. აღნიშნული კომიტეტი შეიქმნა ინფორმაციის უსაფრთხოების ფუნქციის ცენტრალიზაციისათვის, ფიზიკური უსაფრთხოების, კადრების შესახებ ინფორმაციის უსაფრთხოების, მონაცემთა უსაფრთხოების, საინფორმაციო ტექნოლოგიების უსაფრთხოებისა და ბიზნესის უწყვეტობის ჩათვლით.

ჯგუფი ინვესტიციას ახორციელებს ინფორმაციის უსაფრთხოების რისკის ეფექტურ მართვაში, ინციდენტის მართვისა და ცნობიერების ამაღლების პროგრამებში, რომლებიც აღჭურვილია ავტომატიზებული ინსტრუმენტებით, რომლებიც უზურუნველყოფს ორგანიზაციის მასშტაბით ინფორმაციის უსაფრთხოების

რისკის მისაღებ დონეებს. მაშინ, როცა პრევენციული კონტროლი არ ხდება, ბიზნესის უწყვეტობისა და ინციდენტზე რეაგირების გეგმები უზრუნველყოფს ჯგუფის მიერ ოპერირების უწყვეტად გაგრძელების და ზარალის წარმოქმნის შეზღუდვის შესაძლებლობას ბიზნესის შეფერხების შემთხვევაში.

ქვევის რისკი

ქვევის რისკი განმარტებულია, როგორც უფლებების დაცვის რისკი მომხმარებლებისა და სხვა დაინტერესებული მხარეებისათვის. ჯგუფს აქვს „ეთიკის კოდექსი“ და „ქვევის კოდექსი“, რომლებიც აწესებენ მაღალ სტანდარტებს, რომელთა დაცვის ვალდებულება გააჩნია თითოეულ თანამშრომელს.

ჯგუფის საქმიანობას ენდობა საქართველოს მასშტაბით 2.4 მილიონზე მეტი მომხმარებელი. ამგვარად, ბაზრის ნდობის შენარჩუნებას ჩვენი მომხმარებლების ინტერესის დაცვით უდიდესი მნიშვნელობა აქვს ჯგუფის ფინანსური სტაბილურობისა და სტრატეგიული მიზნების მიღწევისათვის.

ჯგუფის თანამშრომლები პატიოსნად და სამართლიანად ასრულებენ მათზე დაკისრებულ პასუხისმგებლობას. თანამშრომლებს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვთ ბანკის ოპერაციებისადმი ნდობისა და დამატებლობის შენარჩუნებაში, ასევე ისეთი ღირებულებების დაცვაში, როგორცაა: ნდობა, ერთგულება, წინდახედულება და სიფრთხილე.

გარდა ამისა, ჯგუფის ხელმძღვანელობა აცნობიერებს, რომ იგი პასუხისმგებელია ადგილობრივი და საერთაშორისო ინვესტორების დივერსიფიცირებული ჯგუფის წინაშე და სჭირდება წესებისა და მექანიზმების უზრუნველყოფა მომხმარებლების დასაცავად, ინვესტორებისა და ფინანსური ბაზრების ნდობის შესანარჩუნებლად. ჯგუფის დირექტორები მისწრაფვიან მიდგომის ე.წ. „tone from the top“ დანერგვისაკენ, რაც გულისხმობს კარგი ქვევის პრინციპებს და ამასთან დაკავშირებით აქვთ კომუნიკაცია ბანკის თანამშრომლებთან.

ქვევის რისკის მართვისას ჯგუფი სხვადასხვა დეპარტამენტსა და განყოფილებას ავალებს ქვევის რისკის მართვას, შერბილებასა და კლიენტებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან ქვევის რისკის აღმოფხვრას ჯგუფის მასშტაბით განხორციელებულ ოპერაციებში. შესაბამისობის უზრუნველყოფისა და საოპერაციო რისკის დეპარტამენტები ერთმანეთთან თანამშრომლობენ, რათა შექმნან ქვევის რისკის მართვის გაერთიანებული ჩარჩო და დახმარება გაუწიონ ბიზნესმიმართულებებსა და დეპარტამენტებს:

1. პოლიტიკისა და პროცედურების დანერგვასა და მართვაში, რათა უზრუნველყოფილ იქნას შესაბამისი დეპარტამენტებისა და ინდივიდუალური თანამშრომლების მიერ მარეგულირებელი დებულებების, საუკეთესო პრაქტიკისა და „ქვევის კოდექსის“, „ეთიკის კოდექსის“ და ჯგუფის შიდა წესების დაცვა;
2. შესაბამისობის რისკის მართვის განყოფილებასთან მუდმივ თანამშრომლობაში პოლიტიკისა და პროცედურების ადმინისტრირებასთან დაკავშირებით და დეპარტამენტის, მისი ხელმძღვანელის და/ან მისი თანამშრომლების ქვევის შესახებ პრეტენზიების მოკვლევაში;
3. იმის უზრუნველყოფაში, რომ მომხმარებლებისათვის წინა ხაზის თანამშრომლების მიერ პროდუქტის შესახებ მიწოდებული ინფორმაცია იყოს ზუსტი და სრული, ეს ინფორმაცია გადაიცეს (როგორც შერილობითი, ისე ზეპირი ფორმით) მარტივად და გასაგებად, მომხმარებლის კატეგორიის მიუხედავად;
4. კლიენტებთან ისეთი საუბრებისა და ელ. გზავნილების ჩანაწერების შენახვაში, რომლებიც შეიცავენ სენსიტიურ და გაყიდვებთან დაკავშირებულ ინფორმაციას, მათ შორის ინფორმაციას ახალი კლიენტების მოზიდვაზე და რთული პროდუქტების შეთავაზებაზე არსებული და სავარაუდო კლიენტებისათვის;
5. გაცნობითი ტრენინგის დროულად ჩატარებაში ახალი თანამშრომლებისთვის სათანადო ქვევის შესახებ და იმის უზრუნველყოფაში, რომ ჯგუფში პერიოდულად ტრენინგების ჩატარებით ყველა თანამშრომელი იცნობდეს შესაბამისობის სტანდარტებს, რომლებიც ვითარდება და სიახლეებს;
6. ღია კულტურის ჩამოყალიბებაში, რაც წაახლისებს თანამშრომლებს, ისაუბრონ დასჯის შიშის გარეშე. კონკრეტულად ეს ნიშნავს პროცესების დანერგვას ინტერესთა კონფლიქტის პრევენციისა და აღმოჩენისათვის, ეთიკური წახალისებისა და ბონუსების ფორმულების შექმნას, მოტივაციისა და დისციპლინური პრაქტიკების შესაბამისობაში მოყვანას ჯგუფში დამკვიდრებულ რისკის მისაღებ დონესთან; და
7. კვალიფიციური თანამშრომლებისა და საკმარისი შრომითი და ტექნოლოგიური რესურსების დაქირავებაში გაყიდვებისა და გაყიდვის შემდგომი ქმედებების გამოძიების, ანალიზის, განხორციელებისა და მონიტორინგისათვის.

ზემოაღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს, რომ ქვევის რისკის მართვა მხოლოდ რისკის მართვის ქვედანაყოფებით კი არ შემოიფარგლებოდეს, მათ შორის შესაბამისობის უზრუნველყოფის დეპარტამენტით, არამედ სრულად მოიცავდეს გაყიდვების დეპარტამენტებს და სრულად მოხდეს სათანადო ქვევის ინტეგრირება მუშაობისათვის საჭირო უნარ-ჩვევებში.

ჩვენ ვახორციელებთ საქმიანობას კასუსისმგებლობის სრული გააზრებითა და მდგრადი ფორმით და ვქმნით ღირებულებებს ყველა დაინტერესებული მხარისთვის.

ჩვენი მომხმარებლები

ჩვენ მუდმივად მივისწრაფვით ჩვენი მომხმარებლების მომსახურების გაუმჯობესებისკენ, მათთვის მათზე მორგებული პროდუქტებისა და სერვისების ხელმისაწვდომი ფორმით შეთავაზებით და ასევე მათი კმაყოფილების მაღალი დონის უზრუნველყოფით, ასევე ბიზნეს-სექტორის განვითარების მხარდაჭერით რათა ხელი შევუწყოთ ქვეყანაში სამუშაო ადგილების შექმნას.

2018 წლის მნიშვნელოვანი მოვლენები

2018 წლის განმავლობაში ჩვენ გავაგრძელებთ ციფრული გადაწყვეტილებების შემუშავება და განვითარება, რათა გაუმჯობესებული სერვისი შეგვეთავაზებინა ჩვენი საცალო და ბიზნეს მომხმარებლებისთვის.

- 2018 წლის მაისში ჩვენ ბაზარს შევთავაზეთ ახალი, ინოვაციური პროდუქტი "სფეისი", რომლის სამიზნე სეგმენტსაც წარმოადგენს ახალგაზრდა და ციფრულად გათვითცნობიერებული მომხმარებელი. "სფეისი" არის სრულიად ციფრული ბანკი, რომელიც შემუშავდა ამ ინდუსტრიის წამყვან კომპანიებთან პარტნიორობით, როგორცაა: Amazon Cloud, Pulsar AI, Mambu, Salesforce და Corezoid. აპლიკაციას აქვს ძალიან თანამედროვე და ინტუიციური დიზაინი და მისი საშუალებით შესაძლებელია ყველა საბანკო ოპერაციის შესრულება რეალურ დროში (დამატებითი ინფორმაცია მოცემულია 40-ე გვერდზე).
- ასევე ავამუშავეთ ინოვაციური ინტერნეტ პლატფორმა (www.businessstool.ge), რომლის მიზანია ბიზნესების დახმარება ეფექტურობის გაზრდაში მათი პროცესების ავტომატიზირების გზით ქართული საინფორმაციო ტექნოლოგიების კომპანიების მიერ შემუშავებული პროგრამული გადაწყვეტილებების საშუალებით. პლატფორმა არის ონლაინ ბაზარი, რომელიც ერთმანეთთან აკავშირებს საინფორმაციო ტექნოლოგიების მომსახურების მიმწოდებლებსა და ბიზნეს ერთეულებს, ის ეხმარება ბიზნეს ერთეულებს მოძებნონ სწორი ციფრული გადაწყვეტილება ადგილობრივ ბაზარზე და ასევე ეხმარება საინფორმაციო ტექნოლოგიების მომსახურების მიმწოდებელ კომპანიებს წარუდგინონ თავიანთი პროდუქტები ბიზნეს საზოგადოებას, რაც საბოლოო ჯამში ზრდის მათ გაყიდვებს. გარდა ამისა, ჩვენ ასევე ვაწყობთ პროგრამული უზრუნველყოფის კონკურსს „EFSE DF“-თან პარტნიორობით, რათა ხელი შევუწყოთ საინფორმაციო ტექნოლოგიური გადაწყვეტილებების შექმნას, რომლებიც ბიზნესს მაქსიმალურ ღირებულებას მოუტანს. კონკურსში პირველ სამ ადგილზე გასული კომპანია დაჯილდოვდა ფულადი პრიზებით „EFSE DF“-გან, რაც დაეხმარება მათ მათი პროდუქტების განვითარებაში.
- ჩვენ ასევე მოვიზიდეთ რამდენიმე სპეციალური დანიშნულების ინსტრუმენტი სხვადასხვა საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებისგან, რაც ხელს შეუწყობს ახალგაზრდა მეწარმეებს, ქალთა ხელმძღვანელობის ქვეშ არსებულ მიკრო, მცირე და საშუალო ზომის საწარმოებს, სოფლად ფუნქციონირებად ბიზნესებს, ინოვაციურ პროექტებს, ენერგოეფექტურ და განახლებადი ენერჯის პროდუქტებს, საგარეო ვაჭრობის მხარდაჭერას, და ასევე იპოთეკურ სესხებს მათთვის, ვინც თავის პირველ სახლს ყიდულობს. 2018 წელს, ამ პროექტების ფარგლებში გაცემულმა თანხამ შეადგინა 128 მილიონი ლარი.

ციფრული განვითარება და ფინანსურ მომსახურებასთან წვდომის გაფართოება

ჩვენი მიზანია, საშუალება მივცეთ მომხმარებელს მოახდინოს ჩვენთან ინტერაქცია მისთვის მოსახერხებელი ფორმით. ამ მიზნით, ჩვენ ვამუშავებთ მრავალრიცხოვან სადისტრიბუციო პლატფორმას, რომელიც კონცენტრირებულია ციფრულ არხებზე და რომელიც საშუალებას აძლევს ჩვენს მომხმარებელს განახორციელონ ყოველდღიური ტრანზაქციების უმეტესობა მარტივად და დისტანციურად. ჩვენი წამყვანი მობილური და ინტერნეტ საბანკო მომსახურების აპლიკაციები ყველაზე პოპულარული საკომუნიკაციო არხებია, რომელთა საშუალებითაც ხორციელდება ტრანზაქციათა 37.2%. სხვა ფართოდ გამოყენებადი არხი არის თვითმომსახურების ტერმინალები, რადგან საქართველოში მეტწილად ჯერ კიდევ ნაღდი ფული გამოიყენება. 2018 წლის ბოლოს, ტრანზაქციების 19.3% განხორციელებული იყო თვითმომსახურების ტერმინალებით.

საბანკო მომსახურების სფეროში ახალგაზრდების ჩართულობის გაზრდის მიზნით, ჩვენ ვთავაზობთ სპეციალურ ბარათებს სკოლის მოსწავლეებსა და უნივერსიტეტის სტუდენტებს მათ საჭიროებებსა და ინტერესებზე მორგებული გამორჩეული შეთავაზებებით. ბარათებს არ ერიცხება საკომისიო გადასახადი, მათ შორის არც ყოველწლიური მომსახურების საკომისიო და არც თიხისი ბანკის ბანკომატებიდან თანხის გამოტანის საკომისიო. ბარათებს აქვთ უნიკალური დიზაინი, რომელიც შესაძლოა შეირჩეს ბარათის მფლობელის სურვილისა და ინტერესების შესაბამისად. ბარათის მფლობელთათვის ჩვენ ვაწყობთ სხვადასხვა კამპანიებს, რომლებიც მოიცავს სპეციალურ ფასდაკლებებს პოპულარულ საცალო მოვაჭრე კომპანიებთან. გარდა ამისა, ჩვენ რეგულარულად ვაწყობთ მასტერკლასებს სტუდენტებისთვის, რომლებსაც თავის სფეროში წამყვანი პროფესიონალები ატარებენ.

მომხმარებელთა კმაყოფილება

ჩვენი მომხმარებლის კმაყოფილება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ჩვენთვის. ჩვენ რეგულარულად ვითხოვთ უკუკავშირს ჩვენი მომხმარებლებისგან და ვიყენებთ ამ ინფორმაციას მათი საჭიროებების ანალიზისა და შესაბამისად, ჩვენი სერვისების დახვეწისთვის. ჩვენ ასევე განსაკუთრებულ ყურადღებას ვუთმობთ ჩვენს მომხმარებელთა შეფოთებას და გვაქვს სპეციალური დეპარტამენტი, რომელიც აგვარებს მომხმარებელთა პრეტენზიებს. ჩვენ დაუყოვნებლივ ვრეაგირებთ თითოეულ შემთხვევაზე და მჭიდროდ ვმუშაობთ მომხმარებელთან მისი პრობლემის გადაგებად.

ჩვენ რეგულარულად ვაფასებთ მომხმარებელთა კმაყოფილების დონეს დამოუკიდებელი მესამე მხარის მიერ ჩატარებული სხვადასხვა გამოკითხვების საშუალებით და ვინაჩრუნებთ უმაღლეს ქულებს საქართველოს საბანკო სექტორში. ჩვენ ასევე გვიჭირავს წამყვანი პოზიცია ქვეყნის მთელ საცალო ვაჭრობის სფეროში.

მომხმარებელთა კონფიდენციალურობის დაცვა და მონაცემების უსაფრთხოება

კლიენტების პერსონალური ინფორმაციის დაცვა ჩვენი ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია და ჩვენ მუდმივად ვმუშაობთ ჩვენი კონტროლის სისტემების განახლებაზე, რათა უზრუნველვყოთ მომხმარებელთა კონფიდენციალურობის და მონაცემთა უსაფრთხოების დაცვა მაღალ დონეზე. ჩვენ ვიყენებთ მოწინავე საინფორმაციო უსაფრთხოების ტექნოლოგიებს ნებისმიერი თაღლითური ქმედების გამოსავლენად და აღსაკვეთად. კიბერუსაფრთხოების რისკების მინიმუმამდე დაყვანის და კიბერ საფრთხეების უფრო ეფექტურად გამოვლენის მიზნით, ჩვენ მუდმივად ვაგაძლიერებთ დაცვის სისტემებს ხელოვნური ინტელექტის საშუალებით.

2018 წელს „საქართველოს ეროვნულმა ბანკმა“ ჩაატარა ჩვენი მონაცემთა დაცვის სისტემების ყოვლისმომცველი აუდიტი და არ გამოუვლენია რაიმე სერიოზული საკითხი. პერიოდულად, ჩვენ ასევე ვჭირავთ გარე აუდიტორულ კომპანიებს ჩვენი მონაცემთა დაცვის სისტემების შემოწმების და ადგილობრივ რეგულაციებთან და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკასთან მისი შესაბამისობის შემოწმების მიზნით. ბოლო აუდიტის დროს, რომელიც 2017 წელს ჩაატარა უკრაინის წამყვანმა კომპანიამ საინფორმაციო სისტემების უსაფრთხოების სფეროში, დადასტურდა რომ ჩვენი სისტემები უზრუნველყოფს კიბერუსაფრთხოების განსაზღვრულ დაცვას.

ცნობიერების ამაღლების მიზნით და იმისთვის, რომ დავხმაროთ ჩვენს მომხმარებლებს მათი მონაცემების უსაფრთხოების დაცვაში, ჩვენ მათ პერიოდულად ვუგზავნით გაფრთხილებებს, ინტერნეტ და მობილური საბანკო მომსახურების აპლიკაციების მეშვეობით, გავრცელებული კიბერთაღლითობის შესახებ და ვაძლევთ რჩევებს თუ როგორ უნდა მოიქცნენ ასეთ შემთხვევებში.

ჩვენ ასევე ვატარებთ რეგულარულ სავალდებულო ტრენინგებს კიბერუსაფრთხოების და მონაცემთა კონფიდენციალურობის დაცვის საკითხებზე ყველა ჩვენი თანამშრომლისთვის იმის უზრუნველსაყოფად, რომ მათ იცოდნენ პოტენციური საფრთხეების შესახებ და მუდამ სიფრთხილე გამოიჩინონ.

ბიზნესის განვითარების ხელშეწყობა

ბიზნესის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ჩვენ მხარს ვუჭერთ ქართულ ბიზნესებს და მეწარმეებს იმით, რომ ვაწვდით მათ ფინანსურ და ასევე ფართო სპექტრის არაფინანსურ მომსახურებას.

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჩვენი MSME პორტფელი შეადგენდა 2,497 მილიონ ლარს. ამ თანხიდან 859 მილიონი ლარი გამოყენებულ იქნა სასოფლო რაიონების დაფინანსებისთვის და, ამგვარად, ხელი შეუწყო სამუშაო ადგილების შექმნას სხვადასხვა სექტორში, მათ შორის ტურიზმის, სოფლის მეურნეობის, კვების მრეწველობისა და მშენებლობის სფეროებში.

2017 წლის მარტიდან ჩვენ ვახორციელებთ პროექტს „სტარტაპერი“, დამწყებ ბიზნესზე ორიენტირებულ პროექტს, რომელიც სრულფასოვან მხარდაჭერას სთავაზობს კომპანიებს მათი განვითარების ადრეულ ეტაპზე. პროგრამა მიზნად ისახავს მეწარმეობის ხელშეწყობას ადვილად ხელმისაწვდომი დაფინანსების, მედია და სარეკლამო კამპანიაში მხარდაჭერის, უფასო საგანმანათლებლო პროგრამებისა და კონფერენციების და ასევე საქართველოს მსხვილ კომპანიებთან პარტნიორული ურთიერთობების შეთავაზებით. „სტარტაპერი“ ძალიან წარმატებული პროექტი აღმოჩნდა და დაწყებიდან 24,000 მონაწილე მოიზიდა, ხოლო 490 სტარტაპი დააფინანსა, რამაც ჯამში შეადგინა 1002.5 მილიონი ლარი. ამ პროგრამის გაშუქებას მედიაში 36 მილიონზე მეტი მნახველი ჰყავდა 2018 წლის ბოლოსთვის.

ბიზნესის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, რომელიც დაიწყო 2013 წელს „აზიის განვითარების ბანკთან“ (ADB) პარტნიორებთან, ჩვენ ვაგრძელებთ სხვადასხვა საგანმანათლებლო ღონისძიებების მოწყობას ჩვენი მომხმარებლებისთვის, მათ შორის ტრენინგების ჩატარებას, ინდივიდუალური კონსულტაციების გაწევას, რეგიონული აგრო-ფორუმების, კავშირების დასამყარებლად შეხვედრების და მასტერკლასების მოწყობას. ყველა ღონისძიება უფასოა. 2018 წლის განმავლობაში ამ პროგრამაში მონაწილეობა მიიღო 7,500-მდე მიკრო, მცირე და საშუალო ზომის კომპანია.

2016 წლიდან ასევე ვატარებთ ყოველწლიურ „ბიზნეს დაჯილდოებას“, რომელიც გახდა საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ბიზნეს ღონისძიება. ინიციატივა მიზნად ისახავს როგორც ახალი ისე უკვე არსებული ბიზნესების განვითარებისა და ქვეყანაში მეწარმეობის ხელშეწყობას. დაჯილდოების ღონისძიება „#sharesuccess“, რადგან მონაწილეებს საშუალება აქვთ, გაუზიარონ მათი წარმატების ისტორია მთელ ბიზნეს-საზოგადოებას. 2018 წელს დაჯილდოების ღონისძიებას დაემატა ორი ახალი კატეგორია: „წლის ქალი მეწარმე“ და „სოციალური გავლენის ჯილდო“. გარდა ამისა, ჩვენ დავამატეთ სპეციალური პრიზები იმ გამარჯვებულებისთვის, რომელთაც შეუძლიათ აირჩიონ ერთი ჯილდო სამი კატეგორიიდან:

- ციფრული სტრატეგია და ახალი ვებ-გვერდის შექმნა;
- ბრენდის სტრატეგია და საიმიჯო კამპანია;
- ბიზნესის პროგრამული უზრუნველყოფა ან SAAS.

ყოველწლიური ბიზნეს დაჯილდოების ცერემონიალი იქცა წლის მთავარ ბიზნეს-მოვლენად ქვეყანაში და მთლიანობაში მას 1,500-ზე მეტი წევრი ჰყავს. ტრადიციულმა მედია და ასევე სოციალურმა არხებმა ფართოდ გააშუქა ღონისძიება, რომელსაც 16 მილიონი

მნახველი ჰყავდა სარეკლამო და სოციალურ მედიაში, ხოლო პროექტის ცნობადობამ მიადგინა 76%-ს, 2018 წლის ბოლოს დამოუკიდებელი კვლევითი სააგენტოს „ACT“-ის მიერ ჩატარებული გამოკითხვის შედეგების მიხედვით.

2019 წლის პრიორიტეტი

- ჩვენ ვავაგრძელებთ ინოვაციური პროდუქტებისა და მომსახურების შეთავაზებას ჩვენი მომხმარებლისთვის მათი განვითარებადი პრიორიტეტების შესაბამისად და ასევე კვლავ კონცენტრირებული ვიქნებით ჩვენი მომხმარებლისთვის მაღალი დონის გამოცდილების უზრუნველყოფაზე. ჩვენ ასევე ვავაგრძელებთ ბიზნესის მხარდაჭერას ჩვენი ბიზნესის მხარდაჭერის პროგრამის გაფართოვებით ახალი ციფრული საშუალებებით და გადაწყვეტილებებით. გარდა ამისა, ჩვენ ვცდილობთ გავზარდოთ ჩვენი ოპერირება იმ რეგიონებსა და ქვეყნებში, სადაც არ შევსულვართ, რათა ხელი შევუწყოთ ფინანსური მომსახურების გაფართოვებას.

ყოველწლიური ლიტერატურული პრემია „საბა“



ჩვენი თანამშრომლები

ჩვენი თანამშრომლები წარმოადგენენ ჩვენი წარმატების განუყოფელ ნაწილს და ჩვენს ყველაზე ძვირფას აქტივს. ჩვენ ვისწრაფვით კოლაბორაციული და დივერსიფიცირებული სამუშაო გარემოს შექმნისკენ, სადაც ადამიანები თავს გრძნობენ დაფასებულად და არიან უფრო მოტივირებულნი მოახდინონ მათი პოტენციალის სრულად რეალიზება და მაღალ დონეზე შეასრულონ დაკისრებული ამოცანები.

2018 წლის მნიშვნელოვანი მოვლენები

თიბისი ბანკი არის საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი დამსაქმებელი და ჩვენ მჭიდროდ ვთანამშრომლობთ ადამიანური რესურსების მართვის სფეროში მსოფლიოს წამყვან საკონსულტაციო კომპანიებთან, რათა დავხვეწოთ ჩვენი ადამიანური რესურსების მართვის სისტემა ბაზარზე არსებული საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად.

აღნიშნულთან დაკავშირებით, 2018 წელს ჩვენ წარმატებით განვახორციელეთ რამდენიმე ინიციატივა:

- ჩვენ დავნერგეთ სამუშაოს კლასიფიკაციის სისტემა, რომელიც ახდენს სათაო ოფისის პერსონალის პოზიციების კლასიფიცირებას მათ სამუშაოსთან დაკავშირებული პასუხისმგებლობებისა და მოვალეობების მიხედვით. ეს სქემა უზრუნველყოფს შესაბამისობას და თანმიმდევრულობას პოზიციის დასახელებებში, ადგენს ხელფასის განსაზღვრულ ფარგლებს და ხელს უწყობს სამართლიანი და გამჭვირვალე სამუშაო გარემოს არსებობას.
- ჩვენ ასევე დავნერგეთ თვითმომსახურების პლატფორმა ჩვენს შიდა ქსელში, რომელიც საშუალებას აძლევს თანამშრომლებს მიიღონ ინფორმაცია და შეასრულონ რუტინული დავალებები დამოუკიდებლად, ადამიანური რესურსების მართვის გუნდის დახმარების გარეშე. პლატფორმის დანერგვის პირველ ეტაპზე ის საშუალებას აძლევს თანამშრომლებს შეასრულონ მარტივი ოპერაციები ონლაინ რეჟიმში, როგორცაა განაცხადების დაწერა ყოველწლიურ შევებულებასთან დაკავშირებით ან რეგისტრაცია დაზღვევის მისაღებად. დროთა განმავლობაში დაემატება უფრო კომპლექსური ტრანზაქციები. ამგვარი თვითმომსახურების მექანიზმის მთავარი დადებითი მხარე არის გაზრდილი ეფექტურობა, გამარტივებული პროცესები, დროის დაზოგვა და ხარჯების დაბალი დონე.
- 2018 წლის მაისში ჩვენ დავნერგეთ ადამიანური რესურსების მართვის სისტემა (HRMS), ახალი პროგრამული უზრუნველყოფა, რომელიც შემუშავდა ცენტრალური და ალმოსავლეთ ევროპის წამყვან პროგრამული უზრუნველყოფის კომპანიასთან თანამშრომლობით. ჩვენი ახალი HRMS არის ყველაზე თანამედროვე პლატფორმა: ის მთლიანად ავტომატიზირებულია და მას გააჩნია ანგარიშგებისა და მონაცემთა ანალიზის შესაძლებლობები.

თანასწორობა და მრავალფეროვნება

ჩვენ გვჯერა, რომ სამუშაო ძალის მრავალფეროვნება და ჩართულობა არის მთავარი ფაქტორი მდგრადი და წარმატებული ბიზნესის შესაქმნელად. ჩვენი სამუშაო გარემო თავისუფალია ყოველგვარი დისკრიმინაციისაგან და თითოეულ თანამშრომელს აფასებენ, პატივს სცემენ და ეპყრობიან თანასწორად მიუხედავად სქესისა, ასაკისა, ოჯახური მდგომარეობისა, ეთნიკურობისა, რელიგიისა, პოლიტიკური შეხედულებებისა თუ შეზღუდული უნარებისა.

ჩვენ ვალიარებთ გენდერული მრავალფეროვნების სარგებელს და სამუშაო ადგილზე აქტიურად ვუჭერთ მხარს ქალებს. ჩვენი თანამშრომლების 65%-ზე მეტი ქალია, ხოლო ქალების წილი, რომელთაც უკავიათ მაღალი პოზიციები, შეადგენს 36%. ჩვენ კვლავ ვისწრაფვით მენეჯერულ პოზიციებზე გენდერული ბალანსის გაუმჯობესებისკენ. ჩვენ ასევე დავნიშნეთ ორი მდებარეობითი სქესის წარმომადგენელი საბჭოში არააღმასრულებელ დირექტორებად.

ჩვენ მხარს ვუჭერთ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე თანამშრომლებს და უზრუნველვყოფთ რომ სწავლა, განვითარება და დასაქმების შესაძლებლობები იგივენიერად იყოს ხელმისაწვდომი მათთვის. ჩვენ სამართლიანად განვიხილავთ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე კანდიდატებს და კადრების შერჩევის და დანიშვნის დროს ვართ მიუკერძოებლები. არ ხდება არცერთი აპლიკანტის დისკრიმინაცია შეზღუდული შესაძლებლობების გამო. ჩვენ ასევე ვცდილობთ, გავაუმჯობესოთ ჩვენი სამუშაო ადგილი, გავხადოთ ის უფრო მოქნილი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის.

გენდერული წარმომადგენლობის სტატისტიკა

დირექტორთა საბჭო

| | 2018 | 2017 | 2016 |
|------|------|------|------|
| კაცი | 5 | 9 | 9 |
| ქალი | 2 | 0 | 0 |

მაღალი რგოლის მენეჯმენტი

| | 2018 | 2017 | 2016 |
|------|------|------|------|
| კაცი | 7 | 7 | 7 |
| ქალი | 1 | 1 | 1 |

შუა რგოლის მენეჯმენტი

| | 2018 | 2017 | 2016 |
|------|------|------|------|
| კაცი | 187 | 187 | 221 |
| ქალი | 113 | 100 | 119 |

ყველა თანამშრომელი

| | 2018 | 2017 | 2016 |
|------|-------|-------|-------|
| კაცი | 2,332 | 2,283 | 2,195 |
| ქალი | 4,736 | 4,676 | 4,097 |

ჩვენ გვყავს თანამშრომელთა კარგი კომბინაცია, თანამშრომლები ხანგრძლივი სამუშაო გამოცდილებით და ასევე აგონიერი ახალგაზრდები, რომლებსაც ახალი დამთავრებული აქვთ ცნობილი უნივერსიტეტები საქართველოში და საზღვარგარეთ. 2012 წლიდან ჩვენ ვახორციელებთ სტაჟირების პროგრამას საქართველოს წამყვანი უნივერსიტეტების საუკეთესო სტუდენტებისთვის. სტაჟირების ბოლოს კი საუკეთესო სტაჟორებს ვთავაზობთ მუდმივ სამსახურს. ეს პროგრამა ძალიან წარმატებული აღმოჩნდა და დაგვეხმარა გვეპოვა ყველაზე გონიერი და ყველაზე ნიჭიერი სტუდენტები, რომლებიც დღეს ჩვენი გუნდის წევრები არიან. ჩვენ ვთვლით, რომ ასაკობრივი მრავალფეროვნება ქმნის უფრო დინამიურ და კარგად მომუშავე გუნდს, რომელიც გვაძლევს უკეთეს შედეგებს.

ასაკობრივი მრავალფეროვნების სტატისტიკა

| | 2018 |
|-------|------|
| <20 | 0.3% |
| 20-29 | 56% |
| 30-39 | 32% |
| 40-49 | 9% |
| >=50 | 3% |

თანამშრომელთა მოტივირება და მათი ჩართულობა

თანამშრომელთა მოტივირება და ჩართულობა ჩვენთვის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი და ჩვენ მუდმივად ვეძებთ ახალ გზებს საუკეთესო სამუშაო გარემოს შესაქმნელად.

ჩვენ მხარს ვუჭერთ სხვადასხვა სოციალურ აქტივობებს, მათ შორის შიდა კლუბებს, ჩემპიონატებსა და გასვლით ტურებს. თიბისის კლუბები აერთიანებს თანამშრომლებს მათი ინტერესებისა და ჰობის საფუძველზე და თავს უყრის ფოტოგრაფებს, სპორტისა და ხელოვნების მოყვარულებს, სამ ან მეტ შვილიან თანამშრომლებს და სხვა. ჩვენ ასევე რეგულარულად ვაწყობთ სხვადასხვა შიდა ჩემპიონატებს და თანამშრომელთა შეკრებებს, მათ შორის შეჯიბრებებს სამაგიდო თამაშებში, ინტელექტუალურ თამაშს "რა? სად? როდის?" და სხვადასხვა სპორტულ ღონისძიებებს, როგორცაა ფეხბურთი, კალათბურთი, ბოლინგი და სხვა. გარდა ამისა, ჩვენ ხშირად ვიღებთ მონაწილეობას სხვადასხვა გარე სპორტულ ღონისძიებებში. უკვე ხუთი წელია ჩვენი თანამშრომლები მონაწილეობას იღებენ მსოფლიო რბენის მარათონში „Wings for Life World Run“, რომლის მიზანია ფულის შეგროვება ზურგის ტვინის დაზიანებათა კვლევისა და მკურნალობისთვის.

ჩვენი შუა რგოლის მენეჯერებისთვის ყოველწლიურად ვაწყობთ გასვლებს საზღვარგარეთ მათი გუნდური სულისკვეთების ამაღლებისა და შრომითი კმაყოფილების გაუმჯობესების მიზნით. 2016 წელს ჯგუფმა მხარი დაუჭირა საქართველოს ეროვნული რაგბის გუნდს შოტლანდიაში, 2017 წელს - იმოგზაურა უელსში, ხოლო 2018 წლის ნოემბერში შუა რგოლის მენეჯერები იმყოფებოდნენ ფლორენციაში ეროვნული რაგბის გუნდის მხარდასაჭერად შესარჩევი მატჩის დროს იტალიის წინააღმდეგ. ასეთი ინიციატივები ხელს უწყობს ჩვენი თანამშრომლების ჩართულობას სპორტულ ღონისძიებებში და შეესაბამება ჩვენს სტრატეგიას გაცხდით რაგბის ელჩები საქართველოში.

ჩვენ ვზრუნავთ ჩვენი თანამშრომლების ჯანმრთელობასა და კეთილდღეობაზე და ვთავაზობთ მათ უფასო სამედიცინო შემოწმებას და კონსულტაციებს. 2009 წელს ჩვენ შევქმენით თიბისი ფონდი, საქველმოქმედო ფონდი რომელიც ფარავს ჩვენი თანამშრომლების და მათი ახლო ნათესავების სამედიცინო მომსახურების ხარჯებს მძიმე დაავადებების შემთხვევაში. ჩვენი თანამშრომლების უმრავლესობა რეგულარულად აკეთებს შემოწმებებს ამ ფონდში მათი ხელფასის 2%-მდე ოდენობით და ფონდი უკვე 1,170-ზე მეტ ადამიანს დაეხმარა.

გარდა ამისა, ჩვენს თანამშრომლებს ვთავაზობთ არაფულადი ჯილდოების ფართო სპექტრს, მათ შორის გამოფენების, კინოს, ოპერის, ბალეტის და რაგბის

თამაშების უფასო ბილეთებს, და ასევე სპეციალურ ფასდაკლებებს სხვადასხვა სასტუმროებში, რესტორნებში, სპორტულ დარბაზებში, წიგნების გამოფენა-გაყიდვებზე და პოპულარულ კულტურულ ღონისძიებებზე. ჩვენი თანამშრომლების პატარა შვილებისთვის ჩვენ გვაქვს სკოლაში დაბრუნების სასაჩუქრე პაკეტი, რომელიც მოიცავს ბრენდირებულ ჩანთებს და საკანცელარიო ნივთებს ჩვენი ბრენდირებული მაღაზიდან. ონლაინ ბრენდირებული მაღაზიის სუბსიდირება ხდება თიბისი ბანკის მიერ და მოიცავს სხვადასხვა აქსესუარებს, ტანსაცმელს და საჩუქრებს. ჩვენ ვთანამშრომლობთ ქართველ დიზაინერებთან და რეგულარულად ვამატებთ ახალ კოლექციებს, რომლებიც შექმნილია ექსკლუზიურად თიბისი ბანკისთვის.

ჩვენ ვალიარებთ ჩვენს თანამშრომლებთან რეგულარული კომუნიკაციის სარგებელს და ვიყენებთ სხვადასხვა ონლაინ არხებს, რათა ჩვენს თანამშრომლებს ვაცნობოთ ჯგუფის მიერ მიღწეული შედეგებისა და სიახლეების შესახებ. ჩვენ ასევე მოვუწოდებთ თანამშრომლებს გაგვიზიარონ თავიანთი შეხედულებები და ის საკითხები, რაც მათ აწუხებთ, შიდა ფორუმების საშუალებით.

თანამშრომელთა კმაყოფილებისა და ჩართულობის დონეების სწორად შეფასების მიზნით, ჩვენ ყოველწლიურად ვატარებთ უკუკავშირის გამოკითხვას წამყვან საერთაშორისო უნივერსიტეტებთან და კვლევით კომპანიებთან თანამშრომლობით. ხდება კვლევის შედეგების ანალიზი და გათვალისწინება მენეჯმენტის სამომავლო ქმედებებში. 2018 წლის დეკემბერში ჩატარებული ბოლო გამოკითხვის მიხედვით, ჩართულობისა და ლოიალურობის მაჩვენებელი იყო 87% და 66% 2017 წლის 91% და 55%-თან შედარებით. მუდმივად მაღალი მაჩვენებლები არის დასტური იმისა, რომ ჩვენს თანამშრომლებს სჯერათ, რომ გუნდი სწორი მიმართულებით მიდის და ისინი თავს მიიჩნევენ ამ წარმატების ნაწილად.

სწავლა და განვითარება

ჩვენ ვცდილობთ მოვიზიდოთ და შევინარჩუნოთ საუკეთესო ნიჭის მქონე ადამიანები და, აქედან გამომდინარე, ჩვენ მუდმივად ვდებთ ინვესტიციას ჩვენი თანამშრომლების სწავლასა და პროფესიულ განვითარებაში.

2011 წელს ჩვენ შევქმენით „თიბისი აკადემია“, რომელიც არის ადგილობრივი საგანმანათლებლო პლატფორმა, რომლის ფარგლებშიც ტარდება ტრენინგები და სემინარები სხვადასხვა სფეროში და რომელიც საშუალებას აძლევს თანამშრომლებს ისწავლონ თიბისი ბანკის ზედა და საშუალო რგოლის მენეჯერებისგან. სასწავლო კურსები მოიცავს ტექნიკურ საგნებს, როგორცაა: ფინანსური ინსტიტუტები, კაპიტალის

ბაზრები, ეთიკა და ფინანსური თაღლითობის მართვა, ასევე კომუნიკაციის უნარები, მათ შორის ლიდერობა, ცვლილებების მართვა და ა.შ. გაზრდილი მოთხოვნის გამო, 2018 წელს წლის განმავლობაში ჩატარებული კურსების რაოდენობა ოთხიდან შვიდამდე გაიზარდა. 2018 წელს 150-ზე მეტი თანამშრომელი დაესწრო შეთავაზებულ ტრენინგს.

ჩვენ ასევე რეგულარულად ვატარებთ სპეციალიზირებულ ტრენინგებს წინა ხაზის თანამშრომლებისთვის, რათა ისინი მუდმივად ეცნობოდნენ ახალ პროცედურებსა და რეგულაციებს. ჩვენი თანამშრომლების მეტი მოქნილობის უზრუნველსაყოფად 2013 წლიდან ჩვენ დავწერეთ დისტანციური სწავლების სისტემა, რაც საშუალებას აძლევს ჩვენს თანამშრომლებს ისწავლონ მათთვის მოსახერხებელ დროს.

ადგილობრივი ტრენინგ-შესაძლებლობების გარდა, ჩვენ ფინანსურად ვეხმარებით ჩვენს თანამშრომლებს რომ გაიარონ სხვადასხვა გარე სასწავლო კურსი და მიიღონ საერთაშორისო სერთიფიკატები, როგორცაა CFA, FRM, ACCA და სხვა. მათი კიდევ უფრო წახალისების მიზნით, 2012 წელს ჩვენ შევქმენით „თიხის სტიპენდიების ფონდი“, რომელიც უზრუნველყოფს ჩვენი საუკეთესო თანამშრომლების თანადაფინანსებას მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებში სწავლისთვის. 2018 წელს, 10-მა მენეჯერმა მიიღო ეს სტიპენდია.

ამასთან დაკავშირებით კიდევ ერთი ინიციატივაა ჩვენი თანამშრომლებისთვის მასტერკლასების მოწყობა მთელი ქვეყნის მასშტაბით, რომლის ფარგლებშიც ვიწვევთ წამყვან ქართველ პროფესიონალებს მათი გამოცდილებისა და ცოდნის გაზიარების მიზნით. ეს მასტერკლასები ძალიან წარმატებულია და ხასიათდება დასწრების მაღალი მაჩვენებლებით: 2017 წელს მისი დაწყებიდან მასტერკლასებს დაესწო დაახლოებით 3,500 ადამიანი.

სამუშაოს შესრულების შეფასება და ჯილდო

ჩვენთან დანერგილი სამუშაოს შესრულების შეფასების სისტემა მჭიდროდ არის დაკავშირებული ჯგუფის საერთო მიზნებთან და სამ ძირითად პრინციპთან: სიხსაღე, სამართლიანობა და კეთილსინდისიერება. ჩვენ უზრუნველვყოფთ, რომ ჩვენი თანამშრომლები კარგად აცნობიერებდნენ კომპანიის სტრატეგიულ პრიორიტეტებში მათ წვლილს, აქტიურად იყვნენ ჩართული გეგმების დასახვაში და უზრუნველყოფილი იყვნენ მათი ზედამხედველის მენტორობით, რაც დაეხმარება მათ მიზნების მიღწევაში. ჩვენთან დანერგილი სამუშაოს შესრულების შეფასების სისტემის მნიშვნელოვანი ნაწილია თანამშრომელთა რეგულარული უკუკავშირი და კონსტრუქციული დიალოგი.

ჩვენ ვიყენებთ სხვადასხვა შეფასების სისტემას წინა ხაზის და უკანა ხაზის თანამშრომლებისთვის და ეს განსხვავდება მათ მიერ დაკავებული პოზიციების მიხედვით. უკანა ხაზის თანამშრომლებს ვაფასებთ „ამოცანების მიხედვით მართვის“ (MBO) სისტემით, რომელიც არის პერსონალის მართვის ტექნიკა სადაც მენეჯერები და თანამშრომლები ერთობლივად მუშაობენ იმისათვის, რომ დასახონ და ჩაწერონ მიზნები და შემდეგ მოახდინონ ამ მიზნების მონიტორინგი ფინანსური წლის განმავლობაში. მიზნების ჩაწერა ყოველწლიურად ხდება და მათი მონიტორინგი მუდმივად ხორციელდება მენეჯერების მიერ მიღწერული პროგრესის შემოწმების მიზნით, მათ შორის ნახევრადწლიური პირდაპირი უკუკავშირი ზედამხედველებისგან. ჯილდოების გაცემა ხდება მიზნების მიღწევის საფუძველზე. ჩვენ გვაქვს ქულათა მინიჭების ერთიანი სისტემაში ყველა თანამშრომლისთვის MBO-ს ფარგლებში, რაც უზრუნველყოფს სამართლიანობას მთელს ორგანიზაციაში.

შუა რგოლის მენეჯერებისთვის ასევე დანერგილი გვაქვს 360-გრადუსიანი უკუკავშირი, რომელიც შესაძლებლობას აძლევს თითოეულ თანამშრომელს მიიღოს უკუკავშირი მის მიერ შესრულებულ სამუშაოსთან დაკავშირებით მისი ზედამხედველისგან, კოლეგებისგან და დაქვემდებარებული პირებისგან. 360-გრადუსიანი უკუკავშირი საშუალებას აძლევს ჩვენს თანამშრომლებს გაიგონ, თუ როგორ აღიქმება მათ მიერ შესრულებული სამუშაო სხვების მიერ და ეს ეხმარება მათ უკეთ გამოავლინონ თავიანთი ძლიერი და სუსტი მხარეები და ასევე შეიძინონ ახალი უნარები.

წინა ხაზის თანამშრომლებისთვის ჩვენ ვიყენებთ მიზანზე დაფუძნებული შესრულების შეფასების სისტემას, რა შემთხვევაშიც თანამშრომლის მიერ თავისი სამუშაოს შესრულება დაკავშირებულია კონკრეტულ KPI-თან, მათ შორის რაოდენობრივ და ხარისხობრივ კომპონენტებთან. მიზანზე დაფუძნებული სისტემის ფარგლებში თანამშრომლები ფასდებიან ყოველთვიურად, ყოველკვარტალურად ან ყოველწლიურად, მათი პოზიციების მიხედვით.

ჩვენ ვთავაზობთ თანამშრომლებს ანაზღაურების კონკურენტულ პაკეტს, რომელიც მოიცავს ყოველთვიურ ხელფასს, ბონუსს შესრულებული სამუშაოს მიხედვით და ბენეფიტების პაკეტს. ეს უკანასკნელი გულისხმობს საპენსიო შენატანებს, სამედიცინო დაზღვევას, კორპორატიულ მობილური ტელეფონის ნომრებს, წლიურ ანაზღაურებად შევებულებას და ანაზღაურებად საავადმყოფო ფურცელს, ასევე სრულად ანაზღაურებად ექსთვიან დეკრეტულ შევებულებას დედებისთვის და მამებისთვის. სხვა ბენეფიტები მოიცავს ფულად საჩუქრებს ქორწინებისა და შვილის ყოლის შემთხვევაში და კომპენსაციას სეროიზული ავადმყოფობის ან

გარდაცვალების შემთხვევაში. გარდა ამისა, 2013 წლიდან გვაქვს სპეციალური კლუბი დიდი ოჯახებისთვის. ეს სოციალური პროგრამა გულისხმობს სპეციალური 10,000 ლარიანი ერთჯერადი საჩუქრის გადაცემას თიბისი ბანკის ყველა თანამშრომლისთვის მეოთხე და მეხუთე შვილის დაბადების შემთხვევაში და 50,000 ლარიანი ერთჯერადი საჩუქრის გადაცემას - მეექვსე და მეტი შვილის დაბადების შემთხვევაში. 2018 წლის ბოლოსთვის კლუბი ითვლის 500-მდე თანამშრომელს და გაცემული აქვს დაახლოებით 780 000 ლარის ფულადი საჩუქარი მისი კლუბის დაფუძნების დღიდან.

ჩვენ დანერგილი გვაქვს გადავადებული აქციების ბონუსების სქემა ჩვენი შუა რგოლის მენეჯერებისთვის, რომლის თანახმადაც საერთო წლიური ბონუსის 15% -20%-ის გადახდა ხდება TBC PLC-ის აქციების სახით, სამწლიანი უწყვეტი მუშაობის პირობით და ფლობის პერიოდით: 10% და 10% გადაეცემა პირველი და მეორე წლისთავზე, ხოლო დარჩენილი 80% კი გადაეცემა მესამე წლისთავზე. ეს სქემა ახდენს კომპანიისთვის გრძელვადიანი მუშაობის წახალისებას და ეხმარება შუა რგოლის მენეჯერების ინტერესების შესაბამისობაში აქციონერთა ინტერესებთან. 2019 წელს, ბონუსის სახით 167,361 აქციის გადაცემა მოხდა შუა რგოლის მენეჯერებისთვის.

ეთიკის სტანდარტები და გაცნობიერებული ქცევა

ჩვენი მიზანია ისეთი ბიზნესის წარმართვა, რომელიც ხელს უწყობს მაღალ ეთიკურ სტანდარტებს, ღირებულებებს და პატივს სცემს ადამიანის უფლებებს, რომელიც წახალისებს ჩვენს თანამშრომლებს იმოქმედონ კეთილსინდისიერად და პასუხისმგებლობის დაცვით ერთმანეთთან, ისევე როგორც ჩვენს მომხმარებლებთან, ბიზნეს-პარტნიორებთან, სხვა დაინტერესებულ მხარეებთან და ზოგადად საზოგადოებასთან მიმართებაში.

ამ მიზნით, ჩვენ დანერგილი გვაქვს შიდა პოლიტიკა და პროცედურები და ყურადღებით ვაკვირდებით მათ შესრულებას:

- > ეთიკის კოდექსი; ქვევის კოდექსი;
- > მექრთამეობის, კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლისა და გადასახადებისგან თავის არიდების პრევენციის პოლიტიკა;
- > ინციდენტის მართვის პოლიტიკა.

„ეთიკის კოდექსი“ და „ქვევის კოდექსი“ განსაზღვრავენ ეთიკის პრინციპებს და პროფესიული ქვევის სტანდარტებს, რომლებიც უნდა დაიცვას ჯგუფის ყველა თანამშრომელმა და ადგენს კოლეგებთან, კლიენტებთან, პარტნიორებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან

ურთიერთობის შესაბამის ნორმებს. თიბისი ბანკის თანამშრომლები ყოველთვის უნდა იმოქმედებდნენ პროფესიული ქვევის სტანდარტების დაცვით და კეთილსინდისიერად და უნდა აკმაყოფილებდნენ როგორც ყველა მოქმედი კანონისა და რეგულაციის როგორც სულისკვეთებას ისე გაზრახვას. თანამშრომლები ასევე პატივისცემით უნდა მოექცნენ ყველა დაინტერესებულ მხარეს და მათთან მიმართებაში იმოქმედონ სამართლიანად და პასუხისმგებლობის დაცვით. მომხმარებლებთან ურთიერთობისას ჩვენ ვუზრუნველყოფთ, რომ ჩვენი პროდუქტები და მომსახურება მორგებული იყოს მათ საჭიროებებს, იყოს პირდაპირი, მკაფიო და ადვილად გასაგები. ჩვენ ასევე ვუზრუნველყოფთ, რომ კლიენტებს არ შეექმნათ გაყიდვების შემდგომი ბარიერები, რომ შეცვალონ პროდუქტი, წარმოადგინონ პრეტენზია ან საჩივარი. მომწოდებლებთან და სხვა ბიზნეს პარტნიორებთან მიმართებაში, ჯგუფი მონაწილეობს მხოლოდ სამართლიან ტრანზაქციებში. ჩვენს თანამშრომლებთან მიმართებაში, ჩვენ მივისწრაფვით მხარდაჭერი, უსაფრთხო და პატივსაცემი სამუშაო გარემოს უზრუნველყოფისკენ, რომელიც თავისუფალი იქნება ყოველგვარი შეურაცხყოფისგან, დისკრიმინაციისაგან (მათ შორის რასის, წინაპრების, კანის ფერის, რელიგიის, ეროვნული წარმომავლობის, მოქალაქეობის, ოჯახური მდგომარეობის, ვეტერანის სტატუსის, სქესის, გენდერული იდენტობის, სექსუალური ორიენტაციის, ასაკის ან შეზღუდული შესაძლებლობების ნიშნით) ან შესაბამის ქვევისგან. გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხები ასევე დგას ჩვენი დღის წესრიგში ჩვენს ყველა წამოწყებაში.

ჯგუფის ეთიკის კოდექსსა და ქვევის კოდექსთან შესაბამისობის დაცვის დეტალურ მონიტორინგს რეგულარულად ახორციელებენ ადამიანური რესურსების მართვისა და შესაბამისობის უზრუნველყოფის დეპარტამენტები. შიდა აუდიტის დეპარტამენტი პერიოდულად ატარებს აუდიტს, რათა გამოავლინოს აღნიშნულ პოლიტიკასთან დაკავშირებული დარღვევები ან არასათანადო ქცევა. 2018 წელს არ დაფიქსირებულა არსებითი დარღვევები ჯგუფის ეთიკის კოდექსის ან ქვევის კოდექსის თვალსაზრისით.

მექრთამეობის, კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლისა და გადასახადებისგან თავის არიდების პრევენციის პოლიტიკა შესაბამისაა ყველა ადგილობრივ და საერთაშორისო კანონსა და რეგულაციას და ვრცელდება ჯგუფის ყველა თანამშრომელზე. ეს პოლიტიკა მოიცავს სრულყოფილ სახელმძღვანელო მითითებებს იმ სახის ქცევაზე, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს მექრთამეობისა და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის კანონების და/ან უკანონო ფინანსების შესახებ კანონის დარღვევა და აძლიერებს პატიოსნებისა და გულწრფელობის კულტურას თანამშრომლებს შორის.

თანამშრომელთა დაცვისა და სამუშაო პირობების გაუმჯობესების უზრუნველსაყოფად დანერგილია ინციდენტის მართვის პოლიტიკა, რომელიც ხელმისაწვდომია ყველა თანამშრომლისათვის და მიზნად ისახავს იმ პოტენციური დარღვევების გამოვლენასა და მათზე რეაგირებას, რომლებმაც შეიძლება საფრთხე შეუქმნან ეფექტურ მუშაობას. ეს პოლიტიკა ხელს უწყობს ყველა თანამშრომლის მიერ საეჭვო დარღვევის დიად, სამაგიეროს გადახდის შიშის გარეშე მხილების წახალისებას. გარდა ამისა, თიხის ბანკს აქვს მხილების ანონიმური არხები (მათ შორის ონლაინ რეჟიმში, ელექტრონული ფოსტის ან წერილის საშუალებით) ნებისმიერი პირისთვის, რომელსაც სჯერა, რომ დაირღვა შიდა სტანდარტები ან სამართლებრივი მოთხოვნები, მაგრამ ეუხერხულეა ამის შესახებ საუბარი ჩვეულებრივი ანგარიშგების არხების საშუალებით. ჩვენი სახელმძღვანელო მითითებების მიზანია პრეტენზიების აღრიცხვა და თანამშრომელთა უსაფრთხოების უზრუნველყოფა სამაგიეროს პოტენციური გადახდისგან.

შესაბამისობის უზრუნველყოფის დეპარტამენტი რეგულარულად ატარებს თანამშრომელთა ტრენინგს, კორუფციისა და მექრთამეობის საწინააღმდეგო საკითხების შესახებ ცნობიერების ამაღლებისა და მათი მნიშვნელობის ხაზგასმის მიზნით. ასევე, შიდა აუდიტის დეპარტამენტი პერიოდულად ატარებს აუდიტებს ნებისმიერი დარღვევის ან შეუსაბამო ქცევის გამოვლენის მიზნით. 2018 წლის განმავლობაში ასეთი შემთხვევები არ გამოვლენილა.

2019 წლის პრიორიტეტები

- > ჩვენ გავაგრძელებთ ინვესტირებას ჩვენი თანამშრომლების განვითარებაში, რათა შევქმნათ საუკეთესო ნიჭი ჩვენს კომპანიაში. ჩვენ ასევე მივისწრფავით შევქმნათ საუკეთესო სამუშაო გარემო ჩვენი თანამშრომლებისთვის, უზრუნველვყოთ ისინი კარგი კარიერით ყველა ასპექტში, მათ შორის ფინანსური ბენეფიტებით, სწავლისა და პროფესიული განვითარების შესაძლებლობით, სოციალური ინტერაქციით და უსაფრთხოებით.

ჩვენი საზოგადოება

როგორც ყველაზე მსხვილი საბანკო ჯგუფი საქართველოში, ჩვენ ვგრძნობთ პასუხისმგებლობას ჩვენი საზოგადოების მიმართ და მხარს ვუჭერთ იმ სფეროებს, რომლებიც უმნიშვნელოვანესია ჩვენი ქვეყნისა და მისი კულტურისთვის: ახალგაზრდა თაობას, ხელოვნებასა და კულტურას.

2018 წლის მნიშვნელოვანი მოვლენები

2018 წლის განმავლობაში ჩვენ განვახორციელეთ რამდენიმე აღსანიშნავი პროექტი:

- თიბისი ბანკი დაეხმარა საქართველოს მთავარ ლიტერატურულ ჯილდოს „საბას“ აღენიშნა მისი მეთექვსმეტე დაჯილდოების ცერემონიალი და მონაწილეობა მიეღო ფრანკფურტის წიგნის 70-ე საერთაშორისო ბაზრობაზე, რომელიც მსოფლიოში ყველაზე დიდი წიგნის ბაზრობაა. საქართველო იყო ამ ბაზრობაზე საპატიო სტუმარი, რამაც საშუალება მისცა ჩვენს ქვეყანას გაეცნო ქართული ლიტერატურა გამომჩენილი აუდიტორიისთვის. გარდა ამისა, ბაზრობის ფარგლებში, ცნობილმა „Struwwelpeter“ მუზეუმმა უმასპინძლა ქართული ხალხური ზღაპრის „წიქარასადმი“ მიძღვნილ გამოფენას. გამოფენა მოიცავს სამგანზომილებიან ობიექტებს და ფიგურებს, რომლებიც გაფორმებულია ქართული ტრადიციული ვიზუალური ხელოვნების ორნამენტებით. გამოფენა ღია იყო საზოგადოებისთვის 2018 წლის ოქტომბრიდან 2019 წლის იანვრის ჩათვლით.
- საქართველოს დამოუკიდებლობის 100 წლისთავის აღსანიშნავად, თიბისი ბანკმა მხარი დაუჭირა „ოქსფორდის უნივერსიტეტის“ მიერ საქართველოს ისტორიისა და კულტურის შესახებ პრიველი წიგნის დაბეჭდვას. წიგნი ეფუძნება უორდროპის კოლექციას, რომელიც მოიცავს იშვიათ, ძველ ქართულ ხელნაწერებს, უნიკალურ წიგნებსა და დოკუმენტებს, მათ შორის მე-17 საუკუნით დათარიღებულ ცნობილი „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერებს. კოლექცია, რომელიც ინახებოდა ოქსფორდის Bodleian-ის ბიბლიოთეკაში, იქმნებოდა ყოფილი ბრიტანელი დიპლომატის, სერ ოლივერ უორდროპისა, და მისი დის, მარჯორის, მიერ მრავალი წლის განმავლობაში. წიგნი წარმოდგენილი იყო სერ უორდროპის ყოფილ სახლში, Seven Oaks-ში, დიდ ბრიტანეთში და ახლა უკვე ხელმისაწვდომია Amazon-ის ინტერნეტ მაღაზიაში.
- 2018 წლის ოქტომბერში თიბისი ბანკის დახმარებით მოხდა ძმები ზუბალაშვილების არქივების საქართველოში დაბრუნება. პეტრე, იაკობ და სტეფანე ზუბალაშვილები იყვნენ მე-18 საუკუნის ცნობილი მრეწველები, ვაჭრები და ფილანტროპები. მათი უნიკალური არქივები მოიცავს ისტორიულ დოკუმენტებს ისტორიის, ცივილიზაციისა და არქეოლოგიის შესახებ და ასევე არტეფაქტებს, რომლებიც ინახებოდა 114 წელზე მეტი ხნის განმავლობაში მათი შთამომავლების მიერ, რომლებმაც ეს უნიკალური კოლექცია 2018 წელს საჩუქრად გადასცეს საქართველოს. კოლექცია გადატანილ იქნა საქართველოს ეროვნულ მუზეუმში, სადაც გამოფენა მოეწყო 2018 წლის ნოემბერში.

ახალგაზრდა თაობა

ჩვენ ვისწრაფვით ნიჭიერი ახალგაზრდების მხარდაჭერისკენ მათი პროფესიული განვითარების კუთხით და ვაგრძელებთ ამ მიმართულებით ახალი პროექტებისა და ინიციატივების განხორციელებას.

2016 წლიდან თიბისი ბანკი არის „ახალგაზრდა მკვლევართა და ნოვატორთა კონკურსის ლეონარდო და ვინჩის“ მთავარი პარტნიორი. ეს არის ყოველწლიური ღონისძიება რომლის მიზანია STEM (მეცნიერების, ტექნოლოგიების, საინჟინრო და მათემატიკის მეცნიერებათა) საგნების პოპულარიზაცია ახალგაზრდებს შორის. 2018 წლის გამარჯვებულ გუნდს საჩუქრად გადაეცა ერთწლიანი სტიპენდია თიბისი სტატუსისგან. გარდა ამისა, 2018 წელს თიბისი ბანკი გახდა „ათასწლეულის ინოვაციების ჯილდოს“ პარტნიორი, რომელიც არის გამოწვევა მთელი ქვეყნის მასშტაბით და რომლის მიზანია STEM დარგებში ინოვაციების წახალისება ახალგაზრდებს შორის მთელი ქვეყნის მასშტაბით. თიბისი ბანკი ფინანსურად დაეხმარება გამარჯვებულ გუნდს რათა გაემგზავრონ „NASA“-ს კოსმოსური ცენტრის უნივერსიტეტში, ჰიუსტონში, აშშ-ში, 2019 წლის მაისში.

2018 წლის ივნისში თიბისი ბანკმა და თიბისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა ხელი მოაწერეს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს, რომელიც ითვალისწინებს ერთობლივი საგანმანათლებლო პროექტებისა და სტუდენტებისთვის სასწავლო პროგრამების, დასაქმების პროგრამების შემუშავებას, ასევე უნივერსიტეტისთვის სპეციალური ონლაინ ბრენდული მალაზიის შექმნას. გარდა ამისა, თიბისი ბანკი გაუზიარებს სტუდენტებს თავის ექსპერტულ ცოდნას (ნოუ-ჰაუს) მარკეტინგისა და ბრენდირების საკითხებში და ასევე შეიმუშავებს სპეციალურად სტუდენტების საჭიროებებზე მორგებულ პროდუქტებს.

ჩვენ ასევე აქტიურად ვუჭერთ მხარს ნიჭიერ ახალგაზრდებს ჩვენი პირველი საქველმოქმედო პლატფორმის www.statusdonates.ge-ს საშუალებით, რომლის მიზანია თიბისი სტატუსის კლიენტების სახელით წარმატების ხელშეწყობა და საზოგადოებაში სოციალური პასუხისმგებლობის კულტურის ჩამოყალიბება. პლატფორმაზე, რომელიც ამჟამად 2017 წლის დასაწყისში, დააფინანსა 25 პროექტი, ხოლო მთლიანად დაფინანსების თანხამ შეადგინა 125 მილიონი ლარი და მან 70-ზე მეტი ადამიანის ცხოვრება უკეთესობისკენ შეცვალა.

კულტურა

თიბისი ბანკი თავისი დაარსების დღიდან ქართული კულტურის გულმოდგინე მხარდამჭერია და განხორციელებული აქვს მრავალი პროექტი ქართული მემკვიდრეობის პოპულარიზაციისთვის.

2003 წელს თიბისი ბანკმა დააფუძნა „საბა“, ძირითადი ლიტერატურული პრემია საქართველოში. მას შემდეგ „საბას“ პრემიის ფარგლებში გაიყა 150-ზე მეტი პრიზი სხვადასხვა კატეგორიაში, რომელთა საერთო ღირებულებამ შეადგინა 700,000 ლარზე მეტი. ამ

წელს „საბა“-ს დაჯილდოვების ცერემონიალი იყო განსაკუთრებული ღონისძიება, რადგან ის გაიმართა გერმანიაში, „ფრანკფურტის სწიგნის საერთაშორისო ბაზრობის“ ფარგლებში.

2017 წლიდან „საბა“-ს აქვს თავისი ვებ-გვერდი www.saba.com.ge, რომელიც არის ქართული ელექტრონული და აუდიო წიგნების უდიდესი პლატფორმა. ვებ-გვერდზე განთავსებულია 300-მდე ავტორისა და გამომცემლის ნაწარმოები და მას ჰყავს დაახლოებით 170,000 მკითხველი როგორც საქართველოში ისე საზღვარგარეთ.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პროექტია „არტარეა“, ქვეყანაში პირველი ონლაინ არხი, რომელიც ეძღვნება ხელოვნებასა და კულტურას. „არტარეა“ მაყურებელს სთავაზობს სხვადასხვა კულტურულ პროგრამებს, ონლაინ ლექციებს, გამოფენებს, კონცერტებს და გასართობ ღონისძიებებს. მისი პოპულარობა მყარად იზრდება და მას ყოველდღიურად 30 000-ზე მეტი მაყურებელი ჰყავს, ხოლო სოციალურ მედიაში - 110 000-ზე მეტი მომხმარებელი.

ქართული ენის პოპულარიზაციისა და ქართული ანბანის ციფრულ სამყაროში ინტეგრირების მიზნით, 2016 წელს ჩვენ დავიწყეთ პროექტი #წერექართულად. ამ პროექტის ფარგლებში, 2017 წელს, კომპანია „Microsoft“-თან პარტნიორობით შევქმენით პირველი ქართულენოვანი პლატფორმა www.kartulad.ge, რომელიც მიზნად ისახავს ქართული ენის ინტეგრირებას „Microsoft“-ის პროგრამებსა და პროგრამულ უზრუნველყოფაში, როგორცაა Skype, Office და სხვა. პლატფორმა მოუწოდებს საქართველოს მოსახლეობას ჩართონ ამ პლატფორმაზე და თავგნონ ქართული ლიტერატურიდან აღებული წინადადებები. ამ წელს, „თიბისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა“ და უნივერსიტეტის „ლექსიკოგრაფიის ცენტრმა“ თარგმნა დაახლოებით 50,000 წინადადება. დღემდე ნათარგმნია 100,000-ზე მეტი წინადადება, რაც შესაძლებელს ხდის „Microsoft“-თვის დაიწყოს ქართული ენის „შესწავლა“ წლის განმავლობაში ასევე დასრულდა რამდენიმე სხვა მნიშვნელოვანი ინიციატივა, მათ შორის:

- უდიდესი ქართულ-ინგლისური ლექსიკონის დიგიტალიზაცია;
- საქართველოში შრიფტების პირველი კონკურსის მოწყობა, ახალი ქართული შრიფტების დიგიტალიზაციისა და ქვეყანაში შრიფტების ინჟინერიის ხელშეწყობის მიზნით;
- სამ მილიონზე მეტი წინადადების/ფრაზის შემცველი მონაცემთა ბაზის გადაცემა „Microsoft“-თვის „საბა“-ს ელექტრონული წიგნებიდან.

ჩვენ ასევე ვაგრძელებთ სხვადასხვა გამოფენებსა და კულტურული ღონისძიებების აქტიურად მასპინძლობას ჩვენს არტ-გალერეებში საქართველოს სამ მთავარ ქალაქში. 2018 წლის განმავლობაში ჩვენ ვუმასპინძლეთ დაახლოებით 140 ღონისძიებას. მათ შორის, ყველაზე მნიშვნელოვანი იყო „ბრძოლა თუ შეგუება?“, გამოფენა. რომელიც მიეძღვნა საქართველოს დამოუკიდებლობის 100 წლისთავს და რომელიც გაიმართა „კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის“ მხარდაჭერით.



რამბი

თიბისი ბანკი არის „საქართველოს რაგბის კავშირის“ გენერალური სპონსორი 2015 წლიდან. რამბი არის სპორტი, რომელიც ახლოსაა ქართველი ხალხის გულთან, ეს არის ქვეყნის ეროვნული თამაში და ის ხელს უწყობს ქვეყნის იმიჯის პოპულარიზაციას საერთაშორისო ასპარეზზე. ჩვენ ვამაყობთ, რომ ხელს ვუწყობთ რაგბის განვითარებას საქართველოში და მზად ვართ მხარი დავუჭიროთ ჩვენს ეროვნულ რაგბის გუნდს „ექვსი ერების კლუბის“ შემადგენლობაში შესვლაში.

2019 წლის პრიორიტეტები

- მომავალში ჩვენ გავარძლებთ მოწინავე მაგალითის მიცემას სხვა ბიზნესებისთვის, რომ იზრუნონ საზოგადოებაზე, კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის აქტივობებში ჩვენი აქტიური ჩართულობით. ჩვენი პრიორიტეტები კვლავაც არის ნიჭიერი ახალგაზრდებისთვის განათლებისა და განვითარების ახალი შესაძლებლობების მიცემა, ხელოვნების მხარდაჭერა და საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვა. ჩვენ მტკიცედ გვჯერა, რომ ეს არის ძირითადი სფეროები, სადაც შეგვიძლია დადებითი გავლენა მოვახდინოთ და ძალისხმევა მივმართოთ წარმატებული ქვეყნის მშენებლობისკენ.



მმართველობითი ანგარიში
მომხსენებელი

მმართველობითი ანგარიში
საქმიანობის აღწერა

მართვა

ფინანსური ანგარიშგება

გარემოს დაცვა

ჩვენ მივისწრაფვით გარემოს დაცვისკენ ჩვენი საქმიანობის განხორციელებით გონივრული და მდგრადი ფორმით და ჩვენ აქტიურ ზომებს ვიღებთ ჩვენი პირდაპირი თუ ირიბი საქმიანობის შედეგად გარემოზე ზემოქმედების შესამცირებლად.

სასხის გაცემის კასუსის მგებლობა

როგორც საქართველოში უმსხვილესი საბანკო ჯგუფი, ჩვენი ძირითადი ზემოქმედება გარემოზე გამომდინარეობს იმ პროექტებიდან, რომლებსაც ვაფინანსებთ. აქედან გამომდინარე, ჩვენ შევიმუშავეთ „გარემოს დაცვისა და სოციალური რისკების მართვის პოლიტიკა“, რომელიც შეესაბამება საქართველოს გარემოსდაცვით კანონმდებლობას და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის სახელმძღვანელო პრინციპებს. პოლიტიკა ასევე უზრუნველყოფს სესხების გონივრულად გაცემას და იმ პროექტების დაფინანსებაზე უარის თქმას, რომელთაც გააჩნიათ უარყოფითი ზეგავლენა გარემოზე ან უარყოფითი სოციალური ზემოქმედება. სექტორისთვის სპეციფიკური გარემოსდაცვითი და სოციალური რისკის შეფასება ინტეგრირებულია საკრედიტო რისკების მართვის პროცესში და ვრცელდება კომერციული დაკრედიტების ყველა საქმიანობაზე. სრული პოლიტიკა ხელმისაწვდომია მისამართზე: www.tbcbank.ge/web/en/web/guest/esms. პროცედურების დაცვის მონიტორინგი ხორციელდება „გარემოს დაცვისა და სოციალური რისკების მართვის გუნდის“ მიერ, ხოლო შიდა აუდიტის დეპარტამენტი პერიოდულად ატარებს აუდიტს დარღვევების გამოსავლენად. 2018 წელს მნიშვნელოვან დარღვევებს ადგილი არ ჰქონია.

ჩვენ ასევე გვაქვს სპეციალური არხი, რომლის მეშვეობითაც თანამშრომლებს, პარტნიორებს, მომხმარებლებს ან სხვა დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ წამოჭრან გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხები ჩვენს საქმიანობასთან დაკავშირებით. დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ ბმულზე: www.tbcbank.ge/web/en/web/guest/e-s.

ბუნებრივი რესურსების ეფექტიანად მოხმარება და ნარჩენების გონივრული მართვა

ჩვენ მივისწრაფვით ბუნებრივი რესურსების ეფექტურად გამოყენებისკენ ბენზინის, გაზის, ელექტროენერჯის, წყლისა და საბეჭდი ქაღალდების მოხმარების შემცირების გზით. ამის მისაღწევად ჩვენ ვიღებთ შემდეგ ზომებს:

- ჩვენს შენობებში ვიყენებთ ენერგოეფექტურ LED განათებას;
- ჩვენს ოფისებში გვაქვს ენერგოეფექტური გათბობის და გაგრილების სისტემები;
- ჩვენ განვაახლეთ ბანკში ჩვენი ავტოპარკის 73% ჰიბრიდული (59%) და ელექტრო (14%) ავტომობილებით.
- ჩვენ პრიორიტეტს ვანიჭებთ მწვანე და ენერგოეფექტური პროდუქტების გამოყენებას ჩვენს ყოველდღიურ საქმიანობაში, შესყიდვების პროცესში გარემოსდაცვითი შეფასების ინტეგრირების გზით; და
- ბანკში ვიყენებთ მწვანე მშენებლობის სტანდარტებს.

ნარჩენების მართვის თვალსაზრისით, 2016 წლიდან თიბისი ბანკი ახორციელებს ნარჩენების მართვის პროგრამას, რომელიც უზრუნველყოფს ჩვენს მიერ ჩვენი სახიფათო და არასახიფათო ნარჩენების მონიტორინგს და ეფექტურად მართვას. არასახიფათო ნარჩენები ძირითადად წარმოიქმნება საბეჭდი ქაღალდისგან, რომელსაც ჩვენ ვაქცეპტებთ და ვაწვდით გადამამუშავებელ კომპანიას წიგნების სანაცვლოდ, რომლებსაც შემდეგ გადავცემთ ობოლთა თავშესაფრებს, სოციალურად დაუცველ ოჯახებს და ბიბლიოთეკებს საქართველოს სასოფლო და მთიან რეგიონებში არსებულ შორეულ სოფლებში. სახიფათო ნარჩენების საკითხში კი, როგორცაა მაგალითად პრინტერის კარტრიჯები, ჩვენ ვთანამშრომლობთ კომპანიასთან, რომელიც გვაწვდის ახალ კარტრიჯებს და ახდენს გამოყენებული კარტრიჯების დატენვას. 2019 წლიდან ვგეგმავთ განვახორციელოთ ნარჩენების განცალკავების სისტემა, რომელიც საშუალებას მოგვცემს შევამციროთ იმ ნარჩენების რაოდენობა, რომელიც გავაქვს ნაგავსაყრელებზე.

2019 წლის პრიორიტეტები

- ჩვენ ვგეგმავთ ჩვენი პოლიტიკისა და პროცედურების გაძლიერებას იმისათვის, რომ კიდევ უფრო შევამციროთ გარემოზე ზემოქმედება და განვახორციელოთ სხვადასხვა ინიციატივები ჩვენი თანამშრომლების ცნობიერების ასამაღლებლად გარემოსდაცვით საკითხებზე და მათი ჩართულობის გასაზრდელად.

სათბური გაზების ემისია

თიბისი ბანკმა შექმნა ყოვლისმომცველი შიდა გარემოსდაცვითი სისტემა ჯგუფის მასშტაბით სათბური გაზების ემისიების სამართავად და ცდილობს შეამციროს სათბური გაზების ემისია საწვავის, გაზისა და ელექტროენერჯის მოხმარების მკაცრი მონიტორინგის გზით. თიბისი ბანკმა ასევე დაიქირავა „ჯანდაცვის, უსაფრთხოებისა და გარემოზე ზემოქმედების“ საკონსულტაციო კომპანია, შპს. გერგილი, მისი სათბური გაზების ემისიის გაზომვების დასამტკიცებლად.

| | სულ CO2 ემისია (ტონა) | | |
|--|-----------------------|--------------|--------------|
| | 2018 | 2017 | 2016 |
| ფინანსური წლის მონაცემები | | | |
| Scope 1* | | | |
| საწვავის წვა (გათბობა, ავტო-ტრანსპორტი, გენერატორები) | 2,144 | 2,054 | 1,804 |
| Scope 2 (ელექტროენერჯის მოხმარება) | 1,214 | 1,206 | 1,147 |
| Scope 3 (საერთაშორისო ფრენები) | 575 | 321 | 268 |
| სულ ემისია (tCO₂) | 3,933 | 3,581 | 3,219 |
| სულ ემისია ერთ შტატიან თანამშრომელზე (CO₂t/pp) | 0.62 | 0.57 | 0.52 |

*Scope 1:

- a) 1,441 CO₂e ემისია ტონებში (საწვავის წვის შედეგად (NG), თიბისი ბანკის ოპერაციების შედეგად და მისი შენობა-ნაგებობებიდან) 2018 წელს, 2017 წლის 1,474 CO₂e და 2016 წლის 1,209 CO₂e შედარებით.
- b) 617 CO₂e ემისია ტონებში (თიბისი ბანკის საკუთარი ავტომობილებიდან) 2018 წელს, 2017 წლის 478 CO₂e და 2016 წლის 533 CO₂e შედარებით.
- c) 86 CO₂e ემისია ტონებში (თიბისი ბანკის საკუთარი გენერატორებიდან) 2018 წელს, 2017 წლის 102 CO₂e in 2017 და 2016 წლის 63 CO₂e შედარებით.

2018 წელს მთლიანი სათბური გაზების ემისია გაიზარდა 10%-ით წინა წელთან შედარებით, რაც ძირითადად განპირობებული იყო საერთაშორისო ფრენების რაოდენობის ზრდით, და ასევე სატრანსპორტო საშუალებებიდან გამონახოლქვის რაოდენობის ზრდით, რაც გამოწვეული იყო ბიზნესის ზრდის შედეგად მანქანების საერთო რაოდენობის გაზრდით.

გამოანგარიშების მეთოდოლოგია

დაისახა სათბური გაზების ინვენტარიზაციის შემდგომი ნაბიჯი: საორგანიზაციო საზღვრები, საოპერაციო საზღვრები, მონაცემთა შეგროვება და ნახშირორჟანგის (CO₂) ეკვივალენტის გაანგარიშება. ეს ანგარიში აღწერს ემისიების ყველა წყაროს, რომელიც გათვალისწინებულია 2006 წლის „კომპანიების აქტი“ (სტრატეგიული ანგარიში და დირექტორების ანგარიშები), 2013 წლის რეგულაციებით (Scope 1 და 2) და, გარდა ამისა, ემისიებით Scope 3-ის ფარგლებში, რომელიც ვრცელდება ბიზნეს-საქმიანობაზე. ემისიების მონაცემების მომზადებისას გამოყენებულ იქნა გაერთიანებული სამეფოს მთავრობის „2017 წლის კომპანიის ანგარიშებისთვის სათბური გაზების კონვერსიის ფაქტორებიდან“ აღებული ემისიების ფაქტორები, ხოლო ელექტროენერჯის შემთხვევაში „ეროვნული IPCC“-ის ემისიის ფაქტორები (tCO₂*/ MWh). საჭირო მონაცემები შეგროვდა, ხოლო ანგარიში მომზადდა ბანკის-ის მთავარი საქმიანობის ზღვრებისთვის შემდგენიარად:

Scope 1 (საწვავის წვა და შენობა-ნაგებობების მუშაობა) მოიცავს საკუთრებაში არსებულ ან კონტროლს დაქვემდებარებულ ადგილებზე მოწყობილობა-დანადგარების მიერ ბუნებრივი აირის, დიზელის ან/და ბენზინის წვის შედეგად გამოყოფილ აირებს. ასევე სატრანსპორტო საშუალებების მიერ ბენზინის, დიზელის, ბუნებრივი აირის და ა.შ. წვის შედეგად გამოყოფილ აირებს.

Scope 2 (საკუთარი გამოყენებისთვის შექმნილი ელექტროენერჯის [განათება, საოფისე აღჭურვილობა, გაგრილების სისტემა და ა.შ.] მოიცავს ემისიებს შემდეგიდან: საკუთრებაში არსებულ ან კონტროლს დაქვემდებარებულ ადგილებზე მოხმარებული ელექტროენერჯიდან; ემისიების გაანგარიშებისთვის გამოყენებულ იქნა კონვერსიის ფაქტორი „ეროვნული IPCC“ ემისიების ფაქტორებიდან ელექტროენერჯისთვის (tCO₂*/MWh);

Scope 3 მოიცავს ემისიებს მივლინების დროს საჰაერო ტრანსპორტით მგზავრობის დროს (მოკლე მანძილებზე, საშუალო მანძილებზე, შორ მანძილებზე და საერთაშორისო ფრენებს); უნდა აღინიშნოს, რომ გათვალისწინებული იქნა ინფორმაცია ფრენის კლასთან დაკავშირებით და ემისიების გამოსაანგარიშებლად გამოყენებულ იქნა „ეკონომ-კლასის“ კონვერსიის ფაქტორი შემდეგი ბმულიდან: www.atmosfair.de/en/offset/flight

ბორჯომის ხეობის ტყეები

თიბისი ბანკი იყო პირველი კერძო კომპანია საქართველოში, რომელმაც გამოაცხადა თავისი გადაწყვეტილება ბორჯომის ხეობის აღდგენასა და გატყვანებასთან დაკავშირებით, სადაც 2017 წლის ხანძრის გამო და 2008 წლის რუსეთ-საქართველოს შეიარაღებული კონფლიქტის გამო დაიწვა და განადგურდა 752 ჰექტარი ტყე.

2018 წელს, სატყეო სააგენტოსთან თანამშრომლობით თიბისი ბანკმა სრულად აღადგინა დაზიანებული მიწის 10 ჰექტარი 17,500 ძირი კავკასიური ფიჭვის ხის დარგვით. ამ ინიციატივაში აქტიურად იყვნენ ჩართული თანამშრომლები; თიბისი ბანკმა მოაწყო შაბათ-კვირის ექსკურსია ბორჯომში რათა დახმარებოდა სატყეო სააგენტოს თანამშრომლებს ხეების დარგვის პროცესში.



ფინანსური მიმოხილვა

თიბისი ბანკის ფინანსური შედეგები მომზადებულია IFRS საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები

მოგება-ზარალის ანგარიშების მიმოხილვა

| ლ'000 | 2018 | 2017 | ცვლილება |
|---|----------------|----------------|--------------|
| წმინდა საპროცენტო შემოსავალი | 770,558 | 601,567 | 28.1% |
| წმინდა საკომისიო შემოსავალი | 156,492 | 124,801 | 25.4% |
| სხვა საოპერაციო არასაპროცენტო შემოსავალი | 139,039 | 124,171 | 12.0% |
| შესაძლო დანაკარგების რეზერვის ხარჯები ¹ | (165,506) | (106,137) | 55.9% |
| საოპერაციო შემოსავალი შესაძლო დანაკარგების რეზერვის ხარჯების გათვალისწინებით | 900,583 | 744,402 | 21.0% |
| საოპერაციო ხარჯები | (395,932) | (346,959) | 14.1% |
| მოგება დაბეგვრამდე | 504,651 | 397,443 | 27.0% |
| მოგების გადასახადის ხარჯი | (71,351) | (34,662) | NMF |
| წმინდა მოგება | 433,300 | 362,781 | 19.4% |

NMF – უმნიშვნელო მონაცემები

საბალანსო ანგარიშებისა და კაპიტალის ძირითადი მაჩვენებლები

| ლ'000 | 2018 | | 2017 | | ცვლილება |
|--|------------|-----------|------------|-----------|----------|
| | GEL | US\$ | GEL | US\$ | |
| სულ აქტივები | 15,452,847 | 5,773,312 | 12,937,197 | 4,990,817 | 19.4% |
| მთლიანი სესხები | 10,372,582 | 3,875,283 | 8,553,217 | 3,299,598 | 21.3% |
| მომხმარებელთა დეპოზიტები | 9,444,746 | 3,528,636 | 7,835,323 | 3,022,654 | 20.5% |
| სულ კაპიტალი | 2,111,757 | 788,970 | 1,848,362 | 713,047 | 14.3% |
| პირველადი კაპიტალი (Basel III) | 1,678,716 | 627,182 | 1,437,218 | 554,439 | 16.8% |
| საზედამხედველო კაპიტალი (Basel III) | 2,351,269 | 878,454 | 1,885,287 | 727,292 | 24.7% |
| სულ რისკით შეწონილი აქტივები (Basel III) | 13,154,872 | 4,914,769 | 10,753,189 | 4,148,287 | 22.3% |

2018 წლის მონაცემები კონვერტირებულია აშშ დოლარში 2.6766 გაცვლითი კურსით 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ხოლო 2017 წლის მონაცემები კონვერტირებულია 2.5922 გაცვლითი კურსით 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები

| | 2018 | 2017 | ცვლილება |
|---|-------|-------|----------|
| უკუგება საშუალო კაპიტალზე (ROE) ⁱ | 22.7% | 21.4% | 1.3 pp |
| უკუგება საშუალო აქტივებზე (ROA) ⁱⁱ | 3.2% | 3.2% | 0.0 pp |
| წმინდა საპროცენტო მარჟა ⁱⁱⁱ | 6.8% | 6.4% | 0.4 pp |
| ხარჯების შემოსავალთან ფარდობის ^{iv} კოეფიციენტი ^v | 37.1% | 40.8% | -3.7 pp |
| რისკის ფასი ^{vi} | 1.6% | 1.2% | 0.4 pp |
| უმოქმედო სესხების კოეფიციენტი ^{vii} | 3.1% | 3.3% | -0.2 pp |

კოეფიციენტების განმარტებები მოცემულია 88-ე გვერდზე.

მაღალი მომგებიანობა

2018 კიდევ ერთი წარმატებული წელი იყო თიბისი ბანკისთვის, რაზეც მეტყველებს ჩვენი ძლიერი ფინანსური შედეგები. წლის წმინდა მოგებამ შეადგინა 433.3 მილიონი ლარი, რაც 19.4%-ით, ან 70.5 მილიონი ლარით მეტია წინა წელთან შედარებით. ხოლო საშუალო კაპიტალზე უკუგებამ შეადგინა 22.7%, რაც 1.3 pp-ით აღემატება გასული წლის მონაცემს. წმინდა მოგების ზრდა განაპირობა შემოსავლების მნიშვნელოვანმა ზრდამ, დანახარჯების ოპტიმიზაციამ და რისკების გონივრულმა მართვამ.

1 2017 წლის მონაცემები დათვლილია IAS 39-ის მიხედვით და, შესაბამისად, არ შეესაბამება 2018 წლის ციფრებს, რომლებიც ეფუძნება „ფასს 9“-ს

ფინანსური მიმოხილვა გავრცელება

შესაძლო დანაკარგების რეზერვის ხარჯები¹

მთლიანი შესაძლო დანაკარგების რეზერვის ხარჯები 2018 წელს იყო 165.5 მილიონი ლარი, რაც 2017 წელთან შედარებით 59.4 მილიონით ლარით არის გაზრდილი. აღნიშნული განაპირობა სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვის წლიური ხარჯის 49.9 მილიონი ლარით გაზრდამ, რისი მიზეზიც გასულ წელს კორპორატიული სეგმენტის სესხების დიდი მოცულობის ამოღებებია.

| ლ'000 | 2018 | 2017 | ცვლილება |
|---|------------------|------------------|---------------|
| შესაძლო დანაკარგების რეზერვის ხარჯები | | | |
| სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვის ხარჯი | (143,723) | (93,823) | 53.2% |
| სხვა აქტივების შესაძლო დანაკარგების რეზერვის ხარჯი | (21,783) | (12,314) | 76.9% |
| სულ შესაძლო დანაკარგების რეზერვის ხარჯები | (165,506) | (106,137) | 55.9% |
| საოპერაციო შემოსავალი შესაძლო დანაკარგების რეზერვის ხარჯების გათვალისწინებით | 900,583 | 744,402 | 21.0% |
| რისკის ფასი | 1.6% | 1.2% | 0.4 pp |

საოპერაციო ხარჯები

2018 წელს მთლიანი საოპერაციო ხარჯები გაიზარდა 49.0 მილიონი ლარით, რაც 2017 წელთან შედარებით 14.1%-იან ზრდას წარმოადგენს. აღნიშნული განაპირობა პერსონალის, ცვცვისა და ამორტიზაციის და ადმინისტრაციული ხარჯების ზრდამ, შესაბამისად 15.6 მილიონი ლარით ან 7.9%-ით, 8.4 მილიონი ლარით ან 22.8%-ით და 24.6 მილიონი ლარით ან 22.0%-ით. აღსანიშნავია, რომ ბიზნესის საოპერაციო ზრდამ, გაუმჯობესებულმა შედეგებმა და სავალდებულო დეპოზიტის დაზღვევის ხარჯმა, რომელიც 2017 წლიდან გახდა სავალდებულო, განაპირობა საოპერაციო ხარჯების გაზრდა. სავალდებულო დაზღვევის ხარჯების გათვალისწინებით გარეშე მთლიანი საოპერაციო ხარჯები და ადმინისტრაციული & სხვა საოპერაციო ხარჯები, წინა წლის მონაცემთან შედარებით, გაიზარდებოდა შესაბამისად 12.6%-ით და 17.3%-ით.

შედეგად, 2018 ფინანსური წლისთვის ხარჯების შემოსავალთან თანაფარდობის კოეფიციენტი იყო 37.1%, რაც იყო 3.7 pp-ით ნაკლები ვიდრე 2017 ფინანსური წლის 40.8%-იანი მაჩვენებელი.

| ლ'000 | 2018 | 2017 | ცვლილება |
|---|------------------|------------------|----------------|
| საოპერაციო ხარჯები | | | |
| პერსონალის ხარჯები | (212,469) | (196,826) | 7.9% |
| ცვცთა და ამორტიზაცია | (45,278) | (36,882) | 22.8% |
| ადმინისტრაციული & სხვა საოპერაციო ხარჯები | (138,185) | (113,251) | 22.0% |
| სულ საოპერაციო ხარჯები | (395,932) | (346,959) | 14.1% |
| ხარჯების შემოსავალთან შეფარდების კოეფიციენტი | 37.1% | 40.8% | -3.7 pp |

მოგების გადასახადი

თიბისი ბანკმა 2018 წელს ამოატრიალა გადავადებული გადასახადის მოგება, რომელიც ბანკმა 2016 წელს აღიარა. აღნიშნულის მიზეზი იყო 2018 წლის 12 ივნისს საქართველოს საგადასახადო კოდექსში შესული შესწორება, რომლის მიხედვითაც ფინანსური ინსტიტუტებისათვის გადავადდა რეინვესტირებული მოგების შესაბამისი საგადასახადო შეღავათი 2019 წლის 1 იანვარიდან 2023 წლის 1 იანვარამდე. ამოტრიალების შედეგად აღიარდა ხარჯი 17.4 მილიონი ლარის ოდენობით, ხოლო კაპიტალი შემცირდა 5.1 მილიონი ლარით.

ლიკვიდობა

თიბისი ბანკის ლიკვიდობის კოეფიციენტი, სებ-ის განსაზღვრების მიხედვით, შეადგენდა 33.3%-ს 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ხოლო წინა წლის შესაბამისი მაჩვენებელი იყო 32.5%. აღნიშნული მაჩვენებელი აღემატება სებ-ის განსაზღვრების მიხედვით მოცემულ 30%-იან მინიმუმ ლიმიტს. 2017 წლის სექტემბრიდან სებ-მა დანერგა ლიკვიდობის ახალი მოკლევადიანი კოეფიციენტი, ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტი, რომელიც 2018 წლის 31 დეკემბერს შეადგენდა 113.9%-ს, რაც აღემატება 100%-იან ლიმიტს. ამავე პერიოდში ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტი ლარსა და უცხოურ ვალუტაში შეადგენდა 102.5%-სა და 121.1%-ს, რაც ასევე აღემატება შესაბამის ლიმიტებს (75% და 100%).

კაპიტალის ადეკვატურობა

„Basel III“-ის ჩარჩოს მიხედვით, თიბისი ბანკის პირველადი კაპიტალისა და საზედამხებველო კაპიტალის კოეფიციენტები 2018 წლის ბოლოს იყო 12.8% და 17.9% შესაბამისად, ხოლო შესაბამისი მინიმალური მოთხოვნები შეადგენდა 11.8%-სა და 16.7% -ს.

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, პირველადი კაპიტალი შეადგენდა 1,678.7 მილიონ ლარს, გასული წლის იმავე მონაცემზე 241.5 მილიონი ლარით ან 16.8%-ით მეტი. აღნიშნულის ზრდა განაპირობა წმინდა მოგების გაზრდამ. საზედამხებველო კაპიტალი შეადგენდა 2,351.3 მილიონი ლარს, რაც 2017 წლის მონაცემზე 466.0 მილიონი ლარით ან 24.7%-ით მაღალია. ეს ნაზრდი განაპირობა წმინდა მოგებისა და სუბორდინირებული სესხის მნიშვნელოვანმა მატებამ 2018 წლის განმავლობაში. 2018 წლის ბოლოს, ბანკმა მოიზიდა 230.4 მილიონი ლარის ოდენობის სუბორდინირებული სესხი, აქედან 160.6 მილიონი ლარის სესხი დაკონვერტირდა არსებული სესხებიდან, ხოლო დარჩენილი 69.9 მილიონი ლარის სესხი დამატებით მოვიზიდეთ. იგივე პერიოდში, სულ რისკების მიხედვით შეშონილმა აქტივებმა შეადგინა 13,154.9 მილიონი ლარი, რაც 2,401.7 მილიონი ლარით ან 22.3%-ით აღემატებოდა წინა წლის იმავე მონაცემს.

1 2017 წლის მონაცემები დათვლილია IAS 39-ის მიხედვით და, შესაბამისად, არ შეესაბამება 2018 წლის ციფრებს, რომლებიც ეფუძნება „ფასს 9“-ს

სესხების პორტფელი

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, წლიდან წლამდე ჩვენი სესხების პორტფელი გაიზარდა 21.3%-ით და 10,372.6 მილიონ ლარს მიაღწია, რაც გამოწვეული იყო თითოეული სესხების ზრდით. იგივე პერიოდში, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული სესხების წილი გაიზარდა 0.4pp-ით და შეადგინა პორტფელის 60.1%. მუდმივი კურსით დათვლისას უცხოურ ვალუტაში დენომინირებული სესხების წილი მთლიან საკრედიტო პორტფელში შემცირდა 0.2 pp-ით და შეადგინა 59.5%.

2018 წლის განმავლობაში, ზოგიერთი კლიენტი ერთი სესხებიდან გადავიდა მეორეში (დეტალური ინფორმაცია იხილეთ დანართ 1-ში 88 გვერდზე). რესესტრაციის ეფექტის² გათვალისწინების გარეშე, საცალო, კორპორატიული და საშუალო, მცირე და მიკრო სესხებების პორტფელის წლიური ზრდა იქნებოდა შესაბამისად 18.1%, 24.6% და 23.4%.

2018 წლის ბოლოს ჩვენი საბაზრო წილი³ მთლიან სესხებში გაიზარდა 0.6 pp-ით და შეადგინა 38.8%-ს, იურიდიული პირების შემთხვევაში ბაზრის წილი გაიზარდა 1.4 pp-ით და უტოლდება 37.4%-ს, ხოლო ფიზიკური პირების შემთხვევაში აღნიშნული მონაცემი შემცირდა 0.2 pp-ით და უდრის 40.0%-ს.

| ლ ¹⁰⁰⁰ | 31-Dec-2018 | 31-Dec-2017 | ცვლილება |
|--------------------------|-------------------|------------------|--------------|
| სესხების პორტფელი | | | |
| საცალო | 4,698,699 | 4,233,153 | 11.0% |
| კორპორატიული | 3,177,289 | 2,475,392 | 28.4% |
| MSME | 2,496,594 | 1,844,672 | 35.3% |
| სულ სესხები | 10,372,582 | 8,553,217 | 21.3% |

სესხების პორტფელის ხარისხი

30-ზე მეტი დღით ვადაგადაცილებული სესხების კოეფიციენტი გასულ წელთან შედარებით შემცირდა 0.2 pp-ით და შეადგინა 2.0%. ამასთან ერთად, მთლიანი უმოქმედო სესხების კოეფიციენტი უტოლდება 3.1%, რაც 0.2 pp-ით არის შემცირებული. კორპორატიული და საშუალო, მცირე და მიკრო სესხებების პორტფელის გაუმჯობესებამ გამოიწვია კოეფიციენტების შემცირება.

| 30-ზე მეტი დღით ვადაგადაცილებული სესხების კოეფიციენტი | 31-Dec-2018 | 31-Dec-2017 | ცვლილება |
|---|-------------|-------------|----------------|
| საცალო | 2.6% | 2.4% | 0.2 pp |
| კორპორატიული | 0.4% | 1.5% | -1.1 pp |
| MSME | 2.8% | 2.5% | 0.3 pp |
| სულ სესხები | 2.0% | 2.2% | -0.2 pp |

| უმოქმედო სესხების კოეფიციენტი | 31-Dec-2018 | 31-Dec-2017 | ცვლილება |
|-------------------------------|-------------|-------------|----------------|
| საცალო | 2.9% | 2.7% | 0.2 pp |
| კორპორატიული | 2.7% | 3.2% | -0.5 pp |
| MSME | 4.2% | 4.6% | -0.4 pp |
| სულ სესხები | 3.1% | 3.3% | -0.2 pp |

დეპოზიტების პორტფელი

მთლიანი დეპოზიტების ზრდამ წლიდან წლამდე შეადგინა 19.6%. რესესტრაციის ეფექტის⁴ გათვალისწინებლად კორპორატიული და საშუალო, მცირე და მიკრო დეპოზიტების ნაზრდი იქნებოდა შესაბამისად 31.7% და 8.9%.

2018 წლის ბოლოს, თიბისი ბანკის დეპოზიტების ბაზრის წილი³ 2017 წელთან შედარებით გაიზარდა 1.4 pp-ით და შეადგინა 41.2%, ხოლო იურიდიული პირების ბაზრის წილი გაიზარდა 3.3 pp-ით და ფიზიკური პირების საბაზრო წილი შემცირდა 0.1 pp-ით და ორივე გაუტოლდა 41.2%-ს.

| ლ ¹⁰⁰⁰ | 31-Dec-2018 | 31-Dec-2017 | ცვლილება |
|---------------------------------------|------------------|------------------|--------------|
| დეპოზიტების პორტფელი სესხებთან | | | |
| საცალო | 5,103,971 | 4,378,265 | 16.6% |
| კორპორატიული | 3,323,257 | 2,429,368 | 36.8% |
| MSME | 1,017,518 | 1,027,690 | -1.0% |
| სულ დეპოზიტები | 9,444,746 | 7,835,323 | 20.5% |

2 1Q 2018 წელს, 236 მილიონი ლარი გადავიდა საცალოდან MSME პორტფელში, ხოლო 66 მილიონი ლარი გადავიდა MSME-დან კორპორატიულ სესხებში

3 საბაზრო წილის მონაცემები ეფუძნება „სებ“-ის მონაცემებს. „სებ“ ბანკთაშორის სესხებს ითვალისწინებს სესხებში საბაზრო წილის გამოთვლებში

4 1Q 2018 წელს, 78 მილიონი ლარი გადავიდა MSME-დან კორპორატიული დეპოზიტების პორტფელში

ფინანსური მიმოხილვა გამრძელება

ფინანსური მაჩვენებლების განსაზღვრება:

- i. უკუგება საშუალო კაპიტალზე უდრის აქციონერების კუთვნილ წმინდა მოგებას, შეფარდებულს იმავე პერიოდის აქციონერების კუთვნილი კაპიტალის საშუალო მაჩვენებელთან;
- ii. უკუგება საშუალო აქტივებზე უდრის წმინდა მოგებას, შეფარდებულს იმავე პერიოდის მთლიანი აქტივების საშუალო მაჩვენებელთან;
- iii. წმინდა საპროცენტო მარჟა უდრის წმინდა საპროცენტო შემოსავალს, შეფარდებულს იმავე პერიოდის საპროცენტო შემოსავლის მქონე აქტივების საშუალო მაჩვენებელთან;
- iv. ხარჯების შემოსავალთან ფარდობის კოეფიციენტი უდრის პერიოდის მთლიან საოპერაციო ხარჯებს, შეფარდებულს იმავე პერიოდის მთლიან შემოსავლებთან;
- v. რისკის ფასი უდრის სესხების შესაძლო გაუფასურების რეზერვს, შეფარდებულს იმავე პერიოდის მთლიანი სესხების საშუალო მაჩვენებელთან;
- vi. უმოქმედო სესხების კოეფიციენტი უდრის 90 დღეზე მეტით ვადაგადაცილებულ სესხებს ან სესხებს, რომელთა გადახდისუნარიანობა საეჭვოა, მიუხედავად ვადაგადაცილებული დღეების არსებობისა, შეფარდებულს მთლიანი სესხების პორტფელთან.

დანართი 1

სეგმენტების დეფინიცია (განახლებულია 2018 წელს):

- კორპორატიული - იურიდიული კომპანია/დაკავშირებული კომპანიების ჯგუფი, რომელთა წლიური შემოსავალი აღემატება 12.0 მილიონ ლარს, ან ისინი რომელთაც დაუმტკიცდათ 5.0 მილიონ ლარზე მეტი სესხი/საკრედიტო ხაზი. ზოგიერთი სხვა ბიზნეს კლიენტი შეიძლება ეკუთვნოდეს კორპორატიული სეგმენტს ან გადავიდეს MSME-ში დისკრეციული შეხედულებისამებრ;
- MSME (მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოები) - ბიზნეს მომხმარებლები, რომლებიც არ შედიან არც კორპორატიულ და არც საცალო სეგმენტებში; ან იურიდიული პირები რომლებზეც გაიცა სალომბარდე სესხი; ან სრულად ციფრული ბანკი "სფეისის" მომხმარებელი ფიზიკური პირები;
- საცალო - არაკომერციული ფიზიკური პირები ან ფიზიკური ბიზნეს მომხმარებლები რომელთაც აღებული აქვთ იპოთეკური სესხი; ყველა ფიზიკური პირი შედის საცალო დეპოზიტებში;
- კორპორატიული ცენტრი - შედგება ხაზინისგან, სხვა დამხმარე ფუნქციებისგან და ჯგუფის არასაბანკო შვილობილებისგან.

ბიზნეს-მომხმარებლები არიან ყველა იურიდიული პირები და ის ფიზიკური პირები, რომლებზეც გაიცა სესხი ბიზნესისთვის.

ძირითადი ცვლილებები:

- კორპორატიული კლიენტების წლიური შემოსავლის ლიმიტი გაიზარდა 8.0 მილიონი ლარიდან 12.0 მილიონ ლარამდე, ხოლო სესხის/საკრედიტო ხაზის ლიმიტი 1.5 მილიონი აშშ დოლარიდან 5.0 მილიონ ლარამდე. ამავე დროს, სეგმენტების დეფინიციაზე დაყრდნობით, ზოგიერთი კლიენტი დაემატა კორპორატიულ სეგმენტს დისკრეციული შეხედულებისამებრ. აქედან გამომდინარე, კორპორატიული სეგმენტის სესხების პორტფელი და დეპოზიტები გაიზარდა 66 მილიონი ლარით და 78 მილიონი ლარით შესაბამისად;
- გარკვეული ფიზიკური ბიზნეს მომხმარებლები, რომლებზეც გაცემული არის არა-იპოთეკური სესხები გადავიდნენ საცალო სეგმენტიდან MSME-ში. შესაბამისად, საცალო სასესხო პორტფელიდან MSME-ში გადავიდა 236 მილიონი ლარის ოდენობის სესხები.

კორპორაციული მართვა

სს „თიბისი ბანკი“ (შემდგომში - ბანკი) წარმოადგენს TBC Bank Group PLC-ის (შემდგომში - ჯგუფი) ძირითად შვილობილ კომპანიას. ბანკის კორპორაციული მართვის სისტემა შეესაბამება „კომერციული ბანკების კორპორაციული მართვის კოდექსის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2018 წლის 26 სექტემბრის N215/04 ბრძანების (შემდგომში - კორპორაციული მართვის კოდექსი) მოთხოვნებს. ამასთან, თავის მხრივ, ჯგუფის კორპორაციული მართვის სისტემა სრულ შესაბამისობაშია დიდი ბრიტანეთის კორპორაციული მართვის კოდექსის მოთხოვნებთან.

ბანკის საქმიანობას ზედამხედველობას უწევს სამეთვალყურეო საბჭო, რომელიც შედგება 4 (ოთხი) დამოუკიდებელი წევრისაგან: ნიკოლოზ ენუქიძე (უფროსი დამოუკიდებელი წევრი), ნიკოლას ჰააგი, მარია ლუსა ჩიკონიანი და ცირა კემულარია. ჯგუფის 2019 წლის 21 თებერვლის განცხადების შესაბამისად, მამუკა ხაზარაძე და ბადრი ჯაფარიძე, მათი 2019 წლის 2 აპრილის განცხადებების საფუძველზე, გადადგნენ ბანკის სამეთვალყურეო საბჭოდან, თუმცა, განაგრძობენ საქმიანობას, ჯგუფის დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარისა და თავმჯდომარის მოადგილის პოზიციებზე. აღნიშნული ცვლილების შესაბამისად, მიმდინარეობს ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს ორი ახალი წევრის შერჩევის პროცესი.

ბანკში არსებობს სამეთვალყურეო საბჭოს 4 (ოთხი) კომიტეტი: აუდიტის კომიტეტი; ანაზღაურების კომიტეტი; კორპორაციული მართვისა და ნომინაციის კომიტეტი და რისკების, ეთიკისა და შესაბამისობის კომიტეტი. აღნიშნული კომიტეტების მანდატები და დებულება მტკიცდება სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებით და შეესაბამება კორპორაციული მართვის კოდექსის მოთხოვნებს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ბანკს აქვს ორი საზედამხედველო ორგანო - ბანკის სამეთვალყურეო საბჭო და ჯგუფის დირექტორთა საბჭო. აღნიშნული საბჭოები, თავიანთი კომიტეტებით, წარმოადგენს ორ ერთმანეთისგან დამოუკიდებელ, თუმცა, ერთმანეთთან დაკავშირებულ ორგანოს. ჯგუფის დირექტორთა საბჭო გადაწყვეტილებას იღებს მხოლოდ ჯგუფისთვის მნიშვნელოვან საკითხებზე, მათ შორის, ჯგუფის სტრატეგიის, გრძელვადიანი მიზნების, რისკის აპეტიტის, წლიური ბიუჯეტის, ჯგუფის კაპიტალის ცვლილების, აქციების გამოსყიდვის, მნიშვნელოვანი შესყიდვების ან/და შერწყმისა და წლიური ანგარიშების შესახებ. შესაბამისად, სამეთვალყურეო და დირექტორთა საბჭოებისა და მათი კომიტეტების საქმიანობა და ფუნქციები დაბალანსებული და გადანაწილებულია, შესაბამისი გადაწყვეტილებისა და მისი შედეგის ჯგუფთან ან/და ბანკთან შემხედვლობის გათვალისწინებით.



მმართველობითი ანგარიში
სტრატეგია

მმართველობითი ანგარიში
სტრატეგია და საქმიანობა

მართვა

ფინანსური ანგარიშგება



მამუკა ხაზარაძე

თავმჯდომარე

გადადგა თანამდებობიდან 2019 წლის 2 აპრილს

მამუკა ხაზარაძემ 1988 წელს დაამთავრა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი და ასევე აქვს ჰარვარდის ბიზნესსკოლის დიპლომი (1998-2000წწ.). 1988-1989 წლებში ის მუშაობდა ინჟინრად თბილისის საპროექტო-ტექნოლოგიურ სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში. 1992 წელს მან დააფუძნა თიბისი ბანკი და გახდა მისი პრეზიდენტი. 1995 წელს მამუკა ხაზარაძემ დააფუძნა „აიდიეს ბორჯომი საქართველო“, შპს „აიდიეს ბორჯომი ბევერიჯიზ“ კომპანია, სადაც ეკავა პრეზიდენტის თანამდებობა 2004 წლამდე, ხოლო 1999-2002 წლებში იყო საქართველოს მიკროსაფინანსო ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე. 2004 წელს მამუკა ხაზარაძემ დააარსა „საქართველოს რეკონსტრუქციისა და განვითარების კომპანია“, რომლის პრეზიდენტიც დღემდე არის. 1997-2007 წლებში ის იყო საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის ვიცეპრეზიდენტი; 2010 წლიდან ის არის „თბილისში ამერიკული აკადემიის“ საბჭოს თავმჯდომარე და „ლისი ლეიკ დეველოპმენტის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე. 2014 წელს „ერნსტ ენდ იანგმა“ მამუკა ხაზარაძეს გადასცა საქართველოს „წლის მეწარმის“ ჯილდო. ამ წელს საქართველოში პირველად ჩატარდა ეს პრესტიჟული დაჯილდოება. მამუკა ხაზარაძე თიბისი ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეა 1992 წლიდან, თიბისი ბანკის დაარსების დღიდან, ხოლო 2016 წლის მაისში დაინიშნა დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარედ.

ბადრი ჯაფარიძე

თავმჯდომარის მოადგილე

გადადგა თანამდებობიდან 2019 წლის 2 აპრილს



ბადრი ჯაფარიძემ 1982 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის ფაკულტეტი, მან მიიღო სამეცნიერო ხარისხი მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის ფაკულტეტზე. გარდა ამისა, 2001 წელს ბადრი ჯაფარიძემ გაიარა აღმასრულებელთათვის განკუთვნილი კურსი ლონდონის ეკონომიკისა და პოლიტიკურ მეცნიერებათა სკოლაში. 1990-1992 წლებში ის იყო საქართველოს პარლამენტის წევრი. 1992 წელს, ბადრი ჯაფარიძემ მამუკა ხაზარაძესთან ერთად დააარსა თიბისი ბანკი და დაინიშნა ბანკის საგარეო ურთიერთობების დეპარტამენტის ხელმძღვანელად. 1993 წლიდან 1995 წლამდე ბადრი ჯაფარიძე იყო თიბისი ბანკის ვიცეპრეზიდენტი, ის არჩეულ იქნა ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს წევრად, ხოლო 1996 წლიდან არის ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე. 1996-2014 წლებში ის იყო შპს „თიბისი ტივი“-ს საბჭოს თავმჯდომარე. 1995-2003 წლებში ბადრი ჯაფარიძე იყო „საქართველოს მინისა და მინერალური წყლების კომპანიის“ ვიცეპრეზიდენტი და ასევე მისი თანადამფუძნებელი. მოგვიანებით, კომპანიის სახელწოდება შეიცვალა და გახდა „აიდიეს ბორჯომი“, რომლის დირექტორთა საბჭოს წევრი ბადრი ჯაფარიძე იყო 2004-2010 წლებში. 2004 წელს ბადრი ჯაფარიძე აირჩიეს „საქართველოში ამერიკის სავაჭრო პალატის“ დირექტორთა საბჭოს წევრად. იმავე წელს, ის აირჩიეს „საქართველოს რეკონსტრუქციისა და განვითარების კომპანიის“ დირექტორთა საბჭოს წევრად, რომლის თანადამფუძნებელიც ის არის. 2006 წელს ბადრი ჯაფარიძე აირჩიეს „ევროპა-საქართველოს ბიზნეს საბჭოს“ სამეთვალყურეო საბჭოს წევრად და, იმავედროულად, ის გახდა „ევროპა-საქართველოს ბიზნესსაბჭოს“ თავმჯდომარის მოადგილე. 2008 წლიდან ბადრი ჯაფარიძე „გეოპლანტის“ სამეთვალყურეო საბჭოს წევრია (ეს თანამდებობა მას დღემდე უკავია). 2013 წელს ბადრი ჯაფარიძე გახდა სს „შატო მუსრანის“ სამეთვალყურეო საბჭოს წევრი, რომლის აქციონერიც ის არის 2007 წლიდან. 2016 წელს, ის გახდა შპს „ჯორჯიან ვაინ ჰოლდინგის“ თანადამფუძნებელი. ბადრი ჯაფარიძე ასევე არის „TBC Kredit“-ის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე და „თიბისი ლიზინგის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე. ის თიბისი ბანკის დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ დაინიშნა 2016 წლის მაისში.



ნიკოლოზ ენუქია

უფროსი დამოუკიდებელი არააღმასრულებელი დირექტორი

ნიკოლოზ ენუქიამ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტი დაამთავრა 1993 წელს, 1996 წელს მიიღო ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის დიპლომი მერილენდის უნივერსიტეტში. ნიკოლოზ ენუქიე იყო უკრაინის წამყვანი საინვესტიციო ბანკის „Concorde Capital“-ის კორპორატიული ფინანსების მმართველი დირექტორი. ნიკოლოზ ენუქიე ოთხი წლის განმავლობაში იყო „ABN AMRO“-ს კორპორატიული ფინანსების დირექტორის თანაშემწე ლონდონში, ასევე რესტონში, ვირჯინიაში კომპანია ის იყო „Global One Communications LLC“-ის ბიზნესის განვითარების უფროსი მენეჯერი, ხოლო სამი წლის განმავლობაში მუშაობდა მოსკოვში, „ABN AMRO“-ის კორპორატიული ფინანსების განყოფილებაში. ფინანსური მომსახურების სფეროში მრავალწლიანი გამოცდილების დაგროვების შემდეგ, ნიკოლოზ ენუქიე გახდა საქართველოს ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე. ის იმ ადამიანთა შორის იყო, რომლებმაც წამყვანი როლი შეასრულეს ლონდონის საფონდო ბირჟაზე საქართველოს ბანკის წარმატებულად გასვლაში – ეს იყო პირველი პირველადი საჯარო შეთავაზება კავკასიაში, რომელიც ლონდონის საფონდო ბირჟაზე განთავსდა. 2008 წელს ნიკოლოზ ენუქიე დაინიშნა საქართველოს ბანკის საბჭოს თავმჯდომარედ და ბანკს უძღვებოდა საერთაშორისო და ლოკალური ფინანსური კრიზისის პერიოდში. ამჟამად ნიკოლოზ ენუქიე არის სააქციო საზოგადოება „კავკასიის მინერალების“, ქართული სამთო კომპანიის, აღმასრულებელი თავმჯდომარე. იგი აგრეთვე არის აზერბაიჯანში „Nikoil Bank“-ის საბჭოს წევრი. ნიკოლოზ ენუქიე დაიბადა და აღიზარდა თბილისში; ის არის საქართველოსა და დიდი ბრიტანეთის მოქალაქე. ნიკოლოზ ენუქიე ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელ წევრად დაინიშნა 2013 წელს, ხოლო საბჭოს უფროს დამოუკიდებელ არააღმასრულებელ დირექტორად - 2016 წლის მაისში.



ნიკოლას ჰააგი

დამოუკიდებელი არააღმასრულებელი დირექტორი

ნიკოლას ჰააგმა 1980 წელს მიიღო ბაკალავრის დიპლომი ოქსფორდის უნივერსიტეტში გეოგრაფიის თანამედროვე კვლევების სპეციალობით. მას ფინანსური მომსახურების ინდუსტრიაში მუშაობის 32-წლიანი გამოცდილება აქვს, განსაკუთრებით – კაპიტალის ბაზრებსა და ტექნოლოგიებში. 7 წლის განმავლობაში, 1980-1987 წლებში, ნიკოლას ჰააგი მუშაობდა „Barclays Bank“-ში კაპიტალის სხვადასხვა ბაზრებში პროექტების დაფინანსების განხრით, მათ შორის „Barclays de Zoete Wedd“-ში (BZW) კაპიტალის სინდიკატის ხელმძღვანელ თანამდებობაზე; ის ათი წელი (1989-1999 წწ.) მუშაობდა „Banque Paribas“-ში, „Paribas Capital Markets“-ში, თავიდან იყო გლობალური კერძო კაპიტალის ბაზრების ხელმძღვანელის მოადგილე, მოგვიანებით კი – უფროსი ბანკირი და ევროპის (საფრანგეთის გარდა) კლიენტების მომსახურების ხელმძღვანელი; ორი წლის განმავლობაში, 1999-2001 წლებში, ის მუშაობდა „ING Barings“-ში ტექნოლოგიური საბანკო მომსახურების ჯგუფის მმართველ დირექტორად და საბანკო ტექნოლოგიების გლობალურ ხელმძღვანელად; ექვსი წლის განმავლობაში, 2001-2007 წლებში, ნიკოლას ჰააგი იყო ლონდონში „ABN AMRO“-ს საბანკო ტექნოლოგიების გლობალური ხელმძღვანელი, „გლობალური TMT მართვის კომიტეტის“ წევრი, „ზემდგომი საკრედიტო კომიტეტის“ უფროსი მმართველი დირექტორი და წევრი; 2008-2012 წლებში ნიკოლას ჰააგი იყო შოტლანდიაში „Royal Bank of Scotland-ის Hoare Govett“-ის მმართველი დირექტორი, ლონდონის კერძო კაპიტალის ბაზრების ხელმძღვანელი, „გლობალური კერძო კაპიტალის მოზიდვის მართვის“ კომიტეტის წევრი. 2012 წლიდან ის არის მოსკოვის „Credit Bank“-ის დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარის უფროსი დამოუკიდებელი მრჩეველი, ხოლო 2013 წლიდან 2016 წლის ნოემბრამდე ის იყო ამავე ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს წევრი, ასევე ფინანსური კონსულტანტი კაპიტალის მოზიდვისა და საფონდო ბირჟაზე რეგისტრაციის მიმართულებით. გარდა ამისა, ის ასევე არის „Bayport Management Limited“-ის (პანაფრიკული და ლათინურამერიკული სახალხო გამსესხებელი) დამოუკიდებელი არააღმასრულებელი დირექტორი, ხოლო 2016 წლიდან, რიგაში, - „AS Citadele Banka“-ის დირექტორი. 2012 წლიდან ნიკოლას ჰააგი არის საკუთარი საკონსულტაციო კომპანიის, „Nidcom Limited“-ის, დირექტორი. ბატონი ჰააგი თიბისი ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს წევრად დაინიშნა 2013 წელს, ხოლო სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი არააღმასრულებელი დირექტორია 2016 წლის მაისიდან. ნიკოლას ჰააგს აქვს უახლესი და შესაფერისი ფინანსური გამოცდილება, რაც გაერთიანებული სამეფოს კორპორაციული მართვის კოდექსით მოითხოვება იმისათვის, რომ შეასრულოს თავისი, როგორც ფინანსური ექსპერტის, მოვალეობები TBC Bank Group PLC-ის აუდიტის კომიტეტში.



ერიკ რაჭენდრა

დამოუკიდებელი არააღმასრულებელი დირექტორი
გადადგა საბჭოსა და კომიტეტებში დაკავებული თანამდებობიდან 2019 წლის 15 მარტს.

ერიკ რაჭენდრამ ბაკალავრის ხარისხი მიიღო ბრანდელის უნივერსიტეტში, ხოლო მაგისტრის ხარისხი – 1982 წელს ფლეტჩერის სკოლაში (ტაფტის უნივერსიტეტისა და ჰარვარდის უნივერსიტეტის ერთობლივი პროექტი), ხოლო სამეცნიერო ხარისხი მიენიჭა ინსაიდის ბიზნესის სკოლაში, ფინანსური ბაზრებისა და ინსტიტუტების სფეროში. ერიკ რაჭენდრა ასევე არის „Australian Institute of Company Directors“-ის კურსდამთავრებული, მანამდე იყო სტრატეგიის პროფესორის თანაშემწე ინსაიდში. 2005-2014 წლებში მას ეკავა უფროსი მრჩეველის თანამდებობა „საერთაშორისო საფინანსო კორპორაციაში“ და იყო საბჭოს დირექტორი, მრჩეველი იმ განვითარებადი ბაზრების ფინანსური ინსტიტუტების საკითხებში, სადაც მსოფლიო ბანკის ჯგუფი მონაწილეობს კაპიტალში, ასევე ის კომპანიას კონსულტაციას უწევდა მთავარ სტრატეგიულ ინიციატივებთან დაკავშირებით. „საერთაშორისო საფინანსო კორპორაციაში“ მუშაობის დაწყებამდე, ის იყო „Capgemini“-ის ვიცეპრეზიდენტი და „Electronic Data Systems“-ის ვიცეპრეზიდენტი; ორივე ინსტიტუტში მას წამყვანი როლი ეკავა ფინანსური სერვისების მიმართულებით. 2010-2012 წლებში ერიკ რაჭენდრა იყო „Orient Express Bank“-ის დირექტორთა საბჭოს წევრი, 2006-2014 წლებში კი – „LOCKO-Bank“-ის დირექტორთა საბჭოს წევრი, სადაც ასევე თავმჯდომარეობდა აუდიტისა და რისკების კომიტეტს. მისი კარიერა საბანკო სფეროში დაიწყო „JP Morgan Chase Bank“-ში 1982 წელს, ხოლო მოგვიანებით კი ის გახდა „McKinsey & Company“-ის პარტნიორი. ერიკ რაჭენდრა სამეთვალყურეო საბჭოს წევრად დაინიშნა 2010 წელს, ხოლო დირექტორთა საბჭოს დამოუკიდებელ არააღმასრულებელ დირექტორად – 2016 წლის მაისში. 2019 წლის 15 მარტს ერიკ რაჭენდრამ დატოვა კომპანიის დირექტორისა და ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს წევრის თანამდებობა.



მარია ლუიზა რიქონანი

დამოუკიდებელი არააღმასრულებელი დირექტორი

მარია ლუიზა რიქონანიმ 1987 წელს დაამთავრა ბოქონის უნივერსიტეტი ბიზნესის და ადმინისტრირების განხრით. მას აქვს მაგისტრის აკადემიური ხარისხი იაპონიის საერთაშორისო უნივერსიტეტიდან იაპონიის ეკონომიკისა და ბიზნესის განხრით. მარია ლუიზა რიქონანის აქვს დიდი გამოცდილება საბანკო და კორპორატიული მართვის სფეროში. 1993-2005 წლებში ის მუშაობდა „ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკში“ (ლონდონი, დიდი ბრიტანეთი). 2005-2006 წლებში ის იყო „Merrill Lynch“-ის ფინანსური დაწესებულებების დირექტორი და „Renaissance Capital“-ის მმართველი დირექტორი ლონდონსა და მოსკოვში 2006-2008 წლებში. „Renaissance Capital“-ში ის პასუხისმგებელი იყო გუნდის მართვაზე, რომელიც ახდენდა კომპანიის FIG პრაქტიკის შემუშავებას როგორც აფრიკაში ისე დსთ-ს ქვეყნებში. მარია ლუიზა რიქონანი მონაწილეობას იღებდა „Renaissance Partners“-ის მიერ FIG საინვესტიციო შესაძლებლობების შექმნის, ანალიზისა და დამუშავების პროცესში და ასევე აფრიკაში FIG ინვესტიციების პორტფელის მონიტორინგის პროცესში. 2008-2014 წლებში ის იყო „Mediobanca“-ის (ლონდონის ფილიალის) მმართველი დირექტორი, სადაც ის პასუხისმგებელი იყო M&A საკონსულტაციო და კლიენტების მართვის შექმნაზე განვითარებადი ბაზრებისთვის. ის ესმარებოდა M&A და კორპორატიული ფინანსების გუნდებს იტალიელი კლიენტებისთვის კონსულტაციების გაწევაში, რომლებიც დაინტერესებულნი იყვნენ იტალიის ფარგლებს გარეთ გასვლით ან უცხოელ ინვესტორთა იდენტიფიცირებით. 2014-2016 წლებში მარია ლუიზა რიქონანი იყო „Azimut Global Counseling Srl“-ის (იტალია) და „Azimut International Holding SA“-ის (ლუქსემბურგი) საბჭოს არააღმასრულებელი წევრი. 2015 წლიდან ის არის „Arafa Holding“-ის (ეგვიპტე) არააღმასრულებელი დირექტორი და ის გახდა „Baird Group“-ის (გაერთიანებული სამეფო) საბჭოს მეთვალყურე, რომელიც არის „Arafa Holding“-ის შვილობილი კომპანია (რომელიც რეგისტრირებულია კაიროს საფონდო ბირჟაზე). ამჟამად ის არის „Möbius Investment Trust“-ის თავმჯდომარე. ქალბატონი რიქონანი დაინიშნა თიბისი ბანკის ჯგუფის საბჭოს არააღმასრულებელი დირექტორის თანამდებობაზე და სს თიბისი ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს წევრად 2018 წლის სექტემბერში.



ცირა კემულარია

დამოუკიდებელი არაადმასრულებელი დირექტორი

ცირა კემულარიამ 1999 წელს დაამთავრა ლუიზიანას სახელმწიფო უნივერსიტეტი საერთაშორისო ვაჭრობისა და ფინანსების და ეკონომიკის სპეციალობით. მას გააჩნია 20 წლიანი საერთაშორისო გამოცდილება ფინანსური მომსახურებისა და რისკების მართვის სფეროში. 1999 წლიდან 2005 წლამდე მას ეკავა სხვადასხვა თანამდებობა საბაზრო რისკის მართვის სფეროში როგორც „Dynegy Inc.“-ში აშშ-სა და გაერთიანებულ სამეფოში, ისე კომპანიაში „Shell International Trading & Shipping Ltd“ (STASCO) ლონდონში. 2005 წლიდან 2008 წლამდე ცირა კემულარია იყო „Shell International“-ის მენეჯერი M&A და კომერციულ ფინანსებში, ჯგუფის ხაზინასა და კორპორატიულ ფინანსებში. 2008-2011 წლებში ის იკავებდა კომერციული ფინანსური მენეჯერის თანამდებობას, M&A ჯგუფის ხაზინისა და კორპორატიული ფინანსების განხრით, კომპანიაში „Shell Exploration and Production Services“ (B.V) მოსკოვში. ამის შემდეგ, 2011-2016 წლებში, მას ეკავა ფინანსური მენეჯერისა და ქვეყნის კონტროლიორის პოზიცია კომპანიაში „Shell Western Supply and Trading LTD“ ბარბადოსში, ვესტ-ინდოეთში. 2016 წლიდან ცირა კემულარია არის „Shell International Ltd“-ს ჯგუფის საპენსიო სტრატეგიისა და სტანდარტების ხელმძღვანელი ლონდონში. 2006 წლიდან 2010 წლამდე, ქალბატონი კემულარია იყო „ბრიტანულ-ქართული საზოგადოების“ საბჭოს წევრი. 2011 წელს ის შეუერთდა „Shell Western Supply and Trading Ltd“-ის საბჭოს. 2016 წლიდან ის ასევე არის „British Gas General Partner Ltd“-ისა და „British Gas Trustee Solutions Ltd“-ის საბჭოს წევრი. ცირა კემულარია არის „დირექტორთა ინსტიტუტის“ წევრი, რომელიც მდებარეობს ლონდონში, გაერთიანებულ სამეფოში, და ამჟამად ის მონაწილეობს „დიპლომირებული დირექტორების პროგრამაში“. ცირა კემულარია დაინიშნა თიბისი ბანკის ჯგუფის საბჭოს არაადმასრულებელ დირექტორად და სს. თიბისი ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს წევრად 2018 წლის სექტემბერში.



ვახტანგ ბუცხრიკიძე

აღმასრულებელი დირექტორი

ვახტანგ ბუცხრიკიძე თიბისი ბანკს შეუერთდა 1993 წელს კრედიტების მართვის დეპარტამენტის უფროს მენეჯერად, ხოლო 1994 წელს ის აირჩიეს დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ, 1996 წელს კი ის გახდა დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე. 1998 წლიდან ვახტანგ ბუცხრიკიძეს უჭირავს თიბისი ბანკის გენერალური დირექტორის თანამდებობა და ხელმძღვანელობს თიბისის რამდენიმე კომიტეტს. ის კომპანიის გენერალურ დირექტორად დაინიშნა 2016 წლის მაისში. ვახტანგ ბუცხრიკიძე იყო სამეთვალყურეო საბჭოს წევრი 2016 წლიდან 2018 წლის აპრილამდე. ის ასევე არის საქართველოს ბანკების ასოციაციის სამეთვალყურეო საბჭოს წევრი და საქართველოს ბიზნესასოციაციის საფინანსო კომიტეტის თავმჯდომარე. 2016 წელს, ვახტანგ ბუცხრიკიძე შეუერთდა „ვიზა ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის, ახლო აღმოსავლეთის და აფრიკის ბიზნეს საბჭოს“ (CEMEA). კარიერის დასაწყისში ის მუშაობდა უმცროს სპეციალისტად საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტში, ხოლო 1992-1993 წლებში – საქართველოს ფინანსთა მინისტრის თანაშემწედ. 2001 წელს ვახტანგ ბუცხრიკიძე ჟურნალ „ჯორჯიან ტაიმსმა“ დააჯილდოვა „წლის საუკეთესო ბიზნესმენის“ წოდებით, ხოლო 2011 წელს მიიღო „2011 წლის საუკეთესო ბანკირის“ ჯილდო GUAM-სგან, დემოკრატიისა და ეკონომიკური განვითარების ორგანიზაციისგან. ამასთან, ის ჟურნალმა „EMEA Finance“ დაასახელა 2014 წლის საუკეთესო გენერალურ დირექტორად ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპასა და დსთ-ში. 2001 წელს ვახტანგ ბუცხრიკიძემ მიიღო ბიზნესის ადმინისტრირების სარისხი „მართვის ევროპულ სკოლაში“, თბილისში. მან 1992 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტი, და აიმაღლა კვალიფიკაცია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტში.



გიორგი შაგიძე

გენერალური დირექტორის მოადგილე, ფინანსური დირექტორი

საქმიანობის გაგრძელების პრინციპი. აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებები მომზადდა სს თიბისი ბანკის ჯგუფის დირექტორთა საბჭოს მიერ, მოქმედი საწარმოს პრინციპის საფუძველზე. ამ მიმოხილვისას ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა ჯგუფის ფინანსური მდგომარეობა, არსებული გეგმები, ოპერაციების მომგებიანობა და ფინანსური რესურსების ხელმისაწვდომობა. ჯგუფისთვის ცნობილი არ არის რაიმე მატერიალური სახის გაუგებრობის შესახებ, რომელსაც შეუძლია მნიშვნელოვანი ექვი გააჩინოს ჯგუფის მიერ საქმიანობის გაგრძელების შესაძლებლობასთან დაკავშირებით.

საპრეზენტაციო (საჩვენებელი) ვალუტა. წინამდებარე კონსოლიდირებული და განცალკევებული ფინანსური ანგარიშგებები წარმოდგენილია ათასობით ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებები. შვილობილი კომპანიები წარმოადგენენ წილობრივი მონაწილეობის მქონე კომპანიებს, მათ შორის სტრუქტურირებულ ორგანიზაციებს, რომლებსაც ჯგუფი აკონტროლებს რადგან ჯგუფს (i) აქვს გავლენა მართოს წილობრივი მონაწილეობის მქონე კომპანიების შესაბამისი აქტივობები, რომელიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მათ უკუგებებზე, (ii) აქვს უფლება სხვადასხვა სახის უკუგებაზე ასეთ წილობრივ მონაწილეობის მქონე კომპანიებში მისი მონაწილეობის გამო, და (iii) შეუძლია გამოიყენოს თავისი უფლება წილობრივი მონაწილეობის მქონე კომპანიების მიმართ საიმისოდ, რომ გავლენა მოახდინოს ინვესტორის უკუგების თანხაზე. მატერიალური უფლებების არსებობა და ეფექტი, მათ შორის პოტენციური ხმის მიცემის უფლებები, გათვალისწინებულია, როცა ხდება იმის შეფასება, აქვს თუ არა ჯგუფს სხვა საწარმოზე გავლენა. იმისთვის, რომ უფლება იყოს მატერიალური, მის მფლობელს უნდა ჰქონდეს პრაქტიკული უნარი გამოიყენოს აღნიშნული უფლება მაშინ, როცა უნდა მიიღოს წილობრივი მონაწილეობის მქონე კომპანიების შესაბამისი აქტივობების მართვის შესახებ გადაწყვეტილება. ჯგუფს შეიძლება ჰქონდეს გავლენა წილობრივი მონაწილეობის მქონე კომპანიაზე, მაშინაც კი, როცა ის ფლობს წილობრივი მონაწილეობის მქონე კომპანიაში უმრავლესობის ხმის უფლებაზე ნაკლებს. ასეთ შემთხვევაში, ჯგუფი აფასებს მისი ხმის უფლების ზომას სხვა ხმის უფლების მქონე მფლობელების ხმის მფლობელობის ზომასთან შედარებით საიმისოდ, რომ განსაზღვროს, აქვს თუ არა მას დე-ფაქტო უფლება წილობრივი მონაწილეობის მქონე კომპანიაზე. სხვა ინვესტორების დამცავი უფლებები, რომლებიც დაკავშირებულია წილობრივი მონაწილეობის მქონე კომპანიის აქტივობებში ფუნდამენტალურ ცვლილებებთან, ან ისეთი უფლებები, რომლებიც მხოლოდ გამოწვევის გარემოებებში გამოიყენება, არ შეაფერხებს ჯგუფს წილობრივი მონაწილეობის მქონე კომპანიის კონტროლისგან. შვილობილი კომპანიები დაკონსოლიდირებულია ჯგუფისთვის კონტროლის გადაცემის თარიღიდან, და ტოვებს ჯგუფს კონტროლის შეწყვეტის თარიღიდან.

2 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა **გაგრძელება**

საწარმოთა გაერთიანება და გუდვილი. საწარმოთა გაერთიანება ხორციელდება შესყიდვის მეთოდის გამოყენებით. შესყიდვის ღირებულება იზომება უზრუნველყოფის, მათ შორის, გაცვლის დღეს პირობითი და ფაქტობრივი ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით. შესყიდვასთან დაკავშირებული ხარჯი აღიარებულია, მოგება-ზარალის ანგარიშგებაში როგორც იმ პერიოდის ხარჯი, როცა წარმოიქმნა. შესყიდული იდენტიფიცირებული აქტივები, ვალდებულებები და ბიზნესის გაერთიანებით მიღებული გაუთვალისწინებელი ვალდებულებები იზომება შექენის თარიღისთვის არსებული მათი სამართლიანი ღირებულებით, ნებისმიერი არასაკონტროლო წილის მოცულობის მიუხედავად. ჯგუფი აფასებს არასაკონტროლო წილს, რომელიც წარმოადგენს არსებული მფლობელობის წილს და უფლებამოსილებას ანიჭებს მფლობელს მიიღოს წმინდა აქტივების პროპორციული წილი ლიკვიდაციის შემთხვევაში ოპერაციების მიხედვით, ან: (ა) სამართლიანი ღირებულებით, ან (ბ) შესაძენი კომპანიის წმინდა აქტივების არასაკონტროლო წილის პროპორციული წილის სახით. არასაკონტროლო წილები, რომლებიც არ წარმოადგენს არსებული მფლობელობის წილებს, იზომება სამართლიანი ღირებულებით.

გუდვილი იზომება შესაძენი კომპანიისთვის გადაცემული მთლიანი ანაზღაურებიდან შექენილი კომპანიის წმინდა აქტივების დაქვითვით, შექენილ კომპანიაში არასაკონტროლო წილის მოცულობით და შექენის თარიღამდე მყისიერად ფლობილ შექენილ კომპანიაში წილის სამართლიანი ღირებულებით. ნებისმიერი უარყოფითი თანხა („უარყოფითი გუდვილი“) აღიარდება მოგება-ზარალში, მას შემდეგ, რაც ხელშეკრულებულია ხელახლა შეაფასებს გამოავლინა თუ არა მან ყველა შექენილი აქტივი და ყველა ვალდებულება და აღებული გაუთვალისწინებელი ვალდებულებები, და განიხილავს მათი შეფასების სისწორეს.

შესაძენი კომპანიისთვის გადარიცხული მთლიანი უზრუნველყოფა იზომება დათმობილი აქტივების, გაცემული წილობრივი ინსტრუმენტებისა და წარმოქმნილი ან აღებული ვალდებულებების სამართლიანი ღირებულებით, მათ შორის, პირობითი უზრუნველყოფიდან აქტივების ან ვალდებულებების სამართლიანი ღირებულებით, მაგრამ გამორიცხავს შექენასთან დაკავშირებულ ხარჯს, როგორცაა საკონსულტაციო, იურიდიული, შეფასებითი და მსგავსი პროფესიული მომსახურებები.

წილობრივი ინსტრუმენტების გაცემასთან დაკავშირებული ოპერაციების ხარჯი იქვითება კაპიტალიდან; ვალის გაცემასთან დაკავშირებით წარმოქმნილი ოპერაციების ხარჯი იქვითება მისი საბალანსო ღირებულებიდან და შექენასთან დაკავშირებული ყველა სხვა ოპერაციების ხარჯი გაწეულია.

ჯგუფში შემავალ კომპანიათა შორის ოპერაციები, ნაშთები და ჯგუფის კომპანიებს შორის ოპერაციებზე არარეალიზებული მოგებები იქვითება; არარეალიზებული დანაკარგები ასევე იქვითება, თუ ხარჯის ამოღება შეუძლებელია. ბანკი და ყველა მისი შვილობილი კომპანია იყენებს ერთიან სააღრიცხვო პოლიტიკას.

არასაკონტროლო წილი არის შვილობილი კომპანიის საბოლოო შედეგი და კაპიტალს მიკუთვნებული წილები, რომელსაც პირდაპირ ან არაპირდაპირ არ ფლობს ბანკი. არასაკონტროლო წილი წარმოადგენს ჯგუფის კაპიტალის ცალკე კომპონენტს.

დაკავშირებული კომპანიები. დაკავშირებულია კომპანიები, რომელზეც ჯგუფს აქვს მნიშვნელოვანი ზეგავლენა (პირდაპირ თუ არაპირდაპირ), მაგრამ არა კონტროლი, რაც ზოგადად ითვალისწინებს ხმის უფლების მქონე 20-50% - მდე აქციების ფლობას. დაკავშირებულ კომპანიებში ინვესტიციები აღირიცხება კაპიტალის აღრიცხვის მეთოდის გამოყენებით და, თავდაპირველად, აღიარებულია თვითღირებულებით. დაკავშირებული კომპანიების საბალანსო ღირებულება მოიცავს გუდვილს, რომელიც გამოვლინდება შესყიდვის დროს და აკლდება დაგროვილი გაუფასურებით გამოწვეული დანაკარგით, ასეთის არსებობის შემთხვევაში. დაკავშირებული კომპანიებიდან მიღებული დივიდენდები ამცირებს დაკავშირებულ საწარმოებში ინვესტიციების საბალანსო ღირებულებას. შექენის შემდეგ დაკავშირებული კომპანიის წმინდა აქტივებში ჯგუფის წილის ცვლილებები აღირებულია შემდეგნაირად: (i) დაკავშირებული კომპანიების მოგება/ზარალში ჯგუფის წილი რეგისტრირებულია წლის კონსოლიდირებულ მოგება/ზარალში, როგორც დაკავშირებული კომპანიების შედეგის წილი, (ii) ჯგუფის წილი სხვა სრულ შემოსავალში აღიარებულია სხვა სრულ შემოსავალში და წარმოდგენილია ცალკე, (iii) დაკავშირებული კომპანიების წმინდა აქტივების საბალანსო ღირებულების ჯგუფის წილში ყველა სხვა ცვლილება აღიარებულია მოგება/ზარალში დაკავშირებული კომპანიების შედეგის წილის ფარგლებში. თუმცა, როცა ჯგუფის დანაკარგის წილი დაკავშირებულ კომპანიებში ტოლია ან აღემატება მის წილს ამ დაკავშირებულ საწარმოში, მათ შორის ნებისმიერი სხვა დაუცველი დებიტორული დავალიანებები, ჯგუფი არ აღიარებს შემდგომ დანაკარგებს, თუ მას არ წარმოექმნება ვალდებულებები ან არ ექნება გადასახდელი დაკავშირებული კომპანიის სახელით.

ჯგუფსა და დაკავშირებულ საწარმოს შორის ტრანზაქციებზე არარეალიზებული მოგებები გაუქმებულია დაკავშირებულ კომპანიაში ჯგუფის მფლობელობის წილის მიხედვით; არარეალიზებული დანაკარგები ასევე გაუქმებულია თუ ტრანზაქცია განაპირობებს გადაცემული აქტივის გაუფასურების მტკიცებულებას.

შვილობილი კომპანიების, დაკავშირებული კომპანიების ან ერთობლივი საწარმოების გასხვისება. როცა ჯგუფი კარგავს კონტროლს ან მნიშვნელოვან გავლენას, საწარმოში არსებული ნებისმიერი შენარჩუნებული წილი ხელახლა იზომება მისი სამართლიანი ღირებულებით და მოგება-ზარალში აღიარდება საბალანსო ღირებულებაში ცვლილების გათვალისწინებით. სამართლიანი ღირებულება არის დაკავშირებული კომპანიის, ერთობლივი საწარმოს ან ფინანსური აქტივის შენარჩუნებული წილის შემდგომ აღრიცხვასთან დაკავშირებული თავდაპირველი საბალანსო ღირებულება. გარდა ამისა, აღნიშნულ საწარმოსთან დაკავშირებით მთლიან შემოსავალში ადრე აღიარებული ნებისმიერი თანხა ნიშნავს, რომ

2 შენიშვნა სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა **გამრქელება**

ჯგუფმა პირდაპირ გაასხვისა დაკავშირებული აქტივები ან ვალდებულებები. ეს შეიძლება ნიშნავდეს იმას, რომ სხვა მთლიან შემოსავალში ადრე აღიარებული თანხა ხელახლა გადავა მოგება-ზარალში.

თუ დაკავშირებულ კომპანიაში საკუთრების წილი მცირდება, მაგრამ მნიშვნელოვანი გავლენა შენარჩუნებულია, მხოლოდ სხვა მთლიან შემოსავალში ადრე აღიარებული თანხების პროპორციული წილი ხელახლა იქნება კლასიფიცირებული მოგება-ზარალში, თუ შესაძლებელია.

არასაკონტროლო წილის ნასყიდობა. ჯგუფი იყენებს ეკონომიკური ერთეულის მოდელს არასაკონტროლო წილის მფლობელებთან გარიგებების აღრიცხვისთვის. ნებისმიერი სხვაობა შექნილი არასაკონტროლო წილის საბალანსო ღირებულებასა და შესყიდვის ღირებულებას შორის აღიარდება, როგორც კაპიტალით გარიგება პირდაპირ კაპიტალში.

ფინანსური ინსტრუმენტები – გაზომვის მთავარი პირობები. სამართლიანი ღირებულება არის ფასი, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვით ან გადახდება საიმისოდ, რომ მოხდეს ვალდებულების დაფარვა კანონიერი გარიგების საშუალებით ბაზრის მონაწილეებს შორის სამართლიანი ღირებულების დადგენის თარიღისას. სამართლიანი ღირებულების საუკეთესო მტკიცებულება არის აქტიურ ბაზარზე კვოტირებული ფასი. აქტიური ბაზარი არის ის ბაზარი, სადაც აქტივის ან ვალდებულებასთან დაკავშირებული ოპერაციები საკმარისი სიხშირით და მოცულობით ხდება საიმისოდ, რომ უზრუნველყოს ფასების შესახებ მუდმივი ინფორმაცია. აქტიურ ბაზარზე სავაჭროდ გამოტანილი ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება იზომება როგორც ინდივიდუალური აქტივის ან ვალდებულების და ორგანიზაციის მფლობელობაში არსებული რაოდენობის კვოტირებული ფასის პროდუქტი. ასეა მაშინაც კი, თუ ბაზრის ჩვეულებრივი ყოველდღიური ვაჭრობის მოცულობა არ არის საკმარისი საიმისოდ, რომ აითვისოს მფლობელობაში არსებული რაოდენობა და ერთი ოპერაციით პოზიციის გაყიდვისთვის დაკვეთების განთავსებამ შესაძლოა გავლენა მოახდინოს კვოტირებულ ფასზე. წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების, ან სხვა ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების პორტფელი, რომელიც არ არის გამოტანილი აქტიურ ბაზარზე სავაჭროდ, იზომება ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების ჯგუფის სამართლიანი ღირებულებით იმ ფასის საფუძველზე, რომელიც მიიღება გარკვეული რისკის ქვეშ არსებული წმინდა გრძელვადიანი პოზიციის (ე.ი. აქტივის) გაყიდვის მიმართ, ან რომელიც გამოიყენება გარკვეული რისკის ქვეშ არსებული წმინდა ხანმოკლე პოზიციის (ე.ი. ვალდებულები) გადაცემის მიმართ საიმისოდ, რომ მოხდეს ვალდებულების გადაცემა კანონიერი ტრანზაქციის საშუალებით ბაზრის მონაწილეებს შორის, გაზომვის დღეს.

შეფასების მეთოდები, როგორცაა დისკონტირებული ფულის ნაკადების მოდელი, ან ბოლო დროს კომერციულ ოპერაციებზე დაფუძნებული მოდელი ან ინვესტიციების მიმდებარე ფინანსური მონაცემების ანალიზი, გამოიყენება გარკვეული ფინანსური ინსტრუმენტების მიმართ, რომლისთვისაც ხელმეორეული უცხოური საბაზრო ფასების ინფორმაცია. სამართლიანი ღირებულების შეფასებების ანალიზი ხორციელდება სამართლიანი ღირებულების იერარქიაში არსებული შემდეგი დონეების მიხედვით: (i) პირველ დონეზე წარმოდგენილია აქტიურ ბაზარზე იდენტურ აქტივებისა ან ვალდებულებების მიმართ კვოტირებული ფასებით (არაკორექტირებული) შეფასებები. (ii) მეორე დონის შეფასებები არის შეფასებების მეთოდები, რომლებიც კი გამოიყენება აქტივებისა ან ვალდებულებების მიმართ პირდაპირ (ე.ი. როგორც ფასები) ან არაპირდაპირ (ე.ი. წარმოებულია ფასებიდან), და (iii) მესამე დონის შეფასებები არის შეფასებები, რომლებიც კი ეფუძნება მხოლოდ საბაზრო მონაცემებს (ე.ი. ეს შეფასება მოითხოვს მნიშვნელოვან ბაზარზე არარსებულ მონაცემებს). სამართლიანი ღირებულების იერარქიის დონეებს შორის გადაცემები ჩათვლება განხორციელებულად საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. იხილეთ შენიშვნა 41.

თვითღირებულება არის გადახდილი ფული ან ფულის ექვივალენტი ან შექენის დროს აქტივის შესაძენად გადაცემული სხვა ანაზღაურების სამართლიანი ღირებულება და მოიცავს ტრანზაქციულ დანახარჯს.

ტრანზაქციული დანახარჯი არის ზღვრული ხარჯი, რომლებიც პირდაპირ დაკავშირებულია ფინანსური ინსტრუმენტების შექენაზე, გაცემასა ან გასხვისებაზე. ზღვრული ხარჯი არის ხარჯი, რომელიც არ წარმოიქმნებოდა თუკი არ განხორციელდებოდა ტრანზაქცია. ტრანზაქციული დანახარჯი მოიცავს აგენტებისთვის (მათ შორის თანამშრომლებისთვის, რომლებიც მოქმედებენ როგორც აგენტები) კონსულტანტებისთვის, ბროკერებისა და დილერებისთვის გადახდილ ანაზღაურებას ან საკომისიოს, რომელიც განსაზღვრულია მარგეულირებული სააგენტოებისა და ფასიანი ქაღალდების ბირჟების მიერ, და საკუთრების გადაცემისთვის განსაზღვრულ გადასახადებსა და ბაჟს. ტრანზაქციული დანახარჯი არ მოიცავს სავალო პრემიებს ან დისკონტს, ფინანსურ ხარჯს ან შიდა ადმინისტრაციულ ან ფლობასთან დაკავშირებულ ხარჯს.

ამორტიზებული ღირებულება ("AC") არის თანხა, რომლითაც ფინანსური ინსტრუმენტი აღიარებული იყო თავდაპირველი აღიარების თარიღისთვის, გამოკლებული ნებისმიერი სესხის ძირითადი თანხის დასაფარად განხორციელებული გადახდები, პლიუს დარიცხული პროცენტი, ხოლო ფინანსურ აქტივებთან მიმართებაში - გამოკლებული აქტივის გაუფასურებით გამოწვეული ზარალის ჩამოშორება. დარიცხული პროცენტი მოიცავს თავდაპირველი აღიარებით გადავადებულ საოპერაციო ხარჯს და ნებისმიერი პრემიის ან გადასახდელი თანხის დისკონტის ამორტიზაციას, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. დარიცხული საპროცენტო შემოსავალი და დარიცხული საპროცენტო ხარჯი, რომელიც მოიცავს როგორც დარიცხულ კუპონს, საამორტიზაციო დისკონტს ან პრემიას (წარმოქმნისთანავე გადავადებული გადასახადების

ჩათვლით, თუკი არის), არ არის წარმოდგენილი ცალკე და შეტანილია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში დაკავშირებული პუნქტების საბალანსო ღირებულებაში. სესხების დაფარვები აღიარდება ჯარიმებში თავდაპირველად, შემდეგ დარიცხულ პროცენტში და შემდეგ ძირ თანხაში.

2 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა **გაგრძელება**

ფინანსური ინსტრუმენტები – გაზომვის მთავარი პირობები (გაგრძელება). ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის საპროცენტო შემოსავლის ან საპროცენტო ხარჯის შესაბამის პერიოდზე განაწილების მეთოდი, რათა მიღწეულ იქნას მუდმივი საპროცენტო განაკვეთი (ეფექტური საპროცენტო განაკვეთი) საბალანსო ღირებულებაში. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ახდენს შეფასებული მომავალი ნაღდი ანგარიშსწორების ან ფულადი შესავლების (მათ შორის საკრედიტო დანაკარგების) ფინანსური ინსტრუმენტის წმინდა საბალანსო ღირებულებაში დისკონტირებას ფინანსური ინსტრუმენტების მომსახურების სავარაუდო ვადაში ან უფრო მოკლე პერიოდში. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი ამცირებს სხვადასხვა საპროცენტო ინსტრუმენტების ფულის ნაკადებს მომდევნო ფასების გადახედვის თარიღამდე, გარდა პრემიისა ან დისკონტისა, რომელიც ასახავს ინსტრუმენტში მითითებულ მცოცავ განაკვეთზე გავრცელებულ კრედიტს, ან სხვა ცვლადებს, რომლებიც არ შეესაბამება საბაზრო განაკვეთებს. ასეთი პრემიები ან დისკონტები ამორტიზირებულია ინსტრუმენტის მთელი დარჩენილი სასიცოცხლო პერიოდის განმავლობაში. დღევანდელი ღირებულების გათვლები მოიცავს კონტრაქტის მხარეებს შორის ყველა გადახედვას ან მიღებულ გადასახადს, რომელიც წარმოადგენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს (იხილეთ შემოსავლის და ხარჯის აღიარების პოლიტიკა). აქტივებთან დაკავშირებით, რომლებიც წარმოადგენენ შექმნილ ან შექმნილ საკრედიტო თვალსაზრისით გაუფასურებულ აქტივებს („POCI“) თავდაპირველი აღიარებისას, ეფექტური საპროცენტო განაკვეთი კორექტირდება საკრედიტო რისკით, ე.ი. გაანგარიშდება მოსალოდნელი ფულადი ნაკადების საფუძველზე თავდაპირველი აღიარებისას კონტრაქტით გათვალისწინებული გადახედვის ნაცვლად.

ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარება. ფინანსური ინსტრუმენტები FVTPL (სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალში) თავდაპირველად აღრიცხულია სამართლიანი ღირებულებით. ყველა სხვა ფინანსური ინსტრუმენტი თავდაპირველად აღიარებულია სამართლიანი ღირებულებით, ტრანზაქციული დანახარჯის გათვალისწინებით. თავდაპირველი აღიარებისას სამართლიანი ღირებულების საუკეთესო მტკიცებულებაა გარიგების ფასი. თავდაპირველი აღიარებისას, მოგება ან ზარალი აღიარდება მხოლოდ მაშინ, თუ არსებობს სხვაობა სამართლიან ღირებულებასა და გარიგების ფასს შორის, რაც შეიძლება დადასტურდეს იმავე ინსტრუმენტში სხვა მიმდინარე საბაზრო ოპერაციებით ან შეფასების მეთოდით, რომელიც მოიცავს მხოლოდ დაკვირვებას დაქვემდებარებული ბაზრებიდან მონაცემებს. თავდაპირველი აღიარების შემდეგ, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (ECL) რეზერვი აღიარებულია ფინანსურ აქტივებში, რომლებიც შეფასებულია ამორტიზირებული ღირებულებით (AC) და ინვესტიციებში სავალო ინსტრუმენტებში, რომლებიც შეფასებულია FVOCI-ით (სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში), რაც იწვევს მყისიერ სააღრიცხვო ზარალს.

იმ ფინანსური აქტივების ყველა შესყიდვა და გაყიდვა, რომლებიც მოითხოვს რეგულაციით ან საბაზრო კონვენსიით დადგენილ ვადებში მიწოდებას („რეგულარული წესით“ შესყიდვები და გაყიდვები) რეგისტრირებულია გარიგების დღეს, რომელ დღესაც, ჯგუფი ფინანსური აქტივის მიწოდების ვალდებულებას იღებს. ყველა სხვა შესყიდვის აღიარება ხდება მაშინ, როცა საწარმო ხდება ინსტრუმენტის საკონტრაქტო დებულებების ნაწილი.

ფინანსური აქტივები – კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება – შეფასების კატეგორიები. ჯგუფი ახდენს ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას შემდეგ შეფასების კატეგორიებად: ფინანსური აქტივები სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალში (FVTPL), სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში (FVOCI) და ამორტიზირებული ღირებულებით (AC). სავალო ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება დამოკიდებულია: (i) ჯგუფის ბიზნეს მოდელზე დაკავშირებული აქტივების პორტფელის მართვისთვის და (ii) აქტივის ფულადი ნაკადების მახასიათებლებზე.

ფინანსური აქტივები – კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება – ბიზნეს მოდელი. ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია დამოკიდებულია ბიზნეს-მოდელზე. ხელმძღვანელობამ განსაზღვრა ფინანსური ინსტრუმენტების პორტფელის და აგრეგაციის დონე ბიზნეს-მოდელის შეფასების დროს. სავაჭრო გარიგებების შეფასებისას, ჯგუფი ითვალისწინებს მათ ისტორიულ სიხშირეს, ვადებს და ღირებულებას, გაყიდვების მიზნებს და მოლოდინებს მომავალი გაყიდვების საქმიანობების შესახებ. სავაჭრო გარიგებები, რომელთა მიზანია კრედიტის გაუფასურებით გამოწვეული პოტენციური ზარალის მინიმუმამდე დაყვანა, შეესაბამება „ამოღებისთვის ფლობილ“ ბიზნეს-მოდელს. სხვა სავაჭრო გარიგებები – დაფარვამდე, რომლებიც არ არის დაკავშირებული საკრედიტო რისკის მართვის საქმიანობებთან, ასევე შეესაბამება „ამოღებისთვის ფლობილ“ ბიზნეს-მოდელს, იმ პირობით, რომ ისინი არ არის ხშირი ან მნიშვნელოვანი ღირებულების თვალსაზრისით, როგორც ინდივიდუალურად ასევე მთლიანობაში. ჯგუფი აფასებს სავაჭრო გარიგებების მნიშვნელობას გაყიდვების ღირებულების პორტფელის ღირებულებასთან შედარებით ბიზნეს-მოდელის შეფასების საფუძველზე, პორტფელის საშუალო ვადაში. გარდა ამისა, ფინანსური აქტივის გაყიდვები, რომელიც მოსალოდნელია მხოლოდ სტრესულ სცენარში ან იმ ცალკეული შემთხვევის საპასუხოდ, რომელიც სცილდება ჯგუფის კონტროლის ფარგლებს, არ არის განმეორებითი და შეუძლებელია გათვალისწინებული ყოფილიყო ჯგუფის მიერ, ითვლება დაკავშირებულად ბიზნეს-მოდელის მიზანთან და გავლენას არ ახდენს ფინანსური აქტივების კლასიფიკაციაზე.

ამოსაღებად და გასაყიდად ფლობილი“ ბიზნეს მოდელი ნიშნავს, რომ აქტივები ფლობილია ფულადი ნაკადების ამოსაღებად, თუმცა გაყიდვა ასევე არის ბიზნეს მოდელის მიზნის მიღწევის განუყოფელი ნაწილი, როგორცაა ლიკვიდური სახსრების საჭიროებების მართვა, კონკრეტული შედეგის მიღწევა ან ფინანსური აქტივების ვადის შესაბამისობა ვალდებულებების ვადასთან, რომელიც აფინანსებს აღნიშნულ აქტივებს.

ნარჩენი კატეგორია მოიცავს ფინანსური აქტივების იმ პორტფელს, რომელთა მართვა ხდება ფულადი ნაკადების რეალიზების მიზნით ძირითადად გაყიდვის გზით, როდესაც სავაჭრო სტრუქტურა არსებობს. სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოღება ხშირად დამახასიათებელია მოცემული ბიზნეს-მოდელისთვის.

2 შენიშვნალოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა გამრქელება

ფინანსური აქტივები – კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება – ფულადი ნაკადების მახასიათებლები. თუ ბიზნეს-მოდელი არის აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოსაღებად ან სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ფლობა და გაყიდვა, ჯგუფი აფასებს წარმოდგენილია თუ არა ფულადი ნაკადები მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდებით ("SPPI"). ფინანსური აქტივები ჩართული წარმოებული ინსტრუმენტებით განიხილება მთლიანობაში იმის განსაზღვრისას შესაბამება თუ არა მათი ფულადი ნაკადები SPPI მოთხოვნას. შეფასების გაკეთებისას, ჯგუფი განიხილავს შესაბამება თუ არა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები საბაზო საკრედიტო შეთანხმებას, ე.ი. პროცენტით მოიცავს მხოლოდ საკრედიტო რისკის, ფულის დროითი ღირებულების, სხვა საბაზო საკრედიტო რისკების და მოგების კოეფიციენტის ასპექტს.

თუ სახელშეკრულებო პირობები განაპირობებს რისკს ან ცვალებადობას, რომელიც არ შეესაბამება საბაზო საკრედიტო შეთანხმებას, ფინანსური აქტივი კლასიფიცირებული და შეფასებულია სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალში (FVTPL). SPPI შეფასება ხორციელდება აქტივის თავდაპირველი აღიარებისას და შემდგომ არ ხდება მისი გადახედვა. ჯგუფის მიერ გამოყენებული მსჯელობები SPPI ტესტის განხორციელებისას ფინანსურ აქტივებთან დაკავშირებით, მოცემულია ქვემოთ:

ფულის დროითი ღირებულების ელემენტი შეიძლება მოდიფიცირდეს, მაგალითად, იმ შემთხვევაში, თუ სახელშეკრულებო საპროცენტო განაკვეთი პერიოდულად იცვლება, მაგრამ ასეთი ცვლილების სიხშირე არ შეესაბამება სავალო ინსტრუმენტის საბაზო საპროცენტო განაკვეთის ვადას, მაგალითად სესხის გადახდები სამთვლიანი ბანკთაშორისო განაკვეთით, მაგრამ განაკვეთი იცვლება ყოველ თვეში. ფულის მოდიფიცირებული დროითი ღირებულების ეფექტი შეფასდა შესაბამისი ინსტრუმენტის ფულადი ნაკადების საბაზო სავალო ინსტრუმენტის SPPI ფულად ნაკადებთან შედარებით, თითოეულ პერიოდში და მთლიანად ინსტრუმენტის ვადაში. ჯგუფმა გამოიყენა 10% ზღვარი იმის განსაზღვრისას არის თუ არა სხვაობები საბაზო ინსტრუმენტების მიმართ მნიშვნელოვნად განსხვავებული. იმ სცენარის შემთხვევაში, როდესაც ფულადი ნაკადები, რომლებიც მნიშვნელოვნად განსხვავდება საბაზო ინსტრუმენტის მაჩვენებლებისგან, შეფასებული ინსტრუმენტის ფულადი ნაკადები არ არის SPPI და აღნიშნული ინსტრუმენტი შეფასდება FVTPL-ით.

ჯგუფმა განსაზღვრა და განიხილა სახელშეკრულებო პირობები, რომელიც ცვლის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ვადას ან ოდენობას. SPPI კრიტერიუმი დაკმაყოფილებულია იმ შემთხვევაში, თუ სესხი ითვალისწინებს ვადამდე დაფარვას და ვადამდე დაფარვის თანხა არსებითად წარმოადგენს ძირითად თანხას და დარიცხულ პროცენტს, რომელსაც ემატება დამატებითი კომპენსაცია ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტისთვის. აქტივის ძირითადი თანხა არის სამართლიანი ღირებულება თავდაპირველი აღიარებისას მინუს შემდგომი ძირითადი თანხის გადახდები, ე.ი. შენატანები პროცენტის გამოკვეთებით, რომელიც განსაზღვრულია ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. ამ პრინციპის გამოწვევისას სახით, სტანდარტი ასევე ითვალისწინებს ინსტრუმენტებს ვადამდე დაფარვის პირობებით, რომელიც აკმაყოფილებს შემდეგ პირობებს, SPPI შესაბამისობის მიზნით: (i) აქტივი წარმოქმნილია პრემიით ან დისკონტით, (ii) ვადამდე დაფარვის თანხა წარმოადგენს სახელშეკრულებო თანხას და დარიცხულ პროცენტს და დამატებით კომპენსაციას ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტისთვის; და (iii) ვადამდე დაფარვის ელემენტის სამართლიანი ღირებულება არის უმნიშვნელო თავდაპირველი აღიარებისას.

ინსტრუმენტები, რომლებმაც ვერ შეასრულეს SPPI ტესტი, ზოგადად შეფასებულია FVTPL-ში. ბანკს არ აქვს ასეთი კატეგორიის სესხები კლიენტებზე 2018 წლის განმავლობაში.

ფინანსური აქტივები – რეკლასიფიკაცია. ფინანსური ინსტრუმენტები რეკლასიფიცირდება მხოლოდ მაშინ, როდესაც პორტფელის მართვის ბიზნეს-მოდელი მთლიანობაში იცვლება. რეკლასიფიკაციას აქვს სამომავლო ეფექტი და იწყება პირველი საანგარიშო პერიოდის დასაწყისში, ბიზნეს-მოდელის ცვლილების შემდეგ. ჯგუფმა არ შეცვალა თავისი ბიზნეს-მოდელი მიმდინარე და შედარებით პერიოდში და არ განახორციელა არანაირი რეკლასიფიკაცია.

ფინანსური აქტივების გაუფასურება – საკრედიტო ზარალის რეზერვი ECL-თვის (მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი). ჯგუფი, საპროგნოზო ინფორმაციის საფუძველზე, აფასებს მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს ECL ინსტრუმენტებისთვის, რომლებიც შეფასებულია ამორტიზირებული ღირებულებით (AC) და სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ

შემოსავალში (FVOCI) და რისკებისთვის, რომლებიც წარმოიშობა სასესხო ვალდებულებებიდან და ფინანსური გარანტიის კონტრაქტებიდან. ჯგუფი აფასებს მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს (ECL) და აღიარებს საკრედიტო ზარალის რეზერვს თითოეული ანგარიშგების თარიღისთვის. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (ECL) შეფასება ასახავს: (i) მიუკერძოებელ და ალბათობებით შეწონილ თანხას, რომელიც განისაზღვრება შესაძლო შედეგების შეფასებით, (ii) ფულის დროით ღირებულებას და (iii) ყველა გონივრულ და ღირებულ ინფორმაციას, რომელიც ხელმისაწვდომია მიზანშეუწონელი დანახარჯებისა ან ძალისხმევის გარეშე, თითოეული ანგარიშგების პერიოდის ბოლოს, გასული მოვლენების, არსებული პირობების და მომავალი პირობების პროგნოზების შესახებ.

ჯგუფი იყენებს გაუფასურების სამ ეტაპიან მოდელს, რომელიც ეფუძნება კრედიტის ხარისხის ცვლილებებს თავდაპირველი აღიარების შემდეგ:

2 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო კოლიტიკის მიმოხილვა **გაგრძელება**

- ▶ ეტაპი 1: ფინანსური ინსტრუმენტი, რომელიც არ არის გაუფასურებული (საკრედიტო თვალსაზრისით) თავდაპირველი აღიარებისას, კლასიფიცირებულია 1 ეტაპზე. ფინანსურ აქტივებს 1 ეტაპზე გააჩნიათ მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი (ECL), რომელიც შეფასებულია მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ვადის იმ ნაწილის ტოლი მოცულობით, რომელიც მიიღება დეფოლტის მოვლენებიდან, რომლებიც შესაძლოა მოხდეს მომდევნო 12 თვის განმავლობაში ან ხელშეკრულებით გათვალისწინებულ დაფარვის ვადამდე, თუ აღნიშნული ვადა უფრო მოკლეა („12 თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი“).
- ▶ ეტაპი 2: თუ ჯგუფი დაადგენს საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას („SICR“) თავდაპირველი აღიარებიდან, აქტივი გადავა 2 ეტაპზე და მისი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი (ECL) შეფასდება ECL-ს მოქმედების ვადის (არსებობის) საფუძველზე („ECL მოქმედების /არსებობის ვადა“). იმ შემთხვევაში, თუ საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა („SICR“) აღარ აღინიშნება, ინსტრუმენტი გადავა უკან 1-ელ ეტაპზე. იხილეთ შენიშვნა 36 იმის აღწერისთვის, თუ როგორ განსაზღვრავს ჯგუფი საპროგნოზო ინფორმაციის საფუძველზე, საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის („SICR“) დადგომას.
- ▶ ეტაპი 3: საკრედიტო თვალსაზრისით გაუფასურებული აქტივები გადადის მე-3 ეტაპზე და აღიარებულია ECL მოქმედების /არსებობის ვადის რეზერვი. ჯგუფის მიერ საკრედიტო თვალსაზრისით გაუფასურებული აქტივებისა და დეფოლტის განსაზღვრება ეფუძნება ერთი ან მეტი ზარალის შემთხვევის დადგომას, რომელიც აღწერილია 36 შენიშვნაში.

მოსალოდნელ საკრედიტო ზარალში (ECL) ცვლილება აღიარებულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში შესაბამისი რეზერვით, რომელიც წარმოდგენილია, როგორც ფინანსური აქტივის საბალანსო ღირებულების შემცირება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში. ფინანსურ გარანტიებთან და საკრედიტო ვალდებულებებთან დაკავშირებით, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი წარმოდგენილია, როგორც ვალდებულება ვალდებულებების და ხარჯების რეზერვებში.

მთლიანი საბალანსო ღირებულება და ჩამოწერა. ფინანსური აქტივის მთლიანი საბალანსო ღირებულება არის ფინანსური აქტივის ამორტიზირებული ღირებულება, ნებისმიერი ზარალის რეზერვის კორექტირებამდე. ჯგუფი პირდაპირ ამცირებს ფინანსური აქტივის მთლიან საბალანსო ღირებულებას, როდესაც საწარმოს არ აქვს ფინანსური აქტივის მთლიანად ან ნაწილობრივ აღდგენის გონივრული მოლოდინები. ეს მოიცავს ჯარიმებს ადგილობრივი მარეგულირებელი მოთხოვნების შესაბამისად. სესხები კოლექტიურად ფასდება ჩამოწერისთვის ვადაგადაცილებული დღეების კრიტერიუმების საფუძველზე ან ფასდება ინდივიდუალურად, რომელიც დამოკიდებულია სესხის სეგმენტზე და პროდუქტის ტიპზე. სახელშეკრულებო დავალიანების თანხები კლიენტებზე გაყვამულ სესხებზე, რომელიც ჩამოიწერა ნაწილობრივ ან სრულად 2018 წლის განმავლობაში, მაგრამ კვლავ ექვემდებარება ამოღებას, იყო ძირითადი თანხა - 96 მილიონი ლარი, დარიცხული პროცენტი 18 მილიონი ლარი და დარიცხული ბალანსგარეშე ჯარიმა 92 მილიონი ლარი.

ფინანსური აქტივები – აღიარების გაუმჯობესება და მოდიფიკაცია. ჯგუფი უქმებს ფინანსური აქტივების აღიარებას, როცა (ა) აქტივები გამოსყიდულია ან აქტივებიდან ფულად ნაკადებზე უფლებები სხვაგვარად შეწყდება, ან (ბ) ჯგუფმა გადასცა ფინანსური აქტივებიდან ფულად ნაკადებზე უფლებები ან შევიდა საკვალიფიკაციო გამტარ გარიგებაში, რომლის დროსაც (i) ასევე განახორციელა აქტივების მფლობელობით გამოწვეული არსებითად ყველა რისკისა და სარგებელის გადაცემა ან (ii) არ განახორციელა მფლობელობასთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკის და სარგებლის არც გადაცემა და არც შენარჩუნება, გარდა კონტროლის უფლების შენარჩუნებისა. კონტროლის უფლების შენარჩუნება ხდება, თუ კონტრაგენტს არ აქვს პრაქტიკული შესაძლებლობა მიყიდოს აქტივი მთლიანად კავშირში არ მყოფ მესამე მხარეს გაყიდვებზე დამატებითი შეზღუდვების დაწესების გარეშე.

ჯგუფი პერიოდულად გადახედავს ან სხვაგვარად ახდენს ფინანსური აქტივების სახელშეკრულებო პირობების მოდიფიცირებას. ჯგუფი აფასებს არის თუ არა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მოდიფიკაცია არსებითი, შემდეგი (და არა მხოლოდ) ფაქტორების გათვალისწინებით: საპროცენტო განაკვეთის ცვლილება საბაზრო

პირობების ცვლილებების გამო, ცვლილება სავალუტო დენომინაციაში; ორი ან მეტი სესხის გაერთიანება ერთ სესხში; კონტრაგენტის ცვლილება; განრიგის არმქონე სესხი შეიცვალა განრიგის სესხით და პირიქით.

ქვემოთ მოცემული შიდა ფარგლებში შემუშავებული მეთოდოლოგიის საფუძველზე, არსებობს რამდენიმე კონკრეტული ხარისხობრივი ფაქტორი, რომელიც იწვევს აქტივის აღიარების შეწყვეტას შემდგომი რაოდენობრივი ტესტირების ჩატარების საჭიროების გარეშე. ხარისხობრივი კრიტერიუმები წარმოდგენილია ქვემოთ ჩამონათვალში:

- ▶ სახელშეკრულებო ვალუტის შეცვლა;
- ▶ ორი ან მეტი სესხის ერთ სესხში გაერთიანება;
- ▶ კონტრაგენტის შეცვლა;
- ▶ განრიგის არმქონე სესხის შეიცვალა განრიგის სესხით და პირიქით;
- ▶ საპროცენტო განაკვეთის ცვლილება საბაზრო პირობების ცვლილებების გამო;

ჯგუფი ადარებს თავდაპირველ და მოსალოდნელ ფულად ნაკადებს აქტივებთან იმის დასადგენად არის თუ არა აქტივის რისკი და სარგებელი არსებითად განსხვავებული სახელშეკრულებო მოდიფიკაციების შედეგად. უნდა შეფასდეს არის თუ არა ცვლილება სახელშეკრულებო ფულად ნაკადებში მნიშვნელოვანი (მნიშვნელობა განისაზღვრება 10% ცვლილებით). თუ ტესტის შედეგები აღემატება 10%-იან ზღვარს, სესხის აღიარება უნდა შეწყდეს, ვინაიდან თუ ტესტი ჩატარდა და შედეგი ტოლია ან ნაკლებია 10%-ზე, ფინანსური აქტივი შეიძლება შეფასდეს, როგორც მოდიფიცირებული.

2 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა **გამრქელება**

ფინანსური აქტივები – აღიარების გაუქმება და მოდიფიკაცია (გაგრძელება). თუ რისკები და სარგებელი არ იცვლება, მოდიფიცირებული აქტივი არსებითად (10% ტესტი) არ განსხვავდება თავდაპირველი აქტივისგან და მოდიფიკაცია არ განაპირობებს აღიარების შეწყვეტას. ჯგუფი ხელახლა გამოთვლის საბალანსო ღირებულებას მოდიფიცირებული სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების დისკონტირებით თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით ან შესაბამის შემთხვევაში კორექტირებული ეფექტური საპროცენტო განაკვეთით და აღიარებს მოდიფიცირების მოგებას ან ზარალს მოგებაში ან ზარალში. მოდიფიცირებული ფინანსური აქტივის საბალანსო ღირებულება კორექტირდება ნებისმიერი გაწეული ხარჯის ან გადახდილი მოსაკრებელის გათვალისწინებით, რომლებიც ამორტიზირებულია მოდიფიცირებული ფინანსური აქტივის მოქმედების დანარჩენ ვადაში.

ფინანსური ვალდებულებები – შეფასების კატეგორიები. ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირებულია შემდგომ შეფასებულად ამორტიზირებული ღირებულებით, გარდა (i) ფინანსური ვალდებულებებისა FVTPL-ით: ეს კლასიფიკაცია ვრცელდება წარმოებულ ინსტრუმენტებზე, სავაჭროდ ფლობილ ფინანსურ ვალდებულებებზე (მაგალითად მოკლე პოზიცია ფასიან ქალაქებში), პირობით ანაზღაურებაზე, რომელიც აღიარებულია შემქმნის მიერ ბიზნესის გაერთიანებაში და სხვა ფინანსურ ვალდებულებებზე, რომლებიც განსაზღვრულია ამ სახით თავდაპირველი აღიარებისას; და (ii) ფინანსური გარანტიის კონტრაქტებისა და სასესო ვალდებულებებისა.

ფული და ფულის ექვივალენტები. ფული და ფულის ექვივალენტები არის აქტივები, რომლებიც იოლად კონვერტირდება არსებულ ვალუტებს შორის და რომლებიც ექვემდებარება ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს. ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს სალაროში ფულადი სახსრების ნაშთს, საქართველოს ეროვნული ბანკიდან (სებ) მისაღებ სახსრებს სავალდებულო რეზერვების გამოკლებით, ყველა ბანკთაშორის განთავსებას და ბანკთაშორის დებიტორულ დავალიანებას სამ თვეზე ნაკლები თავდაპირველი დაფარვის ვადით. სამ თვეზე მეტი პერიოდით დაბანდებული სახსრები არ შედის ფულსა და ფულის ექვივალენტებში. ფული და ფულის ექვივალენტები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, რადგან: (i) ისინი ფლობილია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების და იმ ფულადი ნაკადების ამოსაღებად, რომლებიც წარმოადგენს SPPI-ს, და (ii) ისინი არ არის განსაზღვრული FVTPL-ში. კანონმდებლობით, როგორცაა რესტრუქტურისაციის კანონი, გათვალისწინებული ელემენტები გავლენას არ ახდენს SPPI ტესტზე. თუ ისინი არ არის შეტანილი სახელშეკრულებო პირობებში, იმ სახით, რომ აღნიშნული ელემენტი გამოყენებული იქნება კანონმდებლობის შეცვლის შემთხვევაშიც კი.

ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში წარმოდგენილი გადახდილი ან მიღებული თანხები ასახავს ჯგუფის მიერ განხორციელებული ფულისა და ფულის ექვივალენტების გადარიცხვებს, მათ შორის ჯგუფში მისივე პარტნიორების მიმდინარე ანგარიშებზე დარიცხულ ან ჩამოჭრილ თანხებს, როგორცაა სესხის საპროცენტო შემოსავლის ან ძირი თანხის ჩამოჭრა კლიენტის მიმდინარე ანგარიშიდან ან პროცენტის დარიცხვა და სესხის გაცემა კლიენტის მიმდინარე ანგარიშზე, რომელიც წარმოადგენს ფულს და ფულის ექვივალენტებს კლიენტის პოზიციიდან.

სავალდებულო ფულადი სახსრები საქართველოს ეროვნულ ბანკში. სავალდებულო ფულადი სახსრები საქართველოს ეროვნულ ბანკში აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით და წარმოადგენს სავალდებულო სარეზერვო დეპოზიტებს, რომლებიც არ გამოიყენება ჯგუფის ყოველდღიური ოპერაციების დასაფინანსებლად და ამიგომ ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგების მიზნებისთვის, არ ითვლება ფულისა და ფულის ექვივალენტების ნაწილად.

სახსრები სხვა ბანკებში. სხვა ბანკებში სახსრები ფიქსირდება მაშინ, როცა ჯგუფი ავანსად გასცემს თანხას პარტნიორ ბანკებზე. სახსრები სხვა ბანკებში შეფასებულია ამორტიზირებული ღირებულებით, როდესაც: (i) ისინი ფლობილია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების და იმ ფულადი ნაკადების ამოსაღებად, რომლებიც წარმოადგენს SPPI-ს, და (ii) ისინი არ არის განსაზღვრული FVTPL-ში. სხვაგვარად ისინი აღირიცხულია სამართლიანი ღირებულებით.

ინვესტიციები სავალო ფასიან ქალაქებში. ბიზნეს-მოდელის და ფულადი ნაკადების მახასიათებლების საფუძველზე, ჯგუფი ახდენს ინვესტიციების კლასიფიკაციას სავალო ფასიან ქალაქებში, როგორც შეფასებული ამორტიზირებული ღირებულებით, FVOCI-ით ან FVTPL-ით. სავალო ფასიანი ქალაქები შეფასებულია ამორტიზირებული ღირებულებით იმ შემთხვევაში, თუ ისინი ფლობილია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოსაღებად და ეს ფულადი ნაკადები წარმოადგენს SPPI, და თუ ისინი ნებაყოფლობით არ არის განსაზღვრული სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალში (FVTPL) სააღრიცხვო შეუსაბამობის მნიშვნელოვნად შემცირების მიზნით.

სავალო ფასიანი ქალაქები შეფასებულია სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში (FVOCI) იმ შემთხვევაში, თუ ისინი ფლობილია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოსაღებად და გასაყიდად, როდესაც ეს ფულადი ნაკადები წარმოადგენს SPPI-ს და თუ ისინი არ არის განსაზღვრული სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალში (FVTPL). აღნიშნული აქტივებიდან საპროცენტო შემოსავალი გამოითვლება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით და აღიარებულია მოგება-ზარალში. გაუფასურების ზარალი, რომელიც შეფასებულია მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოდელის გამოყენებით, აღიარებულია წლის მოგება-ზარალში. ყველა სხვა ცვლილება საბალანსო ღირებულებაში აღიარებულია სხვა სრულ შემოსავალში (OCI). სავალო ფასიანი ქალაქის აღიარების შემდეგ, სხვა სრულ შემოსავალში მანამდე აღიარებული კუმულაციური მოგება ან ზარალი რეკლასიფიცირდება სხვა სრული შემოსავლიდან (OCI) მოგება-ზარალში. ინვესტიციები სავალო ფასიან ქალაქებში შეფასებულია სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალში (FVTPL) იმ შემთხვევაში, თუ ისინი არ აკმაყოფილებენ ამორტიზირებული ღირებულების (AC) ან სამართლიანი ღირებულების სხვა სრულ შემოსავალში (FVOCI) კრიტერიუმებს. ჯგუფი ასევე გამოუხმობდა განსაზღვრავს ინვესტიციებს სავალო ფასიან ქალაქებში სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალში (FVTPL) თავდაპირველი აღიარებისას, თუ ამ ოფციონის გამოყენება მნიშვნელოვნად შეამცირებს სააღრიცხვო შეუსაბამობებს ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებს შორის, რომლებიც აღიარებული ან შეფასებულია სხვადასხვა სააღრიცხვო საფუძველზე.

2 შენიშვნალოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა **გაგრძელება**

ინვესტიციები წილობრივ ფასიან ქაღალდებში. ფინანსური აქტივები, რომლებიც აკმაყოფილებს წილის განსაზღვრებას ემიტენტის პოზიციიდან, ე.ი. ინსტრუმენტი, რომელიც არ მოიცავს სახელშეკრულებო ვალდებულებას ფულის გადახდის შესახებ და რომელიც ადასტურებს ნარჩენ წილს ემიტენტის წმინდა აქტივებში, ითვლება ინვესტიციებად წილობრივ ფასიან ქაღალდებში ჯგუფის მიერ. ინვესტიციები წილობრივ ფასიან ქაღალდებში ფასდება სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალში (FVTPL), გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ჯგუფი თავდაპირველი აღიარებისას გადაწყვეტს გამოუხმობად განსაზღვროს წილობრივი ინვესტიციები, როგორც სამართლიანი ღირებულება სხვა სრულ შემოსავალში (FVOCI), როდესაც აღნიშნული ინვესტიციები ფლობილია სტრატეგიული მიზნებისთვის და არა მხოლოდ საინვესტიციო შემოსავლების მისაღებად. FVOCI გადაწყვეტილების გამოყენების შემდეგ, სამართლიანი ღირებულების მოგება და ზარალი აღიარებულია სხვა სრულ შემოსავალში (OCI) და შემდეგ არ რეკლასიფიცირდება მოგება-ზარალში, მათ შორის გასხვისებისას. გაუფასურების ზარალი და მათი აღდგენა/რევერსირება, ასეთის არსებობის შემთხვევაში, არ იზომება ცალკე სხვა ცვლილებებისგან სამართლიან ღირებულებაში. დივიდენდები აღიარებული იქნება მოგება-ზარალში, როდესაც განსაზღვრება ჯგუფის მიერ გადახდების მიღების უფლება, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ისინი წარმოადგენენ ინვესტიციის ანაზღაურებას და არა შემოსავალს ასეთ ინვესტიციაზე.

კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები. კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები აღირიცხება, როცა ჯგუფი ავანსად გასცემს თანხას კლიენტისგან მისაღები სესხის შესყიდვის ან გაცემის მიზნით. ბიზნეს-მოდელის და ფულადი ნაკადების მახასიათებლების საფუძველზე, ჯგუფი ახდენს კლიენტებზე გაცემული სესხებისა და ავანსების კლასიფიკაციას შეფასების ერთ-ერთი შემდეგი კატეგორიით: (i) ამორტიზირებული ღირებულება: სესხები ფლობილია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების და იმ ფულადი ნაკადების ამოსაღებად, რომლებიც წარმოადგენს SPPI-ს, და (ii) FVTPL: სესხები, რომლებიც არ აკმაყოფილებენ SPPI ტესტს ან ამორტიზირებული ღირებულების ან FVOCI-ის სხვა კრიტერიუმებს, შეფასებულია სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალში (FVTPL).

გაუფასურების რეზერვები განისაზღვრება პროგნოზირებული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (ECL) მოდელის საფუძველზე. 36 შენიშვნაში წარმოდგენილია ინფორმაცია მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებისას გამოყენებული მონაცემების, დაშვებების და შეფასების მეთოდოლოგიის შესახებ, მათ შორის განმარტებულია როგორ შეიტანს ჯგუფი პროგნოზირებულ ინფორმაციას მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოდელში.

გირაში დასაკუთრებული ქონება. დასაკუთრებული ქონება წარმოადგენს გადავადებული სესხების დასაფარად ჯგუფის მიერ შექმნილ არაფინანსურ აქტივებს. ეს აქტივები შექმნის თავდაპირველად აღიარებული სამართლიანი ღირებულებით და შეტანილია ძირითად საშუალებებში, საინვესტიციო ქონებას ან სხვა აქტივებში არსებულ მარაგებში მათი ხასიათიდან და ამ აქტივებთან დაკავშირებით ჯგუფის განზრახვიდან გამომდინარე. ისინი ხელახლა ფასდება და აღირიცხება ამ კატეგორიის აქტივებთან დაკავშირებული სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისად. კერძოდ, ფასდება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით.

სასესხო ვალდებულებები. ჯგუფი წარმოადგენს სესხის გაცემის ვალდებულებებს. აღნიშნული ვალდებულებები არის გამოხმობი ან გამოხმობადი მხოლოდ არსებით უარყოფით ცვლილებაზე რეაგირებისთვის. აღნიშნული ვალდებულებები თავდაპირველად აღიარებულია მათი სამართლიანი ღირებულებით, რომელიც ჩვეულებრივ დასტურდება მიღებული საკომისიო თანხებით. ეს თანხა ამორტიზდება მთელი ვალდებულების პერიოდში წრფივი მეთოდით, გარდა წარმოქმნილი სესხების ვალდებულებებისა, თუ მოსალოდნელია, რომ ჯგუფი შევა კონკრეტულ სესხის გაცემის შეთანხმებაში და არ აპირებს ამ სესხის რეალიზაციას მისი წარმოქმნიდან მოკლე ხანში; ასეთი სესხის საკომისიო გადავადებულია და შეტანილია თავდაპირველი აღიარებისას სესხის საბალანსო ღირებულებაში. თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს, ეს ვალდებულებები ფასდება (i) თანხის არაამორტიზირებული ნაშთით თავდაპირველი აღიარებისას, პლუს (ii) მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოდელის საფუძველზე განსაზღვრული ზარალის რეზერვის თანხით, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ვალდებულება გულისხმობს სესხის გაცემას საბაზრო საპროცენტო განაკვეთზე დაბალი განაკვეთით, ასეთ შემთხვევაში ფასდება აღნიშნულ ორ სიდიდეს შორის უდიდესით. სასესხო ვალდებულებების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს ვალდებულებას.

ფინანსური გარანტიები. ფინანსური გარანტიები მოითხოვს ჯგუფმა განახორციელოს კონკრეტული გადახდები გარანტიის მფლობელისთვის იმ ზარალის ასანაზღაურებლად, რომელიც მიადგა მას იმის გამო, რომ კონკრეტულმა მოვალემ არ განახორციელა გადახდები სავალო ინსტრუმენტის თავდაპირველი ან მოდიფიცირებული პირობების შესაბამისად. ფინანსური გარანტიები თავდაპირველად აღიარებულია მათი სამართლიანი ღირებულებით, რომელიც ჩვეულებრივ დასტურდება მიღებული საკომისიო თანხებით. ეს თანხა ამორტიზდება გარანტიის პერიოდში წრფივი მეთოდით. თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს, აღნიშნული გარანტიები ფასდება შემდეგ ორ სიდიდეს შორის უდიდესით: (i) ზარალის რეზერვის თანხა, მოსალოდნელი ზარალის მოდელის საფუძველზე განსაზღვრული გარანტირებული რისკისთვის, და (ii) არაამორტიზირებული ნაშთი თავდაპირველი აღიარებისას. გარდა ამისა, ECL ზარალის რეზერვი აღიარებულია მისაღები საკომისიო თანხებისთვის, რომელიც აღიარებულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აქტივის სახით.

შესრულების გარანტიები. ფინანსური გარანტიები არის კონტრაქტები, რომლებიც უზრუნველყოფს კომპენსაციას, თუ მეორე მხარე ვერ შეასრულებს საკონტრაქტო ვალდებულებას. ასეთი კონტრაქტები არ იწვევს საკრედიტო რისკების გადაცემას. შესრულების გარანტიები თავდაპირველად აღიარებულია მათი სამართლიანი ღირებულებით, რომელიც ჩვეულებრივ დასტურდება მიღებული მოსაკრებლების თანხით. ეს თანხა ამორტიზირდება ფიცივი მეთოდით კონტრაქტის მთელი პერიოდის განმავლობაში. თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს, შესრულების გარანტიის კონტრაქტები

2 შენიშვნალოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა გამრქელება

ფასდება შემდეგ ორ სიდიდეს შორის უდიდესით: (i) არამორტიზირებული ნაშთი თავდაპირველი აღიარებისას და (ii) დანახარჯის საუკეთესო შეფასება, რომელიც აუცილებელია დისკონტირებულ არსებულ ღირებულებამდე კონტრაქტის დასაფარად თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს, თუ დისკონტირების ეფექტი მნიშვნელოვანია.

თუ ბანკს აქვს საკონტრაქტო უფლება დაუბრუნდეს თავის კლიენტს იმ თანხების დასაფარად, რომლებიც გადახდილია შესრულების გარანტიის კონტრაქტის დასარეგულირებლად, ასეთი თანხები აღიარებულია როგორც აქტივი გარანტიის ბენეფიციარისთვის ზარალის კომპენსაციის გადარიცხვის შემდეგ. აღნიშნული საკომისიოები აღიარებულია საკომისიო შემოსავლებით მოგება-ზარალში.

ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებები. ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებები (რეპო ხელშეკრულებები), რომლებიც ეფექტურად უზრუნველყოფს კრედიტორის დაბრუნებას კონტრაგენტთან, ითვლება უზრუნველყოფილ ფინანსურ გარიგებებად. კრედიტორი უზრუნველყოფს სახსრებს მსესხებელისთვის და გირაოს სახით იღებს უზრუნველყოფას. ასეთი ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებებით გაყიდული ფასიანი ქაღალდების აღიარება არ არის შეწყვეტილი. ფასიანი ქაღალდები არ განიცდის რეკლასიფიკაციას ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, გარდა ისეთი შემთხვევისა, როცა შემქმნ პირს აქვს უფლება კონტრაქტით ან არსებული პრაქტიკიდან გამომდინარე გაყიდოს ან ხელახლა დააგირაოს ფასიანი ქაღალდები, რომელ შემთხვევაშიც ისინი რეკლასიფიცირებულია სავაჭრო მოთხოვნებად. შესაბამისი ვალდებულება წარმოდგენილია საკრედიტო ინსტიტუტების სახსრებში. გამოსყიდვის უფლების შესახებ ხელშეკრულებები ბუნებით მოკლევადიანებია. გასაყიდად ფლობილი ფასიანი ქაღალდები ან ამორტიზირებული ღირებულებით აღიარებული სავალო ფასიანი ქაღალდები, რომლებიც რეკლასიფიცირებულია სავაჭრო მოთხოვნებში, ისევე აღიარებულია სამართლიანი ან ამორტიზირებული ღირებულებით ამ კატეგორიის აქტივების სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისად.

გადაყიდვის ხელშეკრულებით ნაყიდი ფასიანი ქაღალდები (რევერსული რეპო ხელშეკრულება), რომელიც ეფექტურად უზრუნველყოფს კრედიტორის დაბრუნებას ჯგუფში, რეგისტრირებულია როგორც სხვა ბანკებში არსებული სახსრები ან კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები. გაყიდვისა და ხელახალი შესყიდვის ფასს შორის სხვაობა ითვლება საპროცენტო შემოსავლად და გროვდება რეპო ხელშეკრულებების პერიოდში ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

კონტრაგენტებისთვის კრედიტის სახით წარდგენილი ფასიანი ქაღალდები, ფიქსირებული განაკვეთით, ისევე აისახება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი თავდაპირველი კატეგორიით, გარდა ისეთი შემთხვევისა, როცა კონტრაგენტს აქვს უფლება კონტრაქტით ან არსებული პრაქტიკიდან გამომდინარე გაყიდოს ან ხელახლა დააგირაოს ფასიანი ქაღალდები, რომელ შემთხვევაშიც ისინი რეკლასიფიცირებულია და წარმოდგენილია ცალკე. კრედიტის სახით მიღებული ფასიანი ქაღალდები ფიქსირებული განაკვეთით არ არის ასახული კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ისინი გაიყიდება მესამე მხარეებზე, ასეთ შემთხვევაში ყიდვა-გაყიდვა აისახება წლის მოგება-ზარალში მოგებაში ზარალის გამოკლებით, რომელიც წარმოიშობა სავაჭრო ფასიანი ქაღალდებიდან. ფასიანი ქაღალდების დაბრუნების ვალდებულება აისახება სამართლიანი ღირებულებით სხვა სასესხო სახსრებით.

ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებების შესაბამისად გაყიდული ფასიანი ქაღალდების კლასიფიკაციის საფუძველზე, ჯგუფი ახდენს სავაჭრო მოთხოვნების კლასიფიკაციას შეფასების ერთ-ერთ შემდეგ კატეგორიაში: AC, FVOCI, and FVTPL.

ფინანსური ლიზინგიდან მისაღები თანხები (ინვესტიციები ფინანსურ ლიზინგში). თუ ჯგუფი მიეზარება იჯარაში, რომელიც გადასცემს მოიჯარეს მფლობელობასთან დაკავშირებულ არსებითად ყველა რისკს და სარგებელს, იჯარით გაცემული აქტივები წარმოდგენილია როგორც ინვესტიცია ფინანსურ იჯარებში და აღრიცხულია მომავალი საიჯარო გადასახადების არსებული ღირებულებით. ინვესტიციები ფინანსურ ლიზინგში თავდაპირველად აღიარებულია დასაწყისში (როცა იჯარის ვადა იწყება) დისკონტის განაკვეთის გამოყენებით (საიჯარო ხელშეკრულების დასაწყისში და მხარეების მიერ იჯარის მთავარი პირობების შესრულების დღეს).

სხვაობა სრულ დებიტორულ დავალიანებასა და არსებულ ღირებულებას შორის წარმოადგენს მომავალი პერიოდების ფინანსურ შემოსავალს. ეს შემოსავალი აღიარდება ლიზინგის ვადის პერიოდში წმინდა ინვესტიციის მეთოდის გამოყენებით (დაბეგრამდე), რომელიც ასახავს მუდმივ პერიოდულ მოგების ნორმას. იჯარის შეთანხმებასა და უზრუნველყოფასთან უშუალოდ დაკავშირებული ზრდადი დასახარჯი შეტანილია ფინანსური ლიზინგიდან მისაღები თანხების თავდაპირველ შეფასებაში და ამცირებს იჯარის ვადაში აღიარებული შემოსავლის მოცულობას. ფინანსური შემოსავლები იჯარებიდან ასახულია საპროცენტო შემოსავალში მოგება-ზარალში.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი განისაზღვრება იმავე გზით, როგორც სესხები და ავანსები, რომლებიც შეფასებულია ამორტიზირებული ღირებულებით და აღიარებულია რეზერვის ანგარიშში, რათა ჩამოიწეროს დებიტორული დავალიანებების წმინდა საბალანსო ღირებულება მოსალოდნელი ფულადი ნაკადების მოცემულ ღირებულებამდე, ფინანსური ლიზინგის დისკონტირებული საპროცენტო განაკვეთებით. არსებობს `სამ ეტაპიანი` მიდგომა, რომელიც ეფუძნება ფინანსური ლიზინგის დებიტორული დავალიანებების საკრედიტო ხარისხში ცვლილებებს თავდაპირველი აღიარების შემდეგ. უშუალოდ ზარალი, რომელიც შეადგენს 12 თვიან მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს, ასახულია ფინანსური იჯარების თავდაპირველი აღიარებისას, რომლებიც არ არის ჩათვლილი გაუფასურებულად კრედიტის თვალსაზრისით. როცა საკრედიტო რისკიში არის მნიშვნელოვანი ზრდა, გაუფასურება იზომება მოსალოდნელი საკრედიტო

2 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა **გაგრძელება**

ზარალის მოქმედების დროის გამოყენებით და არა 12 თვის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოყენებით. შეფასებული მომავალი ფულადი ნაკადები ასახავს ფულად ნაკადებს, რომლებიც შესაძლოა წარმოიქმნას იჯარის შესაბამისად აქტივების შექენისა და გაყიდვის შედეგად.

შეწყვეტილი ლიზინგების შედეგად წარმოქმნილი დებიტორული დავალიანებები. კომპანია აღიარებს შეწყვეტილი სალიზინგო კონტრაქტებიდან დებიტორულ დავალიანებებს იჯარის კონტრაქტის შეწყვეტის მომენტში. ეს დებიტორული დავალიანებები შეფასებულია თანხით, რომელიც მოიცავს ხელახლა მფლობელობაში დაბრუნებული აქტივების სამართლიან ღირებულებას და ფინანსურ იჯარაში წმინდა ინვესტიციის გადაუხდელ ნაშთებს შორის სხვაობას. დებიტორული დავალიანებები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოკლებით.

საიჯარო აქტივების შესასყიდად გადახდილი ავანსები. საიჯარო აქტივების შესასყიდად გადახდილი ავანსები მოიცავს პროცენტულ ავანსებს, რომლებიც გადახდილია ისეთი აქტივების შესაქენად, რომლებიც შემდგომში საიჯარო აქტივებად გადაკლასიფიცირდება. ასეთი ავანსები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოკლებით. იჯარების დასაწყისში, საიჯარო კონტრაქტების მიმართ გადახდილი ავანსები გამოიქვითება ფინანსური იჯარის წმინდა ინვესტიციიდან.

სახსრები საკრედიტო დაწესებულებებში. საკრედიტო დაწესებულებების მიმართ დავალიანებები წარმოიქმნება, როცა ფული ან სხვა აქტივები გადაეცემა ჯგუფს სხვა ბანკების მიერ. არაწარმოებული ვალდებულება აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით. თუ ჯგუფი შეისყიდის თავის საკუთარ ვალს, ის ამოღებული იქნება ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშიდან და ვალდებულების საბალნსო ღირებულებასა და გადახდილ თანხას შორის სხვაობა შეტანილი იქნება ვალის დაფარვის შედეგად წარმოქმნილ მოგებას ან ზარალში.

კლიენტის ანგარიშები. კლიენტის ანგარიშები არის ფიზიკური პირების, სახელმწიფოს ან კორპორატიული კლიენტების მიმართ არაწარმოებული ვალდებულებები და აღირიცხულია ამორტიზებული ღირებულებით.

სუბორდინირებულ ვალი. სუბორდინირებული ვალის გადახდა ხორციელდება ყველა სხვა კრედიტორის დაკმაყოფილების შემდეგ ლიკვიდაციის შემთხვევაში და შეტანილია ბანკის `მე-2 რიგის კაპიტალში`. სუბორდინირებული ვალი აღირიცხულია ამორტიზებული ღირებულებით.

გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები. გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები მოიცავს ჯგუფის მიერ გამოშვებულ თამასუქებს, ობლიგაციებს, სადეპოზიტო სერტიფიკატებსა და სავალო ვალდებულებებს. სავალო ფასიანი ქაღალდები წარმოდგენილია ამორტიზებული ღირებულებით. თუ ჯგუფი შეისყიდის თავის გამოშვებულ სავალო ფასიან ქაღალდებს, ისინი ამოღებული იქნება ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშიდან და სხვაობა ვალდებულების საბალნსო ღირებულებასა და გადახდილ თანხას შორის შეტანილი იქნება ვალის დაფარვის შედეგად წარმოქმნილ მოგებას ან ზარალში..

წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები. წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები, მათ შორის სავალუტო კონტრაქტები, პროცენტული ფიუჩერები, მომავალი საპროცენტო განაკვეთის ხელშეკრულებები, სავალუტო და საპროცენტო სვოპები, სავალუტო და საპროცენტო ოფციონები აღირიცხულია მათი სამართლიანი ღირებულებით. ვალუტების გაცვლის მიზნით ჯგუფი ასევე შედის დეპოზიტების საკომპენსაციო შეთანხმებაში თავის პარტნიორ ბანკებთან. ასეთი დეპოზიტები, თუ ისინი კანონიერად გამოყოფილია, დაჯგუფებულია და ასახულია ანგარიშში როგორც ერთი წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტი (სავალუტო სვოპი) ნეტო საფუძველზე თუ (i) დეპოზიტები გახსნილია ერთდროულად და ერთმანეთის მოლოდინში, (ii) მათ ჰყავთ ერთი და იგივე კონტრაგენტი, (iii) არიან იდენტური რისკის მატარებლები და (iv) არ არსებობს აშკარა მიზეზი ოპერაციების ცალ-ცალკე აღსაღრიცხად, რომელიც ასევე არ შეძლება განხორციელდეს ერთ ტრანზაქციაში.

ყველა წარმოებული ინსტრუმენტი აღირიცხულია როგორც აქტივი, როცა სამართლიანი ღირებულება დადებითია, და როგორც ვალდებულება, როცა სამართლიანი ღირებულება უარყოფითია. წარმოებული ინსტრუმენტების სამართლიან ღირებულებაში ცვლილებები აღირიცხება მოგება-ზარალში. ჯგუფი არ იყენებს ჰეჯირების აღრიცხვას.

სხვა ფინანსურ ინსტრუმენტებში ჩართული წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები მიჩნეულია ცალკეულ წარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტებად, თუ მათი ეკონომიკური მახასიათებლები და რისკები არ არის პირდაპირ დაკავშირებული კონტრაქტში ასახულ მონაცემებთან.

გუდვილი. გუდვილი წარმოდგენილია თვლირებულებას გამოკლებული დაგროვილი გაუფასურების დანაკარგები, ასეთის არსებობის შემთხვევაში. ჯგუფი ამომწებს გუდვილის გაუფასურებას სულ მცირე ყოველ წელს და თუ შეამჩნევს, რომ გუდვილი შეიძლება გაუფასურდეს. გუდვილი მიეკუთვნება ფულის-გენერირების აქტივის ან ფულის გენერირების აქტივების ჯგუფს, რომლებიც მოსალოდნელია, რომ სარგებელს ნახავს საწარმოთა გაერთიანებების შედეგად. ასეთი აქტივები ან აქტივების ჯგუფები წარმოადგენს ყველაზე დაბალ დონეს, რომელზეც ჯგუფი აკონტროლებს გუდვილს, და აღარ არის საოპერაციო სეგმენტი. მოგებები ან დანაკარგები იმ ოპერაციის განკარგვასთან დაკავშირებით ფულის გენერირების აქტივის ფარგლებში, რომელშიც განაწილდა გუდვილი, მოიცავს გუდვილის საბალნსო ღირებულებას, რომელიც უკავშირება განკარგულ ოპერაციას. ეს ზოგადად იზომება განკარგული ოპერაციის შედარებით ღირებულებების საფუძველზე და ფულის გენერირების აქტივის ნაწილზე, რომელიც დაკავებულია.

2 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა **გაგრძელება**

საინვესტიციო ქონება (გაგრძელება). საინვესტიციო საკუთრებაში შეტანილი მიწა არ იცვითება. საინვესტიციო საკუთრებების სხვა ქონებების გაუფასურება გაანგარიშდება წრფივი დარიცხვის მეთოდის გამოყენებით, რათა გაანაწილონ მათი თვითღირებულება მათ ნარჩენ ღირებულებაზე 30 წლიდან 50 წლამდე გაანგარიშებული ექსპლუატაციის ვადაში. საინვესტიციო საკუთრების ნარჩენი ღირებულება შეფასებულია როგორც ნული..

მიღებული საიჯარო შემოსავალი აღრიცხულია სხვა საოპერაციო შემოსავლის ფარგლებში წლის მოგება-ზარალში.

შემდგომი დანახარჯი კაპიტალიზდება და ზრდის აქტივის საბალანსო ღირებულებას, მხოლოდ როცა ნავარაუდევია, რომ დანახარჯთან დაკავშირებულია მომავალი ეკონომიკური სარგებელის ზრდა და შესაძლებელია ღირებულების საიმედოდ შეფასება. ყველა სხვა რემონტი და ტექნიკური მომსახურება აღიარდება ხარჯში მათი წარმოქმნისთანავე. .

არამატერიალური აქტივები. ჯგუფის ყველა არამატერიალურ აქტივს აქვს განსაზღვრული ექსპლუატაციის ვადა და ძირითადად მოიცავს კაპიტალიზებულ კომპიუტერულ პროგრამულ უზრუნველყოფასა და ლიცენზიებს.

შექმნილი კომპიუტერული უზრუნველყოფის ლიცენზიები კაპიტალიზდება კონკრეტული პროგრამული უზრუნველყოფის შექმნასა და გამოყენებასთან დაკავშირებით წარმოქმნილი ხარჯის საფუძველზე. კომპიუტერულ უზრუნველყოფასთან დაკავშირებული ყველა სხვა დანახარჯი ე.ი. მისი ტექნოლოგიურება, აღიარდება ხარჯში მათი წარმოქმნისთანავე. არამატერიალური აქტივები ამორტიზდება წრფივი მეთოდის საფუძველზე 2-დან 15 წლამდე ექსპლუატაციის პერიოდში.

მოგების გადასახადები. მოგების გადასახადები წარმოდგენილია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებში შესაბამის ტერიტორიებზე (სადაც ბანკი და მისი შვილობილი კომპანიები ფუნქციონირებენ) ანგარიშგების პერიოდის ბოლოსთვის მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. მოგების გადასახადის დარიცხვა/კრედიტი მოიცავს მიმდინარე გადასახადს და გადავადებულ გადასახადს და აღიარებულია მოგება-ზარალის ანგარიშგებებში, თუ ისინი აღიარებული არ არის უშუალოდ კაპიტალში, რადგან ის უკავშირდება ოპერაციებს, რომლებიც ასევე აღიარებულია იმავე ან სხვა პერიოდში უშუალოდ კაპიტალში.

მიმდინარე გადასახადი არის თანხა, რომელიც სავარაუდოდ გადასახდელია საგადასახადო ორგანოებისთვის ან მისაღება მათგან მიმდინარე და წინა პერიოდების დასაბეგრ მოგება-ზარალთან დაკავშირებით. დასაბეგრი მოგება-ზარალი ეფუძნება ვარაუდებს, ნებადართულია თუ არა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების წარმოდგენა შესაბამისი საგადასახადო დეკლარაციების შევსებამდე. მოგების გადასახადის გარდა სხვა გადასახადები აღრიცხულია ადმინისტრაციულ და სხვა საოპერაციო ხარჯში.

გადავადებული მოგების გადასახადი წარმოდგენილია საბალანსო ვალდებულებების მეთოდის გამოყენებით მომავალში გადატანილ საგადასახადო ზარალთან დაკავშირებით და დაბეგვრის მიზნით აქტივებისა და ვალდებულებების მოცულობა და მათი საბალანსო ღირებულება ფინანსური ანგარიშგების წარმოდგენის მიზნით. თავდაპირველი აღიარების მიხედვით, გადავადებული გადასახადები არ არის აღრიცხული კომპანიების გაერთინების გარდა სხვა ოპერაციაში აქტივის ან ვალდებულების თავდაპირველ აღიარებისას არსებულ დროებით სხვაობის თვალსაზრისით, თუ ეს ოპერაცია, თავდაპირველად აღრიცხვისას, გავლენას არ ახდენს არც აღრიცხვაზე და არც დასაბეგრ მოგებაზე. გადავადებული საგადასახადო ვალდებულებები არ არის აღრიცხული გეგმიური თავდაპირველ აღიარებასა და შემდგომში იმ გუდვილს შორის დროებითი განსხვავების თვალსაზრისით, რომელიც არ ექვემდებარება გადასახადის დაქვითვას. გადავადებული საგადასახადო ნაშთები იზომება მოქმედი ან არსებული იმ ანგარიშგების პერიოდის ბოლოს მოქმედი საგადასახადო განაკვეთებით, რომლებიც სავარაუდოდ გამოყენებული იქნება პერიოდის მიმართ, როცა დროებითი სხვაობები შებრუნდება ან გამოყენებული იქნება მომავალში გადატანილი საგადასახადო ზარალი. გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებების ნეტო მოცულობა შეჯამებულია მხოლოდ ჯგუფის ინდივიდუალური კომპანიების ფარგლებში. გადავადებული საგადასახადო აქტივები დაქვითვას დაქვემდებარებული დროებითი სხვაობებისა და მომავალში გადატანილი საგადასახადო ზარალის თვალსაზრისით აღრიცხულია მხოლოდ მაშინ თუ აშკარაა, რომ მომავალი დასაბეგრი მოგება ხელმისაწვდომი იქნება და შესაძლებელი იქნება მისი დაქვითვები

გადავადებული მოგების გადასახადი წარმოდგენილია შექმნის შემდეგ შვილობილი კომპანიების გაუნაწილებელ მოგებებზე, თუ ჯგუფი არ აკონტროლებს შვილობილი კომპანიის სადივიდენდო პოლიტიკას და აშკარაა, რომ სხვაობა არ შებრუნდება დივიდენდების საშუალებში ან სხვაგვარად უახლოეს მომავალში. .

გაურკვეველი საგადასახადო მდგომარეობა. ჯგუფის გაურკვეველი საგადასახადო მდგომარეობა ხელახლა შეფასდება ხელმძღვანელობის მიერ თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს. ვალდებულებები აღრიცხულია მოგების გადასახადის პოზიციებთან დაკავშირებით, რომლებიც ხელმძღვანელობის აზრით სავარაუდოდ არ გამოიწვევს დამატებითი გადასახადების დაკისრებას, თუ პოზიციები სადაო არ გახდება საგადასახადო ორგანოების მხრიდან. ასეთი შეფასება ეფუძნება საანგარიშო პერიოდის ბოლოს მოქმედ საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციას და ასეთ საკითხებზე ნებისმიერი ცნობილი სასამართლოს ან სხვა განჩინებას. საურავებთან, პროცენტთან და საშემოსავლოს გარდა სხვა გადასახადებთან დაკავშირებული ვალდებულებები, აღიარებულია ხელმძღვანელობის მიერ დანახარჯის შეფასებაში, რომელიც საჭიროა საანგარიშო პერიოდის ბოლოს ვალდებულებების დასაფარად.

2 შენიშვნალოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა **გამრქელება**

მოსალოდნელი ხარჯისა და გადახდების რეზერვი. მოსალოდნელი ხარჯისა და გადახდების რეზერვები არის გაურკვეველი ვადისა ან თანხის არაფინანსური ვალდებულებები. მათი დაგროვება ხდება, როცა ჯგუფს აქვს მიმდინარე სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება წარსულში არსებული მოვლენების გამო და

აშკარაა, რომ ვალდებულების შესასრულებლად საჭიროა ეკონომიკური სარგებლების მომცველი რესურსების გადინება, და შესაძლებელია ვალდებულების მოცულობის საიმედო შეფასების გაკეთება.

სააქციო კაპიტალი. ჩვეულებრივი აქციები გასათვალისწინებელი დივიდენდებით კლასიფიცირებულია როგორც კაპიტალი. დამატებითი ხარჯი, რომლებიც პირდაპირ უკავშირდება ახალი აქციების გამოშვებას ან ოფციონებს ნაჩვენებია კაპიტალში როგორც შემოსავალიდან დაქვითვა, გადასახადის გარეშე. გამოშვებული აქციების ნომინალური ღირებულებით მიღებული უზრუნველყოფის სამართლიანი ღირებულების ნებისმიერი ნამეტი აღირებულია როგორც კაპიტალში აქციის პრემია.

დივიდენდები. დივიდენდები დაფიქსირებულია კაპიტალში იმ პერიოდში, რომელშიც ისინი გამოცხადებულია. საანგარიშგებო პერიოდის დასრულებისა და კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებში წარმოდგენის შემდეგ გამოცხადებული ნებისმიერი დივიდენდი, წარმოდგენილია მომდევნო მოვლენის შესახებ შენიშვნები.

შემოსავლისა და ხარჯის აღიარება. საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი აღრიცხულია ყველა სავალო ინსტრუმენტთან დაკავშირებით, გარდა FVTPL-ით აღრიცხული ინსტრუმენტებისა, დარიცხვის მეთოდით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. ეს მეთოდი, როგორც საპროცენტო შემოსავლის ან დანახარჯის ნაწილი, გადაავადებს კონტრაქტის მხარეებს შორის ყველა გადახდილ ან მიღებულ მოსაკრებელს, რომელიც წარმოადგენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის, საოპერაციო ხარჯის და ყველა სხვა შენატანის ან დისკონტის განუყოფელ ნაწილს. ჯგუფს არ აქვს საპროცენტო შემოსავალი სავალო ინსტრუმენტზე FVTPL-ით, რომელიც გამოთვლილია ნომინალური საპროცენტო განაკვეთით 2018 წლის განმავლობაში.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელი მოსაკრებლები მოიცავს ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების წარმოქმნისას ან შექმნისას ბანკის მიერ მიღებულ ან გადახდილ კრედიტის ორგანიზებასთან დაკავშირებულ საკომისიოს, მაგალითად, კრედიტუნარიანობის შეფასების საკომისიო, გარანტიის ან უზრუნველყოფის შეფასების და აღრიცხვის საკომისიო, ფინანსური ინსტრუმენტის შეთანხმების პირობებისა და საოპერაციო დოკუმენტების დამუშავების საკომისიო.

საბაზრო საპროცენტო განაკვეთით სესხების გასაცემად ჯგუფს მიერ მიღებული საკომისიოები წარმოადგენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს, თუ აშკარაა, რომ ჯგუფი შევა კონკრეტულ საკრედიტო შეთანხმებაში და არ არის მოსალოდნელი რომ გაცემიდან მოკლე ხანში არ განახორციელდება მიღებული კრედიტის რეალიზაცია. ჯგუფი არ განსაზღვრავს საკრედიტო ვალდებულებას როგორც მოგება-ზარალში წარმოდგენილი სამართლიანი ღირებულებით ფინანსურ ვალდებულებებს.

საპროცენტო შემოსავალი გამოითვლება ფინანსური აქტივების მთლიანი საბალანსო ღირებულების ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით, გარდა (i) ფინანსური აქტივებისა, რომელიც კრედიტის თვალსაზრისით გაუფასურდა (ეტაპი 3), რომლის საპროცენტო შემოსავალი გამოითვლება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით მათ ამორტიზირებულ ღირებულებაზე, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვის გამოკლებით, და (ii) ფინანსური აქტივებისა, რომლებიც წარმოადგენს შექმნილ ან შექმნილ საკრედიტო თვალსაზრისით გაუფასურებულ აქტივებს, რომელზეც თავდაპირველი საკრედიტო რისკით კორექტირებული ეფექტური საპროცენტო განაკვეთი გამოიყენება ამორტიზირებულ ღირებულებაზე.

ყველა სხვა საკომისიო, მოსაკრებელი და სხვა შემოსავლისა და დანახარჯის პუნქტები აღრიცხულია დარიცხვის მეთოდით იმ კონკრეტული ოპერაციის დასრულებაზე მითითებით, რომელიც შეფასდა ფაქტობრივი გაწეული მომსახურების საფუძველზე როგორც გასაწევი მთლიანი მომსახურებების ნაწილი.

საკომისიო შემოსავალი. საკომისიო შემოსავალი აღიარებულია დროთა განმავლობაში წრფივი მეთოდის საფუძველზე გაწეული მომსახურებების შესაბამისად, როდესაც კლიენტი იმავდროულად იღებს და იყენებს ჯგუფის საქმიანობით მიღებულ სარგებელს. ცვლადი საკომისიოები აღიარებულია მხოლოდ იმ პირობით, რომ ხელმძღვანელობა განსაზღვრავს, რომ დიდი ალბათობით მნიშვნელოვანი შეზღუდვა არ მოხდება.

უცხოური ვალუტის კონვერტაცია. ჯგუფის ფუნქციური ვალუტა არის საქართველოს ეროვნული ვალუტა ლარი. ჯგუფის თითოეული კონსოლიდირებული საწარმოს ფუნქციური ვალუტა არის ძირითადად იმ ეკონომიკური გარემოს ვალუტა, სადაც ეს საწარმო ფუნქციონირებს. ტრანზაქციები უცხოურ ვალუტაში თავდაპირველად აღრიცხულია ფუნქციურ ვალუტაში, რომელიც კონვერტირებულია გარიგების დღეს მოქმედი გაცვლითი კურსით.

ფულადი აქტივები და ვალდებულებები კონვერტირდება თითოეული საწარმოს ფუნქციონალური ვალუტაში შესაბამის საანგარიშო პერიოდში იმ ტერიტორიაზე არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსით, სადაც ბანკი და მისი შვილობილი კომპანიები მოქმედებენ. სავალუტო ოპერაციებით და ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების თითოეული საწარმოს ფუნქციონალურ ვალუტაში წლის ბოლოს ოფიციალური გაცვლითი კურსით კონვერტაციით გამოწვეული მოგება და ზარალი

2 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა **გაგრძელება**

აღიარებულია მოგება-ზარალში. წლის ბოლოს არსებული კურსით კონვერტაცია არ გამოიყენება არაფულადი პუნქტების, მათ შორის კაპიტალში ინვესტიციების მიმართ. გაცვლითი კურსის

ცვლილების გავლენა სააქციონერო ფასიანი ქაღალდების სამართლიან ღირებულებაზე აღრიცხულია როგორც სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალის ნაწილი.

ჯგუფის თითოეული საწარმოს შედეგები და ფინანსური მდგომარეობა (რომელთა ფუნქციონალური ვალუტა არ არის ჰიპერინფლაციური ეკონომიკის მქონე ქვეყნის ვალუტა) წარმოდგენილია საპრეზენტაციო ვალუტაში შემდეგნაირად:

- i. წარმოდგენილი ფინანსური მდგომარეობის თითოეულ ანგარიშგებასთან დაკავშირებული აქტივები და ვალდებულებები კონვერტირდება შესაბამისი საანგარიშო პერიოდის ბოლოს არსებული კურსით.
- ii. შემოსავალი და დანახარჯი კონვერტირდება საშუალო გაცვლითი კურსით (თუ ეს საშუალო არ არის ოპერაციის თარიღებისას მოქმედი კურსების კუმულატიური ეფექტის გონივრული მიახლოებითი მაჩვენებელი, რომელ შემთხვევაშიც შემოსავალი და დანახარჯი კონვერტირდება ოპერაციების განხორციელების დღეს);
- iii. კაპიტალის კომპონენტები კონვერტირდება ისტორიული კურსით; და
- iv. ყველა მიღებული საკურსო სხვაობა აღიარებულია სხვა სრულ მოგებაში.

თუ კონტროლი დაიკარგა უცხოურ ვალუტაში ოპერაციებისას, კურსთაშორის სხვაობა, რომელიც თავდაპირველად აღიარებული იყო სრულ სხვა მოგებაში, რეკლასიფიცირდება მოგება/ზარალის უწყისში მიმდინარე წლისათვის როგორც მოგება ან ზარალი გაყიდვიდან. შვილობილი კომპანიის ნაწილობრივი გასხვისებისას მასზე კონტროლის დაკარგვის გარეშე, დაგროვილი სავალუტო კურსის სხვაობა რეკლასიფიცირებულია როგორც არაკონტროლირებადი პროცენტი კაპიტალში.

გუდვილისა და სამართლიანი ღირებულების რეგულირება, რომელიც წარმოიქმნება უცხოური საწარმოს შექმნისას, მიიჩნევა უცხოური საწარმოს აქტივებად და ვალდებულებებად და კონვერტირება ოპერაციის დასრულების დღეს. 2018 წლის 31 დეკემბერს უცხოური ვალუტის ნაშთებისთვის გამოყენებული საბოლოო გაცვლითი კურსი იყო 1 გირვანქა სტერლინგი = 3.3955 ლარი [2017: 1 გირვანქა სტერლინგი = 3.5005 ლარი; 1 აშშ.დ = 2.6766; [1 აშშ.დ = 2.5922 ლარი] 1 ევრო = 3.0701 [2017: 1 ევრო = 3.1044]. .

გაქვითვა. ფინანსური აქტივები და ვალდებულებები გაქვითულად აღირიცხება და წმინდა თანხა ასახულია ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როცა არსებობს თანხების გაქვითვის კანონიერი უფლება, და არსებობს განზრახვა მოხდეს ურთიერთიარსება ან მოხდეს აქტივის რეალიზება და ვალდებულების დარეგულირება ერთდროულად.

პერსონალის ხარჯი და დაკავშირებული შენატანები. ხელფასები, სარგოები, ანაზღაურებადი წლიური შვებულება და ავადმყოფობის გამო შვებულება, ბონუსები და არაფულადი სარგებელი, ასევე, თანხა გადახდილი წილობრივ ინსტრუმენტზე დაირიცხება იმ წელს, რომელ წელსაც გაწეული იქნა შესაბამისი მომსახურებები ჯგუფის თანამშრომლების მიერ.

სემენტის ანალიზი. საოპერაციო სემენტები აღრიცხულია ჯგუფის მთავარი მოქმედი გადაწყვეტილების მიმდებისთვის წარდგენილი შიდა ანგარიშგების შესაბამისი წესით. სემენტები, რომელთა შემოსავალი, შედეგი ან აქტივები წარმოადგენს ყველა სემენტის ათ ან მეტ პროცენტს, აღრიცხულია ცალკე.

წილობრივი ინსტრუმენტების დარიცხვა. წილობრივი ინსტრუმენტების დარიცხვა არის იურიდიულ პირსა და სხვა მხარეს (თანამშრომლის ჩათვლით) შორის შეთანხმება, რომელიც უფლებას აკისრებს მეორე მხარეს მიიღოს საწარმოს ნაღდი ფული ან სხვა აქტივები, რომელიც ეფუძნება სხვა საწარმოს ან ჯგუფის საწარმოს წილობრივ ინსტრუმენტის (მათ შორის აქციები ან აქციის ოფციები) ფასს (ან ღირებულებას), იმ პირობით, რომ კონკრეტული პირობები დაკმაყოფილდება (ასეთის არსებობის შემთხვევაში). წილობრივი ინსტრუმენტების კომპენსაციის გემის შესაბამისად ჯგუფი იღებს მომსახურებებს ხელმძღვანელობისგან ჯგუფის წილობრივი ინსტრუმენტების სანაცვლოდ. წილობრივი ინსტრუმენტების მინიჭების სანაცვლოდ მიღებული მომსახურების სამართლიანი ღირებულება აღიარებულია როგორც დანახარჯი. დანახარჯის მთლიანი ღირებულება განისაზღვრება წარმოდგენილი წილობრივი ინსტრუმენტის დარიცხვის სამართლიან ღირებულებაზე მითითებით, არასაბაზრო მომსახურების და წილობრივი უფლებების მიღების პირობების გავლენის გარეშე. არასაბაზრო წილობრივი უფლებების მიღების პირობები შეტანილია წილობრივი ინსტრუმენტების რაოდენობის შესახებ ვარაუდებში, რომელთა მიღებაც ნავარაუდევია. მთლიანი დახარჯული თანხა აღიარებულია აღნიშნული უფლებების მიღების პერიოდში, ეს არის პერიოდი რომლის განმავლობაშიც უნდა დაკმაყოფილდეს ყველა კონკრეტული უფლების მინიჭების პირობა. თითოეული საბუღალტრო ბალანსის წარმოდგენის თარიღისთვის, ჯგუფი იღებს იმ წილობრივი ინსტრუმენტების რაოდენობის მისეულ შეფასებას, რომელთა მინიჭება ნავარაუდევია არასაბაზრო წილობრივი უფლების მინიჭების პირობებით. ის აღიარებს თავდაპირველი შეფასებების შემოწმების გავლენას, თუკი არის, კონსოლიდირებულ მოგება-ზარალის ანგარიშგებაზე, კაპიტალში შესაბამისი კორექტირებების შეტანით. კაპიტალის ზრდა ორივე სქემის შესაბამისად, რომელიც გამოწვეულია წილობრივი კაპიტალის მიხედვით, აღირიცხება წილობრივი ინსტრუმენტის რეზერვში. როდესაც ხდება თანხვედრა წილობრივი უფლების მინიჭების პირობებთან, ბანკი უხდის დარიცხულ თანხას თიბისი ბანკის ჯგუფს და შესაბამისად დებეტირდება წილობრივი ინსტრუმენტის რეზერვი. როცა ერთი გრანტის ნაწილები განაწილებულია ორ ან მეტ თარიღზე, საწარმო იყენებს წილობრივ ინსტრუმენტებზე დაფუძნებულ გადახდის ღონისძიებას. თითოეული გრანტის ტრანშისთვის განსაზღვრული პერიოდი სრულდება, როცა თანამშრომელი ფლობს აქციების შემდგომი

2 შენიშვნალოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა **გამრქელება**

მომსახურების შეზღუდვებს. მინიჭებული კატეგორიის სქემის შესაბამისად, ადრინდელი წლების ხარჯი აღემატება ბოლო წლების ხარჯს. თითოეული ტრანში აღიარდება ხარჯად მისი მომსახურების პერიოდში კრედიტირების ჩანაწერებში კაპიტალში აქციის წილის მიხედვით.

2018 წლის 1 იანვრამდე გამოყენებული პრინციპები (მხოლოდ შედარებითი მონაცემები).

ფინანსური ინსტრუმენტები – გაზომვის მთავარი პირობები (მხოლოდ შედარებითი მონაცემები). თავიანთი კლასიფიკაციიდან გამომდინარე, ფინანსური ინსტრუმენტები წარმოდგენილია სამართლიანი ღირებულებით, თვითღირებულებით ან ამორტიზირებული ღირებულებით, როგორც ეს ქვემოთაა აღწერილი.

სამართლიანი ღირებულება არის ფასი, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვით ან გადახდება საიმისოდ, რომ მოხდეს ვალდებულების დაფარვა კანონიერი გარიგების საშუალებით ბაზრის მონაწილეებს შორის სამართლიანი ღირებულების დადგენის თარღისას. სამართლიანი ღირებულების საუკეთესო მტკიცებულება არის აქტიურ ბაზარზე კოტირებული ფასი. აქტიური ბაზარი არის ის ბაზარი, სადაც აქტივსა ან ვალდებულებასთან დაკავშირებული ოპერაციები საკმარისი სისშირით და მოცულობით ხდება საიმისოდ, რომ უზრუნველყოს ფასების შესახებ მუდმივი ინფორმაცია. აქტიურ ბაზარზე სავაჭროდ გამოტანილი ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება იზომება როგორც ინდივიდუალური აქტივის ან ვალდებულების და ორგანიზაციის მფლობელობაში არსებული რაოდენობის კოტირებული ფასის პროდუქტი. ასეა მაშინაც კი, თუ ბაზრის ჩვეულებრივი ყოველდღიური ვაჭრობის მოცულობა არ არის საკმარისი საიმისოდ, რომ აითვისოს მფლობელობაში არსებული რაოდენობა და ერთი ოპერაციით პოზიციის გაყიდვისთვის დაკვეთების განთავსებამ შესაძლოა გავლენა მოახდინოს კოტირებულ ფასზე.

წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების, ან სხვა ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების პორტფელი, რომელიც არ არის გამოტანილი აქტიურ ბაზარზე სავაჭროდ, იზომება ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების ჯგუფის სამართლიანი ღირებულებით იმ ფასის საფუძველზე, რომელიც მიიღება გარკვეული რისკის ქვეშ არსებული წმინდა გრძელვადიანი პოზიციის (ე.ი. აქტივის) გაყიდვის მიმართ, ან რომელიც გამოიყენება გარკვეული რისკის ქვეშ არსებული წმინდა ხანმოკლე პოზიციის (ე.ი. ვალდებულები) გადაცემის მიმართ საიმისოდ, რომ მოხდეს ვალდებულების გადაცემა კანონიერი ტრანზაქციის საშუალებით ბაზრის მონაწილეებს შორის. ეს წესი განმეორებით გამოიყენება სამართლიანი ღირებულებით შეფასებული აქტივების მიმართ, თუ ჯგუფი: (ა) მართავს ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების ჯგუფს ორგანიზაციის კონკრეტული საბაზრო რისკების წმინდა სიდიდის მიმართ ან კონკრეტული პარტიორის საკრედიტო რისკის მიმართ ამ ორგანიზაციის დოკუმენტირებული რისკის მართვის ან საინვესტიციო სტრატეგიის შესაბამისად; (ბ) ის წარუდგენს ინფორმაციას აქტივებისა და ვალდებულებების ჯგუფის შესახებ ამ ორგანიზაციის ხელმძღვანელობის მთავარ პერსონალს; და (გ) საბაზრო რისკები, მათ შორის კონკრეტული საბაზრო რისკის გავლენის ხანგრძლივობა, რომელიც წარმოიქმნება ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების შედეგად, არსებითად იგივეა.

შეფასების მეთოდები, როგორცაა დისკონტირებული ფულის ნაკადების მოდელები, ბოლო დროს კომერციულ ოპერაციებზე დაფუძნებული მოდელები ან ინვესტიციების მიმღებების ფინანსური მონაცემების ანაზღაურება, გამოიყენება გარკვეული ფინანსური ინსტრუმენტების მიმართ, რომლისთვისაც ხელმიუწვდომელია უცხოური საბაზრო ფასების ინფორმაცია. სამართლიანი ღირებულების შეფასებების ანალიზი ხორციელდება სამართლიანი ღირებულების იერარქიაში არსებული შემდეგი დონეების მიხედვით: (i) პირველ დონეზე წარმოდგენილია აქტიურ ბაზარზე იდენტურ აქტივებისა ან ვალდებულებების მიმართ კოტირებული ფასებით (სრაკორექტირებული) შეფასებები. (ii) მეორე დონის შეფასებები არის შეფასებების მეთოდები, რომლებიც კი გამოიყენება აქტივებისა ან ვალდებულებების მიმართ პირდაპირ (ე.ი. როგორც ფასები) ან არაპირდაპირ (ე.ი. წარმოებულია ფასებიდან), და (iii) მესამე დონის შეფასებები არის შეფასებები, რომლებიც არ ეფუძნება მხოლოდ საბაზრო მონაცემებს (ე.ი. ეს შეფასება მოითხოვს მნიშვნელოვან ბაზარზე არარსებულ მონაცემებს). სამართლიანი ღირებულების იერარქიის დონეებს შორის გადაცემები ჩაითვლება განხორციელებულად საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. იხილეთ შენიშვნა 41.

თვითღირებულება არის გადახდილი ფული ან ფულის ექვივალენტი ან შექენის დროს აქტივის შესაქენად გადაცემული სხვა ანაზღაურების სამართლიანი ღირებულება და მოიცავს ტრანზაქციულ დანახარჯს. თვითღირებულებით შეფასება გამოიყენება მხოლოდ კომპანიაში წილის დამადასტურებელ დოკუმენტებში წარმოდგენილი ინვესტიციების მიმართ, რომლებსაც არ აქვთ კოტირებული საბაზრო ფასი და რომლის სამართლიანი ღირებულება ვერ გაიზომება საიმედოდ და დაკავშირებული წარმოებულები უნდა დარეგულირდეს კომპანიაში ასეთი არაკოტირებული წილის დამადასტურებელი დოკუმენტის მიწოდებით. იხილეთ შენიშვნა 10.

ტრანზაქციული დანახარჯი არის ზღვრული ხარჯი, რომლებიც პირდაპირ დაკავშირებული ფინანსური ინსტრუმენტების შექენაზე, გაცემასა ან გასხვისებაზე. ზღვრული ხარჯი არის ხარჯი, რომელიც არ წარმოიქმნებოდა თუკი არ განხორციელდებოდა შექენა, გაცემა ან გასხვისების ოპერაცია. ტრანზაქციული დანახარჯი მოიცავს აგენტებისთვის (მათ შორის თანამშრომლებისთვის, რომლებიც მოქმედებენ როგორც აგენტები) კონსულტანტებისთვის, ბროკერებისა და დილერებისთვის გადახდილ ანაზღაურებას ან საკომისიოს, რომელიც განსაზღვრულია მარეგულირებელი სააგენტოებისა და ფასიანი ქაღალდების ბირჟების მიერ, და საკუთრების გადაცემისთვის განსაზღვრულ გადასახადებსა და ბაჟს. ტრანზაქციული დანახარჯი არ მოიცავს სავალო პრემიებს ან დისკონტს, ფინანსურ ხარჯს ან შიდა ადმინისტრაციული ან ფლობასთან დაკავშირებულ ხარჯს.

2 შენიშვნალოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა **გაგრძელება**

ფინანსური ინსტრუმენტები – გაზომვის მთავარი პირობები (მხოლოდ შედარებითი მონაცემები). (გაგრძელება).

ამორტიზებული ღირებულება არის თანხა, რომლითაც ფინანსური ინსტრუმენტი აღიარებული იყო თავდაპირველი აღიარების თარიღისთვის, გამოკლებული ნებისმიერი სესხის ძირითადი თანხის დასაფარად განხორციელებული გადახდები, პლიუს დარიცხული პროცენტი, ხოლო ფინანსურ აქტივებთან მიმართებაში - გამოკლებული აქტივის გაუფასურებით გამოწვეული ზარალის ჩამოწერა. დარიცხული პროცენტი მოიცავს თავდაპირველი აღიარებით გადავადებულ საოპერაციო ხარჯს და ნებისმიერი პრემიის ან გადასახდელი თანხის დისკონტის ამორტიზაციას, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. დარიცხული საპროცენტო შემოსავალი და დარიცხული საპროცენტო ხარჯი, რომელიც მოიცავს როგორც დარიცხულ კუპონს, საამორტიზაციო დისკონტს ან პრემიას (წარმოქმნისთანავე გადავადებული გადასახადების ჩათვლით, თუკი არის), არ არის წარმოდგენილი ცალკე და შეტანილია ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში დაკავშირებული პუნქტების საბალანსო ღირებულებაში.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის საპროცენტო შემოსავლის ან საპროცენტო ხარჯის შესაბამის პერიოდზე განაწილების მეთოდი, რათა მიღწეულ იქნას მუდმივი საპროცენტო განაკვეთი (ეფექტური საპროცენტო განაკვეთი) საბალანსო ღირებულებაში. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ახდენს შეფასებული მომავალი ნაღდი ანგარიშსწორების ან ფულადი შესავლების (მათ შორის საკრედიტო დანაკარგების) ფინანსური ინსტრუმენტის წმინდა საბალანსო ღირებულებაში დისკონტირებას ფინანსური ინსტრუმენტების მომსახურების სავარაუდო ვადაში ან უფრო მოკლე პერიოდში. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი ამცირებს სხვადასხვა საპროცენტო ინსტრუმენტების ფულის ნაკადებს მომდევნო ფასების გადახედვის თარიღამდე, გარდა პრემიისა ან დისკონტისა, რომელიც ასახავს ინსტრუმენტის მითითებულ მცოცავ განაკვეთზე გავრცელებულ კრედიტს, ან სხვა ცვლადებს, რომელიც არ შეესაბამება საბაზრო განაკვეთებს. ასეთი პრემიები ან დისკონტები ამორტიზირებულია ინსტრუმენტის მთელი დარჩენილი სასიცოცხლო პერიოდის განმავლობაში. დღევანდელი ღირებულების გათვლები მოიცავს კონტრაქტის მხარეებს შორის ყველა გადახდილ ან მიღებულ გადასახადს, რომელიც წარმოადგენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს (იხილეთ შემოსავლის და ხარჯის აღიარების პოლიტიკა).

ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარება. (მხოლოდ შედარებითი მონაცემები). სავაჭრო ფასიანი ქაღალდები, წარმოებული და სხვა ფინანსური ინსტრუმენტები სამართლიანი ღირებულებით, რომლებიც მოგება/ზარალში თავდაპირველად აღიარდება სამართლიან ღირებულებას დამატებული ტრანზაქციის ხარჯებით. ყველა სხვა ფინანსური ინსტრუმენტი თავდაპირველად აღიარებულია სამართლიან ღირებულებას პლიუს ტრანზაქციული დანახარჯით. თავდაპირველი აღიარებისას სამართლიანი ღირებულების საუკეთესო მტკიცებულებაა გარიგების ფასი. თავდაპირველი აღიარებისას, მოგება ან ზარალი აღიარდება მხოლოდ მაშინ, თუ არსებობს სხვაობა სამართლიან ღირებულებასა და გარიგების ფასს შორის, რაც შეიძლება დადასტურდეს იმავე ინსტრუმენტში სხვა მიმდინარე საბაზრო ოპერაციებით ან შეფასების მეთოდით, რომელიც მოიცავს მხოლოდ დაკვირვებას დაქვემდებარებული ბაზრებიდან მონაცემებს.

იმ ფინანსური აქტივების ყველა შესყიდვა და გაყიდვა, რომლებიც მოითხოვს რეგულაციით ან საბაზრო კონვენსიით დადგენილ ვადებში მიწოდებას („რეგულარული წესით“ შესყიდვები და გაყიდვები) რეგისტრირებულია გარიგების დღეს, რომელ დღესაც, ჯგუფი ფინანსური აქტივის მიწოდების ვალდებულებას იღებს. ყველა სხვა შესყიდვის აღიარება ხდება მაშინ, როცა საწარმო ხდება ინსტრუმენტის საკონტრაქტო დებულებების ნაწილი.

ფინანსური აქტივების აღიარების გაუქმება. (მხოლოდ შედარებითი მონაცემები) ჯგუფი აუქმებს ფინანსური აქტივების აღიარებას, როცა (ა) აქტივები გამოსყიდულია ან აქტივიდან ფულად ნაკადებზე უფლებები სხვაგვარად შეწყდება, ან (ბ) ჯგუფმა გადასცა ფინანსური აქტივიდან ფულად ნაკადებზე უფლებები ან შევიდა საკვალიფიკაციო გამარ გარიგებაში, რომლის დროსაც (ი) ასევე განახორციელა აქტივების

მფლობელობით გამოწვეული არსებითად ყველა რისკისა და სარგებელის გადაცემა ან (ii) არ განახორციელა მფლობელობასთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკის და სარგებლის არც გადაცემა და არც შენარჩუნება, გარდა კონტროლის უფლების შენარჩუნებისა. კონტროლის უფლების შენარჩუნება ხდება, თუ კონტრაგენტს არ აქვს პრაქტიკული შესაძლებლობა მიყიდოს აქტივი მთლიანად კავშირში არ მყოფ მესამე მხარეს გაყიდვებზე დამატებითი შეზღუდვების დაწესების გარეშე.

ფული და ფულის ექვივალენტები. (მხოლოდ შედარებითი მონაცემები). ფული და ფულის ექვივალენტები არის აქტივები, რომლებიც იოლად კონვერტირდება არსებულ ვალუტებს შორის და რომლებიც ექვემდებარება ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს. ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს სალაროში ფულადი სახსრების ნაშთს, საქართველოს ეროვნული ბანკიდან (სებ) მისაღებ სახსრებს სავალდებულო რეზერვების გამოკლებით, ყველა ბანკთაშორის განთავსებას და ბანკთაშორის დებიტორულ დავალიანებას სამ თვეზე ნაკლები თავდაპირველი დაფარვის ვადით. სამ თვეზე მეტი პერიოდით დაბანდებული სახსრები არ შედის ფულსა და ფულის ექვივალენტებში. ფული და ფულის ექვივალენტები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით. ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში წარმოდგენილი გადახდილი ან მიღებული თანხები ასახავს ჯგუფის მიერ განხორციელებული ფულისა და ფულის ექვივალენტების გადარიცხვებს, მათ შორის ჯგუფში მისივე პარტნიორების მიმდინარე ანგარიშებზე დარიცხულ ან ჩამოჭრილ თანხებს, როგორცაა სესხის საპროცენტო შემოსავლის ან ძირითადი თანხის ჩამოჭრა კლიენტის მიმდინარე ანგარიშიდან ან პროცენტის დარიცხვა და სესხის გაცემა კლიენტის მიმდინარე ანგარიშზე.

2 შენიშვნა-სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა **გამრძელება**

სავალდებულო ფულადი სახსრები საქართველოს ეროვნულ ბანკში (მხოლოდ შედარებითი მონაცემები).
სავალდებულო ფულადი სახსრები საქართველოს ეროვნულ ბანკში აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით და წარმოადგენს სავალდებულო სარეზერვო დეპოზიტებს, რომლებიც არ გამოიყენება ჯგუფის ყოველდღიური ოპერაციების დასაფინანსებლად და ამიტომ ფულადი ნაკადების ანგარიშგების მიზნებისთვის, არ ითვლება ფულისა და ფულის ექვივალენტების ნაწილად.

გასაყიდად ფლობილი საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები. (მხოლოდ შედარებითი მონაცემები). ამგვარი კლასიფიკაცია მოიცავს საინვესტიციო ფასიან ქაღალდებს, რომლის ფლობასაც ჯგუფი დროის გარკვეული პერიოდით აპირებს და რომელიც შეიძლება გაიყიდოს ლიკვიდურობის მიზნებისთვის ან საპროცენტო განაკვეთის, გაცვლითი კურსის ან კაპიტალის ფასების ცვლილების გამო. ჯგუფი ახდენს ინვესტიციების კლასიფიკაციას როგორც გასაყიდად ფლობილის შესყიდვის დროს.

გასაყიდად ფლობილი საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები წარმოდგენილია სამართლიანი ღირებულებით. სავალო ვალდებულებების სახით გასაყიდად ფლობილი ფასიანი ქაღალდებზე საპროცენტო შემოსავალი აღირიცხება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით და აღიარებულია წლის მოგება-ზარალში. გასაყიდად არსებულ წილობრივ ინსტრუმენტებზე დივიდენდები აღიარებულია წლის მოგება-ზარალში, როცა ჯგუფის უფლება, მიიღოს გადახდილი თანხა, განისაზღვრება და შესაძლებელი გახდება დივიდენდების მიღება. სამართლიან ღირებულებაში ცვლილების ყველა სხვა ელემენტი აღიარდება სხვა სრულ მოგებაში, სანამ ინვესტიციის აღიარება არ გაუქმდება ან შემცირდება და ასეთ შემთხვევაში, კუმულატიური მოგება ან ზარალი აღირიცხება რეკლასიფიცირდება სხვა სრული მოგებიდან მოგება-ზარალში. თვითღირებულების შემცირებიდან ზარალი აღიარებულია მოგება-ზარალში, როცა ის წარმოიქმნება ერთი ან მეტი მოვლენის ("ზარალის დადგომის შემთხვევა") შედეგად, რომელიც მოხდება გასაყიდად ფლობილი საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების თავდაპირველი აღიარების შემდეგ.

წილობრივი ფასიანი ქაღალდების სამართლიანი ღირებულების შემცირება მის მიმდინარე ღირებულებასთან შედარებით, არის მისი გაუფასურების ინდიკატორი. გაუფასურების შედეგად კუმულატიური ზარალი – რომელიც იზომება შექმნის ღირებულებასა და არსებულ სამართლიან ღირებულებას შორის სხვაობით, გამოკლებული ადრე აღიარებულ აქტივზე მოგებასა ან ზარალში ნებისმიერი გაუფასურებით გამოწვეული ზარალი - კაპიტალიდან აღირიცხება და აღიარებულია მოგებასა ან ზარალში. წილობრივ ინსტრუმენტთან დაკავშირებული გაუფასურებით გამოწვეული ზარალი არ ბრუნდება მოგება-ზარალის პუნქტის საშუალებით. თუ შემდგომ პერიოდში, გასაყიდად ფლობილის სახით შეფასებული წილობრივი ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულება გაიზრდება. ზრდა შეიძლება ობიექტურად დაკავშირებული იყოს მოგებასა ან ზარალში აღიარებულ გაუფასურებით გამოწვეულ ზარალის შემდეგ წარმოქმნილ მოვლენასთან, გაუფასურებით გამოწვეული ზარალი ამოტრიალდება მოგება/ზარალში აღნიშნულ წელს.

ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებები. (მხოლოდ შედარებითი მონაცემები). ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებები ("რეპო ხელშეკრულებები"), რომლებიც ეფექტურად უზრუნველყოფს კრედიტორის დაბრუნებას კონტრაგენტთან, ითვლება უზრუნველყოფილ ფინანსურ გარიგებად. კრედიტორი უზრუნველყოფს სახსრებს მსესხებელისთვის და გირაოს სახით იღებს უზრუნველყოფას. ასეთი ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებით გაყიდული ფასიანი ქაღალდების აღიარება არ არის შესყევითი. ფასიანი ქაღალდები არ განიცდის რეკლასიფიკაციას ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, გარდა ისეთი შემთხვევისა, როცა შემქმნ პირს აქვს უფლება კონტრაქტით ან არსებული პრაქტიკიდან გამომდინარე გაყიდოს ან ხელახლა დააგირაოს ფასიანი ქაღალდები, რომელ შემთხვევაშიც ისინი კლასიფიცირებულია როგორც სავაჭრო მოთხოვნები. შესაბამისი ვალდებულება წარმოდგენილია საკრედიტო ინსტიტუტების სახსრებში. გამოსყიდვის უფლების შესახებ ხელშეკრულებები ბუნებით მოკლევადიანებია. გასაყიდად ფლობილი ფასიანი ქაღალდები ან ამორტიზირებული ღირებულებით.

ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებები. (მხოლოდ შედარებითი მონაცემები, გაგრძელება). აღიარებული სავალო ფასიანი ქაღალდები, რომლებიც რეკლასიფიცირებულია სავაჭრო მოთხოვნებში, ისევე აღიარებულია სამართლიანი ან ამორტიზირებული ღირებულებით ამ კატეგორიის აქტივების სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისად.

გადაყიდვის ხელშეკრულებით ნაყიდი ფასიანი ქაღალდები ("რევერსული რეპო ხელშეკრულება"), რომელიც ეფექტურად უზრუნველყოფს კრედიტორის დაბრუნებას ჯგუფში, რეგისტრირებულია როგორც სხვა ბანკებში არსებული სახსრები ან კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები. გაყიდვისა და ხელახალი შესყიდვის ფასს შორის სხვაობა ითვლება საპროცენტო შემოსავლად და გროვდება რეპო ხელშეკრულების პერიოდში ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები. (მხოლოდ შედარებითი მონაცემები). კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები აღირიცხება, როცა ჯგუფი ავანსად გასცემს თანხას კლიენტისგან ფიქსირებულ ან დადგენილ ვადებში დასაფარი არაკვოტირებული არაწარმოებული დებიტორული დავალიანების შესყიდვის ან შექმნის მიზნით და არ აქვს დებიტორული დავალიანების გადაცემის განზრახვა. კლიენტებისთვის გადასახდელი სესხები და ავანსები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით.

თუ გაუფასურებული ფინანსური აქტივები ხელახლა გადაიხდება და ამის შედეგად დადგენილი პირობები არსებითად განსხვავდება ადრინდელი პირობებისგან, ახალი აქტივი თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით.

2 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო კოლიტიკის მიმოხილვა **გაგრძელება**

ამორტიზირებული ღირებულებით აღრიცხული სავალო ფასიანი ქაღალდები. (მხოლოდ შედარებითი მონაცემები). საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები, რომელთა ფლობასაც ჯგუფი აპირებს განუსაზღვრელი ვადით და რომელიც შეიძლება გაიყიდოს ლიკვიდურობის მიზნებისთვის ან საპროცენტო განაკვეთის, გაცვლითი კურსის ან კაპიტალის ფასების ცვლილების გამო, 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებულ ფინანსურ ანგარიშგებაში კლასიფიცირებული იყო როგორც გასაყიდად ფლობილი ინვესტიციები. 2015 წელს ჯგუფმა თავიდან შეაფასა თავისი განზრახვა ამ კატეგორიაში შემავალ გარკვეულ ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებით და გამოავლინა ისეთი ინვესტიციები, რომლებთან დაკავშირებითაც ჯგუფს აქვს განზრახვა და შესაძლებლობა იქონიოს ისინი ვადის ამოწურვამდე. იმ ფაქტის გამო, რომ საკმარისი სიხშირით ან მოცულობით არ ხორციელდება ასეთი ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებული ისეთი გარიგებები რომლებიც მათი შესაბამისი ფასის მუდმივ რეჟიმში დადგენის საშუალებას იძლევა ასეთი ფასიანი ქაღალდები აქტიურ ბაზარზე კვტირებულად არ მიიჩნევა და შესაბამისად ისინი გადატანილია სესხებისა და დებიტორული დავალიანებების კატეგორიაში და არა ვადის ბოლომდე ფლობილი ინვესტიციების ჯგუფში. ეს ფასიანი ქაღალდები წარმოდგენილია ფინანსური მდგომარეობის უწყისში როგორც ამორტიზირებული ღირებულებით აღრიცხული სავალო ფასიანი ქაღალდები.

როცა ხდება ფიქსირებული ვადის მქონე გასაყიდად ფლობილი ფინანსური აქტივის რეკლასიფიკაცია სესხებისა და დებიტორული დავალიანებების კატეგორიაში, მისი ახალი ღირებულება შეესაბამება აღნიშნული თარიღისთვის მოცემული აქტივის სამართლიან ღირებულებას. აღნიშნულ აქტივზე ნებისმიერი აღრინდელი მოგება ან ზარალი, რომელიც პირდაპირ აღიარებულია სხვა სრულ შემოსავალში ამორტიზირდება მოგება-ზარალში ინვესტიციის დარჩენილი ვადის განმავლობაში ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

ამორტიზირებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივების გაუფასურება. (მხოლოდ შედარებითი მონაცემები). გაუფასურებით გამოწვეული ზარალი აღიარებულია მოგება-ზარალში, როცა ის წარმოიქმნება ერთი ან მეტი მოვლენის („ზარალის დადგომის შემთხვევა“) შედეგად, რომელსაც ადგილი აქვს ფინანსური აქტივის თავდაპირველი აღიარების შემდეგ და რომელიც გავლენას ახდენს ფინანსური აქტივის ან ფინანსური აქტივების ჯგუფის მიმართ შეფასებული მომავალი ფულადი ნაკადების თანხასა და ვადაზე, რომელიც შეიძლება საიმედოდ შეფასდეს. ჯგუფი ახორციელებს მისი სესხების კლასიფიკაციის მნიშვნელოვნად და არამნიშვნელოვნად გაუფასურების რეზერვის შეფასების მიზნით და აფასებს გაუფასურებას ინდივიდუალურად ან კოლექტიურად. კონკრეტული რაოდენობრივი და ხარისხობრივი მოვლენები წარმოჩენილია ინდივიდუალურად და კოლექტიურად შეფასებული გაუფასურების მტკიცებულებად საიმისოდ, რომ გარანტირებული იყოს დანაკარგის რაც შეიძლება მალე გამოვლენა.

თუ არსებობს მტკიცებულება, რომ გაუფასურებით გამოწვეულმა ზარალმა გავლენა მოახდინა მნიშვნელოვან საკრედიტო რისკებზე, ბანკი აფასებს მსესხებელს ინდივიდუალურად და ზომავს დანაკარგის მოცულობას, როგორც სხვაობას აქტივის საბალანსო ღირებულებასა და შეფასებული მომავალი ფულადი ნაკადების არსებულ ღირებულებას შორის, რომელიც დისკონტირებულია ფიქსირებული განაკვეთიანი სესხების თავდაპირველ ეფექტურ საპროცენტო განაკვეთზე ან ცვლად განაკვეთთან სესხებზე არსებულ საპროცენტო განაკვეთზე არსებული რისკის შესაბამისად. დაფარვისთვის ბანკი განიხილავს ორი ტიპის წყაროს: ფულადი დაფარვა და/ან გირაოთი დაფარვა. ფულადი დაფარვებისთვის შეფასებული ამოღებადი თანხა ტოლია შეფასებული მომავალი ფულადი ნაკადების ახლანდელი ღირებულების. გირაოთი დაფარვები ასახავს ფულად ნაკადებს, რაც შესაძლოა გამოწვეული იყოს ზღვევინებაზე მიმართული გირაოს შედეგად. ბანკი იყენებს თავის შეფასებებს მომავალი დაფარვების შესაფასებლად, რისთვისაც იყენებს სცენარის ანალიზს და ითვალისწინებს ანგარიშგების თარიღისთვის არსებულ ყველა შესაბამის ინფორმაციას, მათ შორის საერთო მაკროეკონომიკურ გარემოში ან მსესხებელის მოქმედების სფეროში არსებულ უარყოფით ცვლილებებს.

თუ ჯგუფი ჩათვლის, რომ არ არსებობს ობიექტური მტკიცებულება, რომ გაუფასურება წარმოიქმნა ინდივიდუალურად შეფასებულ ფინანსურ აქტივებთან დაკავშირებით, იქნება ეს მნიშვნელოვანი თუ არა, ის მოიცავს აქტივს მსგავსი საკრედიტო რისკის მახასიათებლების მქონე ფინანსური აქტივების ჯგუფში და ერთობლივად აფასებს მათ გაუფასურებას. ერთობლივი შეფასების მიზნით, რისკები დაჯგუფებულია მსგავსი რისკების კატეგორიაში მსგავსი საკრედიტო რისკის მახასიათებლების საფუძველზე. ჯგუფის საერთო საკრედიტო რისკის მახასიათებლებში შეტანილია, მაგრამ არა მხოლოდ: კონტრაგენტის ტიპი, პროდუქტის ტიპი, რისკის ვადაგასული სტატუსი, რესტრუქტურისაციის სტატუსი და გირაოს ტიპი.

კოლექტიურად შეფასებული კრედიტების გაუფასურების რეზერვის გასაანგარიშებლად, ბანკი აფასებს რისკის შემდეგ პარამეტრებს: ვალდებულების შეუსრულებლობის ალბათობა, გამოსწორების სიმკაცრე, სიცოცხლისუნარიანოს პროცენტი და დეფოლტის გამომწვევი ზარალი, რომელიც ეფუძნება ისტორიულ გამოცდილებას. თუ არსებობს შიდა ან გარე გარემოება და ისტორიული თარიღის გავლენას აღარ ახდენს მიმდინარე სიტუაციაზე, ბანკი აკორექტირებს რისკის პარამეტრების არსებულ დაკვირვებას დაქვემდებარებული მომაცემების საფუძველზე, რათა ასახოს არსებული მდგომარეობის ეფექტი, რომელიც გავლენას ვერ ახდენს გასულ პერიოდებზე და აღმოფხვრას წარსული პირობების ეფექტი, რომელიც ამჟამად არ არსებობს.

თუ ამორტიზირებული ღირებულებით ფლობილი გაუფასურებული ფინანსური აქტივის პირობები გადაიხედება ან სხვაგვარად შეიცვლება მსესხებელის ან გამომწვევის ფინანსური სირთულეების გამო, გაუფასურება გაიზომება პირობების შეცვლამდე თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

ბანკი მანამდე აღიარებულ გაუფასურების ზარალს შეცვლის იმ შემთხვევაში, თუ გაუფასურების აღიარების შემდეგ, გაუფასურების შედეგად დანაკარგის მოცულობა შემცირდება და ეს შემცირება უკავშირდება ობიექტურ მოვლენას. ადრე

2 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა გამრქელება

აღიარებული გაუფასურების შედეგად დანაკარგის შეცვლა ხდება რეზერვის ანგარიშის მოგება-ზარალის კორექტირებით. იმისთვის, რომ მოხდეს ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი მსესხებლებისთვის განსაზღვრული რეზერვების შეცვლა, უნდა არსებობდეს ობიექტური მტკიცებულება, რომ მსესხებლების ფინანსური მდგომარეობა გაუმჯობესდა ან არის ცვლილება გირაოთი დაფარვის მდგომარეობაში. კოლექტიურად შეფასებული მსესხებლებისთვის ბანკი იყენებს ცნებას "კარანტინის პერიოდი", ეს არის პერიოდი, რომელიც საჭიროა კრედიტის კრიტერიუმების დასაკმაყოფილებლად, საიმისოდ რომ მოხდეს მისი საკრედიტო კატეგორიაში რეკლასიფიკაცია.

სესხებისა და ავანების და ფინანსური იჯარიდან მისაღები თანხების გაუფასურების ზარალი. (მხოლოდ შედარებითი მონაცემები). გაუფასურების შესაფასებლად ჯგუფი რეგულარულად განიხილავს თავის სესხის პორტფელს და ფინანსური იჯარიდან მისაღები თანხებს. იმის განსაზღვრისას გაუფასურების ზარალი უნდა ჩაიწეროს მოგების თუ ზარალის ანგარიშგებაში და სხვა ყოვლისმომცველ შემოსავალში, ჯგუფი მივიდა დასკვნამდე, რომ არის გაზომვას დაქვემდებარებული მონაცემები, რომელიც მიუთითებს რომ სესხების ან ფინანსური იჯარიდან მისაღები თანხების პორტფელიდან შეფასებულ მომავალ ფულად ნაკადებში შეფასება ექვემდებარება კლებას აღნიშნულ პორტფერში რომელიც ინდივიდუალური სესხის კლების გამოვლენამდე. ეს მტკიცებულება შეიძლება მოიცავდეს გაზომვას დაქვემდებარებული მონაცემებს, რომელიც მიუთითებს რომ ჯგუფში მსესხებლების გადახდის სტატუსში იყოს უარყოფითი ცვლილება, ან ქვეყნის ან ადგილობრივ დონეზე იყო გარემოებები, რომელმაც გამოიწვია ჯგუფში აქტივებთან დაკავშირებული ვალდებულების შეუსრულებლობა. მომავალი ფულადი ნაკადების დაფარვისას ხელშეწყობა იყენებს მაჩვენებლებს მსგავსი საკრედიტო რისკის მახასიათებლების მქონე აქტივების წარსულში არსებული დანაკარგების საფუძველზე. მომავალი ფულადი ნაკადების მოცულობისა და დროის შესაფასებლად გამოყენებული მეთოდოლოგია და დაშვებები რეგულარულად გადაიხედება, საიმისოდ რომ შემცირდეს ზარალის მაჩვენებლებსა და ფაქტობრივ ზარალს შორის ნებისმიერი სხვაობა. ფაქტობრივ ზარალსა და ზარალის გამოყენებულ მაჩვენებლებს შორის 5%-იანი ზრდა ან კლება გამოიწვევს სესხის ზარალის გაუფასურებაზე დამატებით ან ნაკლებ ხარჯს 11,393 ათასი ლარის ოდენობით 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (2016: 11,251 ათასი ლარი); და ფინანსური იჯარიდან მისაღები თანხების გაუფასურებაზე დამატებით ხარჯს 63 ათასი ლარის ოდენობით 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (2016: 57 ათასი ლარი).

ინდივიდუალური მნიშვნელოვანი სესხების და იჯარების გაუფასურების რეზერვები ეფუძნება შეფასებული დისკონტირებული ინდივიდუალური სესხებისა და იჯარების მომავალ ფულადი ნაკადებს სესხის ან იჯარისთვის უზრუნველყოფის სახით ფლობილი აქტივის გადახდის და რეალიზაციის გათვალისწინებით. 5%-იანი ზრდა ან კლება ინდივიდუალური მნიშვნელოვანი სესხებიდან ფაქტობრივი მომავალი ფულადი ნაკადებში, რომელიც შესაძლოა წარმოიქმნას თანხებში სხვაობის ნარევიდან და ფულადი ნაკადების ვადები გამოიწვევს 1,454 ათასი ლარის (2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (2016: 2,701 ათასი) სესხის დანაკარგის რეზერვის დამატებით ან უფრო ნაკლებ დანახარჯს. 5%-იანი ზრდა ან კლება ინდივიდუალური მნიშვნელოვანი იჯარებიდან ფაქტობრივი მომავალი ფულადი ნაკადებში, რომელიც შესაძლოა წარმოიქმნას თანხებში სხვაობის ნარევიდან და ფულადი ნაკადების ვადები გამოიწვევს 14 ათასი ლარის (2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (2016: 9 ათასი ლარი) სესხის დანაკარგის რეზერვის დამატებით ან უფრო ნაკლებ დანახარჯს.

საკრედიტო ხასიათის ვალდებულებები. (მხოლოდ შედარებითი მონაცემები). ჯგუფი იღებს საკრედიტო ხასიათის ვალდებულებებს, მათ შორის აკრედიტივებს და ფინანსურ გარანტიებს. ფინანსური გარანტიები წარმოადგენს გამოუხმობ უზრუნველყოფას განხორციელდეს გადახდები იმ შემთხვევაში, თუ კლიენტი ვერ შეასრულებს მესამე მხარეების მიმართ მის ვალდებულებებს. გარანტიებს აქვთ იგივე საკრედიტო რისკები რაც სესხებს. ფინანსური გარანტიები და ვალდებულებები თავდაპირველად აღიარდება მათი სამართლიანი ღირებულებით, რომელიც ჩვეულებრივ დასტურდება მიღებული საკომისიო თანხებით. ეს თანხა ამორტიზდება მთელი ვალდებულების პერიოდში წრფივი მეთოდით, გარდა წარმოქმნილი სესხების ვალდებულებებისა, თუ მოსალოდნელია, რომ ჯგუფი შევა კონკრეტულ სესხის ცვცმის შეთანხმებაში და არ აპირებს ამ სესხის რეალიზაციას მისი წარმოქმნიდან მოკლე ხანში; ასეთი სესხის საკომისიო გადავადებულია და შეტანილია თავდაპირველი აღიარებისას სესხის საბალანსო ღირებულებაში. თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს, ეს ვალდებულებები ფასდება შემდეგ ორ სიდიდეს შორის უდიდესად: (i) თანხის არაამორტიზირებული ნაშთი თავდაპირველი აღიარებისას (ii) თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს ვალდებულების დასაფარად საჭირო საუკეთესო ხარჯთაღრიცხვით.

შესრულების გარანტიები. (მხოლოდ შედარებითი მონაცემები). არის კონტრაქტები, რომლებიც უზრუნველყოფს კომპენსაციას, თუ მეორე მხარე ვერ შეასრულებს საკონტრაქტო ვალდებულებას. ასეთი კონტრაქტები არ იწვევს

საკრედიტო რისკების გადაცემას. შესრულების გარანტიები თავდაპირველად აღიარებულია მათი სამართლიანი ღირებულებით, რომელიც ჩვეულებრივ დასტურდება მიღებული მოსაკრებლების თანხით. ეს თანხა ამორტიზირდება წრფივი მეთოდით კონტრაქტის მთელი პერიოდის განმავლობაში. თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს, შესრულების გარანტიის კონტრაქტები ფასდება იმ დანახარჯის საუკეთესო შეფასება, რომელიც აუცილებელია დისკონტირებულ არსებულ ღირებულებამდე კონტრაქტის დასაფარად თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს, თუ დისკონტირების ეფექტი მნიშვნელოვანია.

ბანკს აქვს საკონტრაქტო უფლება დაუბრუნდეს თავის კლიენტს იმ თანხების დასაფარად, რომლებიც გადახდილია შესრულების გარანტიის კონტრაქტის დასარეგულირებლად, ასეთი თანხები აღიარებულია როგორც სესხები და დებიტორული დავალიანებები.

2 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა **გაგრძელება**

სახსრები საკრედიტო დაწესებულებებში (მხოლოდ შედარებითი მონაცემები). საკრედიტო დაწესებულებების მიმართ დავალიანებები წარმოიქმნება, როცა ფული ან სხვა აქტივები გადაეცემა ჯგუფს სხვა ბანკების მიერ. არანაწარმოებული ვალდებულება აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით. თუ ჯგუფი შეისყიდის თავის საკუთარ ვალს, ის ამოღებული იქნება ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშიდან და ვალდებულების საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ თანხას შორის სხვაობა შეტანილი იქნება ვალის დაფარვის შედეგად წარმოქმნილ მოგებასა ან ზარალში.

კლიენტის ანგარიშები. (მხოლოდ შედარებითი მონაცემები). კლიენტის ანგარიშები არის ფიზიკური პირების, სახელმწიფოს ან კორპორატიული კლიენტების მიმართ არანაწარმოებული ვალდებულებები და აღირიცხულია ამორტიზებული ღირებულებით.

სუბორდინირებულ ვალი. (მხოლოდ შედარებითი მონაცემები). სუბორდინირებული ვალი მოიცავს გრძელვადიან არანაწარმოებულ ვალდებულებებს საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების მიმართ და აღირიცხულია ამორტიზებული ღირებულებით. სუბორდინირებული ვალის გადახდა ხორციელდება ყველა სხვა კრედიტორის დაკმაყოფილების შემდეგ ლიკვიდაციის შემთხვევაში და შეტანილია ბანკის `მე-2 რიგის კაპიტალში`.

გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები. (მხოლოდ შედარებითი მონაცემები). გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები მოიცავს ჯგუფის მიერ გამოშვებულ თამასუქებს, ობლიგაციებს, სადეპოზიტო სერტიფიკატებსა და სავალო ვალდებულებებს. სავალო ფასიანი ქაღალდები წარმოდგენილია ამორტიზებული ღირებულებით. თუ ჯგუფი შეისყიდის თავის გამოშვებულ სავალო ფასიან ქაღალდებს, ისინი ამოღებული იქნება ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშიდან და ვალდებულების საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ თანხას.

წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები. (მხოლოდ შედარებითი მონაცემები). წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები, მათ შორის სავალუტო კონტრაქტები, პროცენტული ფიუჩერსები, მომავალი საპროცენტო განაკვეთის ხელშეკრულებები, სავალუტო და საპროცენტო სვოპები, სავალუტო და საპროცენტო ოფციონები აღირიცხულია მათი სამართლიანი ღირებულებით. ვალუტების გაცვლის მიზნით ჯგუფი ასევე შედის დეპოზიტების საკომპენსაციო შეთანხმებაში თავის პარტნიორ ბანკებთან. ასეთი დეპოზიტები, თუ ისინი კანონიერად გამოყოფილია, დაჯგუფებულია და ასახულია ანგარიშში როგორც ერთი წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტი (სავალუტო სვოპი) ნეტო საფუძველზე თუ (ii) დეპოზიტები გახსნილია ერთდროულად და ერთმანეთის მოლოდინში, (iii) მათ ჰყავთ ერთი და იგივე კონტრაგენტი, (iii) არიან იდენტური რისკის მატარებლები და (iv) არ არსებობს აშკარა მიზეზი ოპერაციების ცალ-ცალკე აღსაღრიცხად.

ყველა წარმოებული ინსტრუმენტი აღირიცხულია როგორც აქტივი, როცა სამართლიანი ღირებულება დადებითია, და როგორც ვალდებულება, როცა სამართლიანი ღირებულება უარყოფითია. წარმოებული ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულებაში ცვლილებები აღირიცხება მოგება-ზარალში. ჯგუფი არ იყენებს ჰეჯირების აღრიცხვას.

სხვა ფინანსურ ინსტრუმენტებში ჩართული წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები მიჩნეულია ცალკეულ წარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტებად, თუ მათი ეკონომიკური მახასიათებლები და რისკები არ არის პირდაპირ დაკავშირებული კონტრაქტში ასახულ მონაცემებთან.

ფინანსური ლიზინგიდან მისაღები თანხები (ინვესტიციები ფინანსურ ლიზინგში). (მხოლოდ შედარებითი მონაცემები). თუ ჯგუფი მეიჯარეა იჯარაში, რომელიც გადასცემს მოიჯარეს მფლობელობასთან დაკავშირებულ არსებითად ყველა რისკს და სარგებელს, იჯარით გაცემული აქტივები წარმოდგენილია როგორც ინვესტიცია ფინანსურ იჯარებში და აღირიცხულია მომავალი საიჯარო გადასახადების არსებული ღირებულებით. ინვესტიციები ფინანსურ ლიზინგში თავდაპირველად აღიარებულია დასაწყისში (როცა იჯარის ვადა იწყება) დისკონტის განაკვეთის გამოყენებით (საიჯარო ხელშეკრულების დასაწყისში და მხარეების მიერ იჯარის მთავარი პირობების შესრულების დღეს).

სხვაობა სრულ დებიტორულ დავალიანებასა და არსებულ ღირებულებას შორის წარმოადგენს მომავალი პერიოდების ფინანსურ შემოსავალს. ეს შემოსავალი აღიარდება ლიზინგის ვადის პერიოდში წმინდა ინვესტიციის მეთოდის გამოყენებით (დაბეგვრამდე), რომელიც ასახავს მუდმივ პერიოდულ მოგების ნორმას. იჯარის შეთანხმებასა და უზრუნველყოფასთან უშუალოდ დაკავშირებული ზრდადი დანახარჯი შეტანილია ფინანსური ლიზინგიდან მისაღები თანხების თავდაპირველ შეფასებაში და ამცირებს იჯარის ვადაში აღიარებული შემოსავლის მოცულობას. ფინანსური შემოსავლები იჯარებიდან ასახულია საპროცენტო შემოსავალში მოგება-ზარალში.

გაუფასურებით გამოწვეული ზარალი აღიარებულია მოგება-ზარალში, რომელიც დადგება ერთი ან მეტი მოვლენის შედეგად ("ზარალის წარმოქმნის შემთხვევები"), იჯარებში ინვესტიციების თავდაპირველი აღიარების შემდეგ. გაუფასურების სტატუსის დასადგენად ჯგუფი იყენებს იმავე მეთოდებს, რასაც სესხების შემთხვევაში, რომლებიც აღირიცხულია ამორტიზირებული ღირებულებით, როგორც წარმოდგენილია მოცემულ შენიშვნაში. გაუფასურებით გამოწვეული ზარალი აღიარებულია ზარალის შეფასების ანგარიშში, რათა დებიტორის წმინდა საბალანსო ღირებულება ჩამოინეროს მოსალოდნელი ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებამდე (რომელიც გამორიცხავს მომავალ საკრედიტო ზარალს, რომელიც არ წარმოქმნილია) ფინანსური ლიზინგის დისკონტირებული საპროცენტო განაკვეთებით. გაანგარიშებული მომავალი ფულადი ნაკადები ასახავს ფულად ნაკადებს, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას იჯარის შესაბამისად აქტივების შექენისა და ფაქტის შედეგად.

2 შენიშვნალოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა გამრქელება

შეწყვეტილი ლიზინგების შედეგად წარმოქმნილი დებიტორული დავალიანებები. (მხოლოდ შედარებითი მონაცემები). კომპანია აღიარებს შეწყვეტილი სალიზინგო კონტრაქტებიდან დებიტორულ დავალიანებებს იჯარის კონტრაქტის შეწყვეტის მომენტში. ეს დებიტორული დავალიანებები შეფასებულია თანხით, რომელიც მოიცავს ხელახლა მფლობელობაში დაბრუნებული აქტივების სამართლიან ღირებულებას და ფინანსურ იჯარაში წმინდა ინვესტიციის გადაუხდელობის შორის სხვაობას. დებიტორული დავალიანებები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, მასზე გაუფასურების რეზერვის გამოკლებით..

საიჯარო აქტივების შესასყიდად გადახდილი ავანსები. (მხოლოდ შედარებითი მონაცემები). საიჯარო აქტივების შესასყიდად გადახდილი ავანსები მოიცავს პროცენტულ ავანსებს, რომლებიც გადახდილია ისეთი აქტივების შესაძენად, რომლებიც შემდგომში საიჯარო აქტივებად გადაკლასიფიცირდება. ასეთი ავანსები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, ამ ღირებულებაზე გაუფასურების რეზერვის გამოკლებით. იჯარების დასაწყისში, საიჯარო კონტრაქტების მიმართ გადახდილი ავანსები გამოიქვითება ფინანსური იჯარის წმინდა ინვესტიციიდან.

3 შენიშვნალოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას

ჯგუფი აკეთებს შეფასებებსა და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენენ მომდევნო ფინანსურ წელს აქტივებისა და ვალდებულებების საანგარიშო მოცულობაზე. შეფასებები და ვარაუდები მუდმივად ფასდება და ეფუძნება ხელმძღვანელობის გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებს, მათ შორის მომავალი მოვლენების მოლოდინებს, რომლებიც სავარაუდოდ გონივრულია არსებულ გარემოებებში. შეფასებების მომცველი დაშვებების გარდა ხელმძღვანელობა ასევე აკეთებს გარკვეულ დაშვებებს სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. ფინანსურ ანგარიშგებებში აღიარებულ თანხებზე მნიშვნელოვანი გავლენის მქონე დაშვებები და შეფასებები, რომლებსაც შეუძლიათ გამოიწვიონ მნიშვნელოვანი ცვლილებები აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაში მომდევნო ფინანსურ წელს მოიცავს შემდეგს:

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (ECL) შეფასება. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (ECL) შეფასება არის მნიშვნელოვანი შეფასება, რომელიც მოიცავს მომავალი ეკონომიკური პირობების პროგნოზირებას, რაც უფრო გრძელვადიანია პროგნოზები, უფრო მეტი მსჯელობები გამოიყენება ხელმძღვანელობის მხრიდან, რაც შესაძლოა გაურკვევლობის წყარო გახდეს. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (ECL) შეფასების მეთოდოლოგიის დეტალები წარმოდგენილია 35 შენიშვნაში. ქვემოთ მოცემული კომპონენტები მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ საკრედიტო ზარალის რეზერვზე: დეფოლტის განსაზღვრება, საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა (SICR), დეფოლტის ალბათობა ("PD"), რისკის პოზიცია დეფოლტის შემთხვევაში ("EAD"), და ზარალი დეფოლტის შემთხვევაში ("LGD"), ასევე მაკრო-ეკონომიკური სცენარების მოდელი. ჯგუფი რეგულარულად გადახედავს და ამოწმებს აღნიშნულ მოდელს და მის მონაცემებს ნებისმიერი განსხვავების შესამცირებლად მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებებსა და ფაქტობრივ საკრედიტო ზარალს შორის ნებისმიერი განსხვავების შესამცირებლად.

საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა ("SICR"). ბანკი იყენებს როგორც რაოდენობრივ, ასევე ხარისხობრივ ინდიკატორებს SICR განსაზღვრებაში ყველა გონივრული და ღირებული ინფორმაციის გათვალისწინებით, რომელიც ხელმისაწვდომია მიზანშეუწონელი დანახარჯებისა ან ძალისხმევის გარეშე, გასული მოვლენების, არსებული პირობების და კონკრეტული პორტფელის მომავალი ბიჰევიორული ასპექტების შესახებ. ბანკი ცდილობს დაადგინოს ინდივიდუალური ინსტრუმენტების საკრედიტო რისკის ზრდის ინდიკატორები ვალდებულების დარღვევამდე და აღნიშნულ მოდელში შეაქვს მნიშვნელოვანი დაშვებები. ერთ-ერთი ასეთი მსჯელობა გულისხმობს საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის ზღვრების განსაზღვრას. 20%-იანი ზრდა SICR ზღვრებში გაზრდის გაუფასურების რეზერვს სესხებზე და ავანსებზე 2,056 ათასი ლარით და გამოიწვევს ბანკის საკრედიტო რისკის კოეფიციენტის ცვლილებას 2 საბაზისო პუნქტით. 2 ეტაპზე რისკის პოზიციების 10%-იანი ზრდა გაზრდის გაუფასურების რეზერვს სესხებსა და ავანსებზე 2,723 ათასი ლარით და გამოიწვევს ბანკის საკრედიტო რისკის კოეფიციენტის ცვლილებას 3 საბაზისო პუნქტით.

| სხვა ფინანსური აქტივები | 2,122 | (107) | - | 2,015 |
| სხვა აქტივები | 39 | (10) | - | 29 |
| ინვესტიცია იჯარებში | - | - | - | - |
| საინვესტიციო ქონება | (982) | 640 | - | (342) |
| სახსრები საკრედიტო დაწესებულებებში | (1,295) | 479 | - | (816) |
| სუბორდინირებული ვალი | (85) | 62 | - | (23) |
| სხვა ფინანსური ვალდებულებები | 197 | (269) | - | (72) |
| სხვა ვალდებულებები | 2,225 | (573) | - | 1,652 |
| წილობრივი ინსტრუმენტების დარიცხვა | 676 | 810 | - | 1,486 |
| მომავალში გადატანილი საგადასახადო ზარალი | (29) | - | - | (29) |
| სულ გადავადებული საგადასახადო აქტივები (ვალდებულებები) | (2,381) | 4,564 | (271) | 2,003 |
| აღიარებული გადავადებული საგადასახადო აქტივები | 3,265 | (660) | - | 2,605 |
| აღიარებული გადავადებული საგადასახადო ვალდებულებები | (5,646) | 5,315 | (271) | (602) |
| სულ გადავადებული საგადასახადო აქტივები (ვალდებულებები) | (2,381) | 4,655 | (271) | 2,003 |

33 მოგების გადასახადები გაგრძელება

| ათას ლარში | 1 იანვარი 2016 | (დარიცხვა)/ კრედიტირებული მოგება-ზარალი | დარიცხულია უშუალოდ სხვა ყოვლისმომცველ შემოსავალში | ცვლილებები ბიზნეს გაერთიანების შედეგად | 31 დეკემბერი 2016 |
|--|-------------------|---|--|---|----------------------|
| დასაქვითი/(დასაბეგრი) დროებითი სხვაობის საგადასახადო ეფექტი და მომავალში გადატანილი საგადასახადო ზარალი | | | | | |
| ძირითადი საშუალებები | (25,802) | 11,112 | 11,011 | (1,644) | (5,323) |
| კრედიტის გაუფასურების რეზერვი | (9,167) | 11,729 | - | (2,574) | (92) |
| გასაყიდად არსებული საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების სამართლიანი შეფასება | (1,595) | 461 | 1,565 | (266) | 165 |
| სხვა ფინანსური აქტივები | 5,952 | (3,830) | - | - | 2,122 |
| სხვა აქტივები | 6,407 | (5,734) | - | (634) | 39 |
| ინვესტიცია იჯარებში | (556) | 556 | - | - | - |
| საინვესტიციო ქონება | (4,247) | 4,275 | - | (1,010) | (982) |
| სახსრები საკრედიტო დაწესებულებებში | (475) | (820) | - | - | (1,295) |
| სუბორდინირებული ვალი | (327) | 242 | - | - | (85) |
| სხვა ფინანსური ვალდებულებები | 60 | 137 | - | - | 197 |
| სხვა ვალდებულებები | 1,311 | 1,146 | - | (231) | 2,226 |
| წილობრივი ინსტრუმენტების დარიცხვა | 741 | (65) | - | - | 676 |
| მომავალში გადატანილი საგადასახადო ზარალი | - | (29) | - | - | (29) |
| სულ გადავადებული საგადასახადო აქტივები (ვალდებულებები) | (27,698) | 19,180 | 12,576 | (6,359) | (2,381) |
| აღიარებული გადავადებული საგადასახადო აქტივები | 1,546 | 1,719 | - | - | 3,265 |
| აღიარებული გადავადებული საგადასახადო ვალდებულებები | (29,244) | 17,461 | 12,576 | (6,361) | (5,646) |
| სულ გადავადებული საგადასახადო აქტივები (ვალდებულებები) | (27,698) | 19,180 | 12,576 | (6,361) | (2,381) |

ჯგუფის მიმდინარე სტრუქტურისა და საქართველოს კანონმდებლობის კონტექსტში, ჯგუფის სხვადასხვა კომპანიების საგადასახადო დანაკარგები და მიმდინარე საგადასახადო აქტივები შეიძლება არ გადაანგარიშდეს ჯგუფის სხვა კომპანიების მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებებსა და დასაბეგრ მოგებებთან მიმართებაში და შესაბამისად, გადასახადი შეიძლება დაგროვდეს მაშინაც კი, როცა არსებობს კონსოლიდირებული საგადასახადო ზარალი. ამიტომ, გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები კომპენსირდება მხოლოდ მაშინ, როცა ისინი უკავშირდება იმავე დასაბეგრ ობიექტსა და იმავე საგადასახადო ადმინისტრაციას.

34 წინდა ვალდებულების შეთანხმება

ქვემოთ ცხრილში წარმოდგენილია ჩვენი ვალის და წარმოდგენილ პერიოდში ჩვენ ვალში მიმდინარე ცვლილებების ანალიზი. ვალის კომპონენტები არის ისინი, რომლებიც ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებაში წარმოდგენილია როგორც დაფინანსება.

| ვალდებულებები ფინანსური საქმიანობიდან | | | | | |
|---|-------------------------|--------------------------------------|----------------------|------------------|--|
| ათას ლარში | სხვა ნასესხები სახსრები | გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები | სუბორდინირებული ვალი | სულ | |
| წმინდა ვალი 2017 წლის 1 იანვარს | 1,882,670 | 23,508 | 368,381 | 2,274,559 | |
| ფულადი სახსრების ნაკადები | 541,289 | (3,251) | 22,837 | 560,875 | |
| სავალუტო კორექტირებები | (14,398) | (1,505) | (766) | (16,669) | |
| სხვა არაფულადი ცვლილებები | 148,935 | 1,943 | 36,336 | 187,214 | |
| წმინდა ვალი 2017 წლის 31 დეკემბერს | 2,558,496 | 20,695 | 426,788 | 3,005,979 | |
| ფულადი სახსრების ნაკადები | 54,486 | (9,308) | 171,781 | 216,959 | |
| სავალუტო კორექტირებები | 70,883 | 554 | 9,958 | 81,395 | |
| სხვა არაფულადი ცვლილებები | 188,206 | 1,402 | 42,392 | 232,000 | |
| წმინდა ვალი 2018 წლის 31 დეკემბერს | 2,872,071 | 13,343 | 650,919 | 3,536,333 | |

35 ფინანსური და სხვა რისკის მართვა

თიბისი ბანკის ჯგუფი რისკის მართვისთვის იყენებს კონსერვატიულ მიდგომას საკრედიტო, ფინანსური და არა ფინანსური რისკების მართვის ძლიერი და დამოუკიდებელი რისკის ფუნქციის მეშვეობით. რისკის სრულყოფილი მართვისთვის საჭირო ყველა კომპონენტი შეტანილია რისკის ორგანიზაციულ სტრუქტურაში: საწარმოს რისკის მართვა; საკრედიტო, ფინანსური და არა ფინანსური რისკების მართვა; რისკის ანგარიშგების და მხარდაჭერის IT ინფრასტრუქტურა; ჯვარედინი რისკის ანალიტიკური საშუალებები და მეთოდები, როგორც არის კაპიტალის ადეკვატურობის მართვა და დიაგნოსტიკური კვლევა. რისკის სრულყოფილი, გამჭვირვალე და გონივრული მართვა ხელს უწყობს ინფორმირებულობას და ნდობას სხვადასხვა დაინტერესებული პირების მხრიდან, უზრუნველყოფს ბიზნეს მოდელის მდგრადობას და რისკის მართვის პოზიციონირებას, ჯგუფის კონკურენტული უპირატესობის და სტრატეგიული ხელშეწყობის ფაქტორის სახით.

თიბისი ბანკის ჯგუფის მართვის სტრუქტურა უზრუნველყოფს შესაბამის მეთვალყურეობას და ანგარიშვალდებულებას, ასევე მოვალეობების მკაფიო განაწილებას. სამეთვალყურეო საბჭოს ეკისრება საერთო პასუხისმგებლობა, რომ მისცეს მიმართულება და თვალყური ადევნოს დასახული მიზნების მიღწევის პროცესს. ამავდროულად მართველი საბჭო მართავს და ხელმძღვანელობს ჯგუფის ყოველდღიურ საქმიანობებს. კერძოდ, კომიტეტი ახორციელებს შემდეგ მოვალეობებს: 1) ჯგუფის რისკის მართვის სტრატეგიის, რისკისადმი

მიდრეკილების და რისკის ტოლერანტობის, რისკის მართვის სისტემის და რისკის პოლიტიკის განხილვა და შეფასება; 2) კანონმდებლობასთან, რეგულაციებთან და ეთიკურ კოდექსებთან შესაბამისობასთან დაკავშირებული პროცესის განხილვა და მონიტორინგი.; 3) შიდა და გარეშე აუდიტორების მიერ შესაბამისობასთან, ეთიკასა და რისკი მართვის ფუნქციებთან დაკავშირებით გამოვლენილი შიდა კონტროლის ხარვეზების მონიტორინგი და გამოსწორება; 4) კომიტეტის საქმიანობის ყოველწლიური თვითშეფასება და შედეგების შესახებ საბჭოს ინფორმირება; 5) ძირითადი რისკი მართვის სისტემის და სხვა დოკუმენტების განხილვა და მათ დამტკიცებასთან დაკავშირებით საბჭოსთვის რეკომენდაციების წარდგენა.

ბანკის დონეზე რისკის მართვა სამეთვალყურეო საბჭოს მოვალეობაა, რომელიც პასუხისმგებელია განსაზღვროს ხელმძღვანელობის განწყობა და გააკონტროლოს განსაზღვრულ მიზნებთან შესაბამისობა. იმავდროულად, მართველი საბჭო მართავს და ხელმძღვანელობს ჯგუფის ყოველდღიურ საქმიანობას.

სამეთვალყურეო და მართველმა საბჭომ შექმნა სპეციალური რისკის კომიტეტი. სამეთვალყურეო საბჭოს რისკის, ეთიკისა და ზედამხედველობის კომიტეტი ამტკიცებს ჯგუფის რისკის მისაღებ დონეს, მეთვალყურეობას უწევს რისკის პროფილს და მისი მართვის პრაქტიკას ბანკის ფარგლებში, ხოლო აუდიტის კომიტეტი პასუხისმგებელია ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის განხორციელებაზე და შიდა და დამოუკიდებელი აუდიტორების საქმიანობების ხელშეწყობაზე. მართველი საბჭოს რისკის კომიტეტი შექმნილია საერთო ჯგუფური რისკის მართვისა და ძირითადი რისკის ტენდენციების მონიტორინგის მიზნით, იმისთვის რომ დარწმუნდნენ რისკის მოცულობა შეესაბამება თუ არა ჯგუფის რისკის დადგენილ დონეს. საოპერაციო რისკის კომიტეტი იღებს გადაწყვეტილებებს საოპერაციო რისკის მართვასთან დაკავშირებით, ხოლო აქტივებისა და ვალდებულებების მართვის კომიტეტი (ALCO) პასუხისმგებელია ALM პოლიტიკის განხორციელებაზე.

თიბისი ბანკის სამეთვალყურეო საბჭო და უმაღლესი ხელმძღვანელობა მართავს რისკის მიზნებს რისკის მისაღები დონის შესახებ ანგარიშგების („RAS“) მეშვეობით, რომელსაც ამტკიცებს სამეთვალყურეო საბჭო და განსაზღვრავს სასურველ რისკის პროფილს და რისკის ლიმიტებს სხვადასხვა ეკონომიკური გარემოსთვის.

35 ფინანსური და სხვა რისკის მართვა გაგრძელება

რისკის მისაღები დონე („RA“) განსაზღვრავს მონიტორინგის და ანგარიშგების პასუხისმგებლობებს, ასევე იერარქიულ რიგებს სხვადასხვა გამოწვევი მოვლენებისთვის და ლიმიტის დარღვევებისთვის, რაც ასევე მიუთითებს რისკის ჯგუფებს განსაზღვროს და განახორციელოს შეთანხმებული შერბილების ღონისძიებები. რისკის მისაღები დონის ეფექტური განხორციელების მიზნით ჯგუფის ყოველდღიურ ოპერაციებში, რისკის მისაღები დონის საზომები თანმიმდევრობით არის დაყოფილი უფრო დეტალურ ბიზნეს ერთეულის დონის ლიმიტებად. ამ სახით რისკის განაწილება განსაზღვრება სხვადასხვა სემენტის და საქმიანობების მიხედვით. საბჭოს დონის კონტროლი უმაღლესი ხელმძღვანელობის მუდმივი ჩართულობით თიბისი ჯგუფის რისკის მართვაში უზრუნველყოფს რისკის მიზნების შესახებ ინფორმირებას, რისკის დონის მიმართ რისკის მოცულობის ინტენსიურ მონიტორინგს, რისკთან დაკავშირებული საკითხების დაუყოვნებლივ ესკალაციას და აღმოფხვრის ღონისძიებების განსაზღვრას.

ინდივიდუალური რისკების ყოველდღიური მართვა ეფუძნება დაცვის პრინციპის სამ მიმართულებას. ვინაიდან ბიზნეს მიმართულებებს ეკისრება რისკებზე ძირითადი პასუხისმგებლობები, რისკის ჯგუფები იღებენ მეორე ხაზის დაცვის ფუნქციას, რომელიც ხორციელდება სანქციონირებული ტრანზაქციების, ასევე რისკის დადგენის, ანალიზის, შეფასების, მონიტორინგის და ანგარიშგების საშუალებებით და მეთოდებით. კომიტეტები შექმნილია ოპერატიულ დონეებზე, და პასუხისმგებელია ტრანზაქციის დონეზე გადაწყვეტილებების მიღებაზე, რომელიც მოიცავს უფლებამოსილების მკაფიო გაუმჯობესებული დელეგირების მკაფიო კომპონენტს „ოთხი თვალის პრინციპის“ საფუძველზე. ყველა ახალი პროდუქტი/პროექტი გაივლის რისკის ჯგუფებს რისკების სრულყოფილი ანალიზის უზრუნველყოფის მიზნით.

კონტროლის ასეთი ღონისძიებები იძლევა იმის გარანტიას, რომ ბანკი მიიღებს ინფორმირებულ სარისკო გადაწყვეტილებებს, რომელიც ადეკვატურად არის შეფასებული და რომ რისკები, რომელიც სცილდება ჯგუფის დასახულ მიზნებს, არ არის ალბათი. საკრედიტო, ლიკვიდურობის, საბაზრო, საოპერაციო და სხვა არაფინანსური რისკის მართვას ახორციელებენ შემდეგი ჯგუფები რისკის ორგანიზაციის ფარგლებში:

- საწარმოს რისკის მართვა (ERM);
- საკრედიტო რისკის მართვა;
- ანდერრაინინგი (კრედიტების გაცემის უფლება/სანქცირება);
- რესტრუქტურირაცია და ინკასირება;
- ფინანსური რისკის მართვა;
- საოპერაციო რისკის მართვა.

ძლიერი და დამოუკიდებელი სტრუქტურა იძლევა რისკის მართვის ყველა საჭირო ფუნქციის შესრულებას დაცვის მეორე ხაზის ფარგლებში, მაღალკვალიფიციური პროფესიონალების მიერ დამატებითი დოკუმენტების დაბალანსებული შეთავაზებით საბანკო და უძრავი ქონების სექტორში, როგორც ადგილობრივ ასევე საერთაშორისო ბაზრებზე.

ზემოხსენებული რისკის ჯგუფების გარდა, ნორმატიულ-სამართლებრივი შესაბამისობის განყოფილება (რომელიც ანგარიშვალდებულია უშუალოდ გენერალური დირექტორის წინაშე), პასუხისმგებელია AML-ზე და ნორმატიულ-სამართლებრივი შეუსაბამობის რისკების მართვაზე. როგორც დაცვის მესამე ხაზი, შიდა აუდიტის დეპარტამენტი უზრუნველყოფს დამოუკიდებელ და ობიექტურ გარანტიას და რეკომენდაციებს აძლევს ჯგუფს, რაც ხელს უწყობს ოპერაციების შემდგომ გაუმჯობესებას და რისკის მართვას.

თითოეული მნიშვნელოვანი რისკის მართვისთვის ბანკი განსაზღვრავს პოლიტიკას და პროცედურებს, მართვის საშუალებებს და მეთოდებს, რისკის იდენტიფიკაციის, შეფასების და გამოთვლის მეთოდოლოგიებს. რისკის ანგარიშგების სისტემები და IT ინფრასტრუქტურა თიბისი ბანკის რისკის ეფექტური მართვის მნიშვნელოვანი საშუალებებია. აქედან გამომდინარე, ბანკი მნიშვნელოვან აქცენტს აკეთებს და ინვესტიციებს ახორციელებს, რომ ხელი შეუწყოს მიღებული გადაწყვეტილებების მუდმივ განვითარებას. ყოველსომოცევი ანგარიშგების სტრუქტურა ხელმისაწვდომია მმართველი საბჭოსა და სამეთვალყურეო საბჭოსთვის, რაც იძლევა რისკის სახეცვლილებების ინტენსიური ზედამხედველობის საშუალებას და საჭიროების შემთხვევაში წინასწარ გამოსასწორებელი ზომების მიღების შესაძლებლობას.

ზემოთ აღწერილი რისკის მართვის კომპონენტების გარდა, კომპენსაციის სისტემა მოიცავს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საშუალებას პერსონალის სტიმულირებისთვის, რომელიც შეესაბამება ბანკის გრძელვადიან ინტერესებს, ის ითვალისწინებს რისკით კორექტირებულ მდგრად შემოსავალს უზრუნველყოფას. რისკის მართვის ეფექტურობის ძირითადი მაჩვენებლები („KPIs“) შეტანილია როგორც ბიზნეს ხაზის ასევე რისკის მართვის პერსონალის ანაზღაურებაში. ეფექტურობის მართვის სტრუქტურა განასხვავებს რისკის მართვის პერსონალის სტიმულს იმ ბიზნეს სფეროებისგან დამოუკიდებლობის დაცვის მიზნით, რომელსაც ისინი ზედამხედველობენ და ამავდროულად იძლევა კვალიფიციური პროფესიონალების მიზიდვის და შენარჩუნების შესაძლებლობას. ამ მიზნით, ბანკი აფასებს რისკის მართვის ეფექტურობის ძირითად მაჩვენებლებს რისკის და კონტროლის პერსონალისთვის და მოიცავს ცვლადი ანაზღაურების წილს.

საკრედიტო რისკი. ჯგუფი ექვემდებარება საკრედიტო რისკს, რომელიც გულისხმობს, რომ მომხმარებელს ან კონტრაგენტს არ შეუძლია თავისი ვალდებულებების შესრულება – გადაუხდელი თანხების გადახდა. ჯგუფის საკრედიტო რისკი წარმოიშობა მისი საკრედიტო ოპერაციების და მხარეებთან სხვა გარიგებების შედეგად, ფინანსური აქტივების ირგვლივ. საბალანსო მუხლების საკრედიტო რისკის მაქსიმალური მოცულობა შეადგენს მათ საბალანსო ღირებულებებს. ბალანსგარეშე ვალდებულებების მაქსიმალური მოცულობა იხილეთ შენიშვნაში 37.

35 ფინანსური და სხვა რისკის მართვა გამრქელება

საკრედიტო რისკი მოიცავს: რისკს, რომელიც წარმოიქმნება ინდივიდუალურ კონტრაგენტებთან გაფორმებული გარიგებებიდან, კონცენტრაციის რისკს, ვალუტით გამოწვეულ საკრედიტო რისკს და ნარჩენ რისკებს.

- რისკები, რომლებიც წარმოიქმნება ინდივიდუალურ კონტრაგენტებთან გაფორმებული გარიგებებიდან, არის ზარალის რისკი ხელშეკრულებების შეუსრულებლობასთან დაკავშირებით კონტრაგენტის საკრედიტო ხარისხის გაუარესების მიზეზით.
- კონცენტრაციის რისკი არის რისკი, რომელიც დაკავშირებულია ხარისხის გაუარესებასთან ცალკეულ მსესხებლებთან ან დაკავშირებული მსესხებლების ჯგუფთან აქტიური სარისკო ოპერაციებით ან კრედიტის კონცენტრაციის მიზეზით ეკონომიკის კონკრეტულ დარგებში.
- ვალუტით გამოწვეული საკრედიტო რისკი უკავშირდება რისკებს, რომლებიც წარმოიქმნება უცხოურ ვალუტაში დენომინირებული სესხებიდან ჯგუფის პორტფელში.
- ნარჩენი რისკი წარმოიქმნება საკრედიტო რისკის შერბილების მეთოდების შედეგად, რომელმაც შესაძლოა არ დააკმაყოფილოს მოლოდინი მიღებულ უზრუნველყოფასთან დაკავშირებით.

რისკის მართვის ყოვლისმომცველი მეთოდები და პროცესები განსაზღვრულია ჯგუფის რისკის მართვის სტრუქტურაში საკრედიტო რისკის ეფექტურად მართვის მიზნით. ჯგუფის საკრედიტო რისკის მართვის მთავარი პრინციპები: საკრედიტო რისკის გონივრული გარემოს შექმნა; კრედიტის გაცემის სტაბილური პროცესით მოქმედება; და საკრედიტო რისკის იდენტიფიკაციის, შეფასების, კონტროლისა და მონიტორინგის ეფექტური პროცესების უზრუნველყოფა. შესაბამისი პოლიტიკა და პროცედურები განსაზღვრავს კრედიტის გაცემის შესახებ გადაწყვეტილებების მიღების სტრუქტურას, რომელიც ასახავს ჯგუფის ტოლერანტობას საკრედიტო რისკის მიმართ. ეს სტრუქტურა მოიცავს კრედიტის დეტალურ და ფორმალურ შეფასების და უზრუნველყოფის შეფასების პროცესს, ადმინისტრაციას და დოკუმენტაციას, კრედიტის დამტკიცების ორგანოებს სხვადასხვა დონეზე, კონტრაგენტის და მრეწველობის კონცენტრაციის ლიმიტებს და კრედიტის შექმნაში, მონიტორინგსა და მართვაში ჩართული პერსონალის და პირების მკაფიოდ განსაზღვრულ მოვალეობებსა და პასუხისმგებლობებს.

კრედიტის დამტკიცება: ჯგუფი ისწრაფვის უზრუნველყოს კრედიტის გაცემის მდგრადი პროცესი მისი გაცემის სათანადო კრიტერიუმების დადგენით და ეფექტური პროცესის შექმნით მსესხებლის რისკის პროფილის ყოვლისმომცველი შეფასებით. დაცვის სამი ხაზის კონცეფცია შეტანილია საკრედიტო რისკის შეფასების სტრუქტურაში, მოვალეობების მკაფიო განაწილებით კრედიტის შეფასების პროცესში ჩართულ მხარეებს შორის..

კრედიტის შეფასების პროცესი განხვავდება სემენტების მიხედვით, რომელიც დამატებით დიფერენცირდება სხვადასხვა ტპის პროდუქტების მიხედვით და ასახავს აღნიშნული აქტივის კლასების სხვადასხვა ბუნებას. კორპორატიულ, საშუალო და მცირე ბიზნესის და მსხვილი საცალო და მიკრო სესხების შეფასება ინდივიდუალურად ხორციელდება მსესხებლის კრედიტუნარიანობის და სესხის სტრუქტურის დეტალური ანალიზით; ვინაიდან მცირე საცალო და მიკრო სესხები უმეტესად ავტომატურად ფასდება, სესხის დამტკიცებისთვის ქულებით შეფასების მოდელების გამოყენებით. ბიზნესის მსესხებლების სახელმძღვანელო მითითებები მორგებულია ინდივიდუალურ ეკონომიკურ სექტორებზე, რომელიც განსაზღვრავს კრედიტირების კრიტერიუმებს და მიზნობრივ კოეფიციენტებს თითოეულ დარგში.

საკრედიტო კომიტეტები პასუხისმგებელი არიან გადახედონ საკრედიტო განცხადებებს და დაამტკიცონ საკრედიტო პროდუქტები. კორპორატიული, საშუალო და მცირე ბიზნესის, საცალო და მიკრო ბიზნესის კლიენტებისთვის კრედიტის მოცულობის დასამტკიცებლად ადგილზე წარმოდგენილია სხვადასხვა საკრედიტო კომიტეტები მკაფიოდ განსაზღვრული დელეგირების უფლებით (იმ პროდუქტების გარდა, რომელიც ფასდება შეფასების ბარათების გამოყენებით). საკრედიტო კომიტეტების შემადგენლობა დამოკიდებულია მსესხებლის საერთო ვალდებულებებზე და მსესხებლის რისკის პროფილზე. საკრედიტო რისკის მენეჯერები (შესაბამისი საკრედიტო კომიტეტების წევრები) უზრუნველყოფენ მსესხებლის და შეთავაზებული საკრედიტო რისკების დეტალურ ანალიზს. სესხი ხანის 20 უმსხვილესი მსესხებლისთვის ან რომელიც აღემატება ბანკის მარეგულირებელი კაპიტალის 5%-ს, მოითხოვს სამეთვალყურეო საბჭოს რისკის, ეთიკისა და ზედამხედველობის კომიტეტის გადახედვას და დამტკიცებას. აღნიშნული კომიტეტი ასევე ამტკიცებს გარიგებებს დაკავშირებულ მხარეებთან, ფიზიკური და იურიდიული პირებისთვის 150 და 200 ათას ლარზე მეტი მოცულობის კრედიტებთან დაკავშირებით.

საკრედიტო რისკის მონიტორინგი: ჯგუფის რისკის მართვის პოლიტიკა და პროცესები მიზნად ისახავს რისკის დროულად გამოვლენას და გაანალიზებას, და აკონტროლებს წინასწარ განსაზღვრულ ლიმიტებს საიმედო და დროული მონაცემების საშუალებით. ჯგუფი მნიშვნელოვან რესურსებს იყენებს საკრედიტო რისკის შესახებ მკაფიო და ზუსტი ინფორმაციის მიღებისთვის, რომელსაც აწყდება ბანკი სხვადასხვა ბიზნეს სემენტში. ჯგუფი იყენებს აქტიური მონიტორინგის სისტემას მიკრო და მაკრო განვითარებაზე დროული რეაგირების, საკრედიტო პორტფელში ხარვეზების გამოვლენისა და ინფორმირებული რისკის მართვის გადაწყვეტილებების მიღების მიზნით. მონიტორინგის პროცესები მორგებულია ინდივიდუალური სემენტების სპეციფიკაციებზე, ასევე ის მოიცავს ინდივიდუალურ საკრედიტო რისკებს, პორტფელის საერთო კოეფიციენტს და გარე მიმართულებებს, რამაც შესაძლოა გავლენა მოახდინოს პორტფელის რისკის პროფილზე. წინასწარი გაფრხილების სიგნალები წარმოადგენს მნიშვნელოვან წინასწარი განგაშის სისტემას საკრედიტო რისკის გაუარესების გამოსავლენად, რასაც შემარბილებელი ღონისძიებებისკენ მიყვავართ.

35 ფინანსური და სხვა რისკის მართვა გაგრძელება

ადგილზე მოქმედებს კომპლექსური მონიტორინგის სისტემა ინდივიდუალური კონტრაგენტების მონიტორინგისთვის, რაც დამოკიდებულია მსესხებლის რისკ პროფილსა და პოზიციასზე. მონიტორინგის შედეგების საფუძველზე, მსესხებლები კლასიფიცირებულია სხვადასხვა რისკის კატეგორიებით. კონკრეტული სუსტი მხარეების არსებობისას, რომელიც მატერიალობის შემთხვევაში გამოიწვევს სესხის დაფარვის პრობლემებს, მსესხებლები კლასიფიცირდება, „საყურადღებო“ კატეგორიად. მიუხედავად იმისა, რომ მსესხებლების ფინანსური მდგომარეობა აკმაყოფილებს ვალდებულებების დაფარვას, ასეთ მსესხებლებზე ხორციელდება სათანადო მონიტორინგი და მიიღება კონკრეტული ზომები პოტენციური ხარვეზების შესარბილებლად. „საყურადღებო“ კატეგორია გამოიყენება ერთ-ერთ ხარისხობრივ ინდიკატორად რისკის პოზიციების 2 ეტაპზე გადასასვლელად კორპორატიული და SME მსესხებლებისთვის. საცალო და მიკრო მსესხებლებისთვის სხვა პორტფელის დონის ინდიკატორების შესაბამისად, რეგულარულად ხორციელდება პორტფელის მონიტორინგი რისკის კატეგორიების მიხედვით. თუ არსებობს ინდიკატორები, რომ პორტფელის განაწილება რისკის კატეგორიების მიხედვით უარესდება წინასწარ განსაზღვრულ ზღვარს ზემოთ, შესაძლოა ამან გამოიწვიოს შესაბამისი პორტფელის გადასვლა 2 ეტაპზე, სანამ გაუარესების ნიშნები იარსებებს.

პორტფელის ხარისხის ტენდენციების შესახებ იქმნება რეგულარული ანგარიშები და წარედგინება მმართველი საბჭოს რისკის კომიტეტს ყოველთვიურად, ხოლო რისკის, ეთიკისა და ზედამხედველობის კომიტეტს კვარტალურად. არსებული მონაცემების ძველ მონაცემებთან შედარებით და პროგნოზების ანალიზით, ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ მისი პოლიტიკის დროულად შეცვლით შესაძლებელია რისკების გამოვლენა და მათზე რეაგირება.

საკრედიტო რისკის შემცირება. კრედიტის შესახებ გადაწყვეტილებების მიღება ძირითადად მსესხებლის გადახდისუნარიანობის და კრედიტუნარიანობის საფუძველზე ხდება; დამატებით ჯგუფი საკრედიტო რისკის შესამცირებლად იყენებს საშუალებებს, როგორცაა უზრუნველყოფა და გარანტიები. აღნიშნული შემცირების ზომების გამოყენების შეფასება სიფრთხილით ხორციელდება სამართლებრივ სიზუსტესთან და განხორციელებადობასთან, თავდების კონტრაგენტული რისკის და უზრუნველყოფის საბაზრო შეფასებასთან მიმართებაში. უზრუნველყოფის მართვის შესახებ ცენტრალური ხედვის და სტრატეგიის ქონის და იმის გარანტიის მიზნით, რომ ყველა პროცესი ეფექტურად ხორციელდება, დაფუძნდა ცენტრალური უზრუნველყოფის მართვის ერთეული. უზრუნველყოფის მართვის სისტემა მოიცავს მყარ დამოუკიდებელ შეფასების პროცესს, რისკის ფაქტორების შემცირების სისტემას დამტკიცების პროცესში, მონიტორინგსა და გადაფასებას.

საკრედიტო რისკის რესტრუქტურისაცია და ინკასირება: ჯგუფს გააჩნია პორტფელის ზედამხედველობის კომპლექსური სისტემა გაუარესებული ან პრობლემური საკრედიტო მოცულობების დროულად დადგენის და წინასწარი გამოსწორების ზომების მიღების მიზნით. შესაბამისი რესტრუქტურისაციის ერთეულები შექმნილია ყველა ბიზნეს სეგმენტში იმ მსესხებლების მართვის მიზნით, რომელთა კრედიტუნარიანობა გაუარესდა. ბანკი განსხვავებს ორი ტიპის რესტრუქტურისაციას მსესხებლების ფინანსური სუსტი მხარეების გათვალისწინებით. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებისთვის, რესტრუქტურირებული მსესხებლები შეიძლება კლასიფიცირდეს 2 ან 3 ეტაპზე. რესტრუქტურისაციის ერთეულების ძირითადი მიზანია მსესხებლის რეაბილიტაცია და დაბრუნება მოქმედ კატეგორიაში ან 1 ეტაპზე. რეაბილიტაციის პროცესის სირთულე და კომპლექსურობა განსხვავდება რისკის ტიპისა და მოცულობის მიხედვით.

ცენტრალიზებული მონიტორინგის ჯგუფი ანკონტროლებს დამრღვევ საცალო მსესხებლებს, რაც ფილიალების ღონისძიებებთან ერთად, მიზნად ისახავს ინკასირების მაქსიმალურად გაზრდას. სპეცილური პროგრამული უზრუნველყოფა გამოიყენება ადრულ ეტაპზე ინკასირების პროცესის მართვისთვის. კონკრეტული სტრატეგიები მორგებულია კლიენტების სხვადასხვა ქვეჯგუფებზე, ასახავს შესაბამის რისკის დონეებს, ამიტომ უფრო მეტი ღონისძიება ორიენტირებულია უფრო მაღალი რისკის პროფილის მქონე კლიენტებზე. ადრულ ეტაპზე დარღვევის გამოსწორება ამცირებს რისკის პოზიციებს, რომელიც შესაძლოა გადავადდეს 3მ დღეზე მეტი ხნით (ერთ-ერთი SICR-ის კრიტერიუმში) და გადავიდეს გაუფასურების 2 ეტაპზე.

მაღალი რისკის პროფილის მქონე სესხების მართვისთვის ადგილზე არსებობს დაფარვის ერთეულები. კორპორატიული და საშუალო და მცირე ბიზნესის მსესხებლები გადაეცემა აღნიშნულ ერთეულს იმ შემთხვევაში, თუ არსებობს დიდი ალბათობა იმისა, რომ არ იქნება გადახდილი ძირი თანხის არსებითი ნაწილი და დაფარვის ძირითადი ნაკადი აღარ წარმოადგენს მსესხებლის ფულად სახსრებს. საცალო და მიკრო კრედიტები გადაეცემა დაფარვის ერთეულს ან ინკასირების გარე დაწესებულებებს (სრაუზრუნველყოფილ სესხებთან დაკავშირებით) 90 დღიანი ვადაგადაცილების შემთხვევაში, ასევე შეიძლება გადაეცეს უფრო ადრე თუ აშკარა გახდება, რომ მსესხებელს არ შეუძლია სესხის დაფარვა.

35 ფინანსური და სხვა რისკის მართვა **გამრქელება**

საკრედიტო ხარისხი. ფინანსური აქტივის ტიპიდან გამომდინარე, ჯგუფმა შესაძლოა გამოიყენოს აქტივის საკრედიტო ხარისხის სხვადასხვა წყაროების ინფორმაცია, მათ შორის საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტოების (სტანდარტ ენდ ჰურზ, Fitch) მიერ მინიჭებული საკრედიტო რეიტინგი, გადახდისუნარიანობის შესახებ ინფორმაცია საკრედიტო ბიუროდან და შიდა ფარგლებში შემუშავებული საკრედიტო რეიტინგები. ფინანსური აქტივები კლასიფიცირებულია შიდა ფარგლებში შემუშავებული საკრედიტო ხარისხის სტანდარტების შიდა და გარე საკრედიტო ხარისხის შესახებ ინფორმაციის გათვალისწინებით კონკრეტული რისკისთვის (მაგ. გადაუხდელობა) დამახასიათებელ ინდიკატორებთან კომბინაციით. ჯგუფი განსაზღვრავს შემდეგ საკრედიტო ხარისხის კატეგორიებს:

- > ძალიან დაბალი რისკი – რისკის პოზიციები ავლენენ ფინანსური ვალდებულებების დაკმაყოფილების ძლიერ უნარს;
- > დაბალი რისკი – რისკის პოზიციები ავლენენ ფინანსური ვალდებულებების დაკმაყოფილების ადეკვატურ უნარს;
- > ზომიერი რისკი – რისკის პოზიციები ავლენენ ფინანსური ვალდებულებების დაკმაყოფილების დამაკმაყოფილებელ უნარს;
- > მაღალი რისკი – რისკის პოზიციები, რომლებიც მოითხოვს სათანადო მონიტორინგს, და
- > დეფოლტი – რისკის პოზიციები დეფოლტში, კრედიტის გაუფასურებით.

შიდა საკრედიტო რეიტინგები შეფასებულია ჯგუფის მიერ სტატისტიკური მოდელების საფუძველზე კრედიტ ოფიცრების შეზღუდული მონაწილეობით. სტატისტიკური მოდელები მოიცავს რაოდენობრივ და ხარისხობრივ ინფორმაციას, რომელიც ასახავს საუკეთესო პროგნოზულ შესაძლებლობას ისტორიული დეფოლტის მონაცემების საფუძველზე.

რეიტინგული მოდელები რეგულარულად გადაიხედება და მათი უკუტესტირება ხდება ფაქტობრივი დეფოლტის მონაცემების მიხედვით. ჯგუფი რეგულარულად ამოწმებს რეიტინგული შეფასებების სიზუსტეს და აფასებს აღნიშნული მოდელების პროგნოზულ შესაძლებლობას.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (ECL) შეფასება: მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი (ECL) არის მომავალი ფულადი დანაკლისების შესაბამისი ალბათობებით შემოწნილი შეფასება. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება არის მიუკერძოებელი და განისაზღვრება შესაძლო შედეგების შეფასებით. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება ეფუძნება ჯგუფის მიერ გამოყენებულ ოთხ ძირითად კომპონენტს: დეფოლტის ალბათობა ("PD"), რისკის პოზიციის დეფოლტის შემთხვევაში ("EAD"), ზარალი დეფოლტის შემთხვევაში ("LGD"), და დისკონტირების განაკვეთი. შეფასებები ითვალისწინებს მომავალზე ორიენტირებულ ინფორმაციას, კერძოდ, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი (ECL) ასახავს ალბათობით შემოწნილ მთავარი მაკროეკონომიკური ცვლადების განვითარებას, რომლებიც გავლენას ახდენენ საკრედიტო რისკზე.

ბანკი იყენებს სამ-ეტაპიან მიდგომას მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (ECL) შეფასებისთვის და ახდენს მსესხებლების კლასიფიკაციას სამი ეტაპის ფარგლებში: ბანკი ახდენს რისკის პოზიციების კლასიფიკაციას 1 ეტაპზე, თუ თავდაპირველი აღიარებიდან საკრედიტო ხარისხში მნიშვნელოვანი გაუარესება არ მომხდარა და ინსტრუმენტი არ იყო გაუფასურებული კრედიტის თვალსაზრისით თავდაპირველი აღიარებისას. რისკის პოზიციის კლასიფიცირდება 2 ეტაპზე იმ შემთხვევაში, თუ საკრედიტო ხარისხის მნიშვნელოვანი გაუარესება გამოვლინდა თავდაპირველი აღიარებიდან, მაგრამ ფინანსური ინსტრუმენტი არ ითვლება კრედიტის თვალსაზრისით გაუფასურებულად. რისკის პოზიციები, რომლებთან დაკავშირებით კრედიტის თვალსაზრისით გაუფასურების ინდიკატორები გამოვლინდა, კლასიფიცირებულია 3 ეტაპზე. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (ECL) რეზერვის ოდენობა განსხვავდება თითოეულ ეტაპზე განაწილების მიხედვით. 1 ეტაპზე კლასიფიცირების შემთხვევაში, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი (ECL) წარმოადგენს მთლიანი პერიოდის ECL-ს იმ ნაწილს, რომელიც შეიძლება მიეკუთვნოს დეფოლტის მოვლენებს ანგარიშგების თარიღიდან მომდევნო 12 თვის განმავლობაში. 2 ეტაპზე განაწილების შემთხვევაში, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი (ECL) წარმოადგენს მთლიანი პერიოდის ECL-ს, ე.ი. საკრედიტო ზარალს, რომელიც შესაძლოა მიეკუთვნოს შესაძლო დეფოლტის მოვლენებს ფინანსური ინსტრუმენტის მთლიანი პერიოდის განმავლობაში. ზოგადად, მოქმედების ვადა ითვლება ფინანსური ინსტრუმენტის დაფარვის დარჩენილი სახელშეკრულებო ვადის ტოლად. ისეთი ფაქტორები, როგორცაა სახელშეკრულებო დაფარვის გრაფიკის არსებობა, დაფარვის ვადის გაგრძელების ოფციონები და ბანკის მიერ განხორციელებული მონიტორინგის პროცესები, გავლენას ახდენენ მოქმედების ვადის განსაზღვრაზე. 3 ეტაპზე კლასიფიცირების შემთხვევაში, დეფოლტი უკვე დამდგარია და მთლიანი პერიოდის ECL შეფასებულია მოსალოდნელი ამოღების საფუძველზე.

დეფოლტის განსაზღვრება: ფინანსური აქტივები, რომლებთან დაკავშირებით ჯგუფმა გამოავლინა ერთი ან მეტი ზარალის შემთხვევის ინდიკატორი, კლასიფიცირებულია 3 ეტაპზე. ინფორმაციის მიზნებისთვის, ჯგუფმა სრულად გაათანაბრა დეფოლტის განსაზღვრება კრედიტის თვალსაზრისით გაუფასურებული აქტივების განსაზღვრებასთან. ჯგუფის მიერ დეფოლტის განსაზღვრება მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებისთვის, შესაბამისობაშია კაპიტალის მოთხოვნების რეგულაციასთან (EU).

ჯგუფი იყენებს როგორც რაოდენობრივ, ასევე ხარისხობრივ კრიტერიუმებს დეფოლტის განსაზღვრებისთვის. მსესხებელი კლასიფიცირდება გადახდისუნაროდ იმ შემთხვევაში, თუ დადგება მინიმუმ ერთ-ერთი ქვემოთ ჩამოთვლილი მოვლენა:

- > სახელშეკრულებო დაფარვების ნებისმიერი თანხა ვადაგადაცილებულია 90 დღეზე მეტი ხნით;
- > არსებობს ფაქტორები, რომლებიც მიუთითებს, რომ ნაკლებ სავარაუდოა მსესხებელმა გადაიხადოს ვალდებულებები.

35 ფინანსური და სხვა რისკის მართვა *გაგრძელება*

ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი მსესხებლების შემთხვევაში, ბანკი დამატებით იყენებს კრიტერიუმებს, მათ შორის და არა მხოლოდ: გაკორტების საქმის წარმოება, მნიშვნელოვანი თაღლითობა მსესხებლის ბიზნესში, რაც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მის ფინანსურ მდგომარეობაზე, კონტრაქტის პირობების დარღვევა და სხვა. SME და კორპორატიული მსესხებლებისთვის, დეფოლტი დგინდება კონტრაგენტის დონეზე, რაც ნიშნავს, რომ ყველა მოთხოვნა მსესხებლის მიმართ განიხილება დეფოლტად. საცალო და მიკრო სეგმენტის პორტფელისთვის გამოიყენება სესხის დონეზე დეფოლტის განმარტება, დამატებითი პულინგის ეფექტის კრიტერიუმის გათვალისწინებით. იმ შემთხვევაში, თუ გადეფოლტებული რისკის პოზიციის მოცულობა აღემატება წინასწარ განსაზღვრულ ზღვარს, ყველა მოთხოვნა მსესხებლის მიმართ კლასიფიცირდება დეფოლტად. მას შემდეგ, რაც ფინანსური ინსტრუმენტი კლასიფიცირდება დეფოლტად, დარჩება ასევე მანამ, სანამ აღარ დაკმაყოფილებს დეფოლტის კრიტერიუმებს თანმიმდევრული ექვსი თვის განმავლობაში, ასეთ შემთხვევაში რისკის პოზიცია აღარ ჩაითვლება დეფოლტში (ე.ი.გამოსწორდა). საშუალო პერიოდი ექვსი თვის ოდენობით განისაზღვრა გამოსწორების შემდგომ ფინანსური ინსტრუმენტის კვლავ დეფოლტში დაბრუნების ალბათობის ანალიზის საფუძველზე. რისკის პოზიციები, რომლებიც გადავიდა 2 ეტაპზე დეფოლტის მდგომარეობიდან, შენარჩუნებულია 2 ეტაპზე განსაზღვრული პერიოდის განმავლობაში 1 ეტაპზე გადასვლამდე და კლასიფიცირებულია, როგორც სრულად მოქმედი ინსტრუმენტები.

საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა ("SICR"). ფინანსური აქტივები, რომლებთან დაკავშირებით ჯგუფი გამოავლენს საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას თავდაპირველი აღიარებიდან, კლასიფიცირებულია 2 ეტაპზე. SICR ინდიკატორები განსაზღვრულია ფინანსური ინსტრუმენტის დონეზე იმის მიუხედავად, რომ ზოგი მათგანი ითვალისწინებს მსესხებლის მახასიათებლებს. ჯგუფი იყენებს SICR-ის როგორც რაოდენობრივ, ასევე ხარისხობრივ ინდიკატორებს.

რაოდენობრივი კრიტერიუმები

რაოდენობრივ საფუძელზე ბანკი აფასებს დეფოლტის ალბათობის პარამეტრების ცვლილებას თითოეული რისკის პოზიციისთვის თავდაპირველი აღიარებიდან და ადარებს მას წინასწარ განსაზღვრულ ზღვრებს. როდესაც დეფოლტის ალბათობის აბსოლუტური ცვლილება აღემატება შესაბამის ზღვარს, ითვლება, რომ საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად გაზრდილია (SICR) და რისკის პოზიცია გადავა 2 ეტაპზე. SICR-ს რაოდენობრივი ინდიკატორი გამოიყენება საცალო და მიკრო სეგმენტებზე, სადაც ჯგუფს გააჩნია საკმარისი რაოდენობის დაკვირვების მონაცემები.

ხარისხობრივი კრიტერიუმები

ფინანსური აქტივი გადადის 2 ეტაპზე და მთლიანი პერიოდის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი (ECLs) ფასდება იმ შემთხვევაში, თუ გამოვლინდება მინიმუმ ერთ-ერთი შემდეგი SICR-ს ხარისხობრივი კრიტერიუმი:

- ვადაგადაცილების პერიოდი 30 დღეზე მეტი ხნით საკონტრაქტო დაფარვებზე;
- რისკის პოზიცია რესტრუქტურირებულია, მაგრამ არ არის კრედიტის თვალსაზრისით გაუფასურებული;
- მსესხებელი კლასიფიცირდება „საყურადღებო“ კატეგორიად.

ჯგუფი არ ეწინააღმდეგება პრეზუმფციას, რომ არსებობს საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა წარმოშობიდან, როდესაც ფინანსური აქტივი 30 დღეზე მეტი ხნით ვადაგადაცილებულია. SICR-ს ეს ხარისხობრივი ინდიკატორი ვალის რესტრუქტურისაგანსთან ერთად გამოიყენება ყველა სეგმენტზე. კერძოდ კორპორატიული და SME სეგმენტისთვის ჯგუფი იყენებს რისკის კატეგორიის გაუარესებას ფინანსური ინსტრუმენტის წარმოშობიდან SICR-ს ერთ-ერთ ხარისხობრივ ინდიკატორად. მონიტორინგის შედეგების საფუძველზე მსესხებელი კლასიფიცირდება სხვადასხვა რისკის კატეგორიებით. კონკრეტული სუსტი მხარეების არსებობისას, რომელნიც მატერიალობების შემთხვევაში გამოიწვევს სესხის დაფარვის შეფერხებას, მსესხებელი კლასიფიცირდება „საყურადღებო“ კატეგორიად. მიუხედავად იმისა, რომ მსესხებლების ფინანსური მდგომარეობა აკმაყოფილებს ვალდებულებების დაფარვას, ასეთ მსესხებლებზე ხორციელდება სათანადო მონიტორინგი და მიიღება კონკრეტული ზომები პოტენციური ხარვეზების შესარბილებლად. როგორც კი მსესხებლის კლასიფიკაცია მოხდება „საყურადღებო“ კატეგორიად, ის გადავა 2 ეტაპზე. რომელიმე SICR ინდიკატორის გამოვლენისას, ფინანსური ინსტრუმენტი გადადის 2 ეტაპზე. ფინანსური აქტივი შეიძლება დაბრუნდეს 1 ეტაპზე იმ შემთხვევაში, თუ SICR ინდიკატორები აღარ შეინიშნება.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (ECL) შეფასება: ჯგუფი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებისთვის იყენებს ორ მიდგომას - ინდივიდუალური შეფასება და კოლექტიური შეფასება. ინდივიდუალური შეფასება ძირითადად გამოიყენება კრედიტის თვალსაზრისით გაუფასურებული ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი მსესხებლებისთვის. დამატებით, ბანკმა შესაძლოა თვითნებურად განსაზღვროს გარკვეული რისკის პოზიციები ECL-ს ინდივიდუალური შეფასებისთვის, ბანკის საკრედიტო რისკის მართვის ან ანდერრაიტინგის განყოფილების გადაწყვეტილების საფუძველზე.

ბანკი იყენებს დისკონტირებული ფულადი ნაკადების (DCF) მეთოდს ამოღების თანხის განსაზღვრისთვის ინდივიდუალური შეფასების საფუძველზე. ამოღების თანხის ზუსტი შეფასების უზრუნველყოფისთვის, ბანკმა შესაძლოა გამოიყენოს სცენარის ანალიზის მიდგომა. სცენარები შესაძლოა განისაზღვროს ინდივიდუალური მსესხებლის სპეციფიკისა და მომავალი პერსპექტივების, იმ სექტორის გათვალისწინებით სადაც მსესხებელი ოპერირებს ან უზრუნველყოფის ღირებულებების ცვლილებების გათვალისწინებით. სცენარის ანალიზის შემთხვევაში, ბანკი ეყრდნობა პროგნოზირებულ ამოღების თანხას თითოეული სცენარისთვის და აფასებს შესაბამის ზარალს. საბოლოო, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი გამოითვლება თითოეულ სცენარში მოსალოდნელი ზარალის შეწონილი საშუალო მარჯვენის სახით, რომელიც შეიწონება თითოეული სცენარის მოხდენის ალბათობით.

35 ფინანსური და სხვა რისკის მართვა **გამრქელება**

არა-მნიშვნელოვან და არა-გუფასურებულ მნიშვნელოვან მსესხებლებთან დაკავშირებით, ბანკი აფასებს მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს კოლექტიურად. კოლექტიური შეფასებისა და რისკის პარამეტრების შეფასების მიზნებისთვის რისკის პოზიციები ჯგუფდება მსგავსი რისკების კატეგორიაში, მსგავსი საკრედიტო რისკის მახასიათებლების საფუძველზე. ჯგუფის მსგავსი საკრედიტო რისკის მახასიათებლებში გაითვალისწინება, მათ შორის და არა მხოლოდ: ეტაპი 1, ეტაპი 2 ან ეტაპი 3), კონტრაგენტის ტიპი (ფიზიკური პირი - იურიდიული პირი), პროდუქტის ტიპი, რეიტინგი (შიდა ან გარე), რისკის პოზიციის ვადაგადაცილების სტატუსი, რესტრუქტურის სტატუსი, ხანგრძლივობა დეფოლტის კატეგორიაში ან ნებისმიერი სხვა მახასიათებელი, რომელიც შესაძლოა განასხვავებდეს კონკრეტულ ქვე-სეგმენტებს რისკის პარამეტრების შეფასების მიზნებისთვის. რისკ ჯგუფების რაოდენობა განსხვავებულია სხვადასხვა პროდუქტების / სეგმენტებისთვის პორტფელის სპეციფიკაციებისა და მონაცემების ხელმისაწვდომობის გათვალისწინებით თითოეული რისკ ჯგუფის ფარგლებში. კოლექტიური მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არის შემდეგი საკრედიტო რისკის პარამეტრების ნამრავლის ჯამი: EAD, PD და LGD, რომლებიც განსაზღვრულია ქვემოთ და დისკონტირებულია მიმდინარე ღირებულებამდე ინსტრუმენტის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

საკრედიტო რისკის პარამეტრების გამოთვლის ძირითადი პრინციპებია:

რისკის პოზიცია დეფოლტის შემთხვევაში (EAD). რისკის პოზიცია დეფოლტის შემთხვევაში (EAD) წარმოადგენს საკრედიტო რისკის პოზიციის შეფასებას დეფოლტის დროს, რომელიც შესაძლოა დადგეს ფინანსური ინსტრუმენტის მოქმედების პერიოდში. EAD პარამეტრი, რომელიც გამოყენებულია მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (ECL) გამოთვლის მიზნებისთვის, დამოკიდებულია დროის ფაქტორზე, ე.ი. ბანკი უშვებს პარამეტრის სხვადასხვა მარჯვენა მხარეს გამოყენებას მომდევნო დროის მონაკვეთებში რისკის პოზიციის არსებობის პერიოდში. EAD-ს ასეთი სტრუქტურა გამოიყენება 1 ეტაპსა და 2 ეტაპზე კლასიფიცირებული ყველა ფინანსური ინსტრუმენტისთვის. 3 ეტაპზე კლასიფიცირებული ფინანსური ინსტრუმენტების და დეფოლტში მყოფი POCI აქტივების შემთხვევაში, EAD ვექტორი არის ერთეულმენტიანი, მოქმედი EAD-ის ღირებულებით. რისკის პოზიცია დეფოლტის შემთხვევაში (EAD) განისაზღვრება განსხვავებულად ამორტიზებადი ფინანსური ინსტრუმენტებისთვის საკონტრაქტო დაფარვის გრაფიკით და რეველაციებადი კრედიტებისთვის. ამორტიზებადი პროდუქტებისთვის EAD გამოითვლება ძირი თანხის და პროცენტის საკონტრაქტო დაფარვის გათვალისწინებით, 12 თვის განმავლობაში 1 ეტაპზე კლასიფიცირებული კრედიტებისთვის და არსებობის მთლიან პერიოდში დანარჩენი ინსტრუმენტებისთვის. ასევე დამატებით გაითვალისწინება წინსწრებით დაფარვის შედეგად რისკის პოზიციის შემცირების ეფექტი. რეველაციებადი პროდუქტებისთვის ბანკი აფასებს რისკის პოზიციას დეფოლტისას (EAD) მოსალოდნელი ლიმიტის უტილიზაციის პროცენტული მარჯვენა მხარის საფუძველზე დეფოლტის მოხდენის პირობით.

დეფოლტის ალბათობა (PD). დეფოლტის ალბათობის პარამეტრი აღწერს დეფოლტის მოხდენის ალბათობას კონკრეტული დროის მონაკვეთის განმავლობაში. იგი წარმოადგენს ალბათობის, რომ მსესხებელი ვერ შეძლებს კონტრაქტით გათვალისწინებული სავალო ვალდებულებების დაკმაყოფილებას. დეფოლტის ალბათობის პარამეტრი დამოკიდებულია დროის ფაქტორზე (ე.ი. გააჩნია კონკრეტული დროის სტრუქტურა) და გამოიყენება ყველა არა-დეფოლტში მყოფ კონტრაქტებზე. კლიენტების სხვადასხვა სეგმენტის სპეციფიკური თვისებების გათვალისწინებით, რომლებისთვისაც ხდება დეფოლტის ალბათობის შეფასება, ამასთანავე იმ უნიკალური მახასიათებლების გათვალისწინებით, რომლებიც განაპირობებს მათ დეფოლტის მიმართ მიდრეკილებას, დეფოლტის ალბათობა მოდელირებულია განსხვავებულად სავალო და მიკრო სეგმენტებისთვის და კორპორატიული და SME სეგმენტებისთვის.

დეფოლტის ალბათობის შეფასების მიდგომა ასევე განსხვავებულია სხვადასხვა დროის პერიოდისთვის და შემდეგ კორექტირდება აღნიშნულ პერიოდში პროგნოზირებული მაკროეკონომიკური ცვლადების მოსალოდნელი შემოქმედების გათვალისწინებით. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოთვლისთვის გამოიყენება ორი ტიპის დეფოლტის ალბათობა: 12-თვიანი და მთლიანი პერიოდის PD. მთლიანი პერიოდის PD წარმოადგენს მოსალოდნელ დეფოლტის ალბათობას, რომელიც შესაძლოა მოხდეს ფინანსური ინსტრუმენტის არსებობის დანარჩენ ვადაში და წარმოადგენს 12-თვიანი ზღვრული PD-ების ჯამს ინსტრუმენტის მთლიანი არსებობის პერიოდში. ჯგუფი იყენებს სხვადასხვა სტატისტიკურ მიდგომებს, როგორცაა 12-თვიანი PD-ების უქსტრაპოლაცია მიგრაციის მატრიცების საფუძველზე, არსებობის პერიოდის PD მრუდების შემუშავება ისტორიული დეფოლტის მონაცემების საფუძველზე და გრძელვადიანი PD-ს თანდათანობითი დაახლოება გრძელვადიან დეფოლტის განაკვეთთან.

35 ფინანსური და სხვა რისკის მართვა გამოკლება

ზარალი დეფოლტის შემთხვევაში (LGD). ზარალი დეფოლტის შემთხვევაში (LGD) პარამეტრი წარმოადგენს რისკის პოზიციის წილს, რომელიც დაუბრუნებლად დაიკარგება მსესხებლის დეფოლტის შემთხვევაში. 1 ეტაპისა და 2 ეტაპის ფინანსური ინსტრუმენტებისთვის, ზარალი დეფოლტის შემთხვევაში ფასდება თითოეულ დროის პერიოდში ინსტრუმენტის არსებობის ვადაში და ასახავს მოსალოდნელი EAD-ის წილს აღნიშნულ პერიოდში, რომელიც ვერ იქნება ამოღებული ინსტრუმენტის დარჩენილ მოქმედების ვადაში დეფოლტის თარიღის შემდეგ. 3 ეტაპის ფინანსური ინსტრუმენტებისთვის ზარალის დეფოლტის შემთხვევაში წარმოადგენს EAD-ის წილს ანგარიშგების თარიღისთვის, რომელიც ვერ იქნება ამოღებული ამ ინსტრუმენტის დარჩენილ მოქმედების ვადაში. LGD-ს შეფასება იცვლება კონტრაგენტის, სეგმენტის, პროდუქტის ტიპის, უზრუნველყოფის დონის და ისტორიული მონაცემების ხელმისაწვდომობის მიხედვით. ბანკის მიერ LGD-ს შეფასების პროცესი ძირითადად ეფუძნება იმ დაშვებას, რომ რისკის პოზიციის დეფოლტის შემდეგ, შესაძლებელია ორი ურთიერთგამომრიცხავი სცენარის არსებობა. რისკის პოზიცია ან გამოვა დეფოლტის მდგომარეობიდან (გამოსწორების სცენარი) ან ვერ გამოვა დეფოლტის მდგომარეობიდან და დაექვემდებარება ამოღების პროცესს (არ-გამოსწორების სცენარი). იმის აღბათობა, რომ კვლავ მოხვდება რისკის პოზიცია დეფოლტში გამოსწორების სცენარში, ასევე გათვალისწინებულია შეფასების პროცესში. რისკის პარამეტრები, რომლებიც გამოიყენება ორივე სცენარში, ე.ი. გამოსწორების მაჩვენებლები, ამოღების მაჩვენებლები, შეფასებულია მიგრაციის მატრიცების მიდგომის გამოყენებით, სადაც რისკის ჯგუფები განსაზღვრულია დეფოლტის შემდგომ თანმიმდევრული თვეების მიხედვით. კონკრეტული პორტფელისთვის, შეზღუდული დაკვირვების მონაცემების საფუძველზე, შეიძლება გამოყენებულ იქნას ძირითადი მიდგომის ალტერნატიული მეთოდები.

მომავალზე ორიენტირებული ინფორმაცია. მიუკერძოებელი, აღბათობებით შეწონილი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (ECL) შეფასება მოითხოვს მომავალზე ორიენტირებული ინფორმაციის გამოყენებას, რომელიც მოიპოვება მიზანშეუწონელი დანახარჯების ან ძალისხმევების გარეშე. მომავალზე ორიენტირებული ინფორმაციის მიზნებისთვის ბანკი განსაზღვრავს სამ მაკრო-ეკონომიკურ სცენარს. სცენარები განსაზღვრულია როგორც საქართველოს ეკონომიკის მდგომარეობის საბაზისო (დიდი აღბათობით), ოპტიმისტური (უკეთესი ვიდრე საბაზისო) და პესიმისტური (უარესი ვიდრე საბაზისო) სცენარები, რომელთა შეწონილი მაჩვენებლები განისაზღვრება 50%-ით, 25%-ითა და 25%-ით თითოეული სცენარისთვის, შესაბამისად.

საბაზისო მაკრო-ეკონომიკური სცენარის მისაღებად ბანკი ითვალისწინებს სხვადასხვა წყაროების პროგნოზებს, ეს წყაროებია: საქართველოს ეროვნული ბანკი, ფინანსთა სამინისტრო, საერთაშორისო სავალუტო ფონდი ("IMF"), ასევე სხვა საერთაშორისო ფინანსური ორგანიზაციები ("IFI"s), რათა უზრუნველყოფილი იყოს ბაზრის მოლოდინებთან კონსენსუსი. ოპტიმისტური და პესიმისტური სცენარები განსაზღვრულია ბანკის მაკროეკონომიკური განყიფილების მიერ შემუშავებული სისტემის ფარგლებში.

მომავალზე ორიენტირებული ინფორმაცია შეტანილია მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის როგორც ინდივიდუალურ, ასევე კოლექტიურ შეფასებაში.

მოდელის კრეტირება და ვალიდაცია. ჯგუფი რეგულარულად გადახედავს თავის მეთოდოლოგიას და დაშვებებს შეფასებებსა და ფაქტობრივ საკრედიტო ზარალს შორის ნებისმიერი განსხვავების შემცირების მიზნით. ასეთი უკუტესტირება ისტორიული მონაცემების საფუძველზე ხორციელდება მინიმუმ წელიწადში ერთხელ. ისტორიული მონაცემების საფუძველზე უკუტესტირების პროცესში ჯგუფი აფასებს რისკის პარამეტრების ფაქტობრივ რეალიზაციას და მათ შესაბამისობას მოდელის შეფასებებთან. დამატებით, უკუტესტირების პროცესში ხორციელდება ეტაპების განსაზღვრის კრიტერიუმების ანალიზიც. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასების მეთოდოლოგიის უკუტესტირების შედეგები წარედგინება ჯგუფის ხელმძღვანელობას და უფლებამოსილ პირებს შორის განხილვის შემდეგ განისაზღვრება დამატებითი ზომები მოდელისა და დაშვებების შესაბამისობაში მოყვანისთვის.

გეოგრაფიული რისკის კონცენტრაციები. აქტივები, ვალდებულებები, საკრედიტო ხაზთან დაკავშირებული ვალდებულებები და შესრულების გარანტიები ზოგადად დამოკიდებულია იმ ქვეყანასა და გეოგრაფიულ რეგიონზე, სადაც კონტრაგენტი მდებარეობს. ქართველ კონტრაგენტებთან ნაშთები, რომლებიც ფაქტობრივად გადაუხდელია ან საქართველოსთან დაკავშირებული კონტრაგენტების ოფშორული კომპანიებისთვის ან გადასახდელია მათგან, განთავსებულია წარწერის ქვეშ „საქართველო“. საკასო თანხები და ძირითადი საშუალებები განაწილებულია იმ ქვეყნის მიხედვით, სადაც ისინი ფიზიკურად არსებობს.

35 ფინანსური და სხვა რისკის მართვა გამრქელება

ჯგუფის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების გეოგრაფიული კონცენტრაცია 2018 წლის 31 დეკემბრისთვის წარმოდგენილია ქვემოთ:

| ათას ლარში | საქართველო | ეგვი | არა-ეგვი | სულ |
|---|-------------------|--------------------|------------------|-------------------|
| აქტივები | | | | |
| ფული და ფულის ექვივალენტები | 648,068 | 515,159 | 1,176 | 1,164,403 |
| სახსრები სხვა ბანკებში | 18,485 | 12,852 | 6,047 | 37,384 |
| სავალდებულო სალაროს ნაშთები საქართველოს ეროვნულ ბანკში | 1,422,809 | - | - | 1,422,809 |
| კლიენტებზე გაცემული კრედიტები და ავანსები | 9,526,936 | 121,712 | 389,804 | 10,038,452 |
| გასაყიდად არსებული საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები | 1,004,564 | - | 675 | 1,005,239 |
| ამორტიზირებული ღირებულებით აღრიცხული სავალო ფასიანი ქაღალდები | 653,703 | - | - | 653,703 |
| ინვესტიციები იჯარებში | 202,850 | - | 952 | 203,802 |
| სხვა ფინანსური აქტივები | 153,640 | 329 | 290 | 154,259 |
| სულ ფინანსური აქტივები | 13,631,055 | 650,052 | 398,944 | 14,680,051 |
| არაფინანსური აქტივები | 769,139 | 56 | 3,642 | 772,837 |
| სულ აქტივები | 14,400,194 | 650,108 | 402,586 | 15,452,888 |
| ვალდებულებები | | | | |
| სახსრები საკრედიტო დაწესებულებებში | 1,154,329 | 1,811,299 | 65,877 | 3,031,505 |
| კლიენტის ანგარიშები | 7,882,839 | 697,753 | 864,154 | 9,444,746 |
| გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები | 7,927 | - | 5,416 | 13,343 |
| სხვა ფინანსური ვალდებულებები | 77,870 | 296 | 39 | 78,205 |
| სუბორდინირებული ვალი | 94,263 | 420,031 | 136,625 | 650,919 |
| სულ ფინანსური ვალდებულებები | 9,217,228 | 2,929,379 | 1,072,111 | 13,218,718 |
| არაფინანსური ვალდებულებები | 121,395 | 525 | 493 | 122,413 |
| სულ ვალდებულებები | 9,338,623 | 2,929,904 | 1,072,604 | 13,341,131 |
| წმინდა საბალანსო მდგომარეობა | 5,061,571 | (2,279,796) | (670,018) | 2,111,757 |
| შესრულების გარანტიები | 684,844 | 291,795 | 219,208 | 1,195,847 |
| საკრედიტო ხაზთან დაკავშირებული ვალდებულებები | 870,446 | 3,751 | 1,638 | 875,835 |

ჯგუფის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების გეოგრაფიული კონცენტრაცია 2017 წლის 31 დეკემბრისთვის წარმოდგენილია ქვემოთ:

| ათას ლარში | საქართველო | ეგვი | არა-ეგვი | სულ |
|---|-------------------|--------------------|------------------|-------------------|
| აქტივები | | | | |
| ფული და ფულის ექვივალენტები | 818,094 | 608,575 | 2,102 | 1,428,771 |
| სახსრები სხვა ბანკებში | 25,329 | 8,733 | 3,727 | 37,789 |
| სავალდებულო სალაროს ნაშთები საქართველოს ეროვნულ ბანკში | 1,033,818 | - | - | 1,033,818 |
| კლიენტებზე გაცემული კრედიტები და ავანსები | 7,960,107 | 67,805 | 297,441 | 8,325,353 |
| გასაყიდად არსებული საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები | 657,068 | - | 870 | 657,938 |
| ამორტიზირებული ღირებულებით აღრიცხული სავალო ფასიანი ქაღალდები | 449,538 | - | - | 449,538 |
| ინვესტიციები იჯარებში | 143,836 | - | - | 143,836 |
| სხვა ფინანსური აქტივები | 133,789 | 141 | 205 | 134,135 |
| სულ ფინანსური აქტივები | 11,221,579 | 685,254 | 304,345 | 12,211,178 |
| არაფინანსური აქტივები | 721,274 | 55 | 4,691 | 726,020 |
| სულ აქტივები | 11,942,853 | 685,309 | 309,036 | 12,937,198 |
| ვალდებულებები | | | | |
| სახსრები საკრედიტო დაწესებულებებში | 1,069,211 | 1,559,644 | 15,859 | 2,644,714 |
| კლიენტის ანგარიშები | 6,517,641 | 694,820 | 622,862 | 7,835,323 |
| გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები | 7,821 | - | 12,874 | 20,695 |
| სხვა ფინანსური ვალდებულებები | 78,670 | 474 | 630 | 79,774 |
| სუბორდინირებული ვალი | 62,508 | 232,263 | 132,017 | 426,788 |
| სულ ფინანსური ვალდებულებები | 7,735,851 | 2,487,201 | 784,242 | 11,007,294 |
| არაფინანსური ვალდებულებები | 79,612 | 1,084 | 846 | 81,542 |
| სულ ვალდებულებები | 7,815,463 | 2,488,285 | 785,088 | 11,088,836 |
| წმინდა საბალანსო მდგომარეობა | 4,127,390 | (1,802,976) | (476,052) | 1,848,362 |
| შესრულების გარანტიები | 387,904 | 151,502 | 72,905 | 612,311 |
| საკრედიტო ხაზთან დაკავშირებული ვალდებულებები | 968,019 | 2,996 | 6,045 | 977,060 |

35 ფინანსური და სხვა რისკის მართვა გაგრძელება

ჯგუფის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების გეოგრაფიული კონცენტრაცია 2017 წლის 31 დეკემბრისთვის წარმოდგენილია ქვემოთ:

| ათას ლარში | საქართველო | ეგვი | არა-ეგვი | სულ |
|---|-------------------|--------------------|------------------|-------------------|
| აქტივები | | | | |
| ფული და ფულის ექვივალენტები | 548,866 | 389,223 | 6,678 | 944,767 |
| სასრები სხვა ბანკებში | 4,973 | 18,851 | - | 23,824 |
| სავალდებულო სალაროს ნაშთები საქართველოს ეროვნულ ბანკში | 990,642 | - | - | 990,642 |
| კლიენტებზე გაცემული კრედიტები და ავანსები | 6,923,037 | 88,616 | 122,049 | 7,133,702 |
| გასაყიდად არსებული საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები | 429,985 | - | 718 | 430,703 |
| ამორტიზირებული ღირებულებით აღრიცხული სავალო ფასიანი ქაღალდები | 372,956 | - | - | 372,956 |
| ინვესტიციები იჯარებში | 95,031 | - | - | 95,031 |
| სხვა ფინანსური აქტივები | 91,666 | 229 | - | 91,895 |
| სულ ფინანსური აქტივები | 9,457,156 | 496,919 | 129,445 | 10,083,520 |
| არაფინანსური აქტივები | 673,438 | 29 | 4,772 | 678,239 |
| სულ აქტივები | 10,130,594 | 496,948 | 134,217 | 10,761,759 |
| ვალდებულებები | | | | |
| სასრები საკრედიტო დაწესებულებებში | 719,098 | 1,410,693 | 70,185 | 2,199,976 |
| კლიენტის ანგარიშები | 5,426,095 | 532,690 | 502,797 | 6,461,582 |
| გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები | 13,261 | - | 10,247 | 23,508 |
| სხვა ფინანსური ვალდებულებები | 48,248 | 1,285 | 620 | 50,153 |
| სუბორდინირებული ვალი | - | 233,657 | 134,724 | 368,381 |
| სულ ფინანსური ვალდებულებები | 6,206,702 | 2,178,325 | 718,573 | 9,103,600 |
| არაფინანსური ვალდებულებები | 84,678 | 1,100 | 592 | 86,370 |
| სულ ვალდებულებები | 6,291,380 | 2,179,425 | 719,165 | 9,189,970 |
| წმინდა საბალანსო მდგომარეობა | 3,839,214 | (1,682,477) | (584,948) | 1,571,789 |
| შესრულების გარანტიები | 274,614 | 56,406 | 95,588 | 426,608 |
| საკრედიტო ხაზთან დაკავშირებული ვალდებულებები | 706,646 | 10,175 | 3,391 | 720,212 |

საბაზრო რისკი. ბანკი შესაბამეა ბაზელის კომიტეტის ბაზრის რისკის განმარტებას, როგორც დანაკარგების არასაბალანსო პოზიციის რისკს, რომელიც წარმოიშობა საბაზრო ფასების ცვლილებების შედეგად. ეს რისკი მთელი ბანკის მასშტაბით ძირითადად შედგება (ა) რისკებისგან, რომელიც უკავშირდება საპროცენტო განაკვეთის ინსტრუმენტებს და სავაჭრო პორტფელში წილებს და (ბ) გაცვლითი კურსის რისკებისა (ან სავალუტო რისკი) და სავაჭრო რისკებისგან. ბანკის სტრატეგია არ ჩაერთოს სავაჭრო პორტფელის აქტივობაში ან სავაჭრო ინვესტიციების განხორციელებაში. შესაბამისად, ბანკის მოწყვლადობა ბაზრის რისკის მიმართ ძირითადად შემოიფარგლება სტრუქტურულ პაკეტში უცხოური სავალუტო კურსის რისკით.

სავალუტო რისკი. სავალუტო რისკი წარმოიქმნება უცხოური ვალუტის გაცვლით კურსებში პოტენციური ცვლილებისგან, რამაც შესაძლოა გავლენა მოახდინოს ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულებაზე. ეს რისკი წარმოიქმნა უცხოური სავალუტო აქტივებისა და ვალდებულებების შეუსაბამობით გამოწვეული ღია სავალუტო პოზიციებისგან-, სებ-მა მოსთხოვა ბანკს შემოწმოს როგორც ბალანსი ასევე მთლიანი (არასაბალანსო ანგარიშის ჩათვლით) ღია სავალუტო პოზიციები და შეინარჩუნოს ასეთი პოზიციები ბანკის მარეგულირებელი კაპიტალის 20%-ის ფარგლებში. 2018 წლის 31 დეკემბრისთვის, ბანკს ჰქონდა მთლიანი (ნეგატიური) უცხოური ვალუტის პოზიცია მარეგულირებელი კაპიტალის 7.6% (2017 წელს: 1.5%; 2016 წელს 3.2%) აქტივებისა და ვალდებულებების მართვის კომიტეტმა ("ALCO") განსაზღვრა ლიმიტები ვალუტით და ასევე ერთ-დღიანი და დღის განმავლობაში პოზიციებთან დაკავშირებით, რომლებიც სებ-ის მიერ განსაზღვრულ ლიმიტებზე უფრო კონსერვატიულია. ბანკის მიერ ასეთი ლიმიტების დაცვა მოწმდება ყოველდღიურად სახაზინო და ფინანსური რისკის მართვის დეპარტამენტების ხელმძღვანელების მიერ.

35 ფინანსური და სხვა რისკის მართვა **გაგრძელება**

საპროცენტო განაკვეთის რისკი. საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიქმნება საბაზრო საპროცენტო განაკვეთებში პოტენციური ცვლილებების შედეგად, რამაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა მოახდინოს ბანკის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ღირებულებაზე. ეს რისკი შეიძლება წარმოიქმნას აქტივებისა და ვალდებულებების ვადებში შეუსაბამობის, ისევე როგორც მათი ფასების გადახედვის მახასიათებლების შედეგად.

ბანკის მიერ შეთავაზებული კრედიტები და დეპოზიტები წარმოდგენილია ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთებით, მაშინ როცა ბანკის საკრედიტო პოზიცია ეფუძნება პროცენტის ცვალებად განაკვეთს. ბანკის ცვალებადი განაკვეთის მქონე კრედიტები გარკვეულწილად ჰეჯირებულია სებ-ის მიერ იმ განაკვეთის გადახდით, რომელიც კორექტირებულია იმ მინიმალურ რეზერვებამდე, რომელსაც ბანკი ფლობს სებ-ში. ბანკი ასევე შევიდა საპროცენტო განაკვეთზე სვოპის ხელშეკრულებებში, რათა შემცირებულიყო საპროცენტო განაკვეთის რისკი. უფრო მეტიც, კლიენტებისთვის ბანკის მიერ გაცემული ბევრი კრედიტი მოიცავს მუხლს, რომელიც მას კრედიტზე საპროცენტო განაკვეთის კორექტირების საშუალებას აძლევს უარყოფითი საპროცენტო განაკვეთების დინამიკის შემთხვევაში, რითაც ზღუდავს ბანკის საპროცენტო განაკვეთის რისკისგან დაუცველობას. ხელმძღვანელობა ასევე დარწმუნებულია, რომ ბანკის საპროცენტო განაკვეთის მარჯები გვთავაზობს გონივრულ ბუფერს, რათა შემცირდეს შესაძლო უარყოფითი საპროცენტო განაკვეთის დინამიკა.

ქვემოთმოცემული ცხრილი აჩვენებს საპროცენტო განაკვეთის რისკებისგან ჯგუფის დაუცველობის საკითხს. ამ ცხრილში წარმოდგენილია ჯგუფის ფინანსური აქტივების და ვალდებულებების მთლიანი მოცულობა საბალანსო ღირებულებით, რომელიც შეფასებულია საკონტრაქტო პროცენტის ფასების გადახედვით ან დაფარვის უფრო ადრინდელი თარიღების მიხედვით. სავალუტო სვოპები არ იწვევს ჯგუფის საპროცენტო განაკვეთის რისკებისგან დაუცველობის შეფასებისას. ქვემოთ წარმოდგენილი მთლიანი ფინანსური აქტივები და ვალდებულებები არ შეინიშნება არც საბალანსო ანგარიშში და არც სხვა ფინანსური რისკის მართვის ცხრილებში. ცხილებში განხილულია, როგორც საქართველოს ეროვნულ ბანკში არსებული რეზერვები, ასევე პროცენტის ნოსტრო ანგარიშები. საქართველოს ეროვნული ბანკის რეზერვებსა და ნოსტრო ანგარიშებზე შემოსავალი განგარიშებულია როგორც ორიენტირი მინუს მარჯა, რომლითაც ორიენტირი ფედერალური ფონდების განაკვეთები და ECB განაკვეთები გათვალისწინებულია შესაბამისად აშშ დოლარისა და ევროს შემთხვევაში. ამიტომ, ისინი გავლენას ახდენენ თიბისი ბანკისწინა საპროცენტო შემოსავალზე საპროცენტო განაკვეთების როგორც ზრდის, ასევე კლების შემთხვევაში.

| ათას ლარში | ერთ თვეზე ნაკლები | 1-დან 6 თვემდე | F6-დან 12 თვემდე | 1 წელზე მეტი | სულ |
|---|----------------------|-------------------|---------------------|------------------|------------------|
| 31 დეკემბერი 2018 | | | | | |
| სულ ფინანსური აქტივები | 4,776,646 | 3,596,006 | 1,009,348 | 5,298,973 | 14,680,973 |
| სულ ფინანსური ვალდებულებები | 4,565,789 | 3,327,654 | 1,026,112 | 4,300,095 | 13,219,650 |
| წმინდა საპროცენტო მგრძობელობის პოზიცია 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით | 210,857 | 268,352 | (16,764) | 998,878 | 1,461,323 |
| 31 დეკემბერი 2017 | | | | | |
| სულ ფინანსური აქტივები | 3,419,809 | 2,440,185 | 1,065,644 | 5,306,276 | 12,231,914 |
| სულ ფინანსური ვალდებულებები | 4,098,666 | 2,628,473 | 1,046,629 | 3,254,239 | 11,028,007 |
| წმინდა საპროცენტო მგრძობელობის პოზიცია 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით | (678,857) | (188,288) | 19,015 | 2,052,037 | 1,203,907 |
| 31 დეკემბერი 2016 | | | | | |
| სულ ფინანსური აქტივები | 2,707,541 | 1,796,745 | 1,011,420 | 4,606,985 | 10,122,691 |
| სულ ფინანსური ვალდებულებები | 3,603,901 | 2,011,224 | 1,024,058 | 2,503,590 | 9,142,773 |
| წმინდა საპროცენტო მგრძობელობის პოზიცია 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით | (896,360) | (214,479) | (12,638) | 2,103,395 | 979,918 |

2018 წლის 31 დეკემბერს, თუ საპროცენტო განაკვეთი ამ დღისთვის ყველა სხვა ფიქსირებულ ცვლადთან მიმართებაში იქნებოდა 100 საბაზისო პუნქტით ნაკლები, წლის მოგება იქნებოდა 4.4 მილიონი ლარით (2017: 7.6 მილიონი ლარით; 2016: 9.5 მილიონი ლარით) მეტი, ძირითადად ცვლად საპროცენტო ვალდებულებებზე უფრო დაბალი საპროცენტო დანახარჯის გამო. სხვა ყოვლისმომცველი შემოსავალი იქნება 6,131 ათასი ლარით (2017: 6,131 ათასი ლარით, 2016: 1,516 ათასი ლარით) მეტი, რაც გამოწვეულია გასაყიდად ფლობილის სახით კლასიფიცირებული ფიქსირებული განაკვეთიანი ფინანსური აქტივების სამართლიანი ღირებულების ზრდით.

თუ საპროცენტო განაკვეთი ყველა სხვა ფიქსირებულ ცვლადთან მიმართებაში იქნებოდა 100 საბაზისო პუნქტით მეტი, წლის მოგება იქნებოდა 4.4 მილიონი ლარით ნაკლები (2017: 7.6 მილიონი ლარით; 2016: 9.5 მილიონი ლარით) ძირითადად ცვლად საპროცენტო ვალდებულებებზე ნაკლები. სხვა ყოვლისმომცველი შემოსავალი უნდა ყოფილიყო 5,861 ათასი ლარით (2017: 5,861 ათასი ლარით, 2016: 2,118 ათასი ლარით) ნაკლები, რაც გამოწვეულია გასაყიდად ფლობილი სახით კლასიფიცირებული ფიქსირებული განაკვეთიანი ფინანსური აქტივების სამართლიანი ღირებულების შემცირებით.

დამოუკიდებელ ბაზისზე საპროცენტო განაკვეთის რისკის მართვასთან დაკავშირებით, ბანკმა დანერგა შპს "ერნსტ ენდ იანგთან" ერთად შემუშავებული მოწინავე მოდელი. საპროცენტო განაკვეთის რისკის ანალიზი განხორციელდა ყოველთვიურად ფინანსური რისკის მართვის დეპარტამენტის მიერ.

35 ფინანსური და სხვა რისკის მართვა გამრქელება

ბანკი აფასებს საპროცენტო განაკვეთებში ცვლილებების გავლენას, როგორც წმინდა საპროცენტო შემოსავლის ასევე ეკონომიკური ღირებულების მგრობელობაზე. წმინდა საპროცენტო შემოსავლის მგრობელობა აფასებს შემოსავლის მრუდზე სხვადასხვა დაფარვის ვადასთან ერთად საპროცენტო განაკვეთების ზრდის გავლენას წმინდა საპროცენტო შემოსავალზე უახლოეს წელს. ეკონომიკური ღირებულება აფასებს შემოსავლის მრუდზე სხვადასხვა დაფარვის ვადასთან ერთად საპროცენტო განაკვეთების ზრდის გავლენას ჯგუფის აქტივების, ვალდებულებებისა და არასაბალანსო ინსტრუმენტების არსებულ ღირებულებაზე. წმინდა საპროცენტო შემოსავლისა და ეკონომიკური ღირებულების მგრობელობის ანალიზის განხორციელებისას, ბანკი იყენებს პარალელურ გადატანებს საპროცენტო განაკვეთებში სხვადასხვა სცენარების რაოდენობის გამოყენებით. ICAAP ფარგლებში, თიბისი ბანკი იწინასწარმეტყველებს კაპიტალს შესაძლო პარალელური შემოსავლის მრუდის ცვლის უარყოფითი ეფექტის მოცულობით წმინდა საპროცენტო შემოსავალზე ერთი წლის განმავლობაში ბაზელი II კვილარი 2 კაპიტალის გამოთვლის მიზნებისთვის.

საპროცენტო განაკვეთის რისკის მართვის მიზნით, ბანკმა განსაზღვრა სათანადო ლიმიტები. ბანკი ამომწებს ლიმიტებთან შესაბამისობას და ამზადებს პროგნოზებს. აქტივებისა და ვალდებულებების კომიტეტი იღებს გადაწყვეტილებებს იმ დონისთვის შესახებ, რომლებიც აუცილებელია ეფექტური საპროცენტო განაკვეთის რისკის მართვისთვის და თვალყურს ადევნებს მის განხორციელებას. პერიოდული ანგარიშგება წარედგინება მმართველი საბჭოსა და სამეთვალყურეო საბჭოს რისკის, ეთიკისა და კონტროლის კომიტეტს.

ლიკვიდურობის რისკი. ლიკვიდურობის რისკი არის რისკი, რომ თიბისი ბანკს ან არ აქვს ყველა თავისი ვალდებულებების შესრულებისთვის საკმარისი რესურსები, როცა მათი შესრულების დრო დადგება, ან ხელი მიუწვდება ასეთ რესურსებზე მხოლოდ მაღალ ფასად. ლიკვიდურობის რისკი იმართება ფინანსური რისკის მართვისა და სახაზინო დეპარტამენტების მიერ და კონტროლდება ჯგუფის აქტივი/ვალდებულების მართვის კომიტეტის მიერ.

თიბის ბანკის ლიკვიდურობის მართვის პოლიტიკის მთავარი მიზნებია: (i) უზრუნველყოს სახსრების ხელმისაწვდომობა საიმისოდ, რომ დაკმაყოფილდეს მოთხოვნები, რომლებიც წარმოიქმნება მთლიანი ვალდებულებებისა და არასაბალანსო ვალდებულებების (როგორც ფაქტობრივი, ასევე ფაქტორებიდან გამომდინარე) შედეგად ეკონომიკურად ხელსაყრელ ფასად; (ii) აღიაროს ნებისმიერი სტრუქტურული შეუსაბამობა, რომელიც არსებობს თიბისი ბანკის ფინანსური ანგარიშების პოზიციასში და განსაზღვროს მონიტორინგის კოეფიციენტი კარგად ბალანსირებულ ზრდასთან ერთად დაფინანსების მართვის მიზნით; და (iii) გააგრძელოს ლიკვიდურობისა და დაფინანსების კონტროლი საიმისოდ, რომ გარანტირებული იყოს დამტიცივებული ბიზნეს მიზნების შესრულება ბანკის რისკის პროფილის კომპრომისის გარეშე.

ლიკვიდურობის რისკი იყოფა ორი ტიპის რისკად: ლიკვიდურობის რისკის დაფინანსება და საბაზრო ლიკვიდურობის რისკი.

ლიკვიდურობის რისკის დაფინანსება არის რისკი, რომ თიბისი ბანკი ვერ შეძლებს ეფექტურად შეასრულოს როგორც მოსალოდნელი, ასევე მოულოდნელი მიმდინარე და მომავალი ფულადი ნაკადებისა და უზრუნველყოფის მოთხოვნები ისე, რომ გავლენა არ მოახდინოს მის ყოველდღიურ ოპერაციებზე და მის ფინანსურ პირობებზე. იმისთვის, რომ მართოს ლიკვიდურობის რისკის დაფინანსება, თიბისი ბანკმა შიდა ფარგლებში შეიმუშავა ბაზელ III-ის შესაბამისად განსაზღვრული მოკლევადიანი ლიკვიდურობის მაჩვენებელი და წმინდა სტაბილური დაფინანსების კოეფიციენტი. გარდა ამისა ბანკი ახორციელებს სტრეს-ტესტს, და „რა-თუ“ სცენარების ანალიზს და სებ-ის მიერ განსაზღვრული მინიმალური ლიკვიდურობის კოეფიციენტები. 2017 წელს ლიკვიდურობის რისკის მართვის მიზნებისთვის, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა შემოიღო მოკლევადიანი ლიკვიდურობის კოეფიციენტი („NBS LCR“), სადაც ბაზელ III-ის გაიდლაინების გარდა გამოყენებული იქნა კონსერვატიული მიდგომები ძირითადი რეზერვების შემწონის და დეპოზიტების ამორების კოეფიციენტებზე, კლიენტის ჯგუფის კონცენტრაციის მიხედვით. 2017 წლის 1 სექტემბრიდან ბანკი ასევე ახორციელებს NBS LCR ლიმიტებთან შესაბამისობის მონიტორინგს.

მოკლევადიანი ლიკვიდურობის მაჩვენებელი გამოიყენება მოკლევადიანი ლიკვიდურობის რისკების მართვის დასახმარებლად. ბანკის ლიკვიდურობის რისკის მართვის სტრუქტურა შექმნილია საიმისოდ, რომ ყოვლისმომცველად დაგეგმოს ფულის ნაკადები, რომლებიც წარმოიქმნება აქტივების, ვალდებულებებისა და არასაბალანსო მაჩვენებლების შედეგად გარკვეულ დროის დიაპაზონში და უზრუნველყოფს, რომ ამოქმედდეს სებ-ის მოკლევადიანი ლიკვიდურობის მაჩვენებლის ლიმიტები. თიბისი ბანკი ასევე ახორციელებს ლიკვიდურობის შედეგების სტრეს-ტესტს სებ-ის მიერ განსაზღვრულ დიდი მოკუური სცენარების საშუალებით.

წმინდა სტაბილური დაფინანსების კოეფიციენტი გამოიყენება გრძელვადიანი ლიკვიდურობის რისკის მართვისთვის, რათა ხელი შეუწყოს სტაბილურობას უფრო ხანგრძლივი დროის მანძილზე თიბისი ბანკისთვის დამატებითი სტიმულირებისთვის, საიმისოდ რომ მუდმივად დაეყრდნოს უფრო სტაბილურ დაფინანსების წყაროებს. თიბისი ბანკი ასევე განსაზღვრავს დეპოზიტის კონცენტრაციის ლიმიტებს უფრო დიდი დეპოზიტებისთვის და არაქართველი რეზიდენტების დეპოზიტებისთვის თავის სადეპოზიტო პორტფელში.

წმინდა სტაბილური დაფინანსების კოეფიციენტი გაანგარიშდება ფასს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დაყრდნობით. გარდა ამისა, შიდა მიზნებისთვის, თიბისი ბანკი ამ კოეფიციენტს ითვლის სებ-ისთვის მომზადებულ ფინანსური ანგარიშგების მიხედვით.

35 ფინანსური და სხვა რისკის მართვა გაგრძელება

ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ ძლიერი და დივერსიფიცირებული დაფინანსების სტრუქტურა არის თიბისი ბანკის ერთერთი დიფერენციატორი. ბანკი ეფუძნება შედარებით სტაბილურ დეპოზიტებს საქართველოდან, როგორც დაფინანსების მთავარი წყაროდან. ვალდებულების სტრუქტურის შენარჩუნებისა და შემდგომი სტრუქტურისთვის თიბისი ბანკმა თავის სტრატეგიაში განსაზღვრა საცალო დეპოზიტების მიზნები და განსაზღვრა სესხის დეპოზიტთან შეფარდების ლიმიტები.

სესხის დეპოზიტთან შეფარდება (განსაზღვრული როგორც წმინდა სესხების მთლიანი ღირებულება გაყოფილი დეპოზიტების მთლიან ღირებულებაზე) 2018, 2017 და 2016 წლების 31 დეკემბრისთვის შესაბამისად არის 106.3%, 106.3% და 110.5%.

ბაზრის ლიკვიდურობის რისკი არის რისკი, რომელსაც თიბისი ბანკი ადვილად ვერ ჩათვლის ან აღმოფხვრის იმ დროისთვის არსებული საბაზრო ფასით, არაადეკვატური საბაზრო სიღრმის ან ბაზრის წონასწორობის დარღვევის გამო. ბაზრის ლიკვიდურობის რისკის მართვისთვის თიბისი ბანკი ასრულებს ბაზელ III-ის სახელმძღვანელო მითითებებს მაღალ-ხარისხიან ლიკვიდურობის აქტივების მართლზომიერებასთან დაკავშირებით, რათა გარანტირებული იყოს რომ ბანკის მაღალ-ხარისხიანი ლიკვიდური აქტივები შეიძლება გაიყიდოს ისე, რომ არ გამოიწვიოს ფასის მნიშვნელოვანი ცვლილება და უზრუნველყოს ღირებულების მინიმალური დანაკარგი.

გარდა ამისა თიბისი ბანკს აქვს **ლიკვიდურობის საგანგებო ღონისძიებების გეგმა**, რომელიც წარმოადგენს თიბისი-ს მთლიანი გონივრული ლიკვიდურობის პოლიტიკის ნაწილს და მისი მიზანია უზრუნველყოს, რომ თიბისი ბანკმა შეძლოს მისი დაფინანსების და ლიკვიდურობის მოთხოვნების შესრულება და მისი ძირითადი ბიზნეს ოპერაციების განხორციელება იმ ლიკვიდურობის პირობებში, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას მისი ჩვეული საქმიანობის მიღმა.

ბანკი აფასებს ლიკვიდურობის კოეფიციენტს ყოველდღიურად სებ-ის მოთხოვნების შესაბამისად.

ლიკვიდურობის კოეფიციენტი: ეს ლიმიტი განისაზღვრება სებ-ის მიერ საშუალო ლიკვიდურობის კოეფიციენტთან დაკავშირებით, რომელიც ფასდება როგორც შესაბამის თვეში საშუალო ლიკვიდური აქტივების საშუალო ვალდებულებებთან შეფარდება, მათ შორის ფინანსური დაწესებულებებიდან სესხები, და არასაბალანსო ვალდებულებების რომელთა წარჩენი ვადა არის 6 თვემდე.

სებ-ის LCR გამოითვლება კვალიფიციური ლიკვიდური აქტივების მითითებით, რომლებიც დაყოფილია სებ-ის გაიდლაინებით განსაზღვრული 30-დღიანი სახსრების წმინდა გადინების მიხედვით. ეს ლიმიტი განისაზღვრა სებ-ის მიერ საერთო LCR შესაბამისად ასევე ვალუტის მიხედვით (ლარი, FX). ლარიზაციის ხელშეწყობისთვის საქართველოში, სები განსაზღვრავს უფრო დაბალ ლიმიტს ლარის LCR-თვის, - FX LCR-თან შედარებით. გარდა ამისა, სებ-ის სავალდებულო მარეგულირებელი რეზერვები უცხოურ ვალუტაში განიხილება მხოლოდ 75%-ით LCR გამოთვლის მიზნებისთვის. სებ-ის გაიდლაინები ითვალისწინებს უფრო მაღალ ამორების კოეფიციენტებს დეპოზიტებთან და ბალანსგარეშე ინსტრუმენტებთან დაკავშირებით, რაც დამოკიდებულია კლიენტის ჯგუფის კონცენტრაციაზე და არა ბაზელი III მოთხოვნებით განსაზღვრულ კოეფიციენტებზე.

31 დეკემბრისთვის ეს კოეფიციენტები აღემატებოდა სებ-ის მიერ განსაზღვრულ ქვემოთ წარმოდგენილ გონივრულ ლიმიტს:

| | 2018 | 2017 | 2016 |
|---|---------------|--------|-------|
| საშუალო ლიკვიდურობის კოეფიციენტი | 33.3% | 32.5% | 30.8% |
| მთლიანი ლიკვიდურობის დაფარვის კოეფიციენტი | 113.9% | 112.7% | - |
| ლარში ლიკვიდურობის დაფარვის კოეფიციენტი | 102.5% | 95.6% | - |
| უცხოურ ვალუტაში ლიკვიდურობის დაფარვის კოეფიციენტი | 121.1% | 122.9% | - |

ყოველდღიური ფულადი ნაკადების, და ლიკვიდურობის მდგომარეობაში ნამეტის პროგნოზების შესაბამისად, სასაზინო დეპარტამენტი განათავსებს სახსრებს მოკლევადიან ლიკვიდურ აქტივებში, რომელიც ძირითადად შედგება მოკლევადიანი არა რისკიანი ფასიანი ქვალდებისგან, ბანკთაშორის დეპოზიტებისა და სხვა ბანკთაშორისი კრედიტებისგან, რაც უზრუნველყოფს მთლიანობაში ჯგუფში საკმარისი ლიკვიდურობის შენარჩუნებას.

დაფარვის ვადების ანალიზი. ქვემოთ ცხრილი აჯამებს 2018 წლის 31 დეკემბრისთვის ჯგუფის ფინანსური ვალდებულებების ვადებში დაფარვის ანალიზს კონტრაქტით გათვალისწინებული არადისკონტირებული დარჩენილი ვალდებულებების საფუძველზე. შეტყობინებას დაქვემდებარებული თანხის დაბრუნება უნდა მოხდეს მყისიერი შეტყობინების საფუძველზე. თუმცა, ჯგუფი მოელის, რომ ბევრი კლიენტი არ მოითხოვს თანხის დაბრუნებას იმაზე ადრე, ვიდრე ამის გაკეთება შეუძლია ჯგუფს და ეს ცხრილი არ ასახავს მოსალოდნელი ფულადი სახსრების ნაკადებს, რომელიც ასახულია ჯგუფის დეპოზიტის ჩაბრუნების ისტორიაში.

35 ფინანსური და სხვა რისკის მართვა **გამრქელება**

ფინანსური ვალდებულებების დაფარვის ვადების ანალიზი 2018 წლის 31 დეკემბრისთვის შემდეგია:

| ათას ლარში | 3 თვეზე ნაკლები | 3 თვიდან 12 თვემდე | 12 თვიდან 5 წლამდე | 5 წელზე მეტი | სულ |
|---|--------------------|-----------------------|-----------------------|------------------|-------------------|
| ვალდებულებები | | | | | |
| სახსრები საკრედიტო დაწესებულებებში | 950,084 | 372,517 | 1,909,587 | 187,454 | 3,419,642 |
| კლიენტის ანგარიშები – ფიზიკური პირები | 3,152,851 | 1,408,710 | 628,831 | 27,397 | 5,217,789 |
| კლიენტის ანგარიშები – სხვა | 3,821,862 | 208,250 | 137,274 | 195,007 | 4,362,393 |
| სხვა ფინანსური ვალდებულებები | 72,399 | 5,806 | - | - | 78,205 |
| სუბორდინირებული ვალი | 5,573 | 71,519 | 415,090 | 588,197 | 1,080,379 |
| გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები | 366 | 13,847 | - | - | 14,213 |
| მთლიანი დაფარული ფორვარდები | 567,259 | 16,008 | - | - | 583,267 |
| შესრულების გარანტიები | 119,994 | 349,354 | 671,333 | 55,166 | 1,195,847 |
| ფინანსური გარანტიები | 105,973 | - | - | - | 105,973 |
| სხვა საკრედიტო საზთან დაკავშირებული ვალდებულებები | 769,863 | - | - | - | 769,863 |
| სულ ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული პოტენციური მომავალი გადახდები | 9,566,224 | 2,446,011 | 3,762,115 | 1,053,221 | 16,827,571 |

ფინანსური ვალდებულებების დაფარვის ვადების ანალიზი 2017 წლის 31 დეკემბრისთვის შემდეგია:

| ათას ლარში | 3 თვეზე ნაკლები | 3 თვიდან 12 თვემდე | 12 თვიდან 5 წლამდე | 5 წელზე მეტი | სულ |
|---|--------------------|-----------------------|-----------------------|-----------------|-------------------|
| ვალდებულებები | | | | | |
| სახსრები საკრედიტო დაწესებულებებში | 1,142,865 | 418,613 | 1,167,970 | 151,417 | 2,880,865 |
| კლიენტის ანგარიშები – ფიზიკური პირები | 2,532,039 | 1,378,835 | 522,104 | 40,727 | 4,473,705 |
| კლიენტის ანგარიშები – სხვა | 3,068,027 | 192,852 | 133,236 | 80,976 | 3,475,091 |
| სხვა ფინანსური ვალდებულებები | 75,081 | 4,433 | 260 | - | 79,774 |
| სუბორდინირებული ვალი | 5,060 | 74,191 | 198,042 | 346,703 | 623,996 |
| გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები | 504 | 8,814 | 13,687 | - | 23,005 |
| მთლიანი დაფარული ფორვარდები | 176,822 | 5,509 | - | - | 182,331 |
| შესრულების გარანტიები | 55,928 | 241,460 | 306,788 | 8,135 | 612,311 |
| ფინანსური გარანტიები | 248,882 | - | - | - | 248,882 |
| სხვა საკრედიტო საზთან დაკავშირებული ვალდებულებები | 728,178 | - | - | - | 728,178 |
| სულ ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული პოტენციური მომავალი გადახდები | 8,033,386 | 2,324,707 | 2,342,087 | 627,958 | 13,328,138 |

ფინანსური ვალდებულებების დაფარვის ვადების ანალიზი 2016 წლის 31 დეკემბრისთვის შემდეგია:

| ათას ლარში | 3 თვეზე ნაკლები | 3 თვიდან 12 თვემდე | 12 თვიდან 5 წლამდე | 5 წელზე მეტი | სულ |
|---|--------------------|-----------------------|-----------------------|-----------------|-------------------|
| ვალდებულებები | | | | | |
| სახსრები საკრედიტო დაწესებულებებში | 837,189 | 310,447 | 1,103,959 | 168,271 | 2,419,866 |
| კლიენტის ანგარიშები – ფიზიკური პირები | 2,147,014 | 1,284,067 | 360,609 | 39,578 | 3,831,268 |
| კლიენტის ანგარიშები – სხვა | 2,287,043 | 238,551 | 134,293 | 74,180 | 2,734,067 |
| სხვა ფინანსური ვალდებულებები | 46,464 | 2,545 | 1,144 | - | 50,153 |
| სუბორდინირებული ვალი | 4,853 | 29,510 | 238,224 | 360,551 | 633,138 |
| გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები | 616 | 6,584 | 22,745 | - | 29,945 |
| მთლიანი დაფარული ფორვარდები | 16,084 | 3,641 | 369 | - | 20,094 |
| შესრულების გარანტიები | 60,552 | 154,616 | 210,595 | 845 | 426,608 |
| ფინანსური გარანტიები | 271,102 | - | - | - | 271,102 |
| სხვა საკრედიტო საზთან დაკავშირებული ვალდებულებები | 449,110 | - | - | - | 449,110 |
| სულ ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული პოტენციური მომავალი გადახდები | 6,120,027 | 2,029,961 | 2,071,938 | 643,425 | 10,865,351 |

35 ფინანსური და სხვა რისკის მართვა გაგრძელება

არადისკონტირებული ფინანსური ვალდებულებების ანალიზი არ ასახავს მიმდინარე ანგარიშების ისტორიულ სტაბილურობას. მათი ლიკვიდაცია ისტორიულად მოხდა იმაზე გაცილებით დიდი ხნის წინ, ვიდრე ეს წარმოდგენილია ზემოთ ცხრილში. ეს ნაშთები ზემოთ ცხრილში შეტანილია სამ თვეზე ნაკლებ ვადაში დასაფარ თანხებში.

კლიენტის ანგარიშებში შეტანილი ვადიანი დეპოზიტები კლასიფიცირებულია კონტრაქტით გათვალისწინებული დაფარვის ვადების მიხედვით, თუმცა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, ფიზიკურ პირებს აქვთ უფლება გამოიტანონ თავიანთი დეპოზიტები მათი გადახდის ვადის დადგომამდე, თუ ისინი ნაწილობრივ ან მთლიანად უარს იტყვიან დაგროვილ პროცენტზე და ჯგუფი ვალდებულია დააბრუნოს ასეთი დეპოზიტი შენახვის მოთხოვნისთანავე. ისტორიულ გამოცდილებასთან ერთად, მენეჯმენტი ვარაუდობს, რომ ბევრი კლიენტი არ მოითხოვს თანხის დაბრუნებას ვადაზე ადრე და შესაბამისად, ცხრილი არ ასახავს ხელმძღვანელობის დამოკიდებულებას ბანკის მიერ მითითებულ დეპოზიტის შეკავების ისტორიის ფაქტობრივი ფულადი სახსრების ნაკადებისადმი.

ჯგუფი არ იყენებს ზემოთ მითითებულ არადისკონტირებული ფინანსური ვალდებულებების ანალიზს ლიკვიდურობის მართვის მიზნით. სანაცვლოდ ჯგუფი აკონტროლებს ლიკვიდურობის დეფიციტის ანალიზს დაფარვის მოსალოდნელი ვადის საფუძველზე. კერძოდ, კლიენტების დეპოზიტები განაწილებულია მოცემულ დაფარვის ვადებში წყვეტას შორის მათი ბიჰევიორული ანალიზის შესაბამისად.

მოსალოდნელი პოზიცია შეიძლება შეჯამდეს 2018 წლის 31 დეკემბრისთვის შემდეგნაირად:

| ათას ლარში | 3 თვეზე ნაკლები | 3 თვიდან 12 თვემდე | 1-დან 5 წლამდე | 5 წელზე მეტი | სულ |
|--|--------------------|-----------------------|-------------------|--------------------|-------------------|
| აქტივები | | | | | |
| ფული და ფულის ექვივალენტები | 1,164,403 | - | - | - | 1,164,403 |
| სახსრები სხვა ბანკებში | 25,471 | 8,075 | 3,838 | - | 37,384 |
| სავალდებულო სალარო ნაშთები საქართველოს ეროვნულ ბანკში | 1,422,809 | - | - | - | 1,422,809 |
| კლიენტებზე გაცემული კრედიტები და ავანსები | 1,090,521 | 2,056,149 | 4,152,436 | 2,739,346 | 10,038,452 |
| გასაყიდად არსებული საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები | 1,005,239 | - | - | - | 1,005,239 |
| ამორტიზირებული ღირებულებით აღრიცხული სავალო ფასიანი ქაღალდები | 118,989 | 92,877 | 368,843 | 72,994 | 653,703 |
| ფინანსური ლიზინგის დებიტორული დავალიანებები | 31,134 | 56,432 | 113,087 | 3,149 | 203,802 |
| სხვა ფინანსური აქტივები | 132,270 | 20,325 | 1,664 | - | 154,259 |
| სულ ფინანსური აქტივები | 4,990,836 | 2,233,858 | 4,639,868 | 2,815,489 | 14,680,051 |
| ვალდებულებები | | | | | |
| სახსრები საკრედიტო დაწესებულებებში | 933,513 | 271,993 | 1,653,575 | 172,424 | 3,031,505 |
| კლიენტის ანგარიშები | 1,007,472 | 129,666 | - | 8,307,608 | 9,444,746 |
| გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები | 112 | 13,231 | - | - | 13,343 |
| სხვა ფინანსური ვალდებულებები | 72,399 | 5,806 | - | - | 78,205 |
| სუბორდინირებული ვალი | 3,049 | 23,245 | 182,986 | 441,639 | 650,919 |
| სულ ფინანსური ვალდებულებები | 2,016,545 | 443,941 | 1,836,561 | 8,921,671 | 13,218,718 |
| საკრედიტო ხაზთან დაკავშირებული ვალდებულებები და შესრულების გარანტიები | | | | | |
| შესრულების გარანტიები | 4,393 | - | - | - | 4,393 |
| ფინანსური გარანტიები | 5,424 | - | - | - | 5,424 |
| სხვა საკრედიტო ხაზთან დაკავშირებული ვალდებულებები | 103,029 | - | - | - | 103,029 |
| საკრედიტო ხაზთან დაკავშირებული ვალდებულებები და შესრულების გარანტიები | 112,846 | - | - | - | 112,846 |
| წმინდა ლიკვიდურობის პოზიცია 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით | 2,861,445 | 1,789,917 | 2,803,307 | (6,106,182) | 1,348,487 |
| კუმულატიური პოზიცია 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით | 2,861,445 | 4,651,362 | 7,454,669 | 1,348,487 | |

ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ ჯგუფს აქვს საკმარისი ლიკვიდურობა, რომ შეასრულოს მიმდინარე არასაბალანსო და საბალანსო ვალდებულებები.

35 ფინანსური და სხვა რისკის მართვა გაგრძელება

მოსალოდნელი პოზიცია შეიძლება შეჯამდეს 2016 წლის 31 დეკემბრისთვის შემდეგნაირად:

| ათას ლარში | 3 თვეზე ნაკლები | 3 თვიდან 12 თვემდე | 1-დან 5 წლამდე | 5 წელზე მეტი | სულ |
|--|--------------------|-----------------------|-------------------|--------------------|-------------------|
| აქტივები | | | | | |
| ფული და ფულის ექვივალენტები | 944,767 | - | - | - | 944,767 |
| სასრები სხვა ბანკებში | 4,416 | 4,312 | 5,541 | 9,555 | 23,824 |
| სავალდებულო სალარო ნაშთები საქართველოს ეროვნულ ბანკში | 990,642 | - | - | - | 990,642 |
| კლიენტებზე გაცემული კრედიტები და ავანსები | 1,119,128 | 1,481,095 | 2,949,227 | 1,584,252 | 7,133,702 |
| გასაყიდად არსებული საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები | 430,703 | - | - | - | 430,703 |
| ამორტიზირებული ღირებულებით აღრიცხული სავალო ფასიანი ქაღალდები | 123,763 | 94,250 | 128,201 | 26,742 | 372,956 |
| ფინანსური ლიზინგის დებიტორული დავალიანებები | 18,770 | 30,600 | 45,661 | - | 95,031 |
| სხვა ფინანსური აქტივები | 63,484 | 8,709 | 19,702 | - | 91,895 |
| სულ ფინანსური აქტივები | 3,695,673 | 1,618,966 | 3,148,332 | 1,620,549 | 10,083,520 |
| ვალდებულებები | | | | | |
| სასრები საკრედიტო დაწესებულებებში | 796,547 | 260,046 | 988,857 | 154,526 | 2,199,976 |
| კლიენტის ანგარიშები | 724,083 | 154,672 | - | 5,582,827 | 6,461,582 |
| გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები | 145 | 5,277 | 18,086 | - | 23,508 |
| სხვა ფინანსური ვალდებულებები | 46,464 | 2,545 | 1,144 | - | 50,153 |
| სუბორდინირებული ვალი | 3,333 | 4,893 | 125,174 | 234,981 | 368,381 |
| სულ ფინანსური ვალდებულებები | 1,570,572 | 427,433 | 1,133,261 | 5,972,334 | 9,103,600 |
| საკრედიტო ხაზთან დაკავშირებული ვალდებულებები და შესრულების გარანტიები | | | | | |
| შესრულების გარანტიები | 2,635 | - | - | - | 2,635 |
| ფინანსური გარანტიები | 8,049 | - | - | - | 8,049 |
| სხვა საკრედიტო ხაზთან დაკავშირებული ვალდებულებები | 45,854 | - | - | - | 45,854 |
| საკრედიტო ხაზთან დაკავშირებული ვალდებულებები და შესრულების გარანტიები | 56,538 | - | - | - | 56,538 |
| წმინდა ლიკვიდურობის პოზიცია 2016 წლის 31 დეკემბერს | 2,068,563 | 1,191,533 | 2,015,071 | (4,351,785) | 923,382 |
| კუმულატიური პოზიცია 2016 წლის 31 დეკემბერს | 2,068,563 | 3,260,096 | 5,275,167 | 923,382 | |

იმისთვის, რომ შეფასდეს ბანკის კლიენტის ანგარიშებიდან შესაძლო გადინება, ხელმძღვანელობამ გამოიყენა რისკის ეკონომიკური ღირებულების ანალიზი (VAR). რისკის ეკონომიკური ღირებულების ანალიზი (VAR) 2018 წლის დეკემბრისთვის შეადგენდა 10.9%-ს (2017: 12.3%, 2016: 13,6%). სტატისტიკური მონაცემები გამოყენებული იყო ხუთ წლიან საანგარიშო პერიოდისთვის ერთ თვიანი ფლობის პერიოდის საფუძველზე 99%-იანი ნდობის დონით. რისკის ეკონომიკური ღირებულების ანალიზი განხორციელდა შემდეგ დაფარვის ვადებში: [0-1 თვე], [0-3 თვე], [0-6 თვე] და [0-12 თვე], რომლის საფუძველზეც გაანგარიშდა დეპოზიტების გადინების მაქსიმალური პროცენტული მაჩვენებელი.

ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ მოთხოვნილი კლიენტის ანგარიშების არსებითი პოზიციის მიუხედავად, ამ დეპოზიტების დივერსიფიკაცია მენაბრეთა რაოდენობისა და ტიპის მიხედვით, და ჯგუფის ძველი გამოცდილება, მიუთითებს იმაზე, რომ კლიენტის ეს ანგარიშები უზრუნველყოფს ბანკისთვის დაფინანსების გრძელვადიან და სტაბილურ წყაროს. უფრო მეტიც, ჯგუფის ლიკვიდურობის რისკის მართვა მოიცავს მისი მიმდინარე დეპოზიტების დაფარვის ვადების შეფასებებს. ეს შეფასება ემყარება კლიენტის ანგარიშზე ნაშთების მერყეობის შესახებ ისტორიული ინფორმაციის მიმართ გამოყენებულ სტატისტიკურ მეთოდს.

35 ფინანსური და სხვა რისკის მართვა გამრქელება

საოპერაციო გარემო. ჯგუფის ბიზნესის დიდი ნაწილი კონცენტრირებულია საქართველოში. მზარდი ეკონომიკის მქონე ქვეყნები, როგორცაა საქართველოს ეკონომიკა, სწრაფ ცვლილებებს განიცდის და მგრძობიარენი არიან საბაზრო პირობების ცვლილებისა და მსოფლიოს ნებისმიერ ადგილას ეკონომიკური ვარდნების მიმართ. ამის შედეგად ოპერაციები საქართველოში შეიძლება გარკვეული რისკების წინაშე აღმოჩნდეს, რომლებიც ჩვეულებრივ არ აქვთ ხოლმე განვითარებული ეკონომიკის მქონე ქვეყნებს. მიუხედავად ამისა, ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში საქართველოს მთავრობამ განახორციელა რიგი საკანონმდებლო ცვლილებები, სამოქალაქო, სისხლის სამართლის, საგადასახადო, ადმინისტრაციული და სავაჭრო რეფორმები, რამაც დადებითი გავლენა მოახდინა ქვეყანაში საინვესტიციო გარემოზე. დღესდღეობით, საქართველოს აქვს როგორც ხელსაყრელი საინვესტიციო კლიმატის მქონე ქვეყნის საერთაშორის რეპუტაცია. მაგალითად, საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის (IFC) და მსოფლიო ბანკის ანგარიშში 2019 წელს "Doing Business" რეიტინგში საქართველოს მიენიჭა მე-6 ადგილი (190 ქვეყნიდან) როგორც ქვეყანას, სადაც ბიზნესის კეთება ადვილია წინა წლის რეიტინგთან შედარებით 7 საფეხურით მეტი. რითაც მან გაუსწრო ყველა თავის მეზობელ ქვეყანას და ბევრ ევროკავშირის წევრ ქვეყანას. რამდენიმე საერთაშორისო ინსტიტუტის გამოკითხვის მიხედვით საქართველოში დაბალია კორუფციის დონე, დაბალია საგადასახადო ტვირთი, მისი ინსტიტუტები გამოირჩევა მაღალი გამჭვირვალობით. ეკონომიკური გარემოს გაუმჯობესებასთან ერთად საბანკო სექტორი ზრდას განაგრძობს, ფართო მაკროეკონომიკური სტაბილურობის და მიმზიდველი ბიზნეს გარემოს მხარდაჭერით. ძლიერი მაკროეკონომიკური მაჩვენებლების, შემოდინებების დივერსიფიცირებული წყაროების და გონივრული მაკროეკონომიკური პოლიტიკის შედეგად, 2019 წლის 22 თებერვალს Fitch Ratings სააგენტომ გააუმჯობესა საქართველოს სუვერენული საკრედიტო რეიტინგი BB-' -დან 'BB' სტაბილური პროგნოზით.

მშპ-ს ზრდა წინა წელთან შედარებით იყო 4.8% 2018 წელს, საქსტატის თავდაპირველი შეფასებების მიხედვით. ზრდა შეეხო ეკონომიკის სხვადასხვა სექტორს. 9 თვიანი კვარტალურად გაცემული მაჩვენებლების საფუძველზე, 4.8% მაღალი დამატებული ღირებულება, წინა წელთან შედარებით, ძირითადად განპირობებული იყო ვაჭრობით და რემონტის (+5.7% წინა წელთან შედარებით), უძრავი ქონების (+12.7% წინა წელთან შედარებით), ტრანსპორტის და კომუნიკაციების (+6.8% წინა წელთან შედარებით), ფინანსური შუამავლობის (+15.8% წინა წელთან შედარებით), სასტუმროების და რესტორნების (+7.3% წინა წელთან შედარებით) სექტორების ზრდით. სამშენებლო სექტორი შემცირდა 3.8%-ით წინა წელთან შედარებით იმავე პერიოდში, რაც ასახავს განსაკუთრებულ გარემოებებს, რომელიც უკავშირდება რამდენიმე მსხვილ-მასშტაბიან ინფრასტრუქტურულ პროექტს, ასევე შემცირდა სახელმწიფო ხარჯები.

ექსპორტის, ტურიზმის და ფულადი გადმორიცხვების ზრდა მყარი დარჩა 2018 წლის 1 ნახევარში (+26.4% წინა წელთან შედარებით - აშშ დოლარში). თურქეთში ეკონომიკური სირთულეების, ირანზე სანქციების დაწესების და RUB სისუსტის შესაბამისად, შემოდინებების ზრდა შენედა 2018 წლის მეორე ნახევარში (+14.6% წინა წელთან შედარებით), თუმცა მაინც მყარი დარჩა. მთლიანად 2018 წლის განმავლობაში, საერთო შემოდინებების ზრდამ შეადგინა 19.4 % წინა წელთან შედარებით. მიმდინარე ანგარიშის ხალანსი კვლავ უმჯობესდება. ბოლო ოთხი კვარტლის განმავლობაში, რომელიც სრულდება 2018 წლის მე-3 კვარტალში, მიმდინარე ანგარიშის (CA) დეფიციტი მშპ-ს 8.3%-ს შეადგენდა, 2017 წლის 8.8% მაჩვენებელთან შედარებით. მიმდინარე ანგარიშის (CA) დეფიციტის გაუმჯობესება ძირითადად ასახავს რამდენიმე ფაქტორს, მათ შორის საგარეო შემოდინებების დადებით ტენდენციას, FDI დაკავშირებული იმპორტების ნორმალიზაციას, ასევე დაბალ საბიუჯეტო ხარჯს. გაუმჯობესების ტენდენციის და მყარი სეზონური ეფექტის შედეგად, 2018 წლის მე-3 კვარტალში მიმდინარე ანგარიში (CA) გახდა დადებითი მშპ-ს 0.3%-ზე.

FDI შემოდინებები შემცირდა 27.2%-ით წინა წელთან შედარებით 9 თვის განმავლობაში 2018 წელს, რაც ძირითადად ასახავს ერთგვარად ოპერაციას BP-ს სამხრეთ კავკასიური მილსადენის გაგრძელების პროექტის დასრულებასთან დაკავშირებით [1] სექტორების პოზიციიდან, შემცირება ძირითადად გამოიხატა ტრანსპორტისა და კომუნიკაციის (-70.6% წინა წელთან შედარებით) და სამშენებლო სექტორებში, ორივე მათგანი აიხსნება ზემოხსენებული BP-ს პროექტის დასრულებით. FDI შემოდინებები ასევე შემცირდა უძრავი ქონების (-47.8% წინა წელთან შედარებით) და სატუმროების და რესტორნების (-11.1% წინა წელთან შედარებით) სექტორში. ამავდროულად, FDI შემოდინებები გაიზარდა წარმოებაში (+61.2% წინა წელთან შედარებით), სამთო (+38.1% წინა წელთან შედარებით), ფინანსურ (+31.1% წინა წელთან შედარებით) და ენერჯო (+30.1% წინა წელთან შედარებით) სექტორებში. FDI შემოდინებები რჩება დაფინანსების მთავარ წყაროდ CA დეფიციტისთვის.

ფისკალური პოლიტიკა დარჩა ხისტი წლის განმავლობაში. მიუხედავად იმისა, რომ ბიუჯეტის დეფიციტი შეადგენდა მშპს 2.6%-ს 2018 წელს, ხარჯი კონცენტრირებული იყო ძირითადად წლის ბოლოს და ასახავდა ავანსის გადახდებს ინფრასტრუქტურულ პროექტებზე. ხარჯის სრული ზემოქმედება ზრდაზე მატერიალიზდება მოგვიანებით მომავალ თვეებში მაქსიმალური ეფექტით სავარაუდოდ 2019 წლის მე-2 კვარტალში.

[1] https://www.bp.com/en_ge/bp-georgia/about-bp/bp-in-georgia/south-caucasus-pipeline--scp-.html

35 ფინანსური და სხვა რისკის მართვა გაგრძელება

საკრედიტო პორტფელის ზრდა მყარი დარჩა 2018 წელს, ბანკის საერთო საკრედიტო პორტფელი გაფართოვდა 17.2%-ით წინა წელთან შედარებით, მუდმივი გაცვლითი კურსით. კრედიტის გაცემა დინამიური იყო ბიზნესის, ასევე საცალო სეგმენტებში, თუმცა აღსანიშნავი იყო არა-იპოთეკური საცალო კრედიტორების მკვეთრი კლება, 2018 წლის მაისში უზრუნველყოფის გარეშე კრედიტირებაზე რეგულაციის შემოღების შემდეგ.

სამომხმარებლო ფასების წლიური ინფლაცია შეადგენდა დაახლოებით მიზნობრივ დონეს - 3%-ს 2018 წელს, 4.3%-ს იანვარში და თანდათან შემცირდა 1.5%-მდე 2018 წლის ბოლოს. სებ-მა შეამცირა მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი 0.25 პროცენტული პუნქტით, 7.25%-დან 7.00%-მდე 2018 წლის ივლისში. ცენტრალურმა ბანკმა 2019 წელსაც გააგრძელა მონეტარული პოლიტიკის ნორმალიზაცია, მონეტარული პოლიტიკის განაკვეთის შემცირებით 0.25 პროცენტული პუნქტით, - 6.75%-მდე 2019 წლის იანვარში. მონეტარული პოლიტიკის კომიტეტის ბოლო კრების შემდეგ განცხადების შესაბამისად, სებ-ი სავარაუდოდ გააგრძელებს საკრედიტო-ფულადი პოლიტიკის პოზიციის ნორმალიზებას ნაბიჯ-ნაბიჯ, რაც დამოკიდებულია შიდა მოთხოვნაზე, ასევე გარე სექტორის განვითარებაზე.

გაზრდილი შემოდინებების, ნავთობის დაბალი ფასების და შესაძლო სუსტი შიდა მოთხოვნის ფონზე, სებ-მა გააგრძელა საერთაშორისო რეზერვების შევსება და შეისყიდა 65 მლნ აშშ დოლარი დეკემბერში, რაც იმავე თვის მშპ-ს შეფასებულ 4.0%-ს შეადგენს. მთლიანობაში, 2018 წელს სებ-მა განახორციელა 17 ინტერვენცია და შეისყიდა 197.5 მლნ აშშ დოლარი - მშპ-ს შეფასებული 1.2%.

რაც შეეხება გაცვლით კურსს, 2018 წლის დეკემბრის ბოლოს ნომინალური სავალუტო კურსი შესუსტდა აშშ დოლართა მიმართებით 3.3%-ით წინა წელთან შედარებით და გამყარდა ევროსთან მიმართებით 1.1%-ით წინა წელთან შედარებით. იმავე პერიოდში, ლარის ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსი გამყარდა 8.0%-ით, ხოლო რეალური ეფექტური გაცვლითი კურსის ზრდამ შეადგინა 4.6%.

36 კაპიტალის მართვა გაგრძელება

ბანკის აქტივების დანაწილება საბალანსო ღირებულებით სებ-ის სააღრიცხვო წესების საფუძველზე და 2017 წლის 31 დეკემბრისთვის შესაბამისი რისკის მიხედვით შეწონილი აქტივები წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ ცხრილებში:

| ათას ლარში | 2018 | |
|---|----------------------|-----------------------------------|
| | საბალანსო ღირებულება | რისკის მიხედვით შეწონილი მოცულობა |
| ფული, ფულის ექვივალენტები, ბანკთაშორის რისკები და ფასიანი ქაღალდები | 4,181,199 | 1,625,289 |
| სულ სესხები და დარიცხული პროცენტები, , | 9,206,646 | 7,203,609 |
| დასაკუთრებული აქტივები | 46,755 | 46,755 |
| ფიქსირებული აქტივები და არამატერიალური აქტივები | 508,582 | 287,403 |
| სხვა აქტივები | 1,428,945 | 1,639,128 |
| გამოკლებული საერთო რეზერვი, საურავის და პროცენტის რეზერვი | (37,705) | (37,705) |
| სულ | 15,334,422 | 10,764,479 |
| სულ არა საბალანსო | 2,694,174 | 694,018 |
| საბაზრო რისკი | 179,381 | 179,381 |
| საოპერაციო რისკი | 809,063 | 1,516,993 |
| საბაზრო რისკი | 19,017,040 | 13,154,871 |

| ათას ლარში | 2017 | |
|---|----------------------|-----------------------------------|
| | საბალანსო ღირებულება | რისკის მიხედვით შეწონილი მოცულობა |
| ფული, ფულის ექვივალენტები, ბანკთაშორის რისკები და ფასიანი ქაღალდები | 3,510,760 | 1,275,017 |
| სულ სესხები და დარიცხული პროცენტები, , | 8,233,132 | 6,798,464 |
| დასაკუთრებული აქტივები | 58,530 | 58,530 |
| ფიქსირებული აქტივები და არამატერიალური აქტივები | 437,878 | 264,768 |
| სხვა აქტივები | 553,176 | 713,096 |
| გამოკლებული საერთო რეზერვი, საურავის და პროცენტის რეზერვი | (30,862) | (30,862) |
| სულ | 12,762,614 | 9,079,013 |
| სულ არა საბალანსო | 1,919,565 | 675,133 |
| საბაზრო რისკი | 28,802 | 28,802 |
| საოპერაციო რისკი | 517,462 | 970,241 |
| საბაზრო რისკი | 15,228,443 | 10,753,189 |

2016 წლის 31 დეკემბრისთვის სებ-ის ბაზელ II/III მოთხოვნების მიღების შემდეგ ბანკი ზემოთ მითითებული კაპიტალის საკმარისობის კოეფიციენტების გარდა, გაინაგარიშებს თავის კაპიტალის საკმარისობის მოთხოვნებს და რისკის მიხედვით შეწონილ აქტივებს ცალკე 1 კომპონენტისთვის. 1 კომპონენტის შეფასებების დეტალური ინტრუქციები წარმოდგენილია სებ-ის მიერ. ანგარიშგება დაიწყო 2013 წლის ბოლოდან. ბანკის კაპიტალის შემადგენლობა, რომელიც გამოთვლილია ბაზელ II-ის (კომპონენტის I) შესაბამისად შემდეგია:

| ათას ლარში | 2016 |
|---|-------------------|
| პირველადი კაპიტალი | 1,041,270 |
| მეორადი კაპიტალი | 380,751 |
| საზედამხედველო კაპიტალი | 1,422,021 |
| რისკ შეწონილი ზარალის რისკები | |
| საკრედიტო რისკის შეწონილი ზარალი | 9,399,140 |
| საბაზრო რისკების რისკ შეწონილი ზარალი | 45,689 |
| საოპერაციო რისკის რისკ შეწონილი ზარალი | 576,628 |
| სულ რისკ შეწონილი ზარალის რისკები | 10,021,457 |
| მინიმალური პირველადი კაპიტალის კოეფიციენტი | 8.5% |
| პირველადი კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი | 10.4% |
| მინიმალური მთლიანი კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი | 10.5% |
| მთლიანი კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი | 14.2% |

თიბისი ბანკის ჯგუფის ფინანსური ანგარიშგებაბის შენიშვნები **გაგრძელება**

36 კაპიტალის მართვა გაგრძელება

ბანკის აქტივების დანაწილება საბალანსო ღირებულებით სებ-ის საღირსეზო წესების საფუძველზე და 2018, 2017 და 2016 წლების შესაბამისი რისკის მიხედვით შეწონილი აქტივების წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ ცხრილებში:

| ათას ლარში რისკის მიხედვით შეწონილი აქტივები | 2018 | |
|---|-------------------------|--------------------------------------|
| | საბალანსო ღირებულება | რისკის მიხედვით შეწონილი მოცულობა |
| ფული და სხვა ფულის ექვივალენტები, სავალდებულო საღარო ნაშთი სებ-ში, სახსრები სხვა ბანკებში, FVOCI შეფასებული საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები. | 4,285,970 | 244,844 |
| სულ სესხები და დარიცხული პროცენტები, | 10,372,582 | 8,281,144 |
| დასაკუთრებული აქტივები | 124,643 | 124,643 |
| ფიქსირებული აქტივები და არამატერიალური აქტივები | 504,035 | 474,576 |
| სხვა აქტივები | 499,747 | 499,747 |
| სულ | 15,786,977 | 9,624,954 |
| სულ არა საბალანსო | 2,674,697 | 754,170 |
| მინუს: სესხის ზარალის რეზერვს გამოკლებული საერთო რეზერვი | (204,391) | (204,391) |
| საბაზრო რისკი | 210,916 | 210,916 |
| სულ თანხა | 18,468,199 | 10,385,649 |

| ათას ლარში რისკის მიხედვით შეწონილი აქტივები | 2017 | |
|---|-------------------------|--------------------------------------|
| | საბალანსო ღირებულება | რისკის მიხედვით შეწონილი მოცულობა |
| ფული და სხვა ფულის ექვივალენტები, სავალდებულო საღარო ნაშთი სებ-ში, სახსრები სხვა ბანკებში, FVOCI შეფასებული საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები. | 3,609,132 | 214,353 |
| სულ სესხები და დარიცხული პროცენტები, | 8,553,217 | 6,885,960 |
| დასაკუთრებული აქტივები | 116,809 | 116,809 |
| ფიქსირებული აქტივები და არამატერიალური აქტივები | 476,027 | 449,136 |
| სხვა აქტივები | 409,876 | 409,876 |
| სულ | 13,165,061 | 8,076,134 |
| სულ არა საბალანსო | 1,907,457 | 673,618 |
| მინუს: სესხის ზარალის რეზერვს გამოკლებული საერთო რეზერვი | (118,492) | (118,492) |
| საბაზრო რისკი | 40,803 | 40,803 |
| სულ თანხა | 14,994,829 | 8,672,063 |

| ათას ლარში რისკის მიხედვით შეწონილი აქტივები | 2016 | |
|---|-------------------------|--------------------------------------|
| | საბალანსო ღირებულება | რისკის მიხედვით შეწონილი მოცულობა |
| ფული და სხვა ფულის ექვივალენტები, სავალდებულო საღარო ნაშთი სებ-ში, სახსრები სხვა ბანკებში, FVOCI შეფასებული საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები. | 2,762,892 | 133,527 |
| სულ სესხები და დარიცხული პროცენტები, | 7,358,725 | 5,609,312 |
| დასაკუთრებული აქტივები | 90,873 | 90,873 |
| ფიქსირებული აქტივები და არამატერიალური აქტივები | 401,174 | 374,282 |
| სხვა აქტივები | 373,118 | 373,118 |
| სულ | 10,986,782 | 6,581,112 |
| სულ არა საბალანსო | 1,290,813 | 482,923 |
| მინუს: სესხის ზარალის რეზერვს გამოკლებული საერთო რეზერვი | (136,721) | (136,721) |
| საბაზრო რისკი | 46,484 | 46,484 |
| სულ თანხა | 12,187,358 | 6,973,798 |

37 პირობითი ვალდებულებები

სასამართლო პროცესები. რეზერვის დონის განსაზღვრისას სარჩელებთან დაკავშირებით ან თანხის განსაზღვრისას (რომელიც არ ექვემდებარება რეზერვირებას) რომელიც უნდა გამჟღავნდეს ფინანსურ ანგარიშგებაებში, ხელმძღვანელობა იყენებს შიდა და გარე პროფესიონალების კონსულტაციებს და მიიჩნევს რომ ფინანსურ ანგარიშგებაებში წარმოდგენილი რეზერვი არის ადეკვატური. ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ ეს ფინანსური ანგარიშგებები ადეკვატურია და თანხა არ უნდა გამჟღავნდეს, რადგან ის მნიშვნელოვან გავლენას ვერ მოახდენს ფინანსურ მდგომარეობაზე ან ჯგუფის მომავალ საოპერაციო შედეგებზე.

ბანკი არის მოპასუხე სასამართლო სარჩელში. არსებული სარჩელის რეზერვის განსაზღვრისას ხელმძღვანელობა იყენებს შიდა და გარე პროფესიონალების კონსულტაციებს და მიიჩნევს რომ ფინანსურ ანგარიშგებაებში წარმოდგენილი რეზერვი არის ადეკვატური. ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ ეს ფინანსური ანგარიშგებები ადეკვატურია და არ უნდა გამჟღავნდეს, რადგან ის მნიშვნელოვან უარყოფით გავლენას ვერ მოახდენს ფინანსურ მდგომარეობაზე ან ჯგუფის მომავალ საოპერაციო შედეგებზე.

საგადასახადო კანონმდებლობა. საქართველოსა და აზერბაიჯანის საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობა ექვემდებარება ხშირ სხვადასხვაგვარ ინტერპრეტაციასა და ცვლილებას. ჯგუფის ოპერაციებისა და საქმიანობის მიმართ გამოყენებული ასეთი კანონმდებლობის ხელმძღვანელობისეული ინტერპრეტაცია შეიძლება გაპროტესტდეს შესაბამისი ორგანოს მიერ. ფინანსური პერიოდები შეიძლება შემოწმდეს სახელისუფლებო ორგანოების მიერ გადასახადებთან დაკავშირებით შემოწმებამდე ხუთი კალენდარული წლის განმავლობაში. რისკებზე რეაგირების მიზნით, ჯგუფმა მოიწვია გარე საგადასახადო სპეციალისტები, რომლებიც პერიოდულად შეამოწმებენ ჯგუფის საგადასახადო პოლიტიკას და საგადასახადო დოკუმენტებს, ამის გამო ჯგუფის ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ შესაბამისი კანონმდებლობის მისეული ინტერპრეტაცია სწორია და ჯგუფის საგადასახადო და საბაჟო მდგომარეობები არ შეიცვლება. შესაბამისად 2018, 2017 და 2016 წლების 31 დეკემბერს პოტენციურ საგადასახადო ვალდებულებებთან დაკავშირებით რეზერვი არ ყოფილა დაფიქსირებული.

მოქმედი საიჯარო ვალდებულებები. როცა ჯგუფი არის მოიჯარე, 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, გაუქმებას არ დაქვემდებარებული საოპერაციო იჯარეების მომავალი მინიმალური საიჯარო გადახდების მოცულობა შემდეგი წლის განმავლობაში არის 6,844 ათასი ლარი (2017 წლის 31 დეკემბერს: 6,465 ათასი ლარი; 2016 წლის 31 დეკემბერს: 5,016 ათასი ლარი);

სახელშეკრულებო ვალდებულებებთან შესაბამისობა. ჯგუფი ექვემდებარება ძირითადად მის სესხებთან დაკავშირებულ გარკვეულ ვალდებულებებს. ასეთ ვალდებულებებთან შეუსაბამობამ შესაძლოა გამოიწვიოს ნეგატიური შედეგები ჯგუფისთვის, მათ შორის სესხების ხარჯის ზრდა და დეფოლტის გამოცხადება. 2017 წლის აპრილში ჯგუფმა დაარღვია უცხოური ფინანსური ინსტიტუტებისგან მიღებული სესხების ფარგლებში დაკისრებული ვალდებულება. 2017 წლის ივნისში ფინანსურმა ინსტიტუტებმა ჯგუფი გაათავისუფლა დაკისრებული ვალდებულებისგან, რომლითაც დარღვევა რეტროსპექტულად იქნა უარყოფილი. 2016 წლის 31 დეკემბრისთვის თიბისი კრედიტმა დაარღვია უცხოური ფინანსური ინსტიტუტებისგან მიღებული სესხების ფარგლებში ნაკისრი ვალდებულებები. დარღვევის მთავარი მიზეზი იყო აზერბაიჯანული მანათის სწრაფი გაუფასურება 2015 წლის თებერვალსა და დეკემბერში. ჯგუფმა შეასრულა ყველა სხვა ვალდებულება 2018 წლის 31 დეკემბრისთვის, 2017 წლის 31 დეკემბრისთვის და 2016 წლის 31 დეკემბრისთვის არსებული ყველა ვალდებულება.

საკრედიტო ხაზთან დაკავშირებული ვალდებულებები და ფინანსური გარანტიები. ამ ინსტრუმენტების მთავარი მიზანია მოთხოვნებისთანვე კლიენტებისთვის სახსრების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა. ფინანსური გარანტიები და სარეზერვო აკრედიტივი, რომელიც წარმოადგენს უპირობო გარანტიას, რომ ჯგუფი გადაიხდის თანხებს იმ შემთხვევაშიც, თუ კლიენტი ვერ შეასრულებს მესამე მხარეების მიმართ თავის ვალდებულებებს, რომლებსაც ისეთივე საკრედიტო რისკი აქვთ, რაც კრედიტებს. დოკუმენტური და კომერციული აკრედიტივი, ეს არის კლიენტის სახელით ჯგუფის მიერ აღებული წერილობითი ვალდებულებები, რომელიც უფლებას აძლევს ნებისმიერ მესამე მხარეს წაუსყენოს მოთხოვნები ჯგუფს შეთანხმებულ თანხამდე კონკრეტული პირობების შესაბამისად, უზრუნველყოფილია იმ განსაზღვრული საქონლის გადაზიდვით, რომელსაც ისინი უკავშირდება ან ფულადი სახსრების დეპოზიტებით და ამიტომ პირდაპირ სესხებზე უფრო ნაკლები რისკის მატარებელია.

კრედიტის უზრუნველყოფის ვალდებულებები წარმოადგენს კრედიტის უზრუნველყოფის ნებართვის გამოყენებულ ნაწილებს კრედიტების, გარანტიების ან აკრედიტივის სახით. კრედიტის უზრუნველყოფის ვალდებულებების საკრედიტო რისკთან დაკავშირებით, ჯგუფი პოტენციურად იმყოფება იმ მოცულობით ზარალის რისკის წინაშე, რომელიც მთლიანი გამოყენებული ვალდებულებების ტოლია. თუმცა, ზარალის სავარაუდო მოცულობა გამოყენებულ ვალდებულებებზე ნაკლებია რადგან კრედიტის უზრუნველყოფის უმეტესი ვალდებულებები დამოკიდებულია კლიენტებზე, რომლებიც ინარჩუნებენ კონკრეტულ საკრედიტო სტანდარტებს. ჯგუფი აკონტროლებს კრედიტის დაფარვის ვადასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს, რადგან გრძელვადიან ვალდებულებებს ზოგადად უფრო მეტი ხარისხის საკრედიტო რისკი აქვს, ვიდრე მოკლევადიან ვალდებულებებს.

37 პირობითი ვალდებულებები გამოკლება

შეუსრულებელ საკრედიტო ხაზთან დაკავშირებული ვალდებულებები შემდეგია:

| ათას ლარში | 2018 | 2017 | 2016 |
|---|----------------|---------|---------|
| გამოუყენებელი საკრედიტო ხაზი | 769,863 | 728,178 | 449,110 |
| გაცემული აკრედიტივი | 105,972 | 106,919 | 154,842 |
| გაცემული ფინანსური გარანტიები | - | 141,963 | 116,260 |
| სულ საკრედიტო ხაზთან დაკავშირებული ვალდებულებები და შესრულების გარანტიები ((რეზერვამდე)) | 875,835 | 977,060 | 720,212 |
| საკრედიტო ზარალის რეზერვი საკრედიტო ხაზთან დაკავშირებული ვალდებულებებისთვის | (5,424) | (8,239) | (8,049) |
| სულ საკრედიტო ხაზთან დაკავშირებული ვალდებულებები და შესრულების გარანტიები | 870,411 | 968,821 | 712,163 |

გამოუყენებელი საკრედიტო ხაზის, აკრედიტივის და გარანტიების მთლიანი გადაუხდელი საკონტრაქტო თანხა ყოველთვის არ ასახავს მომავალ ნაღდ ფულზე მოთხოვნებს, რადგან ამ ფინანსურ ინსტრუმენტებს შეიძლება ვადა ამოეწუროთ ან გაუქმდნენ დაფინანსების გარეშე. გაუქმებას არდაქვემდებარებული ვალდებულებები 2018 წლის 31 დეკემბრისთვის შეადგენდა 344,360 ათას ლარს (2017: 389,148 ათას ლარს; 2016: 169,831 ათას ლარს;).

შესრულების გარანტიები. შესრულების გარანტიები არის კონტრაქტები, რომელიც უზრუნველყოფს კომპენსაციას, თუ მეორე მხარე ვერ შეასრულებს საკონტრაქტო ვალდებულებებს. ასეთი კონტრაქტები არ ითვალისწინებს საკრედიტო რისკის გადაცემას. შესრულების გარანტიის კონტრაქტებით გათვალისწინებული რისკი არის იმის შესაძლებლობა, რომ დაზღვეული მოვლენა (ე.ი. მეორე მხარის მიერ საკონტრაქტო ვალდებულებების შეუსრულებლობა) მოხდება. ბანკის მთავარი რისკი არის მოსალოდნელთან შედარებით ასეთ კონტრაქტებზე წარმოქმნილი გადახდების სისშირისა და სიმწვავის მნიშვნელოვანი ცვალებადობა.

შესრულების გარანტიების გადაუხდელი თანხა და შესაბამისი რეზერვები 2018 წლის დეკემბრისთვის შეადგენს 1,195,847 ათას ლარს და 4,393 ათას ლარს (2017: 612,311 ათას ლარს და 2,067 ათას ლარს; 2016: 426,608 ათას ლარს და 2,635 ათას ლარს).

საკრედიტო ხაზთან დაკავშირებული ვალდებულებებისა და შესრულების გარანტიების სამართლიანი ღირებულება 2018 წლის 31 დეკემბერს იყო 5,424 ათასი ლარი (2017 წელს: 8,239 ათასი ლარი; 2016: 8,049 ათასი ლარი;) სულ საკრედიტო ხაზთან დაკავშირებული ვალდებულებები და შესრულების გარანტიები დენომინირებულია შემდეგ ვალუტებში:

| ათას ლარში | 2018 | 2017 | 2016 |
|--------------|------------------|-----------|-----------|
| ქართული ლარი | 854,000 | 618,558 | 409,498 |
| აშშ დოლარი | 955,829 | 734,970 | 545,621 |
| ევრო | 218,091 | 166,304 | 101,892 |
| სხვა | 43,762 | 69,539 | 89,809 |
| სულ | 2,071,682 | 1,589,371 | 1,146,820 |

კაპიტალური დანახარჯის ვალდებულებები. 2018 წლის 31 დეკემბერს, ჯგუფს ჰქონდა საკონტრაქტო კაპიტალური დანახარჯის ვალდებულებები, რომელიც შეადგენს 12,210 ათას ლარს (2017: 7,816 ათას ლარს; 2016 წელს: 5,665 ათას ლარს;).

38 არასაკონტროლო წილი

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ინფორმაცია თითოეული შვილობილი კომპანიის შესახებ, რომელსაც აქვს არასაკონტროლო წილი 2018 წლის 31 დეკემბრისთვის:

| ათას ლარში | არასაკონტროლო წილის ხმის უფლების პროცენტი | მოგება მიკუთვნებული არასაკონტროლო წილისთვის | დაგროვილი არასაკონტროლო წილი შვილობილ კომპანიაში |
|---------------------------------------|---|---|--|
| სს თიბისი ლიზინგი | 0.39% | 26 | 96 |
| შპს თიბისი კრედიტი* | - | 251 | - |
| სს გაერთიანებული ფინანსური კორპორაცია | 1.33% | 59 | 517 |
| BG LLC** | - | (88) | - |

*2018 წელს ჯგუფმა შეისყიდა დანარჩენი 25% წილი შპს თიბისი კრედიტის აქციონერებისგან და გახდა კომპანიის 100%-ის მფლობელი.

**2018 წელს ჯგუფმა მოიპოვა დე-ფაქტო კონტროლი შპს BG-ზე და საერთო შემოსავალი შვილობილი კომპანიიდან მიკუთვნა NCI-ს.

38 არასაკონტროლო წილი გაგრძელება

შვილობილი კომპანიების შეჯამებული ფინანსური ინფორმაცია 2018 წლის 31 დეკემბრისთვის: ცხრილში წარმოდგენილია

| ათას ლარში | მიმდინარე აქტივები | არა-მიმდინარე აქტივები | მიმდინარე ვალდებულებები | არა-მიმდინარე ვალდებულებები | შემოსავალი | მოგება | სულ ყოველწლიური შემოსავალი | ფულადი ნაკადები |
|---------------------------------------|--------------------|------------------------|-------------------------|-----------------------------|------------|--------|----------------------------|-----------------|
| სს თიბისი ლიზინგი | 160,619 | 128,610 | 138,582 | 126,954 | 26,998 | 6,585 | 6,585 | 10,773 |
| შპს თიბისი კრედიტი | 19,639 | 14,987 | 13,961 | 10,813 | 3,177 | 1,836 | 1,836 | (1,622) |
